წერილი მოგონებები არაერთ ბიოგრაფიაში აისახა. ოჯახურ გარემოცვაზე ზეგავლენა იქონია 1848 წლის რევოლუციურმა იდეებმა, რამაც ბევრი აალაპარაკა საარჩევნო უფლებებზე, პრუსის თავისუფლებაზე, ლიბერალურ-დემოკრატიული ცნობიერების არსებობის აუცილებლობაზე. მშობლები, რელიგიური მრწამსის თვალსაზრისით, ინარჩუნებდნენ შინაგან და ემოციურ კავშირს იუდაიზმთან, მაგრამ, როგორც ბიოგრაფები აღნიშნავენ, ამას ნაკლები გავლენა მოუხდენია მომავალი ანთროპოლოგის ინტელექტუალურ თავისუფლებაზე.

უფრო მეტიც, სწორედ მის ირგვლივ შექმნილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და სულიერმა გარემომ განსაზღვრა ფრანც ბოასის ანთროპოლოგია და სოციალური აქტივობა თუ სოციალური პრობლემატიკის მისეული ხედვა.

ფრანც ბოასმა განათლება სამშობლოში, საკუთარ ქალაქში მიიღო, შემდეგ კი სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობდა. მისი შემოქმედება, დღიდან მეცნიერული მუშაობის დაწყებისა, თემატურად საოცრად მრავალფეროვანი იყო, რაც მეცნიერის ერუდიციაზე მომიჯნავე დარგებში ღრმად განსწავლულობასა და ცოდნის დიდ დიაპაზონზე მეტყველებდა. მანამ, სანამ ფრანც ბოასს ანთროპოლოგიისადმი ინტერესი გაუჩნდებოდა, იგი გეოგრაფიასა და ფიზიკას ჰაიდელბერგის, ბონისა და კიელის უნივერსიტეტებში სწავლობდა. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ბაკალავრის ხარისხი მიიღო, კიელის უნივერსიტეტში კი ფიზიკურ გეოგრაფიაში დაწერა სადოქტორო დისერტაცია ზღვის წყლის ფერის შესახებ. იგი განსწავლული იყო არამარტო გეოგრაფიაში, არამედ საკუთრივ ფიზიკასა და მათემატიკაშიც. სხვათაშორის, ფრანც ბოასმა სადოქტორო დისერტაცია წყლის ფერების შესახებ კიელში 23 წლის ასაკში, 1881 წელს, სწორედ ფიზიკაში დაიცვა და ფილოსოფიის დოქტორის (**Ph. D**) ხარისხი მიენიჭა. შემდეგ უკვე ამერიკაში, 1889 წელს, ფრანც ბოასმა სწავლება დაიწყო კლარკის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო დოქტორის ხარისხი ანთროპოლოგიაში. 1992 წელს კლარკის

უნივერსიტეტში ფინანსური პრობლემები შეიქმნა, რის გამოც ბევრმა თანამშრომელმა, მათ შორის ფრანც ბოასმაც, უნივერსიტეტი დატოვა.

ფრანც ბოასმა გაიარა ერთწლიანი სამხედრო სამსახური, რის შემდეგ გადაწყვიტა მეცნიერებაში კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა და ადამიანთა საზოგადოებები შეესწავლა, თუმცა ამისათვის მას სათანადო ფინანსები არ გააჩნდა. როგორც ცნობილია, რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 1883 წლის ივნისში, მეცნიერს მოუხერხებია შეერთებოდა გერმანულ ექსპედიციას არქტიკაში. იგი მიზნად ისახავდა *ინუიტების* – ესკიმოსების საზოგადოების შესწავლას იმის დასადგენად, თუ რამდენად იყო შესაძლებელი ადამიანთა ცხოვრებისა და გარემოს ურთიერთმიმართების განსაზღვრა ერთი კონკრეტული, მაგრამ არცთუ ისე მარტივი გამოკვლევით.

ჩრდილოეთ კანადაში – ბაფინის მიჯაზე (**Baffin Land**) გეოგრაფიული კვლევების პერიოდში ფრანც ბოასი ცხოვრობდა ცენტრალური ესკიმოსების გარემოცვაში და ეწეოდა სავსე კვლევა-ძიებას. ბაფინის კუნძულზე, კანადის არქტიკაში, 50 გრადუსიანი ყინვის პირობებში მან ერთი წელი გაატარა. ბაფინის სანაპიროების მიმდებარე ადგილებში შეაგროვა ინუიტების ლეგენდები, შეისწავლა მათი რიტუალები და საკულტო-სადღესასწაულო ცერემონიები. როგორც ბიოგრაფები მიუთითებენ, საბოლოო ჯამში, ესკიმოსთა შორის ეთნოგრაფიული მუშაობით ფრანც ბოასი მაინც უკმაყოფილო და თითქოს იმედგაცრუებულიც კი დარჩა, რადგან თვლიდა, რომ უმნიშვნელო რაოდენობის მასალების შეკრება შეძლო, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი მიხვდა, რომ არქტიკაში გატარებულმა ერთმა წელმა ანთროპოლოგიური შეხედულებების ფორმირებაზე უადრესად დიდი გავლენა იქონია. სწორედ ამ ექსპედიციიდან დაიწყო მისი ადამიანთმცოდნეობით დაინტერესება. პრაქტიკული ცხოვრების სიმკაცრეებთან შეგუებამ მასზე დიდი გავლენა მოახდინა, გეოგრაფიიდან ანთროპოლოგიაში გადაინაცვლა და ანთროპოლოგიის დაწვრილებითი შესწავლა დაიწყო. გზა გეოგრაფიიდან ანთროპოლოგიისაკენ იყო ხანგრძლივი, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით უადრესად სასარგებლო. საფუძვლიანმა მომზადებამ გეოგრაფიაში, ლიგვისტიკასა და კულტუროლოგიაში, შესაბამისად, მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფართო სინთეზმა, ბუნებრივია, მას ლოგიკური შედეგები მისცა და დაეხმარა კომპლექსურად და გლობალურად გაეაზრებინა ადამიანთან დაკავშირებული პრობლემების უზარმაზარი წრე. სწორედ კვლევითი მრავალმხრივობაც გახლდათ ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომ ანთროპოლოგიამ, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელმა დარგმა, სწრაფი ტემპით დაიწყო ფორმირება. ანთროპოლოგია – მეცნიერება ადამიანის შესახებ დაუკავშირდა ფრანც ბოასის სახელს. მკვლევარის მრავალგანზომილუ-

ბიანი განსწავლულობა გახდა მიზეზი იმისა, რომ ანთროპოლოგიამ იმთავითვე მოიცვა ოთხი ძირითადი – ბიოლოგიური (ფიზიკური), კულტურული (სოციალური/სოციოკულტურული), არქეოლოგიური და ლინგვისტური – მიმართულება. შემთხვევითი არ ყოფილა, ფრანც ბოასი პერსპექტიულ მეცნიერებს კულტურული ღირებულებების კვლევის პარალელურად, ინდიელთა განსახლების არეალებში ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით სოციოლინგვისტიკაში, ლინგვოკულტუროლოგიასა და არქეოლოგიაში წინასწარ მომზადებას რომ სთხოვდა. ამის საუკეთესო მაგალითი კი ედვარდ სეპირია (**Edward Sapir**), რომელმაც ლინგვისტურ ანთროპოლოგიაში განსახედურული ამოცანების გადაჭრის მიზნით, სწორედ ფრანც ბოასის დაკვალიანებით დაიწყო მუშაობა (იხ. **Сепир**, 1993). პრობლემის ამდაგვარმა ხედვამ დროთა განმავლობაში ანთროპოლოგიის ინტეგრაციული ფუნქცია საგრძნობლად გაზარდა და დღეს იგი ამა თუ იმ მიმართულებით ადამიანთან და სოციუმთან დაკავშირებულ ფაქტიურად თითქმის ყველა ასპექტს იკვლევს, როგორც დიაქრონულ (**ისტორიული ანთროპოლოგია**), ისე სინქრონულ სიბრტყეზე, თეორიული და მეთოდოლოგიური დაკვირვებების ჩათვლით. ამჟამად, ჩაღრმავებული ინტერდისციპლინარული კვლევები მიმდინარეობს **სტრუქტურული ანთროპოლოგიის**, **ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის**, **ფილოსოფიური ანთროპოლოგიის**, **იურიდიული ანთროპოლოგიის**, **ეკონომიკური ანთროპოლოგიის**, **პოლიტიკური ანთროპოლოგიის**, **სამედიცინო ანთროპოლოგიის**, **გენდერული ანთროპოლოგიის**, **ძაღადობის ანთროპოლოგიის** სფეროში. ანთროპოლოგია მომავლის მეცნიერებად იქცა.

1885 წელს, როცა ფრანც ბოასი იმიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა, მისი ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა. ფაქტობრივად, ეს იყო არქტიკიდან დაბრუნების შემდეგ პერიოდში. ფრანცმა ამჯერადაც წარუმატებლად სცადა სამსახურისა და სტიპენდიის მოპოვება. იგი სხვადასხვა მეცნიერულ ჟურნალებში იწყებს რედაქციულ მუშაობას. 1886 წელს ბრიტანეთის კოლუმბიის სამხრეთ ნაწილში მან თანამშრომლობა დაიწყო ჟურნალში – „კანადის გეოლოგიური მიმოხილვა“ და მცირე გამოკვლევაც კი ჩაატარა კუნძულ ვანკუვერის მოსახლეობაში.

1887 წელს, როცა ფრანც ბოასი სავლელ სამუშაოებიდან ნიუ-იორკში დაბრუნდა, მუშაობა დაიწყო რედაქტორის ასისტენტის თანამდებობაზე ჟურნალში „**Science**“. სწორედ ამ ხანებში იგი დაქორწინდა მარია კრასკოვიჩერზე (**Marie Krackowizer**: 1861-1929 წლები) და ამერიკის მოქალაქეობაც მიიღო.

ამავე პერიოდში, 1885-1896 წლებში, რამდენიმე მუზეუმისათვის ფრანც ბოასმა განახორციელა სავლელ დაკვირვებები ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ სანაპირო რეგიონებში (**The**

North Pacific Coast of North America). ამ სამუშაოთა ნაწილი მოხმარდა მსოფლიო ფორუმის პროექტს, რომელიც ჩიგაკოში 1892-1893 წლებში უნდა გამართულიყო. პროექტი ითვალისწინებდა ადგილობრივი ამერიკული კულტურის ფართო პუბლიკისათვის გაცნობას. ჯგუფის ცხოვრების – ერთობლივი თანაცხოვრების კონცეფცია, რომელიც პირველად დაამუშავა ფრანც ბოასმა, *დიორამას (Diorama)* სახელწოდებით გახდა ცნობილი. 1895 წელს ფრანც ბოასი ნიუ-იორკში გაემგზავრა, რათა გამხდარიყო ბუნების ისტორიის ამერიკულ მუზეუმში (**American Museum of Natural History**) ეთნოლოგიისა და სომატოლოგიის ასისტენტ კურატორი. მან, ასევე, 1896 წელს ლექციების კითხვა დაიწყო ფიზიკურ ანთროპოლოგიაში კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც 1899 წელს ანთროპოლოგიის პროფესორი გახდა. რამდენიმე ათწლეულის მანძილზე კოლუმბიის უნივერსიტეტში იგი ორ სემინარს ატარებდა, რომელიც წინასწარ მის მიერ შემუშავებული სამუშაო გეგმების საფუძველზე ეხებოდა სტატისტიკურ მეთოდებსა და ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ენებს. ფრანც ბოასი აირჩიეს მეცნიერებათა ნაციონალურ აკადემიაში. სწორედ ამ პერიოდში მისი ხელშეწყობით ჩამოყალიბდა „ამერიკის ანთროპოლოგიური ასოციაცია“ და განახლდა ჟურნალი „ამერიკელი ანთროპოლოგი“ (**American Anthropologist**). მის მრავალმხრივ სამეცნიერო პოტენციალსა და ორგანიზაციულ უნარზე მეტყველებდა ისიც, რომ იგი 1917 წელს გახდა „ამერიკული ლინგვისტიკის საერთაშორისო ჟურნალის“ დამაარსებელი, რომელიც ისე, როგორც „ამერიკული ანთროპოლოგია“, დღესაც გამოდის. არქეოლოგიის სკოლის დაფუძნებამ მეხიკოში პირდაპირი აქცენტები დასვა და განსაზღვრა ანთროპოლოგიის საგნობრივი ჩარჩოები.

* * *

ფრანც ბოასის წარმატებებს საფუძველად სავსე და კაბინეტური ხასიათის კოლოსალური შრომა ედო. წარმატებული ანთროპოლოგის კარიერა ფაქტიურად წინასწარ ჩამოყალიბებული მეცნიერული ინტერესებით იყო განსაზღვრული. მისი მოღვაწეობის მთელი პერიოდი – დაწყებული XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ამის დასტურია.

ფრანც ბოასი პოპულარული გახდა ჩრდილოეთ ვანკუვერისა და ბრიტანეთის კოლუმბიის მოსაზღვრე მატერიკის, კანადის *კვაკიუტლების (The Kwakiutle Indians)* ინდიელებზე დაწერილი წიგნებით, სადაც მეცნიერმა ჩამოაყალიბა კულტურის ახალი კონცეპტუალური გაგება, დაადგინა, რომ კულტურის შესწავლისათვის აუცილებელი იყო საზოგადოებაში არსებული ყველა ტიპის გამოვლინების განსაზღვრა. ფრანც ბოასის თვალსაზრისით, კულტურის შესახებ ფაქტების კომპლექსურად შეკრება აუცილებელი წინაპირობა იყო გარ-

კვეული სახის კულტურის შესამეცნებლად. ეს იყო მეთოდოლოგიური ხასიათის დასკვნები და მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ კულტურული ანთროპოლოგიის დარგობრივი ჩარჩოების განსასაზღვრავად. ფრანც ბოასმა გახმაურებული წიგნი – „წინარი ოკეანის სანაპიროს ინდიელთა მითები და ლეგენდები“ გერმანულად დაწერა და დიდი ხანი არაა, რაც იგი ინგლისურ ენაზე ითარგმნა. ამ პუბლიკაციით, რომელიც არაერთი ანთროპოლოგის მიერ ქრესტომატიულ წიგნადაა აღიარებული, ჩვენ ბევრი რამ გავიგეთ კანადისა და ალიასკის ინდიელთა კულტურის შესახებ. ფრანც ბოასის გამოკვლევების საფუძველზე კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტუდენტები სწავლობდნენ მრავალ საკითხს, რომელიც ინდიელთა ფოლკლორთან იყო დაკავშირებული. ეს წიგნი გადაითარგმნა მაშინ, როცა „ბრიტანეთის კოლუმბიის ინდიელთა ენების“ შესახებ გრანდიოზული პროექტის ფარგლებში თარგმანზე გამოიძებნა შესაბამისი დაფინანსება. სხვათა შორის, ათობით კონსულტანტი იყო მოწვეული, რათა თარგმანთან დაკავშირებული ნიუანსები გააზრებულიყო, გაშიფრულიყო ცხოველთა, მცენარეთა სახელწოდებები, გეოგრაფიული დასახელებები. უკვე ასი წელი გავიდა, რაც ეს სქელფიანი წიგნი არსებობს და მისი მეშვეობით ჩვენ ვეცნობით ინდიელთა მითოლოგიურ გმირებს, გასაოცარ ისტორიებს, მხარეში დასახლებულ ტომებს და სხვა.

რატომ მიიქცია ფრანც ბოასის ყურადღება მაინცადამაინც წინარი ოკეანის სანაპიროებმა და არა არიზონის უდაბნოებმა, ფლორიდის ჭაობებმა თუ დიდი ტბების მიდამოებმა. ფრანც ბოასის ბიოგრაფები ამ ტიპის კითხვებს საკმაოდ ხშირად სვამენ ხოლმე და თავადვე პასუხობენ: შესაძლოა იმიტომ, რომ აქ იყო უნიკალური გარემო კულტურის განვითარებისათვის. ინდიელები ცხოვრობდნენ „ქვის ხანაში“. მათ არ იცოდნენ როგორი იყო ბორბალი, არ იცოდნენ დნობით რკინის მიღება, თუმცა ბუნებრივი სიმდიდრეები იმდენად თვალშისაცემი იყო, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საკვების მოძიება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. უამრავი ცხენ-ირმის



ჯოჯი, ზღვის ხამანწკები, იოლად მოსაპოვებელი ნადავლი და ბუნების სხვა საჩუქარი, ტყეში ნაირფეროვანი სოკო ინდიელებს საშუალებას აძლევდა უმოკლეს დროში შეექმნათ საკვების მარაგი და თავისუფალი დრო გამოეყენებინათ დასვენებისათვის, კერასთან ზღაპრების მოყლისათვის, მაგიური წარმოდგენებისათვის.

1886 წლისათვის ფრანც ბოასი 28 წლის ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა იყო. იგი ქალაქ ვიქტორიას ესტუმრა ესკიმოსებთან მოგზაურობის შემდეგ, სადაც ბერლინის მუზეუმი-

სათვის კრებდა გეოგრაფიულ მასალებს. იმ დროისათვის ვიქტორია ამერიკის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის მთავარი სავაჭრო ცენტრი იყო. ბუნებრივია, ამის გამოც ქალაქში ყველა ხალხისა და ტომის წარმომადგენლები იკრიბებოდა. ეს იყო შესანიშნავი ეთნოგრაფიული გარემო რესპონდენტთა მოზიდვის თვალსაზრისით. უბრალოდ, ქალაქში სეირნობითაც შესაძლებელი იყო შორეული კანადიდან და ალიასკიდან მეტად საჭირო ადამიანებს შეხვედროდი. ეს კი ეთნოგრაფისათვის ველზე, შეიძლება ითქვას, „კომფორტული“ ვითარება იყო. აქ კარგად ჩანდა ადგილობრივ ინდიელთა ენებისა და ჩვეულებების ურთიერთ თანაფარდობა. ბრიტანეთის კოლუმბიის კუნძული და სანაპიროები ფრანც ბოასის დროს დღემდე არც თუ ისე ბევრ იმ გამონაკლისთა შორის იყო, სადაც ძველი და უძველესი ცივილიზაციები თეთრი ადამიანის გავლენის გარეშე ჯერ კიდევ იყო შემონახული. აქ, ფრანც ბოასი დარწმუნდა მისი დიდი პროექტის განხორციელების დრო რომ დადგა. უპირველესად, მეცნიერმა ტომთა განსახლების სქემის შედგენა დაიწყო. პარალელურად კრებდა ინდიელთა ზღაპრებს. როგორც უმეტეს მოგზაურ-მკვლევარს, ფრანც ბოასსაც, სამწუხაროდ, ფული საკმარისი არ ჰქონდა და იგი იძულებული გახდა თავისი ბიუჯეტი სამ თვეზე გადაენაწილებინა. ადვილი წარმოსადგენია ასეთ პირობებში მას როგორი კოლოსალური შრომის ჩატარება მოუწევდა. ხომალდიდან ინდიელთა კანოეში, კანოედან სანაპიროზე, დიდ მანძილებზე ფეხით სიარული ან რთული გზების გადალახვა ცხენით და ყველაფერი ეს ყოველდღიურად ხდებოდა. მეცნიერს, ბუნებრივია, რჩებოდა თავისუფალი დრო, როცა იგი არ მგზავრობდა, მაგრამ ამ დროსაც, მოპოვებული წყაროების დამუშავებასა და დახარისხებას ახმარდა. როცა საუბრობენ ფრანც ბოასის ბიოგრაფიაზე და მიუთითებენ ასე დატვირთული რეჟიმის არსებობაზე, ხშირად იმასაც აღნიშნავენ, რომ მისი მუშაობა არც ერთი წუთით არ წყდებოდა. წარმოდგინეთ მდინარეზე მოძრავი მცირე ხომალდი, ხომალდიდან ამოსული შავი მასიური ბოლი, ხომალდის გემბანი და მგზავრებს შორის ფრანც ბოასი, რომელიც გამუდმებით ეძებდა ინდიელებს, საათობით ბაასობდა მათთან და აკეთებდა ჩანაწერებს. ფაქტიურად, მეცნიერის კომუნიკაბელობამ წარმატება განსაზღვრა. ზოგიერთი ენის უცოდინარობის მიუხედავად, იგი ნებისმიერ პირთან ახერხებდა კონტაქტის დამყარებას. ბევრი ფრანც ბოასის ანგარიშების გაცნობისას საკუთარ თავს უსვამდა კითხვას – რამდენად სანდოა მის მიერ ჩაწერილი ზღაპრები, მითები და ლეგენდები? მკვლევრის ამ დღიურებში არსებობს ტექსტები, მოპოვებული ჩრდილო-დასავლეთის ყველა ხალხის (სალიში, კვაკიულტი, ნუტკა, ხაიდა, ტლინგიტი, ბილოგკა...) წარმომადგენლისაგან. აქედან გამომდინარე, მან თუ ყველა არა, რამდენიმე სხვადასხვა ენა მაინც იცოდა, რაც საკმაოდ

რთულ საქმეს წარმოადგენდა, მითუმეტეს, რომ თითოეული ტომის ენას თავისი დიალექტი ჰქონდა, თუმცა ხშირად მიუთითებენ, რომ ზოგიერთი ენის საფუძვლების ცოდნის მიუხედავად, იგი ძირითადად მთარგმნელების დახმარებით მუშაობდა ან იყენებდა *ჩინუკის* დიალექტს, რომელიც სავაჭრო საგნების გაცვლა-გამოცვლის პირობებში გამოიყენებოდა, როგორც უნივერსალური საკომუნიკაციო საშუალება.

ფრანც ბოასი ინდიელთა კედრის სახლებში სასურველი სტუმარი იყო. მას ხშირად იწვევდნენ ოლქში განხორციელებულ თითქმის ყველა დღესასწაულზე. სამი თვის მანძილზე ფრანც ბოასმა მრავალი მეგობარი შეიძინა – დაწყებული მაღალი რანგის ჩინოვნიკიდან, დამთავრებული შორეული კუნძულებიდან კანოეთი მოცურებული მოხატული და ტატუირებული ინდიელებით. ფრანც ბოასის დღიურში წერია: „ხვალ უნდა ვეწვიო დოქტორ ტოლმის, ინდიელთა საკითხებში აგენტს, დოქტორ პაუელას და კათოლიკ მღვდელს. უნდა დაუკავშირდე ფოტოგრაფს და, შესაძლებელია, სკოლის მასწავლებელს... მე, ალბათ, ვიქტორიაში ცნობილი ვარ, როგორც „უჯიშო ძაღლი“, იმდენად უსირცხვილოდ ვექებ ნაცნობობას ყველა ჯურის ხალხთან,” მაგრამ მუშაობის ამ სტილმა სრულად გაამართლა. როცა იგი დეკემბრის ბოლოს უაღრესად გადაღლილი და დაქანცული ვანკუვერში დაბრუნდა, განაცხადა, რომ მისმა ხელნაწერმა 326 გვერდს მიაღწია. ვანკუვერში იგი მხოლოდ საწოლსა და დასვენებაზე ოცნებობდა.

ფრანც ბოასის საექსპედიციო პროექტი ბრწყინვალედ განხორციელდა. რუქების შედგენისა და ზღაპრების ჩაწერის გარდა, მკვლევარმა შეკრიბა ინდიელთა ხელოვნების ნიმუშები, რითაც შეიძლებოდა ევროპული მუზეუმების დაინტერესება და ამის საფუძველზე საკმაო ფულის თავმოყრა, თუმცა მალე სამუშაოების გაგრძელების მიზნით დაფინანსება მან მეცნიერების განვითარების ბრიტანული ასოციაციიდან მიიღო. 1888 წელს მეცნიერების განვითარების ბრიტანულმა ასოციაციამ (**British Association for Advancement of Science**) თხოვნით მიმართა ფრანც ბოასს შეეგროვებინა ეთნოგრაფიული მასალები ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს მოსახლეობაში. პირველი მართლაც წარმატებული ექსპედიციის შემდეგ, 1889 წელს, ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე ამავე ასოციაციამ დააფინანსა მეორე სავლეთ ექსპედიცია, რომლის დროსაც ფრანც ბოასმა შეისწავლა ადგილობრივი მოსახლეობის ენები, შეაგროვა ანთროპომეტრული ფაქტები (იხ. **Boas, 1922**), დაადგინა *კვაკიუტლისა* და *ციმშიანის* ტომთა სოციალური ორგანიზაციის ფორმები. ამ ინიციატივის საფუძველზე ფრანც ბოასს საშუალება ჰქონდა მომდევნო ოთხი წელი კვლავ ექსპედიციაში გაეტარებინა, სადაც შემდეგში მართლაც გააგრძელა ზღაპრების ჩაწერა, ენების შესწავლა და გაქ-

რობის საფრთხის წინაშე მდგომი ინდიელთა ტომის ხელოვნების უნიკალური ნაწარმოებების შეკრება. უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ფრანც ბოასი იყო არა უბრალოდ ზღაპრების შემკრები, არამედ აკადემიური სკოლის წარმომადგენელი. იგი იწერდა ერთი და იმავე მითის ათობით ვარიანტს, ქმნიდა ერთგვარ რუკას, რომლითაც საზღვრავდა ადგილს, სადაც ლეგენდა დაიბადა და ადგენდა, თუ როგორ ვრცელდებოდა მისი ვარიაციები ტომთა შორის. ლეგენდა დროთა განმავლობაში ხშირად იცვლებოდა, იქნდა დამატებებს ან, პირიქით, კარგავდა ცალკეულ დეტალს. საველე მუშაობის ამდაგვარი მეთოდის საფუძველზე მეცნიერს ადვილად შეეძლო ცალკეულ თარგმანში შეენიშნა უზუსტობა და ადგილზევე გამოესწორებინა.

თანდათანობით ფრანც ბოასის წინაშე ჩამოყალიბდა წინაპრების მონაწილეობით მოქარგული მსოფლიოს მაგიური სურათი, სადაც ადამიანები და ცხოველები იყვნენ ერთი და იმავე რგოლის ორი გამოვლინება. ყვაეების, დათვების, ვეშაპების, თაგვებისა და ბუნების სხვა წარმომადგენელთა – ადამიანთა და ცხოველთა სიმბიოზური სახეების გვერდით ამ სამყაროში ბინადრობდნენ მრისხანე წარმოსახვითი ფრინველები, ადამიანის მჭამელი იდუმალი წყლის ურჩხულები. ფრანც ბოასის შემდგომ კვლევაში ფართო ადგილი ეკავა არა მარტო უშუალოდ ტექსტების შეკრებას, არამედ ინდიელთა სოციალური წყობის, მათი დასვენების, ომების, მაგიური ჩვეულებებისა თუ მისტიკური ქცევების, საიდუმლო საზოგადოებების შესწავლასაც.

ფრანც ბოასი დაწვრილებით გაეცნო XIX საუკუნის II ნახევრის კლასიკოს ევოლუციონისტთა შემოქმედებასა და შეხედულებებს, რის საფუძველზეც, როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, მალე დარწმუნდა იმ ეთნოგრაფიული წყაროების შეზღუდულობაში, რომელთა საფუძველზეც მათ პრობლემათა ფართო განზოგადოება მოახდინეს. ფრანც ბოასი თითქოს არ უარყოფდა ევოლუციურ იდეებს, მაგრამ სინამდვილეში იგი ფიქრობდა, რომ ბიოლოგიური ევოლუცია მეცნიერულად უნდა დადასტურებულიყო. მეცნიერი რეალობაში გამორიცხავდა შეცდომების დაშვების შესაძლებლობას, თუმცა კულტურული ევოლუციის მომხრეთა ერთი ნაწილი ამ უადრესად მნიშვნელოვან მოთხოვნას ყოველთვის როდი ითვალისწინებდა. ფრანც ბოასის მოღვაწეობის პერიოდში ევოლუციონისტური იდეები თანდათობით მოქველდა და გამოიყენებოდა, როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობით. მერვინ გარბარინოს მიხედვით, მისი ვიწრო მნიშვნელობა ვლინდებოდა მაშინ, როცა მიმდინარეობდა კამათი იმის შესახებ, ხელოვნება განვითარდა თუ არა, ვთქვათ, აბსტრაქტული წარმოდგენების საფუძველზე, ხოლო ფართო შინაარსი მან

მიიღო ადამიანის ისტორიის გაურკვეველი განზოგადოების პროცესში (Garbarino, 1977:48, 47-50).

ფრანც ბოასი ნათლად ხედავდა, რომ ანთროპოლოგიას სჭირდებოდა ახალი მიდგომები. იგი ცდილობდა თავიდან აეცილებინა თეორიული გამოსვლები მანამ, სანამ არ მოიპოვებდა ახალ, უკეთეს და სრულ ინფორმაციას. დამწვები მასწავლებლის სტატუსშიც, იგი სტუდენტებს სთხოვდა, შეეგროვებინათ რაც შეიძლება მეტი ეთნოგრაფიული მასალა. მისი მიზანი იყო გოტალურად აღედგინა თითქმის ყველაფერი და მაქსიმალურად ცდილობდა თავი შეეკავებინა განზოგადოებებისა და შედარებებისაგან მანამ, სანამ კონკრეტულ მონაცემზე სრულ და ამომწურავ ინფორმაციას არ მოიპოვებდა. ამ პერიოდისათვის იგი თვლიდა, რომ თეორიები თავისით წარმოიშობოდა. უტყუარი ფაქტებით თავდაჯერებულს იმედი ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს შესაძლებლობა მიეცემოდა, რათა ადამიანის ქცევის განზოგადოება მოეხდინა, თუმცა სიცოცხლის ბოლო წლებში ფრანც ბოასი მივიდა მისთვის სამწუხარო დასკვნამდე – ეს ფაქტიურად შეუძლებელი იყო. არსებობდა გარკვეული მოვლენები, რომელთაც ფრანც ბოასი აღიქვამდა, როგორც ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა და უნიკალური ისტორიული მოვლენის შედეგს.

ფრანც ბოასი კვლევითი სამუშაოების წარმატებით განხორციელებისათვის სტუდენტებისაგან, როგორც აღინიშნა, უპირველესად, ფაქტების დაგროვებას მოითხოვდა, რაც თანდათანობით ამერიკული ანთროპოლოგიისათვის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. სტუდენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭებინათ კულტურის ელემენტთა მოძრაობის გზებისა თუ ტრაექტორიის განსაზღვრისათვის, მათი სიმრავლის რეესტრისათვის და განხორციელებინათ კულტურის ამა თუ იმ ელემენტზე სხვადასხვა ფართოდ გავრცელებულ აზრთა თავმოყრა. როცა ევოლუციონისტები კულტურაში მსგავსებას ეძებდნენ, მაშინ ფრანც ბოასი მათ მრავალფეროვნებას აკვირდებოდა. ზოგიერთი კრიტიკულად განწყობილი ავტორი დელავდა იმის გამო, რომ ასეთმა მიდგომამ ფრანც ბოასს თითქოს ხელი შეუშალა წარმოეჩინა დასახული ამოცანის გოტალური სურათი.

ფრანც ბოასმა ანთროპოლოგიური თეორიები განავრცო კულტურული რელატივიზმის ინტეგრაციით და დარწმუნდა ისტორიულ პარტიკულარიზმში (ისტორიული პარტიკულარიზმის შესახებ დაწვრილებით იხ. Ember, 1985:181-182). კულტურული რელატივიზმი განსხვავებულ ხალხებსა თუ ადამიანებში იყო ისტორიული, სოციალური და გეოგრაფიული გავლენის შედეგი. თი-



თოეულ დასახლებასა თუ პოპულაციას ჰქონდა ერთგვაროვანი და ერთობლივად განვითარებული კულტურა. ისტორიული პარტიკულარიზმი თითოეული კულტურის ნაწილია უნიკალური ისტორიით. იგი არ ცნობს პრინციპს მათზე უნივერსალური კანონები ზემოქმედების შესახებ. ამ შეხედულების ნიშნები გაჩნდა ადრეულ ევოლუციონისტთა წრეში ჯერ კიდევ ლუის ჰენრი მორგანთან და ედვარდ ტაილორთან, რომლებმაც შემოგვთავაზა საფეხურები, რომელთაც კულტურა თანმიმდევრულად გადიოდა. ფრანც ბოასის გერმანულ ინტელექტუალურ ფონზე, როგორც ეს ლიტერატურაშია მიხნეული, დიდი გავლენა მოახდინა ადოლფ ბასტიანმა (**Adolf Bastian**), ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტმა (**Alexander von Humboldt**), რუდოლფ ვირხოუმ (**Rudolf Virchow**), სოციალური ფორმების იზოლაციაზე დიფუზიისა და მიგრაციის ზემოქმედების თეორიული პოსტულატების ავტორმა, გეოგრაფმა – ფრიდრიხ რატცელმა (**Friedrich Ratzel**). ფრანც ბოასმა ყურადღება გაამახვილა კულტურის შიდა წყობაზე და კულტურას ბუნებრივი ხედვითა და პარტიკულარისტული მიდგომით შიგნიდან დააკვირდა. მან ბევრი რამ შეითვისა ვილჰელმ დილტისაგან (**Wilhelm Dilthey**), რომელსაც, როგორც ფილოსოფოსს, სოციალური მეცნიერების სფეროში გააჩნდა მენტალიტეტის შესახებ ისტორიული ნაშრომი. სხვათა შორის, ბოასელები კულტურასთან დაკავშირებით პრინციპულად სვამდნენ უმნიშვნელოვანეს კითხვას: არის თუ არა კულტურა რეალობა თუ იგი აბსტრაქციას წარმოადგენს?. ის მართლაც არსებობს თუ მხოლოდ ჩვენს წარმოსახვაშია? ბუნებრივია, ფრანც ბოასზე გავლენას ახდენდა ეთნოგრაფების მიერ ჩამოყალიბებული კულტურის განმარტებები და ამანაც განაპირობა, როცა იგი კულტურას არა არტეფაქტად, არამედ არტეფაქტის იდეად თვლიდა (**Garbarino, 1977:49**).

ევოლუციონისტურ შეხედულებებთან დაპირისპირებისას თავის კვლევებში ფრანც ბოასი ისტორიის როლს არ გამორიცხავდა. უფრო მეტიც, ფრანც ბოასს ისტორიული ანთროპოლოგიის სულისჩამდგმელად და ისტორიული ანთროპოლოგიური სკოლის ჩამომყალიბებლად თვლიან, რითაც მან განსაზღვრა ამერიკული ანთროპოლოგიური აზრის განვითარება XIX საუკუნის მიწურულიდან XX საუკუნის შუა ხანებამდე (შდრ. ამერიკულ „ისტორიულ სკოლას“ – იხ. **Марков, 2004:39**). ძირითადად იგი ყურადღებას ამახვილებდა სპეციფიკურ ისტორიებზე და სჯეროდა, რომ თითოეული საზოგადოება მხოლოდ საკუთარი წარსული შემეცნებიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო გაგებული. იგი ფიქრობდა, რომ თითოეული კულტურა განცალკავებული ისტორიული პროცესის უნიკალური პროდუქტი, მიზეზობრივ და განსხვავებულ ფასეულობათა მრავალფეროვანი კომბინაციების ისტორიული გამოვლინება იყო. ასეთი პოზიციის გამო, ხშირად, ფრანც ბოასსა და მის მიმდევრებს ტერმინ – „ისტო-

რიულ პარტიკულარიზმს” მიაწერენ. კულტურული ფაქტი საუკეთესოდ იხსნებოდა ისტორიული მოვლენის საფუძველზე. მეცნიერი ახასიათებდა ისეთ მსგავს კულტურულ ფორმებს, რომლებიც წარმოქმნილი იყვნენ განსხვავებულ წინამავალ გარემოში, თუმცა მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი ახსნა არათუ ძნელად, არამედ ზოგჯერ შეუძლებლადაც კი მიაჩნდა. ფრანც ბოასი ერთმანეთისაგან მიჯნავდა დროს და მასში მოქცეულ სპეციფიკურ საზოგადოებებს. იგი ეწინააღმდეგებოდა ვარაუდს, რომ კულტურული ევოლუცია ფეხდაფეხ მიყვებოდა ყველა ტიპის საზოგადოებას. ფრანც ბოასის აქცენტი ძირითადად კულტურაზე იყო გადატანილი და მისი კრიტიკული დამოკიდებულება კლასიკური ევოლუციონისტური სკოლის წარმომადგენელთა შეხედულებებისადმი განპირობებული იყო არა იმიტომ, რომ ევოლუციონისტებმა სცადეს ისტორიული რეკონსტრუქციების განხორციელება, არამედ იმიტომ, რომ ისინი ამას აკეთებდნენ მცირე ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, თანაც ტომობრივი თუ გვაროვნული დაჯგუფებები (**Tribal People**) შედარებითი მეთოდის საფუძველზე მიაკუთვნეს პრეისტორიულ ადამიანთა გაერთიანებების კატეგორიას. აქ, ფრანც ბოასმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ტრიბალურ დაჯგუფებებს ისეთივე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, როგორიც ცივილიზებულ ხალხებს (**Garbarino, 1977:48**).

ფრანც ბოასი – ამერიკელი ანთროპოლოგიური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ანთროპოლოგიური, ეთნოლოგიური მეთოდისა და მეთოდოლოგიის დამუშავებაში, კულტურის ელემენტებს ამა თუ იმ ხალხის განსაზღვრულ სოციალურ და გეოგრაფიულ გარემოში ისტორიულ მოვლენებთან მჭიდრო კავშირურთიერთობაში განიხილავდა. ამასთან, იგი ითვალისწინებდა მსგავსი სოციალური წყობის ხალხთა ფსიქიკური ერთიანობის ფაქტორსაც, რასაც შეეძლო დასაშვებია, ანალოგიურ კულტურულ ფასეულობათა წარმოშობის განპირობება. მიუხედავად იმისა, რომ ფრანც ბოასს მოღვაწეობა ანთროპოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების რთულ პერიოდში მოუწია, ისტორიზმისადმი მისი პოზიტიური დამოკიდებულება სავსებით გასაგებია. ამერიკულმა ანთროპოლოგიამ პარტიკულარული საზოგადოებების ისტორიულ შესწავლასთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრებებიც განავითარა. ფრანც ბოასს ჰქონდა ნაშრომები არა მარტო ჩრდილოდასავლელი ინდიელების ეთნოგრაფიაში, არამედ ლინგვისტიკაში, ფიზიკურ ანთროპოლოგიაში და არქეოლოგიაში.

ფრანც ბოასმა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება დაიწყო კლასიკურ ეთნოლოგიაში ადოლფ ბასტიანის (**Adolf bastian**), ედვარდ ტაილორის, ლუის მორგანის, ლებოკის, ჰერბერტ სპენსერის (**Herbert Spencer**) მოღვაწეობის პერიოდში, რომელთაც ევოლუციურ სკოლას

აკუთვნებდნენ. ამ დროს გერმანიაში დიფუზიონიზმისა და ანთროპოგეოგრაფიის თეორიის შემოქმედი ფრიდრიხ რატცელი ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა. ფრანც ბოასის გერმანული წარმომავლობაც განსაზღვრავდა იმას, რომ იგი კარგად იცნობდა გერმანულენოვან ლიტერატურას და, შესაბამისად, ფრიდრიხ რატცელის შემოქმედებასაც. მას გააჩნდა სერიოზული არგუმენტები, რაც საფუძველს აძლევდა უკვე აღრეულ ნაშრომებში ფრიდრიხ რატცელისა და ევოლუციონისტების შეხედულებები უარყოფითად შეეფასებინა. მართალია, ბაფინის მიწებისაკენ იგი მიემართებოდა ფრიდრიხ რატცელის გეოგრაფიის ძლიერი გავლენით, მაგრამ მას დასცილდა მაშინ, როცა იგი მოგზაურობდა ესკიმოსებში, უკვე ლუის მორგანის ნაშრომების ზეგავლენით (იხ. **Аверкиева**, 1946:106).

ფრანც ბოასი 1937 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში გახდა ანთროპოლოგიის ემერიტუს პროფესორი. მან მთელი ცხოვრება დაუთმო ანთროპოლოგიურ კვლევებს და ხელი შეუწყო ანთროპოლოგიის მეცნიერებად აღიარების საქმეს. მისი გაზრდილი მოწაფეები შემდეგში საყოველთაოდ ცნობილი ანთროპოლოგები გახდნენ. მეცნიერი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არაერთი წიგნის ავტორი იყო, რომლებმაც საპატიო ადგილი დაიკავეს არამარტო საბუნებათმეცნიერო, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში. მოღვაწეობის ბოლო ხანებში ფრანც ბოასს, როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, ახლო ურთიერთობები ჰქონდა და საფაკულტეტო კლუბში ხშირად სადილობდა კიდევ პროფესორ პოლ რივეტთან (**Paul Rivet**) და სხვა კოლეგებთან ერთად.

სპეციალისტთა აზრით, ფრანც ბოასის ნაშრომები შეუფასებელია. კაცობრიობის წინაშე მისი დამსახურება იყო არა მხოლოდ ის, რომ მან შეკრიბა განსაცვიფრებელი მითები და ლეგენდები, ხანგრძლივი დრო მოანდომა მოგზაურობასა და გვერდიგვერდ ცხოვრობდა ქვის ხანის ადამიანებთან, არამედ ისიც, რომ საქვეყნოდ გააუღერა დასკვნა იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი ინტელექტუალური და კულტურული პოტენციალით არის თანაბარი. ერთი შეხედვით არც თუ ისე უწყინარი ეს თვალსაზრისი შესაძლოა ჩვეულებრივ მოვლენად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს ასე არაა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ფრანც ბოასი სტატიებს იმ დროს – XX საუკუნის პირველ ნახევარში – აქვეყნებდა, როცა ნაციონალური რეჟიმი, გერმანული ნაციზმი და ამერიკაში რასისტული განწყობა ჭარბობდა. მართალია ფრანც ბოასი პოლიტიკოსი არ იყო, მაგრამ მას გააჩნდა მტკიცე მოქალაქეობრივი პოზიცია. იგი პირველ რიგში მეცნიერი იყო. ამიტომ ნაციონალურ პრობლემასაც მეცნიერული პრიზმიდან აშუქებდა. შემთხვევითი არ იყო მისი გამონათქვამი: „თუ შევკრებთ მესამედ ყველაზე ჭკვიან, კულტურ-

რულ და ემოციურად სტაბილურ ადამიანებს, მაშინ მსოფლიოს ყველა რასა იქნება წარმოდგენილი”. სპეციალისტების განმარტებით ეს იყო არა ლოზუნგი, არამედ ათწლეულების მანძილზე გულმოდგინე სამეცნიერო მუშაობით დასაბუთებული ფაქტი.

1942 წლის 21 დეკემბერს ფრანც ბოასი 84 წლის ასაკში ნიუ-იორკში გარდაიცვალა. საფრანგეთის აკადემიის წევრი კლოდ ლევი-სტროსი (**Claude Levi-Strauss**) ფრანც ბოასის გარდაცვალებას ამერიკაში ასე აღწერს: „დეკემბრის იმ დღეს ჩვენ კოლუმბიის უნივერსიტეტის კლუბში ლანჩზე შევხვდით. ქალაქში სუსხიანად ყინავდა. ფრანც ბოასი, საპატიო ემერიტუს პროფესორი, მოვიდა გახუნებული ბეწვიანი ქუდით, რომელიც, შესაძლოა, ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ესკიმოსების ნაჩუქარი იყო. მრავალ სტუმარს შორის მოწვეული იყო ბოასის ქალიშვილი, რამდენიმე ძველი მეგობარი და ყოფილი სტუდენტები. საუბარი მიმდინარეობდა თავისუფლად, მაგრამც ბოასი უეცრად შეინძრა, წამოიწია და როგორც ელექტრონული ძაბვით განგმირული ადამიანი სკამთან ერთად იატაკზე დაეცა... ქალიშვილსა და ვაჟს მწუხარება დაუტოვა¹. ჩვენ წყნარად დავტოვეთ ადგილსამყოფელი იმის გაცნობიერებით, რომ ამ ქვეყნიდან წავიდა ყველა დროის უდიდესი ეთნოგრაფი... როცა მე ვფიქრობდი მისი წიგნებისა და სტატიების ფანტასტიკურ რაოდენობაზე, პუბლიკაციების მრავალფეროვნება მანცვიფრებდა იმითაც, რომ მათში შეინიშნებოდა დარგობრივი დინამიკა – ანთროპოლოგიიდან ფოლკლორამდე, არქეოლოგიიდან ლინგვისტიკამდე, გეოგრაფიიდან ეთნოლოგიამდე, წვრილმანი დეტალების განხილვიდან ყოვლისმომცველ თეორიულ განზოგადებამდე... „მე საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ ჩვენ გაუხდით არამარტო თავისი საქმის აღიარებული ოსტატის, არამედ XIX საუკუნის ერთ-ერთი ბოლო ისეთი გიგანტი მოაზროვნის ამქვეყნიდან წასვლის მოწმე, რომლის მსგავსიც, შესაძლოა, ვეღარასოდეს ვნახოთ”. უინგეით თოდმა (**Wingate Todd**) საყოველთაოდ განაცხადა, რომ ფრანც ბოასი იყო ჩვენი დროის გამოჩენილი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერი მეცნიერი. რობერტ ლოუიმ კი ფრანც ბოასის გარდაცვალების შემდეგ ნეკროლოგში უმაღლესი შეფასება მისცა ფრანც ბოასის განვლილ ადამიანური და

¹ ფრანც ბოასი მრავალშვილიანი იყო. შვილები: ელენე ბოასი იამპოლსკი (**Helene Boas Yampolsky**: 1888-1963 წლები), ერნესტ ფილიპ ბოასი (**Ernst Philip Boas**: 1891-1955 წლები), ჰედვინგ ბოასი (**Hedwing Boas**: 1893-1894 წლები), გერტრუდ ბოასი (**Gertrud Boas**: 1897-1924 წლები), ჰენრი ჰერბერტ დონალდსონ ბოასი (**Henry herbert Donaldson Boas**: 1899-1925 წლები), მარია ფრანცისკა ბოასი (**Marie Franziska Boas**: 1902-1987 წლები).

მეცნიერული ცხოვრების გზას. რობერტ ლოუის აღიარებით ფრანც ბოასი „იყო დიდი ანთროპოლოგი და დიდი ადამიანი“.

ილუსტრაცია

ფრანც ბოასის პერსონალური ფოტოები.

ფრანც ბოასის მიერ დემონსტრირებული კვაკიუტლის ტომის ცერემონიული ცეკვა.

ლიტერატურა:

- ავერკიევა: Аверкиева Ю.Л., Франц Боас. – «Кавказский этнографический сборник», Москва, 1946.
- ბარფილდი: Thomas Barfield. Boas Franz. – “The Dictionary of Anthropology”, Oxford, 1997.
- ბეიკერი: Lee D. Baker. The Location of Franz Boas within the African American Struggle. – “Critique of Anthropology”, vol. 14 (2), 1994.
- ბეიკერი: Lee D. Baker. Franz Boas Out of the Ivory Tower. – “Anthropological Theory”, vol. 4 (1), 2004.
- ბაშკოვი: Ira Bashkow. A Neo-Boasian Conception of Cultural Boundaries. – “American Anthropologist”, vol. 106 (3), 2004.
- ბოასი: Franz Boas. Report on an Anthropometric Investigation of the Population of the United States. – “Journal of American Statistical Association”, 1922.
- ბუნზლი: Matti Bunzl. Boas, Foucault and the “Native Anthropologist”. – “American Anthropologist”, vol. 106 (3), 2004.
- გარბარინო: Merwyn S. Garbarino. Socio-cultural Theory in Anthropology (A Short History), Chicago, 1977.
- გეთია: Fran Getya. Jews, Multiculturalism and Boasian Anthropology. – “American Anthropologist”, vol. 99 (4), 1997.
- ემბერი: Carol R. Ember, Melvin Ember. Anthropology, London, 1985.
- კრობერი: Alfred Kroeber. An Authoritarian Panacea. – “American Anthropologist”, vol. 51 (2), 1949.
- ლოუი: Robert H. Lowie. Franz Boas (1858-1942). – Biographical Memoir, 1947.
- მარკოვი: Г. Е. Марков. Немецкая этнология, Москва, 2004.
- მონაგჰანი, ჯესთი: John Monaghan and Peter Jast. Social and Cultural Anthropology (A Very Short Introduction), Oxford, 2000.

- სემორ-სმიტი: Charlotte Seymour-Smith. “Boas Franz. – Macmillan Dictionary of Anthropology”, London, 1986.
- სეპირი: Э. Сепир. Статус лингвистики как науки. – «Избранные труды по языкознанию и культурологии», Москва, 1993.
- ტილორი: Эд. Б. Тайлор. Антропология. Введение к изучению человека и цивилизации (перевод с английского И. С. Ивина), С.-Петербург, 1898.
- პრაისი: David Price. Anthropologists as Spies. – ”The Nation”, vol. 271, Number 16, 27, 2000.
- პრაისი: David Price. The Shameful Business: leslie Spier on the Censure of Franz Boas. – “History of Anthropology Newsletter”, vol. XXVII (2), 2001.
- ჰარტი: Mitchel Hart. Franc Boas as German, American, Jew. – “German - Jewish Identities in America”, 2003.
- ჰერბერტი: Lewis Herbert. Boas, Darwin, Science and Anthropology”. – “Current Anthropology”, vol. 42 (3), 2001.
- ჰერბერტი: Lewis Herbert. Franz Boas: Boon or Bane. – “Reviews in Anthropology”, vol. 37 (2-3), 2008.
- ჰოლოუეი: M. Holoway. The paradoxical Legacy of Franz Boas – Father of American Anthropology”. – “Natural History”, 1997.
- [http://en.wikipedia.org/wiki/Franz Boas](http://en.wikipedia.org/wiki/Franz_Boas).
- <http://www.jstor.org/stable/535755>, accessed may 28, 2009.
- <http://www.ampilsoc.org/library/mole/b/boas.htm>.
- <http://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%AO%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%>.
- http://www.cecstate.wa.gov/history/publications_detail.aspx?p=42.

Anthropological Biographies:

1. Franz Boas – Founder of Modern American Anthropology

I

(Lecture Notes)

The author of the article introduces the reader into the life of the founder of modern American anthropological school - Franz Boas and the problems connected with the foundation of the discipline.

From the professional viewpoint, the development of the American anthropology as a science was based on Franz Boas's creative works and his scientific activities..

Franz Boas became interested in human studies since his early expeditions and turned his interests from geography to anthropology and began its thorough study. Broad education and knowledge of different disciplines gave him opportunity to study human societies from different angles and aspects. Due to his multi-dimensional erudition anthropology now is comprised of four main directions: biological (physical), cultural (social/socio-cultural), archaeological and linguistic. At present in-depth interdisciplinary researches are taking place in the following spheres: structural anthropology, psychological anthropology, philosophical anthropology, legal anthropology, economic anthropology, political anthropology, medical anthropology, gender anthropology and violence anthropology. Anthropology became a science of future.

კლიფორდ გირცი – ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია

კლიფორდ გირცი (1926-2006) – ამერიკელი ანთროპოლოგია, ინტერპრეტაციული მიმართულების წარმომადგენელი, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ამერიკული კულტურანთროპოლოგიის განვითარებაზე. 1950 წელს მან მიიღო ფილოსოფიის ბაკალავრის, ხოლო 1956 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. წლების განმავლობაში ასწავლიდა ბერკლისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში. 1970 წლიდან პრინსტონის უნივერსიტეტის უმაღლესი კვლევების ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა პროფესორია და იმავედროულად ჩიკაგოს უნივერსიტეტის ახალი ერების შედარებითი კვლევის კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორი და ანთროპოლოგიის პროფესორი. 1972 წლიდან ჟურნალ “დედალუსის” რედკოლეგიის წევრია. ძირითად კვლევებს აწარმოებდა ჩრდილო აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შესაბამისად, მისი ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ტრადიციულ რელიგიებს და კულტურის ტრადიციულ ელემენტებს თანამედროვე მსოფლიოში. იგი თანამშრომლობდა *ედვარდ შილზთან* და *ტალკოტ პარსონსთან*, რომლის სტუდენტი იყო ჰარვარდში, ახლოს იდგა სტრუქტურულ ფუნქციონალიზმთან რელიგიური სისტემებისა და საზოგადოების კვლევებში, თუმცა მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროს წარმოადგენდა კოლექტიურ ქმედებათა (ადათები, რიტუალები, დღესაწაულები) სიმბოლური ასპექტები მათ კავშირში სამყაროს შესახებ ადამიანის ზოგად წარმოდგენებთან და თავისებურ “ეთნიკურ” დამოკიდებულებებთან. გირცმა საფუძველი დაუდო ახალ მიმართულებას - ინტერპრეტაციულ ანთროპოლოგიას, რომელმაც შეითვისა ტრადიციული ამერიკული კულტურანთროპოლოგიის, ჰერმენევტიკის, სოციოლოგიური კონცეფციისა და ენის ანალიტიკური ფილოსოფიის იდეები. მისი თეორიის საფუძველს წარმოადგენს ე. წ. “გაჯერებული ან სიღრმისეული აღწერილობა”, *thick description, dicte Beschreibung*. მან გაიზიარა და გააძლიერა ვებერის კულტურის სემიოტიკური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც კულტურა ესაა სიმბოლოთა ბადე, რომელიც ადამიანმა მოქსოვა, მაგრამ თვითონვე გაეხვია ამ ბადეში. იმ მნიშვნელობების გაგება, რომელიც ადამიანის მიერაა შექმნილი, შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული ექსპერიმენტების მეშვეობით და ობიექტური კანონების ძიების გზით, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტურ ინტერპრეტაციას, რომლისთვისაც ყველაზე მთავარია ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის აზრი, მნიშვნელობა. მისი კონცეფციის თანახმად კულტურული ფენომენები

სიმბოლურ ფენომენებს წარმოადგენენ და აქედან გამომდინარე კულტურის კვლევა პრაქტიკულად ნიშნავს სიმბოლოთა და სიმბოლურ ქმედებათა ინტერპრეტაციას. დამოკიდებულება სიმბოლოთა რაობასთან მიმართებაში ანთროპოლოგებსა და კულტუროლოგებს შორის არერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში სადისკუსიოა, გამორჩეული ავტორი ამ თვალსაზრისით სწორედ გირცია, რომელმაც ყველზე სრულყოფილად ჩამოაყალიბა კულტურის სიმბოლური კონცეფცია.

კულტურა გირცისთვის ესაა “მნიშვნელოვანი სტრუქტურების სტრუქტურული იერარქია, რომელიც შედგება ქმედებების, სიმბოლოებისა და ნიშნებისგან” (გირცი 1973: 5). გირცი ამტკიცებს, რომ ეთნოგრაფის (იგი ყოველთვის ამ ტერმინს ხმარობს) მიზანია არა ფაქტების უბრალო ფიქსაცია (ზედაპირული აღწერილობა), ან მცდელობა შეადწინოს მოცემული კულტურის მატარებლის შემეცნებით პროცესებში, რაც მას XX საუკუნის 90-იან წლებამდე მაინც სრულიად უპერსპექტივოდ ესახებოდა, არამედ შედწევა მის მნიშვნელობათა სისტემაში და მათი ინტერპრეტაცია. ეთნოგრაფმა უნდა გაიგოს კულტურის მნიშვნელობათა სისტემა მათი შემქმნელის თვალსაზრისით, დააფიქსიროს საკუთარი გამოცდილება და მოქებნოს სპეციფიკური ტერმინოლოგიური შესაძლებლობები ყველაფერი ამის მეცნიერულად გადმოსაცემად. მხოლოდ ასეთი “გაჯერებული, სიღრმისეული აღწერილობა” შეიძლება გახდეს საფუძველი ანთროპოლოგიური თეორიებისთვის.

სერიოზული ადგილი მის მეცნიერულ შემოქმედებაში ეთმობა შუამავლის როლის მეთოდოლოგიურ ანალიზს. ეს შუამავლებია (განწყობა, მოტივაცია, მეცნიერის ინტერესი), რომლებიც აუცილებლად აღმოჩნდებიან ფაქტებსა და ამ ფაქტების მეცნიერულ ინტერპრეტაციას შორის. მან იერარქიულად დააღაგა კულტურის ყველა არტეფაქტი - ნათესაური სისტემები, რელიგია, პოლიტიკური სისტემები, ეკონომიკა და ასახუთებდა, რომ მათი რეალიზება ხდება ორ სიბრტყეში: ცნობიერ და ქვეცნობიერ დონეზე. ქვეცნობიერის კვლევამ იგი, ბუნებრივია, დაახლოვა სტრუქტურალიზმთან და ფსიქონალიზმთან. ანთროპოლოგისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევა საველე გამოკვლევებს, კერძოდ ისეთი ფენომენების შესწავლას, როგორებიცაა ურთიერთობები, განწყობა, სიმბოლოები, რომლებსაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ და ყურადღებას ამახვილებდა ამ მოვლენათა პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. სერიოზული გამოკვლევები ჩაატარა გირცმა ინდონეზიაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რელიგიურ სისტემებს. *ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია ცდილობს იმ სიმბოლოთა ინტერპრეტაციას, რომლებიც ადამიანის ცხოვრებას აზრსა და მოწესრიგებულობას აძლევენ.*

გირცის გაგლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი უშუალო ინტერესების სფეროთი. მას ისეთი მეცნიერებიც კი კითხულობენ, რომლებიც იშვიათად ეცნობიან ერთმანეთის ნაშრომებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მას არა მხოლოდ მეცნიერები კითხულობენ.

გირცის ნაშრომებს სერიოზული ლიტერატურული ღირსებები გააჩნია. სწორედ ამიტომ მის ჯილდოებს შორის არის ლიტერატურის კრიტიკოსთა საზოგადოების ნაციონალური პრემია ნაშრომისათვის “მუშაობა და ცხოვრება. ანთროპოლოგი, როგორც ავტორი“ (1988), რომლის გმირები საყოველთაოდ ცნობილი ოთხი ანთროპოლოგია: ბ. მალინოვსკი, რ. ბენედიქტი, ეევანს-პრიხარდი და კ. ლევი-სტროსი. გირცი ისტორიაზე, ფსიქოლოგიაზე, ფილოსოფიაზე და ლიტერატურაზე დაყრდნობით ახდენდა რიტუალების, ხელოვნების ნიმუშების, რელიგიური სისტემების, სხვადასხვა ინსტიტუციების მნიშვნელობის გაანალიზებას და დეკოდირებას. მისი ნაშრომები შეყვანილია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გამოქვეყნებულ საუკეთესო ნაშრომების სიაში.

ანთროპოლოგიური მოღვაწეობა გირცმა 1950-იან წლებში ინდონეზიაში დაიწყო, რომელმაც ის იყო დამუკიდებლობა მოიპოვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო კოლონიური სისტემის რღვევა და მსოფლიოს რუკაზე დაახლოებით 50 ახალი სახელმწიფო გაჩნდა, ამიტომ ამერიკაში შეიმჩნეოდა გაძლიერებული ინტერესი ანთროპოლოგიური კვლევების და განსაკუთრებით ახალი ერების შესწავლის სფეროში. ამან განაპირობა ახალი ერების შემსწავლელი კომიტეტის დაარსება, რომელშიც გირციც მიიწვიეს. ინდონეზიურ მასალაზე შექმნილი მისი პირველი შრომები ნაკლებად ატარებენ თეორიულ ხასიათს, ესაა ემპირიული გამოკვლევები, რომლებიც მთლიანად სავლელ მასალას ეფუძნება. მისი თეორიული მოსაზრებები თავმოყრილია ორ გახმაურებულ ნაშრომში “კულტურის ინტერპრეტაცია“ (1973) და “ლოკალური ცოდნა“ (1983).

“კულტურის ინტერპრეტაციაში“ შევიდა მისი ორი ყველაზე ცნობილი გამოკვლევა “სიდრმისეული აღწერილობა“ და “ღრმა თამაში“. შენიშვნები მამლების ჩხუბის შესახებ ბალიზე“. გირცს მიაჩნია, რომ ეს თამაში, რომელიც ბალიზე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს წარმოადგენს რთულ საზოგადოებრივ მოვლენას და სრულიად ჯდება სემიოტიკურ კულტურულ კონტექსტში.

მისი აზრით მამლების ჩხუბის მეშვეობით ბალიელი საკუთარ კულტურას ისე ხედავს, როგორც პრიზმაში-გარდატეხილ, შემცირებულ, კონცენტრირებულ ფორმაში. გირცის აზრით (გირცი 1973: 23), ეს “სოციალური მატრიცის სიმულაციაა“. ადამიანები სიმბოლურად ამცირებენ ერთმანეთს და ალევორიულად ითმენენ ამ დამცირებას ერთმანეთისგან. ჩუმად უხარიათ როდესაც იმარჯვებენ და განიცდიან თუ მარცხდებიან. მაგრამ სინამდვილეში არავისი სტა-

ტუსი იცვლება. ამგვარად კეთდება დასკვნა, რომ მამლების ჩხუბს ბალიზე ისეთივე დანიშნულება გააჩნია, როგორც ევროპელისთვის წიგნს, სპექტაკლს ან მუსიკას – ასწავლის მათ რეაგირებას საზოგადოებრივ ანტაგონიზმზე, ოღონდ მეტაფორულ დონეზე. ფიქცია, მოდელი, მეტაფორა – მამლების ჩხუბი ეს არის გამოხატვის საშუალება. მისი ფუნქციაა არა საზოგადოებრივ ვნებათა დაცხრობა ან გაღვივება (თუმცა რეალურად ერთიც და მეორეც ხდება), არამედ, ფრთების, ბუმბულის, სისხლის მეშვეობით მათი ასახვა. მამლების სისხლიანი ბრძოლა გირცის აზრით მთლად ის არაა, რაც რეალურად ხდება ადამიანთა საზოგადოებაში, არამედ (და ეს მისი აზრით უფრო უარესია) ის, რაც გარკვეულწილად ხდება მათ წარმოსახვაში. გამოდის, რომ სოციალური სტატუსის პრობლემა მეტაფორულად სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაა.

თავის ნაშრომებში გირცი მკვეთრ ზღვარს ავლებდა კულტურასა და სოციალურ სტრუქტურას შორის და ამით ემიჯნებოდა ლევისტროსის მოსახრებებს, რომლის აზრითაც რიტუალები, ინსტიტუციები და კულტურის სხვა ასპექტები შეიძლება კარგად გაანალიზდეს იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

თუ სოციალური სტრუქტურა შეიცავს რეალობის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ასპექტებს, *კულტურა გირცის აზრით წარმოადგენს “სიმბოლოებით გამოხატულ მნიშვნელობათა ერთობლიობას”*, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანებს “კოორდინატთა სისტემით“ რეალობის აღსაქმელად. კულტურა ერთგვარად ავსებს ნაპრაღს იმას შორის, რაც ადამიანს მოცემული აქვს, როგორც ბიოლოგიურ სახეობას და რაც მას ჭირდება, რათა გაერკვეს რთულ და ასე სწრაფად ცვალებად სამყაროში. ევოლუცია გირცის აზრით ძირითადად ადამიანის აზროვნებას ეხება და საკმაოდ ორიგინალურად ვითარდება. *იგი მიიჩნევს, რომ ადამიანისთვის მნიშვნელოვანი იყო არ იმდენად ადაპტაცია გარემო პირობებთან და არსებობის შენარჩუნება, არამედ ადაპტაცია საზოგადოებასთან. ადაპტაციის ამ ტიპმა ანუ დანარჩენ ადამიანებთან შეგუების აუცილებლობამ ადამიანისგან სრულიად განსხვავებული, სპეციფიკური უნარების გამომუშავება მოითხოვა.* ამის შედეგად ადამიანის ტვინის მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია კულტურული რესურსების გამოყენების უნარზე, რომელიც არის არა დანამატი ადამიანისთვის არამედ მისი გონებრივი მოქმედების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. იგი თვლის, რომ კულტურული ფენომენების შესაცნობად მთავარია არა ის რას “აკეთებენ“ ისინი, არამედ რას “ნიშნავენ“ ისინი ანუ მთავარია მნიშვნელობა. საკუთარ მეთოდს მან “მჭიდრო, გაჯერებული აღწერილობის მეთოდი“ უწოდა და მიიჩნევს, რომ კულტურული ფენომენების შესწავლა შიგნიდან უნდა მოხდეს, იმ სფეროში სადაც მათ მნიშვნელობა აქვთ.

რამდენადაც გირცხ კულტურა ესმის როგორც “მნიშვნელობათა ბაღე“, აზრების სისტემა, რომელიც ადამიანის შექმნილია და მას გარემომცველ სამყაროში ორიენტაციის საშუალებას აძლევს, იგი არ ეთანხმება იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომელთაც კულტურა საკუთარ თავში ჩაკეტილ, ადამიანისგან მოწყვეტილ რეალობად მიაჩნიათ. ასევე არ მოსწონს კულტურის განმარტება, როგორც ქცევათა მოდელების ერთიანობისა, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებას გააჩნია. განსაკუთრებით მიუღებელია მისთვის შეხედულება, რომ კულტურა კონცენტრირებულია ადამიანის გონებასა და გულში. გირცი თვლის, რომ კულტურის კონკრეტული კვლევები გულისხმობს პირველ რიგში კულტურული უნივერსალების ანუ იმ ემპირიული ერთგვაროვნების ძიებას, რომლის აღმოჩენა ზნე-ჩვეულებათა მრავალფეროვნებაში დროსა და სივრცეში ყველგანაა შესაძლებელი; მეორეა – აღმოჩენილი უნივერსალების მისადაგება ადამიანის ბიოლოგიური, სოციალური ან ფსიქოლოგიური ორგანიზაციის უკვე ცნობილ კონსტანტებთან. შესაძლებელი რომ იყოს საკაცობრიო კულტურის მოუწესრიგებელი მრავალფეროვნებიდან ისეთი ჩვეულებების გამოცალკევება, რომელიც ყველა ლოკალური ვარიანტისთვის საერთოა და მათი კავშირის დადგენა სუბკულტურის დონეზე განლაგებულ უცვლელ კოორდინატებთან, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა საუბარი საერთოსაკაცობრიო კულტურულ თავისებურებათა გამოვლენის გზაზე მიღწეული გარკვეული წარმატების შესახებ და ამ გზით ანთროპოლოგია განსაზღვრავდა კულტურის ადგილს ადამიანის კონცეფციაში, ისეთივე მკაფიოსა და მყარს, როგორცაა ბიოლოგიის, სოციოლოგიის ან ფსიქოლოგიის მიერ განსაზღვრული სფეროები. განმანათლებლობის ეპოქის საზოგადოებრივ აზროვნებაში არსებობდა შეხედულება ე. წ. **consensus gentium**-ის შესახებ, რომლის თანახმად არის რაღაც, რასაც ყველა ადამიანი სამართლიანად, ნორმალურად, სასიამოვნოდ მიიჩნევს და ამიტომ ეს რაღაც ნამდვილად სამართლიანი, ნორმალური და სასიამოვნოა. ამ დამოკიდებულების არსებობა გარკვეული ფორმით სავარაუდოდ ყოველთვის და ყველგან ახასიათებდა ადამიანს. თუმცა ასეთი დამოკიდებულების გავრცელებამ ანთროპოლოგიაში, რომელიც XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო კლარკ უისლერის მიერ შემოთავაზებული “უნივერსალური კულტურული პატერნის“ იდეით, შემდეგ ასახვა ჰპოვა 40-იან წლებში ბრონისლავ მალინოვსკის “უნივერსალურ ინსტიტუციურ ტიპებში“ და უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჯონ მერდოკის მიერ გამოკვლეული “კულტურის საერთო დეტერმინანტებით“ დასრულდა, ამ მოსაზრებას ერთგვარი სიახლე შესძინა. კერძოდ, დამკვიდრდა კლაკონის მიერ შემოთავაზებული თეორია, რომ კულტურის ცალკეული ასპექტები სპეციფიკურ ფორმებს იღებენ მხოლოდ ისტორიული შემთხვევითობების შედეგად,

დანარჩენი კი განპირობებულია უნივერსალური ფენომენებით. ამრიგად ადამიანის კულტურული ცხოვრება ორ ნაწილად დაიყო: პირველი არაა დამოკიდებული ადამიანის შინაგან მიდრეკილებებზე, ხოლო მეორე სწორედ ამ მიდრეკილებათა ემანაციას წარმოადგენს.

ანთროპოლოგიური ცოდნის თავისებურება გირცისთვის იმაში მდგომარეობს, რომ, თეორიული მსჯელობა მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურის მოვლენათა ინტერპრეტაციასთან, მათგან მოწყვეტით თეორია უსაგნო და აბსტრაქტული ხდება. კულტურის ანალიზი ანუ მისი ეთნოგრაფიული აღწერა ნიშნავს ინტერპრეტაციის ინტერპრეტაციას ანუ ესაა მეორადი ინტერპრეტაცია იმ სამყაროსი, რომლის მუდმივ აღწერასა და ინტერპრეტაციას ამ კულტურის შემქმნელი ადამიანები ახდენენ. “კულტურის არსებობა თავისთავად გულისხმობს მისი ინტერპრეტაციის პროცესს, ხოლო იყო კულტურის მატარებელი ნიშნავს იყო მისი ინტერპრეტატორი“ (გირცი 1997: 5) ზოგადად რომ ვთქვათ კულტურა, *გირცის აზრით, არის სამყაროს ინტერპრეტაციის მცდელობა, ხოლო კულტურანთროპოლოგიური კვლევები სამყაროს მეორადი (ანუ მეცნიერული) ინტერპრეტაციაა.* ამ მეცნიერების სფეროში აღწერასა და ახსნას შორის სხვაობა ნიშნავს “სიღრისეულ აღწერილობასა“ და “დიაგნოზს“ შორის სხვაობას. ანუ *სხვანაირად რომ ითქვას გამოიკვლევა ის, თუ მოცემულ ქმედებას (მოვლენას) რა მნიშვნელობა გააჩნია ადამიანისთვის, რომელიც მას ასრულებს და დგინდება, რა ინფორმაციას შეიცავს ეს ქმედება იმ საზოგადოების შესახებ, რომელიც კვლევის ობიექტს წარმოადგენს.* აქედან გამომდინარე ინტერპრეტაციული ანთროპოლოგია გასაგებს და ნათელს ხდის იმას, რაც ხშირად გაუგებარია სხვა ადამიანებისთვის იმის გამო, რომ ისინი განსხვავებული კულტურის საზოგადოებას ეკუთვნიან. თავის მხრივ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგების ფაქტორის გაძლიერება ხელს უწყობს მათ შორის კომუნიკაციის გააღვივლებას. შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ანთროპოლოგიის მიზანია კულტურათა დრმა და საფუძვლიანი შესწავლის გზით ადამიანური დიალოგის დისკურსის გაფართოება. ამასთან გირცს მიაჩნდა, რომ ამის კეთება არა მარტო ძალზე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, არამედ მიმზიდველიც. მის ამ განწყობას საკუთარი პროფესიის მიმართ კარგად ასახავს გახმაურებული და პოპულარული ფრაზა, რომელიც სწორედ მის სახელს უკავშირდება. თავის ერთერთ ბოლო ნაშრომში “ფაქტის შემდგომ. ორი ქვეყანა, ოთხი ათწლეული და ერთი ანთროპოლოგი“ (1995 წ.), რომელიც მემუარულ ხასიათს ატარებს, იგი წერდა: “ანთროპოლოგია ეს ცხოვრების გატარების შესანიშნავი საშუალებაა. საინტერესო, მიმზიდველი და ძალიან სახალისო“.

ლიტერატურა:

- Geertz: Geertz C. 1973: The interpretation of cultures, Selected Essays, NY
Geertz: Geertz C. 1983: Local Knowledge: Further Essays in Interpretative Anthropology, NY
გორცო: Гирц К. 1997: Влияние концепции культуры на концепцию человека, Антология исследования культуры, т. 1.

Tinatin Ghudushauri

Cliford Geertz - Interpretive Anthropology

Cliford Geertz is an American anthropologist, who had a great impact on the development of American cultural anthropology and founded a new trend in it - interpretive anthropology. He takes as the basis of his theory the so called "thick description". Geertz has presented the semiotic conception of culture, according to which culture is the web of symbols spun by man himself, but to understand their meanings is possible only by the scientific experiments and in searching for the objective principles.

In his scientific works, the methodological analysis of the role of mediator is significant. These mediators are mood, motivation, scientists' interest, who by all means will be found between the facts and the interpretation of these facts. He has hierarchically placed all the artefacts of culture - relative systems, religion, political systems, economics and analysed and decoded them at the same time argued that all these are realised in two planes: conscious and unconscious (or subconscious ?) levels. His generalised scientific views are as follows:

- Culture represents 'the unity of meanings expressed by symbols, which supplies (provides) humans with the system of coordinates to perceive reality. In other words, it is an effort to interpret the world, and that cultural anthropology researches are the secondary (i.e. scientific) interpretations.
- Evolution means more adaptation to the society than to the surrounding conditions. This type of adaptation or the need of adaptation with the other people caused the development of absolutely different and specific capacities (capabilities).
- For the recognition of cultural phenomena it is important not what do they "do", but what do they mean i.e. meaning is of dominant importance.
- Consequently, in the final analysis, the goal (objective) of anthropology is by means of deep and basic research to extend the discourse on man.

Maria Jaschok

**Women's Mosques Education, Female Ignorance and Chants to Save Souls:
Chinese Hui Muslim Women Remembering *Jingge*,
Remembering History¹**

'... I can only imagine what the scope of women's problems might be. It is only in quiet back-lanes and through the cracks of doors that I have caught a glimpse of one or two...' (Wang Zengshan 1933, in Xuanbian II:1383-4).

Introduction

გასული საუკუნის სამოციან წლებში დისკუსია მიმდინარეობდა ღირსებასა და სირცხვილზე ხმელთაშუაზღვისპირეთში ე.წ. “ღირსებისა და სირცხვილის საზოგადოებებში”. ნაშრომში ტერმინი ღირსება განიხილება, როგორც სოციალური კონტროლი – წესების სისტემა საზოგადოებაში, რომელშიც ინდივიდის ქცევა ასახავს მთელი ჯგუფის ქცევას. ინდივიდის ქცევას განსჯიან სხვები, ნორმების სისტემის შიგნით, რომელიც მიღებულია სოციალიზაციისა და იმიტაციის მეშვეობით. ყველა პიროვნება უნდა მოქმედებდეს “მართებულად” ამ სისტემაში, რნიშნული გზით მოქმედება გულისხმობს საკუთარი ღირსების დაცვას ან სხვისი ღირსების ამაღლებასაც კი.

ხმელთაშუაზღვისპირეთიდან შავიზღვისპირეთში გადანაცვლებისას და კერძოდ საქართველოში შესაძლებელია წეს-ჩვეულებათა მყარი სისტემის აღმოჩენა, რომელიც ღირსებასა და სირცხვილს ეხება. აქ მკვლევარის ყურადღებას იპყრობს ქალების მდგომარეობა საქართველოში და მათი სოციალური ცხოვრება ღირსებასა და სირცხვილთან მიმართებაში. ჩატარებული კვლევის შედეგად მკვლევარი შემდეგ დასკვნებს აკეთებს:

ღირსებისა და სირცხვილის მნიშვნელობა კვლავ თვალშისაცემია საქართველოში. ტრადიციულად, ქალების ღირსება დაკავშირებულია მათ სექსუალურ ქცევასთან, ხოლო კაცების – მამაკაცურობასთან, სიძლიერესთან და თავდაჯერებულობასთან. აღნიშნულ თემას ღირსებასა და სირცხვილზე მკვლევარი აკვირდებოდა თეთრიწყაროს რაიონის ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მანუჩარ ლორია

**ანთროპოლოგიური ფილმის
ველზე გადაღების თავისებურებანი**

ვიზუალურმა ანთროპოლოგიამ ერთმანეთს დაუახლოვა ანთროპოლოგია და კინემატოგრაფია. ამ მიმართულების სამეცნიერო დარგად ჩამოყალიბება დაიწყო XX საუკუნის 60 - იან წლებში, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში საფუძველი ჩაეყარა ამ სფეროების კულტურულ ანთროპოლოგიაში ინსტიტუციურად გაფორმებას. ასევე, ამერიკულ ანთროპოლოგიურ ასოციაციაში დაარსდა ჟურნალი და შესაბამისი სექცია. დაარსების მიხედვით, ანთროპოლოგია კინემატოგრაფიის თანატოლია: პირველი კინოგადაღებები დოკუმენტური იყო. 1888 წ. ბრიტანელი ექსპედიციის დროს ა. ხეიდენმა კამერით გადაიღო ძმები ლუმერები, აბორიგენების ცეკვა, ხოლო 1908 წ. ვ.ფ. სივერსენმა შექმნა ფილმი კავკასიელი მთიელების შესახებ (ქრისტოფოროვა, 2006:98; მაგიდოვი, 2000: 51).

ვიზუალური ანთროპოლოგიისათვის მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული ვიზუალური ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, ანთროპოლოგიური თუ ეთნოგრაფიული ფილმების მომზადება და ა.შ.

საქართველოში, ისე როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, ბოლო წლებში შედარებით ხელმისაწვდომი გახდა ვიდეოტექნიკა, რამაც მკვლევარებს საშუალება მისცა ვიდეოკამერით სამუშაოდ გასულიყვნენ ბუნებრივ გარემოში. თუმცა პრობლემა ისაა, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს მეთოდური ლიტერატურა ვიზუალური ანთროპოლოგიის შესახებ. ამერიკასა და ევროპაში გამოცემული სახელმძღვანელოები ნაკლებად ხელმისაწვდომია ჩვენს ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოხდეს ამ სახელმძღვანელოების ადაპტაცია ქართულ სინამდვილესთან, კერძოდ, საქართველოში არსებულ კვლევის მეთოდებთან, არსებულ მატერიალურ სირთულეებთან, ცუდ ტექნიკურ ბაზასთან და სხვ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასეთი პრობლემაა – სავსე მეთოდები ვიზუალურ ანთროპოლოგიაში. ბრონისლაგ მალინოვსკის აზრით, სავსე სამუშაოების ძირითადი მიზანია „დაიჭირო ადგილობრივი მაცხოვრებლის მთავარი აზრი და მისწრაფება ამ სფეროში“.

ეს სიტყვები დღემდე რჩება ანთროპოლოგიის ღოზუნგად. საშუალებები, რომლითაც ეს მიზანი მიიღწევა, შემდეგია: აუცილებელია იცხოვრო და კონტაქტი გქონდეს ყოველდღე ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა ისინი შეეჩვიონ მკვლევართან ურთიერთობას; საჭიროა ენის ცოდნა, რომ არ მოხდეს ინფორმაციის დამახინჯება; მკვლევარმა უნდა მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია ყველა ურთიერთდაკავშირებულ მოვლენაზე კულტურაში, რადგან მათი კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ ერთის გამოტოვებით ირღვევა ინფორმაციის მთლიანობა; მკვლევარმა არ უნდა მიანიჭოს მნიშვნელობა ისეთ მოვლენებს, რომლებიც მისი ინტერესის სფეროში არ შედის, მთავარი ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული ყოველდღიურ ცხოვრებაზე; მკვლევარი, რომელსაც აინტერესებს კულტურის ესა თუ ის მოვლენა, აუცილებლად უნდა აკვირდებოდეს ადამიანების ქცევას – პირდაპირი შეკითხვებით ის სრულ ინფორმაციას ვერ მოიპოვებს, ხალხი ნაკლებად აქცევს ყურადღებას კულტურას, აღიქვამს მას როგორც თავისთავად გამომდინარეს.

მალინოვსკის მოღვაწეობიდან დაწყებული (1914 წ. როდესაც ის გაემგზავრა ექსპედიციაში მელანეზიაში, ითვლება სოციალური ანთროპოლოგიის დასაბამის წლად – ბრიტანული დისციპლინის ვარიანტად), ცნება „ველი“ რჩება გამოცანად დასავლური ანთროპოლოგიისათვის და ყოფილი საბჭოთა ეთნოგრაფიისათვის. „ველი“- მხოლოდ მოთხოვნა არ იყო საკვლევი კულტურის გასაგებად, ეს იყო განსაკუთრებული ტექნიკა სხვისი კულტურის გასაგებად და ამ კულტურის საკუთარ ენაზე გადმოსაყვანად. ანთროპოლოგი ის პიროვნებაა, რომელიც დეტალურად წვდება ადამიანს და სხვადასხვა ხალხის ცხოვრებას, ეს ბაზისია, რომელიც აგებულია ინტენსიურ და ინტელექტუალურ გამოკვლევებზე (ქრისტოფოროვა, 2006: 98-99.).

ცნობილი ანთროპოლოგი ასენ ბალიქსი, ავტორი ანთროპოლოგიური ფილმისა „ნეთსილიკელი ესკიმოსები“, იხსენებს თავის ფილმზე მუშაობის დეტალებს და აღნიშნავს ჩვენთვის საინტერესო, 1950 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში მარგარეტ მიდის საველე სამუშაოებზე ჩატარებული სემინარის მნიშვნელობას, სადაც განიხილებოდა აუდიო-ვიზუალური ფიქსაციის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხები. ეს მეთოდი მარგარეტ მიდის მიერ პირველად 1936 წელს, ბალიზე საველე ექსპედიციის დროს იქნა გამოყენებული და იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

მარგარეტ მიდი აღნიშნავდა, რომ: ფილმის ეთნოგრაფიულ ტრადიციებს ვიზუალური ანთროპოლოგიისათვის აქვს უპირველესი მნიშვნელობა. სუფთა კინემატოგრაფიული მოსაზრებები გადადის მეორე

ადგილზე; ნებისმიერი ხელოვნური დადგმები ან მისი მცდელობა გამორიცხული უნდა იქნეს შემოქმედებითი ჯგუფის მიერ; გადაღება თავიდან ბოლომდე უნდა მიმდინარეობდეს რეალურ დროში და ველზე უნდა ხდებოდეს ყველა მიმდინარე მოვლენის გადაღება; ანთროპოლოგი უნდა ინიშნავდეს მოქმედი პირების შესახებ ინფორმაციას. ეს უნდა იყოს ფილმი, როგორც ჩანაწერი, დოკუმენტი შემდგომი ანთროპოლოგიური ანალიზისა; ფილმის შექმნის ყველა ეტაპზე უნდა მონაწილეობდეს ანთროპოლოგი – საველე გამოკვლევების, კონცეპციის შემუშავების, გადაღებებისა და მონტაჟის დროს (ბალიკსი, 2002: 30-40. ასევე დაწერ. იხ. ბალიკსი, 1987, 1995; მიდი, 1995).

საველე მუშაობის პერიოდში მნიშვნელოვანი მომენტი ა ეთნოსის კულტურის ვიდეომონიტორინგი. იდეა შემდეგი წარმოდგენებიდან გამომდინარეობს: კულტურის სწრაფი დინამიკიდან, თანამედროვე კულტურის მოზაიკურობიდან, რომელიც შედგება უამრავი მიკროკულტურისა და ჯგუფური კულტურისგან – ნაციონალური, რეგიონალური, რელიგიური, ასაკობრივი, პროფესიული და ა.შ. (იხ.: ალექსანდროვი, 1998; შამილაძე; ლორია, 2008).

საველე მუშაობისა და მონიტორინგის საფუძველზე იქმნება საინტერესო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფილმები. ვიდეომონიტორინგის მეთოდი ჩვენს მიერაც იქნა გამოყენებული საველე სამუშაოების დროს. პირველად 2007 ბეშუმსა და გოდერძის უღელტეხილის ზონაში. სადაც მოხდა თითქმის ყველა სეზონური დასახლების შემოფლა და მათზე სათანადო მასალების შეგროვება ცალკეული ასაკობრივი და გენდერული ჯგუფის წარმომადგენლებისაგან. გადაღებული იქნა დიდძალი ფოტო (500 სურათი)¹ და 4 საათი ვიდეომასალა. მოპოვებული მასალის საფუძველზე მომზადდა ფილმი „**ალპური დასახლება აჭარაში (გოდერძის უღელტეხილი – ბეშუმი – *კახობე*, 2007, 159-160; ჩელებაძე, 2007, 168-171; ლორია, 2008.- <http://ethnobs.ru...>)**“²; მეორედ 2010 წელს ჭვანის ხეობაში გადაღებული იქნა რძის პროდუქტებისა და დათვისფეხა თხილამურის მომზადება, ხალხური თამაშები – ჯოსა-ბილა, კოლტაშის გაქნევა.³ გადაღებული მასალების საფუძველზე წელსვე მომზადება რამოდენიმე ფილმი.

¹ ფოტოები გადაღებულია მანუჩარ ლორიას მიერ

² სცენარის ავტორი და რედაქტორი ნოდარ კახიძე, რეჟისორი მანუჩარ ლორია, ოპერატორ-მემონტაჟე თენგიზ ვადაჭკორია

³ ექსპედიციის ხელმძღვანელი მანუჩარ ლორია და მარი შალიკავა, ოპერატორი თენგიზ ვადაჭკორია.

ანთროპოლოგიურმა ფილმმა უნდა შეითავსოს რეჟისორის ხელოვნება და ანთროპოლოგის ერუდიცია. არსებობს არსებითი განსხვავებები ანთროპოლოგიასა და კინოს შორის, რაც შემდეგში მდგომარეობს: ანთროპოლოგი იწვევს მუშაობას თეორიული პრობლემებისა და გეგმის გამომუშავებით, რეჟისორი კი – იდეისა და სცენარის; ანთროპოლოგი აგროვებს მასალას კითხვებისა და დაკვირვების გზით, რეჟისორი კი იღებს ძირითად მასალას; ანთროპოლოგი აანალიზებს მეცნიერული თვალსაზრისით მოპოვებულ მასალას, რეჟისორი კი ამონტაჟებს გადაღებულ მასალას; ანთროპოლოგი ამთავრებს ნაშრომს წერილობითი დასკვნით, რეჟისორის დასკვნა კი ფილმია (იხ.: *Хаїძე*, 2000).

რეჟისორისა და ანთროპოლოგის ერთობლივმა ნამუშევარმა საბოლოო ჯამში უნდა გასცეს პასუხი კითხვას – რა არის ვიზუალური ანთროპოლოგიისთვის თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და როგორ შეიძლება ადამიანისა და ეთნოსისათვის დამახასიათებელი ასპექტების ასახვა ვიზუალურად ანთროპოლოგიურ ფილმში.

ანთროპოლოგიური ფილმისათვის მასალის შეგროვება, დახარისხება, აკინძვა და შეკვრა დიდ შრომას მოითხოვს. ფილმი უნდა იყოს დაფუძნებული ეთნოგრაფიულ პრინციპზე. რაც უფრო გაცნობიერებულია ეს პრინციპი მით უფრო მაღალია მისი მხატვრული და ტექნიკური ხარისხი (იხ.: *ლორია*, 2009).

ამრიგად, ანთროპოლოგიური ფილმისათვის მნიშვნელოვანია საველე სამუშაოების სწორად დაგეგმვა და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილება. გადაღებები თავიდან ბოლომდე უნდა მიმდინარეობდეს რეალურ დროში და ფილმის შექმნის ყველა ეტაპზე საჭიროა ანთროპოლოგის თანამონაწილეობა – საველე გამოკვლევების, კონცეპციის შემუშავების, გადაღებებისა და მონტაჟის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალექსანდროვი: Александров *Е.В.*, обоснование и принципы визуально-антропологического мониторинга. – Открытие и сообщаемость культуры: гуманитарный симпозиум, Институт Гуманитарного Партнерства, Москва, 1998;
- ბალიქსი: Balikci Asen. The Legacy of Margaret Mead: the Case of Visual anthropology. In: Bulletin of the International Committee on Urgent Anthropological Research. Vienna, vol. 8, 1987.
- ბალიქსი: Balikci Asen. Reconstructing Cultures on Film. In: Principles of Visual Anthropology. P. Hockings ed. Mouton., 1995;
- ბალიქსი: Баликси А. Фильмы об эскимосах нетсилик.– Северный археологический конгресс, Доклады, Екатеринбург-Ханты-Мансийск, 2002.
- კახიძე: კახიძე ნ. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილების 2007 წლის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ანგარიში.- ნბი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, I, ბათუმი, 2007.
- კახიძე: Кахидзе Н., Лория М. Видео мониторинг альпийского поселение в Аджарии. – Многонациональная Россия: этнология и кино-антропология», Екатеринбург, 2008. – <http://ethnobs.ru/other/262>; http://rfaf.ru/rus/news_b1037_view_p1.
- ლორია, ვადაჭკორია: ლორია მ., ვადაჭკორია თ. ანთროპოლოგიური ფილმი, თბილისი, 2009.
- მაგიდოვი: Магидов В.М. Прошлое, настоящее и будущее визуальной антропологии.– Сборник статей по визуальной антропологии. М., 2000.
- მიდო: Mead Margaret. Visual Anthropology in a Discipline of Words. In: Principles of Visual Anthropology. P. Hockings, ed. Mouton, 1995.
- ქრისტოფოროვა: Христофорова О.Б. Визуальная антропология: российская действительность и зарубежный опыт, 2006.
- ხაიდერი: Хайдер К. Этнографический фильм, М., 2000.
- შამილაძე, ლორია: Шамиладзе В., Лория М. Полевые исследования и принципы визуально-антропологического мониторинга.– Инновационные аспекты исследования культуры, археологии, этнологии и лингвистики стран Черноморского бассейна, Батуми, 2008.
- ჩელებაძე, ვარშალომიძე: ჩელებაძე ნ., ვარშალომიძე ჯ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ბეშუმში. – ნბი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, I, ბათუმი, 2007.

**The Peculiarities of Field-shooting
of an Anthropological film**

Visual Anthropology is neither a simple cinema nor a simple anthropology. It is a cultural activity where cinema art, humanities and information technologies interact in order to receive and inculcate the little known sides of ethnic groups in social practice of visual information to accomplish the dialogue between cultures.

The history of the anthropological film is one of the parts of the history of the history of cinematography. An anthropological film should be based on the ethnographic conception. Creating an anthropological film the author is based on the ethnographic conception that makes the film not only more ethnographic, but also much better from the aesthetic point of view.

It is extremely important for an anthropologist to be involved in every step of the anthropological film making process. It is not enough to show an anthropologist holding a microphone in the film like in many other projects. Theoretically, an ethnographer must be the first to leave for the field and later analyze the situation in a monograph, then return to the field with a film producer, who, in his turn, would have made a film thoroughly thought out on the base of the monograph.

The comparative accessibility of video equipment in Georgia in the last years has given the opportunity to the researcher to work in the field expeditions with cameras. The problem is that there is not any methodology of field works and training appliances of visual anthropology published in the Georgian language yet. And the text-books, published in the USA and Europe are difficult to access in our country. Besides, there is a necessity to adapt the western training aids with the Georgian reality – the methods of field works used in Georgia, the difficulties of material processing with their utilization in the teaching processes.

An anthropological film can be an important means of the anthropological research. However, that requires something more than a simple mechanical joint of a film and anthropology. Mutual understanding of two principal rules is necessary: a cinematograph should accept the scientific demands of anthropology; an anthropologist should adjust to the technical abilities of a cinefilm. Film producers should think ethnographically, or scientifically; anthropologists should think like a cinematographer, or visually. There are mutual invitations of cooperation and the flourishing of anthropologic film making today witnesses that these invitations are accepted.

Nowadays visual anthropology, based on the modern grounds of the newest cinema-video technologies, is one of the most significant fields in the investigations of Georgian scientist-researchers. It is also important for the university system, particularly in Batumi Shota Rustaveli State University.

როზეტა გუჯეჯიანი

ტრადიციული ქართული მენტალობის ისტორიიდან
("მეფე" ქართველ მთიელთა ცნობიერებაში)

*“წმიდარ მთავარანგელოზო მხერისაო... აღიღენ
მეფენი ბაგრატონიანნი... ერთობილი საქართველო და
ერთობილნი სვანნი”
XIII–XIV საუკუნეების ხატის წარწერა სვანეთში*

ქართული კულტურის ამა თუ იმ ელემენტზე, მათ შორის მენტალურ მახასიათებლებზე საუბარი, ჩვენი მდიდარი ისტორიიდან გამომდინარე, უძველესი დროიდანვეა შესაძლებელი. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი ავლენს სიმბოლოებისა და სარიტუალო პრაქტიკის მრავალ არქაულ პასაჟს, რომელიც ერთიანია ყველა ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული თემისათვის/ჯგუფისათვის თვით უძველეს ხანაშიც კი (ივ. ჯავახიშვილი, 1979; გ. ჩიტაია, 1941; ვ. ბარდაველიძე, 1968; ნ. აბაკელია, 1997; მ. ხიდაშელი, 2005 და სხვა). ხოლო გაქრისტიანების ხანიდან უკვე საისტორიო წყაროებით დასტურდება ერთიანი ქართული კულტურისა და ამ კულტურის შემადგენელი მენტალური მახასიათებლების არსებობა ქართველ ერში.

ტრადიციული ქართული მენტალობა განსაკუთრებული სიმკვეთრით ეთნოგრაფიულ მასალაშია წარმოდგენილი. ბუნებრივია, მენტალობის ელემენტები ყველაზე ხანგრძლივად ტრადიციულ საზოგადოებაში ფუნქციონირებს, ტრადიციულ სოციუმები კი ეთნოლოგთა კვლევის სფეროა, ამიტომაც ქართული მენტალობის მრავალი ნიშანი ეთნოლოგთაგან არის გამოვლენილი და ამ მხრივ, მეტად საყურადღებო მასალა მთიელთა ყოფაშია ფიქსირებული. ქართველმა მთიელებმა ლეგენდების, ანდრეზების, ჰარ კების მეშვეობით მთელი ფერადოვნებით შემოგვინახეს ტრადიციული მენტალობის მახასიათებლები. მათ თაობიდან თაობას გადასცეს უმნიშვნელოვანესი მენტალური ღირებულებები, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო "მეფე" იყო. ხსოვნა მირონცხებული, ანუ ღვთით მოვლენილი და ქვეყნისათვის თავდადებული მეფეებისა, კრავდა და ადუღაბებდა მთიელთა ტრადიციული მენტალიტეტის ერთ-ერთ ნიშანს – ერთგულებას მეფისა და სამშობლოსადმი.

მენტალობის ეს მახასიათებლები ერთგვარად ფოკუსირებულია ორი, დიდი და წმინდანად შერაცხული მეფის – **ვახტანგ გორგასლისა და თამარის შესახებ** არსებულ ლეგენდა-გადმოცემებში. ამ მეფეებთან დაკავშირებულ ისტორიულ ხსოვნაში წარმოჩენილია ზოგადად ქართველთა ცნობიერებაში “მეფესთან” მიმართებით შემონახული მსოფლმხედველობრივი მოტივები:

**“ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა”.**

უკვე ამ პირველივე სიუჟეტურ ქარგაში თავმოყრილია “მეფე”-სთან დაკავშირებული ქართული ტრადიციული კულტურის მნიშვნელოვანი მენტალური ფასეულობები: **მეფე ღვთისგან ნაკურთხია, მირონცხებუღია, შესაბამისად, კი ზებუნებრივი ძალის მქონეა, და რაც მთავარია, მეფე ერისათვის, ქვეყნისათვის თავდადებულია.** ცხადია, ამგვარი მენტალური პასაჟები ოდინდელია, რაც უთუოდ **ბიბლიური მოტივებიდან მომდინარე და საისტორიო ტრადიციით განმტკიცებულია**¹. წერილობითი წყაროებით (ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე და სხვა), საქართველოს სამეფო დინასტია – ბაგრატიონთა სამეფო სახლი – დავით წინასწარმეტყველის, ებრაელთა მეფის შთამომავლადაა მიჩნეული (ქართლის ცხოვრება, 1955, 243, 372-386).

ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებული ლეგენდები საქართველოს ბევრ მხარეშია შემონახული. **სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასალს უკავშირდება საერისთაო დროშა “ლემი”,** რომელიც სვანეთის ერთ-ერთი დიდი სიწმინდეა და დღემდე ქართველ მთიელთა (სვანთა) სიამაყის საგანს წარმოადგენს. დროშას ქართული ენის სვანურ დიალექტებზე “ლემ”-ს უწოდებენ, რაც სალიტერატურო ქართულით “ლოშ”-ს ნიშნავს, ვიზუალურად კი დროშა **მკელს** გამოსახავს (ვ. ბარდაველიძე, 1963; რ. თოფჩიშვილი, 2002, 79). დროშა, მკვლევართა დაკვირვებით, ურჩხულისნაირი შტანდარტების ტიპს მიეკუთვნება. მსგავსი დროშები დამოწმებულია პართელებთან, სკვითებთან, სარმატებთან და დაკებთან (II ს.), რომაელებთან (III ს.) და სასანიანთა მეფეებთან (IV ს.), რომლებმაც იგი პართელებისაგან გადაიღეს, ამგვარი შტანდარტები არსებობდა შუა საუკუნეების ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში (ვ. ბარდაველიძე, 1963, 142; ს. ბარნაველი, 1953, 28-29). სვანეთში დროშის ნაჭერს პერიოდულად ცვლიდნენ, ახალს კერავდნენ, ძველს კი სათუთად ინახავდნენ სეტის წმიდა გიორგის მონასტერში. დროშა და მასთან დაკავშირებუ-

¹ საკითხთან დაკავშირებით იხ. მ. კარბელაშვილი, ბაგრატიონთა დინასტია და ქართული პოლიტიკური თეოლოგია; – ლიტერატურული ძიებანი, XX, თბ., 1999, გვ., 96-128.

ლი სახელმწიფო მოხელე – “მელომე” – იხსენიება წერილობით წყაროებშიც (პ. ინგოროყვა, 1941) და იგი გულისხმობს XIV–XV საუკუნეების სვანეთის ერთობილი ჭევის ხელისუფალს, რომელსაც ევალებოდა ლაშქრის შეკრება და მეფისათვის დახმარების აღმოჩენა.

ჩვენი დროისათვის დროშას წელიწადში ორჯერ, დღესასწაულებზე გამოასვენებენ ეკლესიიდან. ამ დროს ერთი რჩეული მხედარი მაღლა აღმართული, გაშლილი დროშით შემოუვლის სეტის მოედანს, მლოცველები კი ღოცულობენ მთელი საქართველოს მშვიდობიანობისა და გამარჯვებისათვის. გადმოცემით, დროშა თამარ მეფეს შეუკერავს და სვანეთის ჭევისათვის უბოძებია (რ. გუჯეჯიანი, 2006). თავისთავად, ეს გადმოცემაც მეტად ფასეულია, იგი გამოხატავს მოწიწებას დიდი მეფისადმი. ფაქტია, ისტორიულმა მეხსიერებამ ყველაზე მკაფიოდ სწორედ თამარ მეფის სახელი შემოინახა და ქართველი ერის უდიდესი კულტურული მონაპოვრები მას დაუკავშირა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დროშა, სავარაუდოდ, ბევრად ადრეულია და იგი ვახტანგ გორგასალსა და მის ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს.

ცნობილია, მგლისა და ღომის გამოსახულებები ამკობდა ვახტანგ გორგასლის ჩაბაღასს, მემატიანის თქმით, “ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბაღასი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ღომი; და რომელსა კერძსა იძლეოდიან ქართველნი, მუნითცა მიმართოს და მოსრის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ღომმან კანჯარნი. მიერთგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ღომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: “ღურ აზ გორგასალ”, რომელ არს ესე “მირიდეთ თავსა მგლისასა”. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა გორგასალ” (ქართლის ცხოვრება, 1955, 180). ამ გამოსახულების გამო შეარქვეს სპარსელებმა ვახტანგს “გორგასალი” – “მგელთავა”.

ამავე დროს, წერილობითი წყაროებით, ვახტანგ გორგასლის დროის სვანეთი აქტიურ პოლიტიკურ ერთეულად, მეფის მხარში მდგომ საერისთავოდ მოჩანს: ცნობილია, V საუკუნეში სპარსეთი და ბიზანტია იბრძოდნენ საქართველოში გაბატონებისათვის. წყაროების თანახმად, სვანეთის საერისთავო დიდ წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიას. ამ ეტაპზე ვახტანგ გორგასალი ჯერ კიდევ სპარსელების მეკავშირე იყო და მათი დახმარებით ცდილობდა დასავლეთ საქართველოდან ბიზანტიელების განდევნას. სვანებმა დახმარებისთვის “იბერებს”, ანუ ვახტანგ გორგასალს მიმართეს და როგორც ჩანს, საქართველოს ამ დიდმა მეფემ სვანეთი და თაკვერი უშუალოდ იბერიას შემოუერთა, რაც დასტურდება იმდროინდელ ერისთავთა ნუსხითაც: “სამნადირ ერისთავი შიდა ეგრისისა და სუ-

ანეთისა”, ”ბაკურ, ერისთავი მარგვისა და თაკუერისა” (ქართლის ცხოვრება, 1955).

საყურადღებოა, რომ ისტორიულმა მეხსიერებამ თვით XVIII საუკუნემდე შემოინახა ვახტანგ გორგასლის სვანეთში მობრძანების ისტორია, აღწერს რა სვანეთის სეტიის მონასტერს, ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს ამ გადმოცემაზე: “აქა არს... სახიზარი სუეტის ცხოველის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვან სუეტის-ცხოველის კანკლის ყოფასა დღესაცა, რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდან, წითლის იაგუნდისა ქმნილი” (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973, 788-789).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **სავარაუდოა, რომ დროშა “ლემი” სწორედ ვახტანგ გორგასალმა უბოძა სვანეთის საერისთავოს ქვეყნის გაერთიანებისათვის გამართულ ბრძოლებში გამოვლენილი გმირობისათვის. ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამორჩეულმა მხარემ კი ეს დროშა დღემდე დაიცვა და შემოინახა.**

საგულისხმოა, რომ მკვლევართა აზრით, გაერთიანებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის დროშათაგან ვიცნობთ მხოლოდ ამ დროშას. ისევე როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშა, სვანეთის ეს დროშაც იყო ძალაუფლების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო (ს. ბარნაველი, 1953, 27; ვ. ბარდაველიძე, 1963).

მეორე დიდი მეფე, რომლის სახელიც შემოუნახავს ყველა ქართულ ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ თემს//ჯგუფს და აგრეთვე, ქართული სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკური მფარველობის ქვეშ მყოფ სხვა კავკასიელ ხალხს (თ. მიბზუანი, 1977), – **წმიდა თამარია.**

თამარ მეფეს ეთაყვანება ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველი. თამარ მეფესთან დაკავშირებული გადმოცემები – კოლექტიური ხსოვნის გასოცარი ხანდაზმულობისა და დროში გამძლეობის იშვიათი ნიმუშებია.

ეთნოგრაფიული მასალა თამარ მეფეს უკავშირებს თითქმის ყოველ ეკლესიას (ნაეკლესიარს), ციხეს, ძველებურ თაღოვან ხიდს, არხსა და წყაროს წყალს. გადმოცემებში ასახულია საისტორიო წყაროებიდან და საეკლესიო ტრადიციებიდან შემეცნებული მომენტები: თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სიდიადე, ძლიერება და სოციალური ყოფის სტაბილურობა, სამხედრო გამარჯვებები, კულტურული აღმშენებლობა, თამარ მეფის წმინდანობასთან დაკავშირებული უმშვენიერესი ლეგენდა-თქმულებები და სხვა. ცალკე გამოიყოფა ლეგენდა-გადმოცემათა ის ნაწილი, რომელიც ლოკალური ნიშნებითაა აღჭურვილი: ყოველი კუთხის ქართველი ხაზგასმით საუბრობს წმიდა მეფის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე მის

კონკრეტულ მხარესთან, მაგალითად, სვანებს მტკიცედ სწამთ, რომ სწორედ სვანეთი უყვარდა მეფეს გამორჩევით, მაგრამ ასევე სჯერათ ხევსურებს, აჭარლებს, კლარჯებს, ჭანებს//ლაზებს... ამავე დეროს, საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მიგვითითებენ წმიდა მეფის უკანასკნელ განსასვენებელზე და ა. შ.

თამარ მეფის სახელი შემონახულია როგორც აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, აგრეთვე, თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეულ ისტორიული საქართველოს ნაწილშიც (კლარჯეთი, ტაო, ჭანეთი//ლაზეთი).

ფშაური მასალით, “თამარ ნეფე სულ ეკლესიებს აშენებდა... ის იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვებზე ანაფორა დაუგავ ისე დავალა ზღვაზე და ჰაერში. მაშინ თამარს ზღვაში სამანად ისარ ჩაუგავ და ხმელეთი ჩვენკე დაუგდიაო” (ვ. ბარდაველიძე, 1941 – 2003, 61). თამარ მეფის ჯვარი ფშაველთა მნიშვნელოვანი სალოცავია. ხატის დღეობისადმი მიძღვნილი “ფერჯისული” შემდეგი ტექსტისაა:

“პირველად ღმერთი ვაჭსენოთ,
ეგ უფრო დიდებულია.

**მემრ თამარ ნეფე ვაჭსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია.**

ლაშარის ჯვარიც ვაჭსენოთ,

ეგ ყმაზე თავდებულია...” (ვ. ბარდაველიძე, 1941 – 2003, 63).

სვანური მასალაც თამარ მეფეს წმინდანად მიიჩნევს. დღესაც, თამარ მეფეზე საუბრისას სვანი მთხრობელები ფეხზე დგებიან, ისევე როგორც ღვთისა და სალოცავების ხსენებისას და ამჟამადაც აღავლენენ ჰიმნს წმიდა მეფისადმი:

“ჰოი, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე ლამაზო, თამარ დედოფალო!
კბილი – მარგალიტი, თვალ-წარბი – გიშერი,
შავი დაღალები აბრეშუმისა;

თავზე მუხარადი, წელზე ჯავარდენი,
ატლასის კაბაზე – რკინის აბჯარი;
ცხენი – ქვიშისფერი, ლაგამი – ოქროსი,
ლაგამი – ოქროსი, ტახტი – ვერცხლისა
ეცერს მობრძანდები, თამარ დედოფალო,
თამარ დედოფალო, თამარალი” (ლექსო... 1985, 24).

“როცა სვანები ძველს დროზე ლაპარაკს ჩამოაგდებენ, თამარ დედოფალზე მსჯელობა ერთადერთს საყვარელს და საინტერესო თემას წარმოადგენს” (ბ. ნიჟარაძე, 1973, 86). სვანეთში შემონახულია თამარ მეფის რეზიდენცია უშგულის თემში და მრავალი ეკლესიისა და ციხის მასშენებლადაც წმიდა მეფეა მიჩნეული.

ფშავსა და სვანეთში თამარ მეფე სასწაულმოქმედ მკურნალად ითვლება. სვანეთში სწამთ, რომ თამარ დედოფალი ხელის შეხებით კურნავდა მიძიმე ავადმყოფებს (რ. გუჯეჯიანი, 2006). ფშაური მასალით, **თამარ მეფე “აქიმ დედოფალია”**: “შენამც იდიდები, დიდებულ თამარ ნეფეო, დელეს აქიმ-დედოფალო... მკურნალთად წამალთა გამამწერელო”. მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე ნ. მინდაძე ვარაუდობს, რომ ფშავში თამარ მეფის “აქიმ დედოფლად” მიჩნევას რეალური საფუძველი ჰქონდა, ფშავში, ივრის ხეობაში, არტანსა და ყვარას შუა თამარ-დელის სალოცავში მოქმედებდა თამარ მეფის აგებული დედათა მონასტერი, სადაც, ბუნებრივია, სასწაულოც იქნებოდა, რადგან მონასტრების ერთ-ერთ ფუნქციას სწეულთა მფარველობა და დახმარება წარმოადგენდა (ნ. მინდაძე, 2008, 76-85).

ხევესური მასალით, “ხევესური ხევისბერი, როგორც ფშაველი, თავის “დიდებაში” არ დაივიწყებს თამარს არა დროს და სხვათა შორის ასე მოიხსენიებს: – **დიდო თამარო, დედოფალო, საქართველოს დამრიგებელო**, შენ მიეც წყალობაო” (ვაჟა-ფშაველა, 1986, 600).

თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის სახელებს გადაეჯაჭვა ფშავის უმთავრესი რელიგიური სიწმიდე ლაშარის ჯვარი. “ლაშარი წმინდა გიორგის მთავარი ხატის ადგილის სახელია არაგვის ფშავში. ამიტომ წმინდა გიორგი ლაშარობით მოიკსენიებაო. **წმინდა** გიორგი ლაშარისა თამარ ნეფის დროსა ცხოვრობდა და ის სულ ურჯულოებზე ლაშქრობდა, ქისტსა, ლეკსა და სხვა მტრებსა სტეხდაო. ამისათვის საფშაველო იმედოვანი იყო საქართველოზე” (ვ. ბარდაველიძე, 1941–2003, 61). ლაშარის ჯვრის წმიდა მუხის წაქცევა ქართველ მთიელებს საქართველოს ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალების მომასწავებლად მიუჩნევათ: “მას შემდეგ გასტეხია საქართველოს იღბალი და ფშავის ბედიც უკან და უკან წასულა” (ვაჟა-ფშაველა, 1986, 574). ანუ, ამ გადმოცემითაც თვალნათლივ მოჩანს ქართველი მთიელის (ფშაველის) ფიქრისა და ზრუნვის მთავარი ობიექტი – საქართველო. საქართველოს ბედნიერებასა თუ უბედობას კი, მთიელთა ცნობიერებით, აპირობებს ქართველთა დამოკიდებულება სარწმუნოებისა და მეფისადმი, – წმიდა მეფის მიერ დაარსებული რელიგიური კულტის ობიექტის (თამარ მეფისა და ლაშა-გიორგისაგან დაფუძნებული ლაშარის ჯვარი და ლაშარის ჯვრის მუხა) დამსობის შედეგი მათთვის ქვეყანას შემდგომში თავს დატეხილ ისტორიულ ქართველებში ცნაურდება.

ადმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციული ყოფისათვის დამახასიათებელ ერთ მნიშვნელოვან მენტალურ მახასიათებელზე ყურადღება გაამახვილეს ვ. ბარდაველიძემ, მ. კანდელაკმა და რ. თოფჩიშვილმა. საქმე ეხება **ქართველი მეფეებისა (სამეფო ხელისუფლების) და ლაშარისა და გუდანის ჯვრების (ფშავ-ხევესურეთის**

ცენტრალური ჯვარ-სალოცავების) ე.წ. “ძმადნაფიცობის” შესახებ არსებულ გადმოცემებს. ცნობილია, “სამეფო ხელისუფლების მესვეურნი არაერთგზის ეფიცებოდნენ ძმად ლაშარს, გუდანს, იყენებდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უძველესი ტრადიციით მომდინარე მოდემოქმეობის ინსტიტუტის მყარ ნორმებს... მთის სინამდვილეში ქართველი მეფე “უნათესავდებოდა” თემის მფარველ ღვთაებას, როგორც ტოლი ტოლს... ამ აქტით სამეფო ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებდა... მთის სოციალურ-რელიგიურ წყობას. მთიელთა მოხსენიება “უნჯ ყმებად” (გიორგი XII სიგელი) ხომ მათი დაცვა იყო ბარის თვითნებობისაგან” (მ. კანდელაკი, 1987, 189-190). რ. თოფჩიშვილი, ეთნოგრაფიულ მასალაზე (ვ. ბარდაველიძე, 1982, 14-15) დაყრდნობით გამოკვეთს სხვა მნიშვნელოვან მომენტსაც: “მთაში ამოსული მეფეები თავიანთ მოძმე ჯვარ-ხატებს ესაუბრებოდნენ და შემდეგ სალოცავის სურვილს, დანაბარებს ხალხს გადასცემდნენ. ასე უსაუბრია ხევსურეთში მეფე ერეკლეს გუდანის ჯვართან. მთიელებთან ურთიერთობის ეს ფორმა, როგორც ჩანს, ერთნაირად მისაღები იყო როგორც სამეფო ხელისუფლებისათვის, ისე თვითმმართველობით მცხოვრები მთიელთა თემებისათვის. მეფის ხელისუფლებას მოძმეობის ინსტიტუტის საშუალებით ისინი ჩართული ჰყავდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში” (რ. თოფჩიშვილი, 2002, 44). შედეგად კი ქართველი მთიელი ერთგულად ემსახურებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, იცავდა საქართველოს საზღვრებს და ინახავდა უმთავრეს ტრადიციულ ქართულ ღირებულებებს. მენტალობის ეს მნიშვნელოვანი მახასიათებლები თავმოყრილია ცხავატის თემის ცეცხლიჯვრის დეკანოზის ლოცვაში: “ღმერთო, დიდებულო, შენ უშველე ყველა ქრისტიან კაცს, ჩვენს ხელმწიფეს; დიდებულო ცეცხლისჯვორო, მტერს ნუ მორევ ჩვენს საქართველოს და ჩვენ მეფეს” (რ. თოფჩიშვილი, 2005, 44).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თამარ მეფის ხსოვნა დაცულია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში: შავშეთის, კლარჯეთის, ტაოს, ჭანეთის//ლაზეთის, ლიგანისა და ზედა მაჭახლის ხეობების ქართველ მთიელებში. ამ მხარეების ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ თამარ მეფის ხატებასთან დაკავშირებულ ლოკალურ ნიუანსებს ერთგვარი კეთილი ტონალობები შემოაქვს ზოგადქართულ მასალაში. ეთნოგრაფიული მასალით თამარ მეფეს უკავშირდება ამ მხარეების თითქმის ყველა ისტორიული ძეგლი: (ეფრატისა და ჰერეთის ნაეკლესიარები, ეკლესიათა და ციხეთა დამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბები მაჭახელში; გოგნარის ციხე მურღულში, დიობნის ციხე იმერხევში, სათლელისა და უსტამისის ციხეები შავშეთში და სხვა (ზ. ჭიჭინაძე, 1911; ტ. ფუტკარაძე, 2007; რ. მალაყმაძე, 2008; რ. გუჯეჯიანი, 2007-2008). მშენებლობებთან დაკავშირებული სიუჟეტური ქარგა თითქმის

ერთგვაროვანია, სხვადასხვა ლეგენდით, წმიდა მეფეს ეკლესიების მშენებლობის დროს მერცხლები და წეროებიც კი ეხმარებოდნენ, ფრინველებს ნისკარტით ქვა და ქვიშა მიჰქონდათ (ა. არაბული, 2002; 513). “თამარს ჰყავდა თეთრი რაში ისეთი, რომ ერთს დღეს შეეძლო მოეველო ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია და პარხალი. კობაკის¹ მახლობლად უჩვენებენ კლდეს ხელისგულის გამოსახულებით და ამბობენ, ეს თამარ მეფის ხელის ნაშთიაო” (ე. თაყაიშვილი, 1991, 220-221). პარხლისწყლის ხეობის ზემო სოფლებში “დღემდის დარჩენილია ძველი გრძელი არხი... გაჭრილია კლდეში რამოდენიმე ვერსის სიგრძეზე... ამას მიაწერენ თამარ მეფეს” (ე. თაყაიშვილი, 1991, 221); ხოფასთან, ბუჯაღში – “მეფა წკარია” (ჭანეთი//ლაზეთი), ოთინგოს აბანოა – ლივანის ხეობაში და სხვა (ი. ყიფშიძე, 1939; რ. მაღაყმაძე, 2008).

ზედა მაჭახლის მასალით, **“სანამ თამარაჲ აქ იყო, მაჭახელს ზამთარი არ სცოდნია, ჩვენს დიდ დედებს კარჩხალზეც პური უთესიათ”** (რ. გუჯეჯიანი, 2008). საგულისხმოა, რომ ტაო-კლარჯეთისაგან გეოგრაფიულად და ისტორიული ბედ-იღბლით ესოდენ დაშორებულ ქართულ მხარეში – სვანეთში, ზუსტად იდენტური მასალაა ჩაწერილი: **“თამარ მეფის დროს სვანეთში ზამთარიც არ ყოფილა, მუდამ გაზაფხული იყო”**. სხვა ლეგენდით, რომელიც მთელ საქართველოშია გავრცელებული, თამარ მეფეს შუქურვარსკვლავი დაუტყვევებია, ვისი ნებართვითაც მოდიოდა საქართველოში ზამთარი. შედეგად კი თამარის მეფობისას, ღვთის წყალობით, საქართველოში ზამთარი არ დგებოდა, ბუნება მწვანედ ხასხასებდა და იშვებდა ყოველი სულდგმული (ა. არაბული, 2002, 513). იმერხეული (შავშეთი) ლეგენდით, “თამარაი ჩვენი დიდია; თამარაი აქ ყოფილა, ეს ციხე იმან ააშენა, აქ ქილისაი ყოფილა, სკოლის თავზე და იმ ციხიდან აქ გადმოფრენილა” (ტ. ფუტკარაძე, 2007, 60). ცხადია, ქართველებში, მათ შორის, ჩვენი ქვეყნის თანამედროვე საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში (აღმსარებლობით მუსლიმებში) დღემდე შემონახული რწმენა თამარის სასწაულთმოქმედობის შესახებ, უნივერსალური ხასიათისაა, თამარ მეფე ხომ საეკლესიო ტრადიციით, წმინდანი, შესაბამისად, სასწაულთმოქმედი იყო და იგი სალოცავ ხატს წარმოადგენდა ქართველი მთიელებისათვის. ზ. ჭიჭინაძე აფიქსირებს მენტალური კუთხით მეტად საყურადღებო ინფორმაციას: “ქართველ მაჰმადიანებს... თამარ მეფის ლოცვა სცოდნიათ, ლოცვაში გამოხატული ყოფილა, რომ თამარ მეფე არ მომკვდარა, ის ღმერთთან ზის, წმინდანებთან იმყოფება; ის კიდევ

¹ კობაკი იგივე ქობაძეა. ამ და პარხლისწყლის ხეობის კიდევ რამდენიმე სოფელში დღემდე ცხოვრობენ ქართველები და თამარ მეფის შესახებ გადმოცემები ამჟამად ფიქსირდება ამ მხარეში (რ. გუჯეჯიანი, 2007).

მოვა ოდესმე, და ჩვენს თხოვნას შეისმენს, აჭარას ნახავს, თავის ბეგიებს დაემდურება... აჭარაში ზოგიერთი ფანატიკოსი ხოჯა-მოლეები ბრძანებენ, რომ თამარ მეფე თათარი (მაჰმადიანი) იყოვო” (ზ. ჭიჭინაძე, 1911, 36-37). როგორც ვხედავთ, სამასწლოვანი ოსმალური რეჟიმის მიუხედავად, აჭარლებმა, მათ შორის, თვით მუსულმანური რელიგიის მსახურებმაც კი შემოინახეს დიდი მეფის ხსოვნა და ეს ხსოვნა, დროთა განმავლობაში, **მათი ქართველობის ნიშნულად// მარკერად ჩამოყალიბდა.** გაუსაძლისი სოციალურ-პოლიტიკური წინეხის შედეგად გამუსლიმებული ქართველები, სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად, **მაინც ქართველებად დარჩნენ და ქართულ ეთნიკურ კულტურას – წარმოდგენილს თამარ მეფის ხატებაში – საკუთარ კულტურად მიიჩნევენ.**

ბუნებრივია, თამარ მეფის ძღვეამოსილმა სამხედრო ასპარეზობებმა წარუშლელი კვალი დატოვეს ქართველთა ცნობიერებაში. ქართული სახელმწიფოს დიდი გამარჯვებები ლაიტმოტივად მოსდევს მთელ ჩვენს შემდგომ ისტორიულ მესხიერებას და ეს მოტივი ქვეყნის აღმშენებლობის სტიმულად გვევლინება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტი ფოლკლორში დასტურდება: გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცნობილი ხალხური ლექს-სიმღერა **“თამარ მეფე და ხონთქარი”,** რომელშიც ხატონადაა ასახული თამარ მეფის საბრძოლო გამარჯვებები, აჭარაშია შექმნილი:

“თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ აღმასები დაჰკიდა.
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა” (ქ. სიხარულიძე, 1949, 72).

ეს სიუჟეტიც უნივერსალურია და მთელ საქართველოშია გავრცელებული, მაგალითად, მისი სვანური ვარიანტი ასეთია:

“თამარ მეფე, თამარე, სად ყოფილხარ, თამარე?
ვის ეომე, ვინ დარისხე, ვინ დაამხე, თამარე?
მტერი დაგიმარცხებია, დავლით მოხვალ თამარე,
სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ, ძღვევით
მოხვალ, თამარე”
(ლექსო... 1985, 25).

მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებო სხვა რამაა: ოსმალთაგან დაპყრობილ და გამუსლიმებულ ქართველთა შთამომავლები – **სამხრეთ-დასავლეთ ქართველები თავიანთ მეფედ თამარს მიიჩნევენ და არა ხონთქარს, თამარის ძღვეამოსილებას შეჰხარიათ და არა ხონთქარისას.**

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ფასეულია ჭანურ//ლაზურ საისტორიო ფოლკლორში გამომკრთალი თამარ მეფის სახება, რო-

მელსაც ზ. თანდილაგამ მიაკვლია. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა თურქი მოგზაურის ევლია ჩელების მიერ ლაზეთში ჩაწერილ (XVII ს.) ლექსზე. ეს ლექსი პირველი ლაზური ფოლკლორული ჩანაწერია და არაბული ტრანსკრიპციით ჩაწერილი ქართული (ლაზური) მასალა, ბუნებრივია, უამრავი ხარვეზისა და უზუსტობის შემცველია. რთული ლინგვისტური კვლევა-ძიების შედეგად, ზ. თანდილაგამ აღადგინა ლექსის თავდაპირველი ფორმა:

“თუნას არ უღუნ თაბანჩარუ,
თამარ პანდა ფალიკარუ,
აფხაინკა ღურატუ-ნა,
გებლაფეის დოხვამუ (ან: გებლაფეის-თი ხვამუ).

სალიტერატურო ქართულზე გადმოტანის შემდეგ ლექსი ამგვარად უღერს:

“ქვეყნად ერთია დამბაჩიანი,
თამარ მუდამ გმირი,
ამხანაგი რომ მომკვდარიყო,
დამარხული დალოცა (ან: დამარხულსაც ღოცავდა)”

(ზ. თანდილაგა, 1972, 151-163).

თამარ მეფის სახელი ჭანთა (ლაზთა) მესხიერებაში XX საუკუნის დასაწყისისათვის ჯერ კიდევ დაცული ყოფილა (ტოპონიმები, გადმოცემები). ჭანური (ლაზური) მასალით, თამარ მეფეს ჭანები//ლაზები განსაკუთრებულად დაულოცავს და მათი ხელოვნება უკურთხებია, ამიტომაც ვართ ლაზები განთქმულ ხელოსნები—ო (ზ. თანდილაგა, 1972, 161). ჩვენი ისტორიული ძნელბედობიდან გამომდინარე, სამხრეთ-დასავლური ერთ-ერთი ქართული თემი – ჭანეთი (ლაზეთი) – დღეს ფაქტიურად მოწყვეტილია ქართულ სამყაროს და ქართველობასთან იდენტობაც მხოლოდ ერთეულ ლაზებს თუ აქვთ გააზრებული, მაგრამ მათი ქართველობის და ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სივრცეში ოდითგან არსებობის დამადასტურებელი ფაქტები ეთნოგრაფიულ მასალებშიცაა დაფიქსირებული, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ თამარ მეფის ხანასთან დაკავშირებით მოჩანს. ჭანთა//ლაზთა ისტორიულ მესხიერებას ეს ხანა და თვით თამარ მეფე მარადიულად შემორჩა.

ცხადია, თამარ მეფის დროინდელი ძლევაძმოსილი საქართველო ყველა შემდგომი დროის ქართველის სიამაყის საგანია და განსაკუთრებით სასიხარულოა ამ მასალის არსებობა ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა დარჩენილ ეთნიკურ ქართველებში. ბუნებრივია, კონკრეტული ქრისტიანული რელიგიური ცოდნა (თამარ მეფის წმინდანობის შესახებ) აქ დაკარგულია, მაგრამ ტოპონიმები, ლეგენდები და ძველი დიდების მატერიალური ნაშთები (ციხეები, ხიდები, ნაეკლესიარები), ქართველობასთან იდენტობის

მასულდგმულელებელი მომენტებია და ეს საგულისხმო მენტალური პასაჟები თვალსაჩინოდაა წარმოჩენილი ეთნოგრაფიულ მასალაში.

დიდი მეფის ხატებაში ფოკუსირებულია ყველა მხარისა და რელიგიური აღმსარებლობის ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან. წმიდა მეფის ხსოვნაში საქართველოს დიადი წარსულით გამოწვეული სიამაყე, ნაკლებ სახარბიელო თანამედროვე მდგომარეობა და უთუო ნათელი მომავლის რწმენა ურთიერთგადაჯახებულია და შეიძლება ითქვას, თამარ მეფის ხსოვნა ქართველთა ქართული მენტალობის მასაზრდოებელი წყაროა, რომელიც, ამავე დროს, ჩვენი ეროვნული კულტურისა და დღევანდელი ქართველის მიერ ძველ, ტრადიციულ ქართველთან, ტრადიციულ მენტალობასთან გადებული ხიდის სიმბოლოსაც წარმოადგენს.

ეთნოგრაფიული მასალით ცხადია, რომ ქართული ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული თემები/ჯგუფები დღემდე ინახავენ ტრადიციული ყოფის ისეთ ნიუანსებს, ისეთ ეროვნულ მენტალურ მახასიათებლებს, თვითმყოფადი ქართული კულტურის გასაოცარი მობილობის კიდევ ერთ დასტურად რომ გვევლინება. ერთგულება რელიგიისა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი (მეფისადმი) მთიელთა ტრადიციული მენტალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და სიცოცხლისუნარიანი ღირებულებაა და იგი ერთგვარი რეზიუმირებული, დაწინებილი სახით განსაკუთრებით მკაფიოდ სვანური მასალით მოჩანს: უმძიმეს პერიოდში, როდესაც საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას ეყრებოდა საფუძველი, სვანეთის ერთი თემი – ლატალი საოცარი მუხტით ანთებულ ლოცვას ადავლენდა: “**წმიდაო მთავარანგელოზო მხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატონიანნი... ერთობილი საქართველო და ერთობილნი სვანნი**” (XIII-XIV საუკუნეების ხატის წარწერა).

ამგვარი მენტალური მომენტები უძლიერესი ნიშაა ქვეყნის აღმშენებლობისა და განვითარებისათვის და იგი ერთგვარი მონაცემთა ბაზაა საქართველოს საზღვრებს მიღმა მოქცეული ეთნიკური ქართველების თანამედროვე ქართულ კულტურულ სივრცესთან ინტეგრირებისა და ადაპტაციისათვის. ისტორიულ მეხსიერებაში დავალებული თამარ მეფისა და XII საუკუნის ძლიერი საქართველოს, რომელსაც სვანები “**ჰეებედნიერ ქ ყვანა**”-ს ეძახიან, ხსოვნის მიზეზი და მიზანი სწორედაც რომ ქართული სახელმწიფოს შემდგომი აღორძინება და განვითარებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაკელია: ნ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.
- არაბული: ა. არაბული, ბაგრატიონთა საგვარეულოს “ღვთისნებითობის” თეორია და ხალხური სიტყვიერება; კრ., ლიტერატურული ძიებანი, XXIII, თბ., 2002.
- ბარდაველიძე: ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში დღიური, თბ., 1941-2003.
- ბარდაველიძე: ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში, – მსე, XIV, თბ., 196
- ბარდაველიძე: ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან დროშა “ღემ”, მკელი-ძაღლი, – მსე, XII-XIII, თბ., 1963.
- გუჯეჯიანი: რ. გუჯეჯიანი, საველე-ეთნოგრაფიული დღიურები, 2007-2008 წლები.
- გუჯეჯიანი: რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (თამარ მეფის ხატება სვანეთის ტრადიციულ ყოფაში), – კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XII, თბ., 2006.
- ბარნაველი: ს. ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953.
- ვაჟა-ფშაველა: ვაჟა-ფშაველა, ღამარობა, თხზულებანი, თბ., 1986.
- თანდილავა: ზ. თანდილავა, ღაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972.
- თაყაიშვილი: ე. თაყაიშვილი, სამუსულმანო საქართველო, – ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, ტ. I, თბ., 1991.
- თოფჩიშვილი: რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005.
- თოფჩიშვილი: რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002.
- ინგოროყვა: პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.
- კანდელაკი: მ. კანდელაკი, ღამარის ჯვარი ფშაველთა ყოფაში, – მსე, XXIII, თბ., 1987.
- ლექსო..., ლექსო არ დაიკარგები, თბ., 1985.
- მაღაყმაძე: რ. მაღაყმაძე, ლიგანის ხეობა, თბ., 2008.
- მიბჩუანი: თ. მიბჩუანი, თამარ მეფის ნაკვალევზე, – ჟ. რიწა, სოხუმი, 1977.
- მინდაძე: ნ. მინდაძე, ქალი და ძველი სამედიცინო კულტურა, წიგნი I, – ნ. ხაზარაძე, ნ. მინდაძე, ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, თბ., 2008.
- ნიჟარაძე: ბ. ნიჟარაძე, თამარ დედოფლის ხსოვნა თავისუფალ სვანეთში, – კრ. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973.

- სისარულიძე: ქ. სისარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949.
- ფუტკარაძე: ტ. ფუტკარაძე, იმერტყევის მეტყეველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
- ყიფშიძე: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ., 1939.
- ჩიტაია: გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ღაზურ ორნამენტში, – ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941.
- ჭიჭინაძე: ზ. ჭიჭინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ზეპირის ცნობებით, ტფ., 1911.
- ხიდაშელი: მ. ხიდაშელი, რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში, თბ., 2005.
- ჯავახიშვილი: ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.

Rozeta Gujejiani

**From Georgian Traditional History of Mentality
("King" in Georgian Mountaineers consciousness)**

Taking into consideration Georgian history, it is possible to speak about different elements of Georgian culture and among them about mental characteristics starting from the remote past. Archaeological and ethnographic data reveal symbols and ritual practices which constitute the layer of entire Georgian culture. Since conversion to Christianity literary sources attest the existence of general mental characteristics in Georgian people.

Some problems of mentality had been studied by Georgian ethnologists and considerable data had been fixed on different problems of the way of life of Georgian mountaineers. A lot of preserved signs associated with mental characteristics are attested among Georgian mountaineers. One of the most significant symbols among them is "king". The memory on the anointed or appointed by the God king devoted for the homeland, fastened the dedication towards the king and the homeland of mountaineers.

These mental characteristics are focused on the two great and holy kings of Georgia - Vakhtang Gorgasali and Queen Tamar who constantly recur in local legends and sayings. In the historical memory and Georgian consciousness general views and motifs about the kingship and kings are revealed: that the kings are

blessed, anointed and appointed by the God i.e. in consequence they constantly share the supernatural powers and what is most important the king is devoted to the Fatherland. These beliefs are fed from the Biblical passages and strengthened by the historic tradition.

Ethnographic data associated King Tamar with almost every historical monument. One can find the topics from the historic sources and the Church traditions in these legends: the power, greatness and stability in social life, military victories, cultural building, legends on the holiness of the Queen Tamar, etc. From that point of view, the brotherhood institutes of the sanctuaries are of interest among mountaineers.

The memory of Queen Tamar is also preserved among the ethnic Georgians now living beyond the borders of Georgia (the population of Shavsheti, Klarjeti, Tao, Chaneti/Lazeti, Ligani, Upper Machaxela gorges now the territory of modern Turkey).

The sense of identity of every Georgian is integrated in the image of the great king regardless of religious confession and place of habitation. The pride for the great past, less exiting modern conditions and the belief in better future are interwoven in the memory of the sacred king and one might say that the remembrance of king Tamar is the feeding source of Georgian mentality and is equal of bridge spanning between the contemporary and the old, traditional Georgians and their mentality.

The ethnographic data reveals that the territorial communities// groups preserve such mental characteristics, that once again justifies the surprising mobility of original Georgian culture.

The strong devotion to religion and central authority (the king) is one of the main and living values of mountaineer's traditional mentality. Such mental characteristics is a very helpful and strong niche for further development and it is a kind of database for ethnical Georgians which are beyond the borders of Georgia to feel integrated with the cultural space of modern Georgia.

ტერიტორიული და კულტურული იდენტობები გაქრისტიანების კონტექსტში

ტერიტორიული იდენტობა ადამიანის ეროვნული თვითცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ამ ცნობიერების განვითარების ყველა საფეხურზე, იქნება ეს ეთნიკური იდენტობა, *ეთნის* იდენტობა თუ ნაციონალური იდენტობა.

ნაციისა და ეთნოსის თეორიის დღეს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარის ენტონი სმითის აზრით, ნაციის სტანდარტული დასავლური მოდელის ძირითადი კომპონენტებია: “ისტორიული ტერიტორია, სამართლებრივ-პოლიტიკური საზოგადოება, და საერთო სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია”. ე. სმითის მიერ ჩამოყალიბებული ნაციონალური იდენტობის ძირითადი მახასიათებლების ჩამონათვალი ასეთია:

1. ისტორიული ტერიტორია, ან სამშობლო
 2. საერთო მითები და ისტორიული მემსიერება
 3. საერთო საზოგადოებრივი მას-კულტურა
 4. ყველა წევრისთვის საერთო სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები
 5. საერთო ეკონომიკა წევრთა ტერიტორიული მობილურობით.
- (Smith 17)

სმითი დეტალურად ეხება თითოეულ ამ კომპონენტს. აი რას ამბობს ის ტერიტორიული იდენტობის როლის შესახებ ნაციის იდენტობის დასავლურ მოდელში:

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ნაციის ეს დასავლური ‘სამოქალაქო’ მოდელი. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სივრცული თუ ტერიტორიული კონცეფცია. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ნაცია უნდა ფლობდეს კომპაქტურ, კარგად განსაზღვრულ ტერიტორიას. ადამიანები და ტერიტორია, ასე ვთქვათ, უნდა ეკუთვნოდნენ ერთმანეთს ისე, როგორც ამას პოლანდიელების შემთხვევაში ვხედავთ. ადრეული პოლანდიელები საკუთარ თავს განიხილავდნენ როგორც მაღალი ზღვებისგან ჩამოყალიბებულ ხალხს, რომელმაც გამოჭედა (სიტყვა-სიტყვით) ის მიწა, რომელსაც ფლობს და თავის საკუთრებად აქცია. მაგრამ ასეთი მიწა არ შეიძლება იყოს ნებისმიერ ადგილას; ის არ არის ჩვეულებრივი მიწის ფართობი. ის არის და უნდა იყოს ‘ისტორიული’ მიწა, ‘სამშობლო’, ჩვენი ხალხის ‘აკვანი’ მაშინაც კი (როგორც ეს თურქების შემთხვევაშია), როცა ის პირველსაცხოვრისს არ წარმოადგენს. ‘ისტორიული მიწა-წყალი’ არის იქ, სადაც ადგილი და ხალხი განიცდიდა კეთი-

ღისმყოფელ ურთიერთზეგავლენას საუკუნეების მანძილზე. სამშობლო ხდება ისტორიული მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი, ადგილი, სადაც 'წვენი' ბრძენი წინაპრები, წმინდანები და გმირები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, ღოცულობდნენ და იბრძოდნენ. ყოველივე ამის გამო მშობლიური მიწა უნიკალური ხდება. მისი მდინარეები, სანაპიროები, ტბები, მთები და ქალაქები 'საკრალურ' მნიშვნელობას იძენს. ამ თავყვანისცემისა და აღფრთოვანების ადგილების მნიშვნელობას შეიძლება ჩაწვდნენ მხოლოდ განდობილნი, რაც ნიშნავს, ნაციის თვითშეგნების მქონე წევრები. ასევე, ამ მიწის ბუნებრივი რესურსებიც მხოლოდ მისი ხალხის კუთვნილებაა, 'უცხოები' მას ვერ მოიხმარენ და ვერ გამოიყენებენ. ნაციონალური ტერიტორია თვითკმარად უნდა იქცეს. ავტარქია არის როგორც სამშობლოს საკრალურობის დაცვის, ასევე ეკონომიკური ინტერესებით ნაკარნახევი (Smith 12-13).

ტერიტორიული იდენტობა ეთნიკური იდენტობისათვის, შესაძლოა, ისეთი განმსაზღვრელი ელემენტი არ იყოს, როგორც ეს ნაციის დასავლურ მოდელშია, მაგრამ ტერიტორიული მიჯაჭვულობისა და ტერიტორიული სიმბოლოების მნიშვნელობა აქაც დიდია. მოვუსმინოთ ისევ სმითს. ეთნიკური ერთობაში, რომელსაც თავად ავტორი ფრანგული სიტყვით ეთნი (ethnie) აღნიშნავს, და რომელშიც კარგად ჩამოყალიბებულ ეთნიკურ თვითცნობიერებას (შეიძლება მას ისტორიულ-კულტურული თვითცნობიერებაც ვუწოდოთ) გულისხმობს, გამოყოფს რამოდენიმე ატრიბუტს. ესენია:

1. კოლექტიური საკუთარი სახელი,
2. საერთო წინაპრის მითი,
3. ზიარი ისტორიული მეხსიერება,
4. საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი,
5. განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება,
6. სოლიდარობის შეგნება პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში.

(Smith 24)

როგორც ვხედავთ, ტერიტორიული იდენტობა ეთნის იდენტობის ერთ-ერთ (რიგით მეხუთე ადგილზეა) აუცილებელ კომპონენტად იგულისხმება, თუმცა მისი ადგილი და მნიშვნელობა ალბათ სხვადასხვა ეთნიკური ერთობის შემთხვევაში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს¹.

¹ ეთნის და ეთნიურობის სხვადასხვა დეფინიციაში შეიძლება განსხვავებულ პოზიციაში იყოს დასმული ტერიტორიული ელემენტი. მაგალითად, რენფრიუ ასეთ ჩამონათვალს გვთავაზობს

1. საერთო ტერიტორია ან მიწა-წყალი.
2. საერთო ჩამომავლობა.

ენტონი სმითი *ეთნის* ცნობიერებაში ტერიტორიულ იდენტობის მითოლოგიურ და სუბიექტურ ასპექტებს უსვამს ხაზს. კერძოდ ის წერს:

ასევე, შეიძლება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეებთან და მასში არსებულ განსაკუთრებულ ადგილებთან დამოკიდებულებას პქონდეს მითიური და სუბიექტური ხასიათი. სწორედ ეს კავშირები და ასოციაციებია უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის, ვიდრე ამ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი ფლობა. ეს არის ის, რასაც ჩვენ ვეკუთვნით. ხშირად ეს არის საკრალური მიწა, ჩვენს მამაპაპათა, ჩვენს რჯულმდებელთა, ჩვენს მეფეთა, ჩვენს ბრძენთა – პოეტთა და მღვდელთა მიწა, და ამიტომ არის ის ჩვენი სამშობლო. ჩვენ ისევე ვეკუთვნით მათ, როგორც ისინი ვეკუთვნიან ჩვენ. გარდა ამისა, სამშობლოს საკრალური ცენტრი ეთნის წევრებს მის გარშემო შეიკრებს, ანდა შორიდან შთააგონებს მათ, ვინც ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფება. ამდენად, ეთნის ძლიერი ნოსტალგიისა და სულიერი კავშირის დამყარების მეშვეობით შეუძლია იარსებოს ისეთ სიტუაციაშიც, როცა ის ხანგრძლივად გაყრილია სამშობლოს. ასეთია მეტწილად ისეთი დიასპორული ერთობის ბედი, როგორიც არიან ებრაელები და სომხები. (Smith 25-26)

როგორც ვხედავთ, ავტორი ეთნის ცნობიერებაში დიდ როლს ტერიტორიის საკრალიზაციას და სივრცის მითოლოგიურ-სიმბოლურ გააზრებას უსვამს ხაზს. ისიც ადვილი შესამჩნევია, რომ ნაციის, მაშასადამე ეროვნული ცნობიერების დასავლური მოდელის განხილვის დროსაც არც თუ პატარა ადგილი ასეთსავე მითოლოგიური მნიშვნელობით დატვირთულ ტერიტორიას ეკუთვნის. სამშობლო არ არის ნეიტრალური სივრცე, ის არის “ჩვენი” ტერიტორია და “ჩვენი” წინაპრების (დროის განზომილება შემოდის სივ-

-
3. საერთო ენა.
 4. წეს-ჩვეულებებისა თუ კულტურის ერთობა.
 5. რწმენა-წარმოდგენების ან რელიგიის ერთობა.
 6. სახელი ან ეთნონიმი, რომელიც ჯგუფის იდენტობას გამოხატავს.
 7. თვით-ცნობიერება, თვით-შეგნება.
 8. საერთო ისტორია ამ წარმომავლობის მითი.

Renfrew, C.(1995) “Prehistory and the identity of Europe, or, Don’t let be beastly to the Hungarians’ in P. Graves-Brown, S. Jones and C. Gamble (eds). *Cultural Identity and archaeology. The construction of European Communities*, London: 125-37. ციტირებულია წიგნიდან Ray Laurence. “Territory, Ethnonyms and Geography: the construction of Identity in Roman Italy. in Ray Laurence and Joanne Berry (ads). *Cultural Identity in the Roman Empire*. London and New York: Routledge 2001.

რცეში!) საქმეებით (კულტური ელემენტი იჭრება!) მონიშნული და განწმენდილი.

დიქტომია “ჩვენსა” და “უცხოს”, “შიგა” და “გარე“-ს შორის ადამიანის სივრცული ორიენტაციის და სივრცული დამოკიდებულებების უნივერსალური მოდელია. ასეთ გამოკიდებულებებზე ლაპარაკობს მირჩა ელიადე, როდესაც ის დროისა და სივრცის საკრალიზაციაზე, პროფანულსა და საკრალურ სივრცეზე მსჯელობს. სივრცის საკრალიზაციის გზით იქმნება “ჩვენი” ტერიტორია ეს კი რელიგიურ ცნობიერებაში პროფანულ სივრცეში საკრალური დროის შემოჭრის გზით ხორციელდება. სივრცე უნდა გახდეს *imago mundi*, აქ უნდა პერიოდულად განახლდეს და განმეორდეს “შესაქმე”, უნდა აღდგეს “ის დრო, როცა ეს ყოველივე იქმნებოდა” (ელიადე 1996). ამგვარად, “ჩვენი” სივრცის აღქმა ადამიანისათვის დაკავშირებულია საკრალურობასთან, სიმბოლოებთან (იქნება ეს რელიგიური შინაარსის, კულტურულის, ისტორიულის თუ ეთნიკურის). “ჩვენი” სივრცე ყოველთვის იყო და არის ის ადგილი, სადაც არ არის “უცხო”, “სხვა”, “უცნობი” და ამდენად “არა ჩემი” “საშიში” ტერიტორია. რელიგიური იდენტობის ცვლილების კონტექსტში, ბუნებრივია, ხდება სივრცის, ტერიტორიის ხელახალი გააზრება უკვე ახალი რელიგიური სიმბოლიზმის საშუალებით. ამდენად, საფიქრებელია, რომ ქრისტიანიზაციის პროცესი ერთგვარი სტიმულის როლს შეასრულებდა, რათა ერთობას მოენიშნა საკრალური შინაარსით დატვირთული ქსელი “თავის” საკუთარ ტერიტორიაზე.

ტერიტორიული იდენტობა თანაცხოვრების ნებისმიერ დონეზე შეიძლება დადასტურდეს: ოჯახს, თემს, პოლისს, ეთნოსსა თუ ნაციას საკუთარი, მისთვის სპეციფიური ტერიტორიული იდენტობა ახასიათებს. შეიძლება ლაპარაკი ტერიტორიული იდენტობის (ისევე როგორც საერთოდ იდენტობის) სხვადასხვა დონეებზე. ერთი იდენტობა კი არ აუქმებს მეორეს, არამედ “გადაფარავს” მას. მაგალითად, დღევანდელ მსოფლიოში აქტუალურია რეგიონული ან გლობალური სივრცის მიმართ იდენტობის ჩამოყალიბება. ეს კი ხდება არა ნაციონალურ-ტერიტორიულ იდენტობასთან დაპირისპირებით, არამედ მისი “შემოყვანით” ამ სივრცეში [Smith Chap.7, 143-179]. რომის იმპერია შესანიშნავი მაგალითია ამ თვალსაზრისით. აქ ერთსა და იმავე დროს არსებობდა რომის, როგორც პოლისის იდენტობა, რომელიც სამოქალაქო ცნობიერებაზე იყო დაფუძნებული, ამავე დროს ყალიბდებოდა ე. წ. *Tota Italia-ს* (მთელი იტალია) ცნობიერება, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა სხვადასხვა ტომთა თვიშეგნებას და მათ ტერიტორიულ იდენტობებს, არსებობდა ასევე ერთიანი რომაული სივრცის ოიკუმენური (იმპერიული) ცნობიერება (ლორენსი 2001).

ტერიტორიული იდენტობა არის საზოგადოების ცნობიერებაში არსებული “ჩვენი” ტერიტორიის წარმოსახვითი ხატი. როგორ იქმნება ის? ამ იდენტობის შექმნის პროცესი საუკუნეები გრძელდება, როგორც სმითი ამბობს ეს არის პროცესი რომლის დროსაც *ადგილი და ხალხი განიცდიდა კეთილისმყოფელ ურთიერთზეგავლენას საუკუნეების მანძილზე*. ეს პროცესი მართლაც ორმხრივია, ერთის მხრივ საზოგადოება ტოვებს თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების კვალს გარკვეულ ტერიტორიაზე დგამს ციხეებს, ეკლესიებს, ძეგლებს, ქმნის “ჩვენი” ტერიტორიის მენტალურ ხატებს: წერს ისტორიებს, გეოგრაფიებს, წმინდანთა და გმირთა ცხოვრებებს, რომლებიც ჩვენი ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილებში ხდება და ამდენად ამ ტერიტორიებს სიმბოლური მნიშვნელობებით ავსებს. მეორეს მხრივ, ამ შემოქმედების შედეგად შექმნილი ლანდშაფტი უკვე გარედან ზემოქმედებს ადამიანზე და მისი იდენტობის ფორმირებას უწყობს ხელს.

მაშასადამე კოლექტიურ იდენტობაზე ზემოქმედებს საზოგადოების გარემომცველი სივრცეც: იქნება ეს ქალაქური გარემო, რელიგიურ-საკულტო სივრცე თუ ერთობის კუთვნილი, მშობლიური ტერიტორიის იდეალური მოდელი–სიმბოლო. როგორც დევიდ პეტსი წერს, *სოციალური და კულტურული იდენტობების დაგეგმვისა და განხორციელების... ერთ-ერთი საშუალება არის... რიტუალური და ქალაქური სივრცის ორგანიზება*. როგორც წესი ხდება ისე, რომ კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე ზემოქმედებს და ლანდშაფტის კონტროლს ახორციელებს ძალაუფლებისა და მატერიალური რესურსების მფლობელი ელიტა (*ლორენსი 2001: 79*). მას, ბუნებრივია, იდეოლოგიური მიზნებიც ამოძრავებს. ასე რომ, ლანდშაფტის ინტერპრეტაციამ ამ კუთხით, შესაძლოა, საინტერესო იდეოლოგიური ხასიათის ინფორმაცია მოგვცეს.

სივრცის ორგანიზების მეშვეობით გარკვეული დასკვნები შეიძლება მოცემული საზოგადოების რელიგიურსა და კულტურულ იდენტობაზეც გააკეთდეს. იდეოლოგიური თუ რელიგიური მიზნებით ორგანიზებული გეოგრაფიული თუ კოსმოლოგიური სივრცე თავის მხრივ ყოველდღიური ცხოვრების პროცესში ახდენს *ადამიანის ცნობიერებაში იმ სტრუქტურებისა და სტრატეგიების ჩანერგვას, რომელიც შემდგომ საზოგადოების ფორმირებას იწვევს (ლორენსი 2001: 79)*.

ზემოთქმულის გამო თანამედროვე ისტორიოგრაფია ადამიანის, საცხოვრებელ გარემოს, სივრცეს, ლანდშაფტს აღარ განიხილავს მხოლოდ როგორც ადამიანისაგან იზოლირებულ ობიექტურ რეალობას. ლანდშაფტს ის იხილავს ადამიანის აღქმასა თუ შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირში. *ლანდშაფტის პუნქტები აღარ არიან უბრალოდ ნეიტრალური არეები, რომლებიც თავიანთ თავში და თავიანთი*

თავისათვის არსებობენ, არამედ ისინი არიან მნიშვნელობით აღსავსე ადგილები, რომლებიც საკუთარ მნიშვნელობას სხვა სივრცეებთან, მატერიალურ საგნებთან თუ ადამიანების არსებობა-არარსებობასთან კავშირში იძენენ (ლორენსი 2001: 81-82).

რელიგიური და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ადგილი საკრალური სივრცის ორგანიზებას უჭირავს. უკვე არსებობს მცდელობა, რომ გამოიკვეთოს მეცნიერების სპეციფიური დარგი, რომელიც გულისხმობს არა იზოლირებულად არქიტექტურის, სახვითი ხელოვნების, რიტუალური თუ ვერბალური შემოქმედების შესწავლას, არამედ ერთიანი საკრალური სივრცის ორგანიზების პროცესის შესწავლას, რომელიც ყველა ამ კომპონენტს ურთიერთკავშირში განიხილავს. ასეთ მეცნიერებას ზოგიერთნი *ჰიეროტოპიას* უწოდებენ. (ლიდოვი 2006: 9-31) ალექსეი ლიდოვი ამ დარგის დეფინიციას ასე წარმოადგენს: *ჰიეროტოპია ეს არის საკრალური სივრცეების შექმნა, რომელიც განიხილება როგორც შემოქმედების განსაკუთრებული სახე, ასევე როგორც ისტორიული კვლევის სპეციალური სფერო, სადაც გამოვლინდება და განაწილებს ამ ტიპის შემოქმედების კონკრეტული მაგალითები.* (ლიდოვი 2006: 10)

რელიგიური მოქცევა ძალზე აქტიური შემოქმედების ხანაა სწორედ ამ თვალსაზრისით. ახალი რელიგია ახალ იდეოლოგიურ ამოცანებს დასახავს ინტელექტუალური და ძალაუფლების მქონე ელიტის წინაშე. ახალი სიმბოლოთა სისტემის, მითების და იდენტობების დანერგვის აუცილებლობას მოაქვს სივრცისა და ლანდშაფტის ახლებური დაგეგმვის, რეალიზებისა და გააზრების პროცესი. სწორედ ამ პროცესის თვალის გადევნება ძალზე კარგად დაგვანახებს თუნდაც ერთ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება წარმართოს კონკრეტულ საზოგადოებაში რელიგიური და კულტურული იდენტობის ქმნადობის პროცესი, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ნამდვილად არის ახალი საკრალური სივრცის მშენებლობა (ორგანიზება) ან, რაც იგივეა, ახალი ჰიეროტოპული პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.

ჰიეროტოპიული პროექტების კვლევას ძალზე ნაყოფიერად არქეოლოგიური, არქიტექტურული, სახვით-ხელოვნებითი, რიტუალური, ლიტურგიული, ვერბალური მასალის საფუძველზე ახდენენ. ამ თვალსაზრისით ნარატიული წყაროების (აგიოგრაფიული ტექსტების თუ იდეოლოგიურ-ისტორიული ნარატივის) გამოყენებაც ძალზე საინტერესოა. განსაკუთრებით, როცა ეს ტექსტები საკრალური ან პოლიტიკური სივრცის ერთგვარ ვერბალურ კომენტარს წარმოგვიდგენს.

ქართლის მოქცევის ამსახველი ტექსტები მდიდარ მასალას იძლევა ამ პრობლემის საკვლევად. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზანდასახულობით „მოქცევა ქართლისაჲ“, „ქართლის ცხოვრება“ და

სხვა ისტორიული ტექსტები არ ყოფილა შესწავლილი. მათზე დაკვირვება კი საკმაოდ რელიეფურ სურათს იძლევა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ყოველ შემთხვევაში, იმ ხანაში, როცა ქვეყნის ჰიეროტოპიულმა ხედვამ კულმინაციას მიაღწია.

რაში მდგომარეობს ჰიეროტოპიის პრინციპი და რა განაპირობებს მას? პასუხი თითქოს მარტივია. იგი მდგომარეობს იმ უბრალო ფაქტში, რომ ადამიანს, ადამიანთა კოლექტივს აქვს მოთხოვნილება იცხოვროს იმ სივრცეში, რომელიც მის მენტალობას (რელიგიურ, კულტურულ და სხვა) შეესატყვისება. ადამიანი თავად აწყობს და აწესრიგებს თავის სასიცოცხლო სივრცეს და, როგორც კულტუროგენური და რელიგიური არსება, თავის ყაიდაზე, ღირებულებების მიხედვით გარდაქმნის მას. ეს მოთხოვნილება და მზაობა ლანდშაფტის, ტერიტორიის, ზოგადად, სივრცის გარდასაქმნელად თავს იჩენს გარდატეხების ხანებში, როცა ქვეყანა (ხალხი) ახალი რეალობათა მიღების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება.

როდესაც საქართველოში გაქრისტიანების პროცესის თანმხლები კულტურული და ტერიტორიული იდენტობის ცვლილებას ვიკვლევთ, ორი ტიპის ნარატიულ ტექსტს უნდა დავეყრდნოთ. ეს არის საკუთრივ ქართლის გაქრისტიანების შესახებ თხრობა (*მოქცევაი ქართლისაი* და მასში შემავალი *ნინოს ცხოვრება*) და *ქართლის ცხოვრება*, მისი დასაწყისი ნაწილი (განსაკუთრებით ფარნავაზიდან ვახტანგ გორგასლამდე). ამ ტექსტების ხსენებული კუთხით შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ისინი ტერიტორიული იდენტობის სრულიად სხვადასხვა ასპექტებს ეხებიან. თუ *ნინოს ცხოვრება* საკრალურ-რელიგიური ადგილების მონიშვნის კულტურულ პროცესს ასახავს, *ქართლის ცხოვრება* ძირითადად პოლიტიკური სივრცისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრების მონიშნვით არის დაკავებული.

ქართლის ცხოვრება, როგორც ოფიციალური ისტორიოგრაფია, დაკავებულია ტერიტორიის პოლიტიკური ასპექტით, ხოლო *ნინოს ცხოვრება* – რელიგიურ-რიტუალურით; ამასთანავე, პოლიტიკურ სივრცესთან და ტერიტორიულ იდენტობასთან მიმართებით *ქართლის ცხოვრება* გახაზავს განგრძობადობას, უცვლელობას და სტაბილურობას, ხოლო საკრალურ-რელიგიურ ტოპოსთან მიმართებით – *ნინოს ცხოვრება* სიახლესა და ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას. პირველი ორიენტირებულია წარსულზე, მეორეს ესქატოლოგიურ ელფერი გადაჰკრავს.

ცხადია, თითოეულ ჟანრს თავისი თემატური და იდეოლოგიური ჩარჩო აქვს და ამ ჩარჩოს ფარგლებში ავლენს და ასახავს მიმდინარე კულტურულ თუ მენტალურ პროცესებს.

**კოლექტიური კულტურული და ტერიტორიული იდენტობანი
ქართლის ცხოვრებაში (მირიანიდან ვახტანგ გორგასლამდე)**

ტერიტორიული იდენტობის კვლევის დროს, ბუნებრივია გეოგრაფიულ და ისტორიულ თხზულებებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, თუ რას ემყარება გეოგრაფიულ აღწერილობათა ლოგიკა როგორც გეოგრაფიული ისე ისტორიული შინაარსის ტექსტებში.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, საისტორიო თხზულება – “მატიანე” – უნდა შედგებოდეს ოთხი ნაწილისაგან: ადგილის აღწერის ანუ გეოგრაფიისაგან, ნათესავთმეტყველების ანუ გენეალოგიისაგან, წლისმრიცხველების ანუ ქრონოლოგიისაგან და მოქმედების აღწერის ანუ იმისაგან, რასაც ლათინურ მწერლობაში უწოდებდნენ *res gestae*:

არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთმეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად... ჩუენ ქართველთა მატიანე შემოიპყრობს სამსა მას წილსა მატიანისასა არამედ წლისმრიცხველობასა ნათესავთმეტყველებასა მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს...” (ყაუხჩიშვილი 1973: 4)

მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავს, რომ ქართლის ცხოვრება “ადგილის აღწერას” საერთოდ არ შეიცავს, ნათესავთმეტყველებასა და წლისმრიცხველებას კი მცირედ. მართლაც, მისი თხზულება “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” ქართლის ცხოვრების ამ ხარვეზთა შევსებას ისახავს მიზნად. ვახუშტი ბატონიშვილი თავის საისტორიო თხზულებას სწორედ ვრცელი გეოგრაფიული გამოკვლევით იწყებს და ამით ის ისტორიული მეცნიერების დარგის დასავლური ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება. მაგრამ რამდენად სამართლიანია ვახუშტი, როცა ის ლაპარაკობს გეოგრაფიული ცოდნის (ადგილის აღწერის) არარსებობაზე ქართლის ცხოვრების მატიანეში. ჩვენ ვიცით, რომ თავად ვახუშტის აღწერილობა ქართლის სამეფოს შესახებ სწორედ იმ გეოპოლიტიკურ ცოდნას ეფუძნება, რომელიც ქართლის ცხოვრებაშია მოცემული. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ გავიხსენოთ, თუ როგორი იყო შუა საუკუნეების ავტორთა (მემატიანეთა თუ ისტორიკოსთა) დამოკიდებულება სივრცისა და ტერიტორიის აღწერის მიმართ.

როგორც შუა საუკუნეების დასავლური ისტორიოგრაფიის მკვლევარი ბერნარ გენე წერს, შუა საუკუნეების ისტორიკოსებს ჰქონდათ სივრცის შეგრძნება და მისი შესწავლის მიმართ ინტერესი. ამ მხრივ ისინი ანტიკური ისტორიოგრაფიის ტრადიციებს ეფუძნებოდნენ. ლათინური რიტორიკის კანონები პირდაპირ თუ ირიბად მკვიდრდებოდნენ შუა საუკუნეების დასავლეთში. ლათინური რიტო-

რიკა კი ავტორებს ურჩევდა, რომ თავი არ აერიდებინათ სივრცის აღწერის შემცველი გადახვევებისაგან, რადგან ასეთი აღწერები მკითხველსა და მსმენელს ანიჭებდნენ სიამოვნებას და ამასთანავე მისთვის სარგებლობა მოჰქონდათ. რადგან, როგორც ამბობდა ციცერონი “მოვლენათა ბუნება მოითხივს დროის თანმიმდევრობასა და ადგილის აღწერას” (გენე 2002: 194). ანტიკური რიტორიკის კანონების მიხედვით, გეოგრაფიული აღწერილობა უნდა ყოფილიყო შემდგარი ქვეყნის აღწერისაგან, იმ ადამიანების აღწერისაგან, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ და ბოლოს მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მოვლენებისაგან (*mirabilia*). ახ. წ. პირველ საუკუნეში პლინიუს უფროსმა თავის ისტორიაში გადმოსცა სამყაროს აღწერილობა. III საუკუნეში სოლინუსმა *ღირსსახსოვარ მოვლენათა კრებულში* აღწერა ქვეყნები, ადამიანები და ცხოველები და განსაკუთრებით საოცრებებზე გაამახვილა ყურადღება. V საუკუნეში ოროზიუსი გვაძლევს სამყაროს მხარეებისა და აქ მოსახლე ხალხების გრძელ სიას. ხოლო VII საუკუნეში ისიდორე სევილიელი მოკლედ აჯამებდა მის წინამორბედთა გამოცდილებას (გენე 2002: 196).

ანტიკური, განსაკუთრებით ლათინურენოვანი, ისტორიოგრაფიული ტრადიციის მიხედვით ისტორიული თხზულება იმ ქვეყნის გეოგრაფიული აღწერილობით უნდა დაწყებულიყო, რომლის ისტორიასაც მოგვითხრობდა ავტორი. მაგალითად, იულიუს კეისარი თავის ისტორიული თხზულების *ომი გალებთან* დასაწყისში დეტალურად აღწერდა გალიის ქვეყანას. ასევე იქცეოდა სალუსტიუსი თავის *იუგურტინულ ომებში*, როცა აფრიკის მიწის ესკიზურ არწერას გვაწვდიდა. ბერნარ გენე ხაზს უსვამს, რომ შუა საუკუნეების ავტორები არა მხოლოდ მისდევდნენ ამ ტრადიციას, არამედ ხშირად თავიანთი ისტორიული თხზულებების შესავლებში უშუალოდ სარგებლობდნენ ანტიკურ ავტორთა აღწერილობებით. ასე მაგალითად, ანგლების ისტორიის ავტორი – ბედა (VIII ს.) აღწერდა ბრიტანეთს და ამ დროს სარგებლობდა პლინიუსის, ოროზიუსისა და სოლინუსის თხზულებებით. გვიანანტიკურ ხანაში შექმნილი თხზულება “ალექსანდრიანი” ერთ-ერთი იმ ნაწარმოებთაგანი იყო, რომლებიც კვებავდნენ შუა საუკუნეების ავტორთა და მკითხველთა გეოგრაფიული ცოდნისა და შემეცნების წყურვილს. ბერნარ გენე ასე აჯამებს შუა საუკუნეების ავტორთა გეოგრაფიული ინტერესებისა და ანტიკური ტრადიციის ურთიერთმიმართების საკითხს დასავლურ კულტურაში:

ეს მეტ-ნაკლებად უჩვეულო მოთხრობები, მეტ-ნაკლებად ზუსტი აღწერილობანი, მეტ-ნაკლებად მშრალი ჩამონათვლები, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ფართო მოწონებით სარგებლობდნენ, და, როცა ისტორიკოსს უნდოდა მოეთხრო ქვეყნებისა და ხალხების შესახებ, ის პირდაპირ თუ ირიბად დახ-

მარებისათვის ამ ავტორთა მონათხრობს მიმართავდა” (გენე 2002: 196).

ჰეროდოტედან მოყოლებული, ბერძენი და რომაელი ავტორები ლაპარაკობდნენ მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის შესახებ. ესებოდნენ მათ წარმომავლობას, ენას, ღმერთებს, წმინდა ადგილებს, დღესასწაულებს, რიტუალებს, ცხოვრების წესს. ეს ცოდნა ჯერ არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან როგორც ცალკეული დარგები: გეოგრაფია, ისტორია და თუნდაც ეთნოგრაფია. ანტიკური ხანის ბერძნული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მისი აღწერითობა და ინტერესი უცხო ქვეყნების მიმართ. როგორც ჰერბერტ ბატერფილდი ამბობს, ისტორიისადმი ინტერესი საბერძნეთის იონიურ ნაწილში წარმოიშვა და ის დიდწილად აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობით იყო ნაკარნახები (ბატერფილდი 1981: 118-137).

გეოგრაფია ანტიკურ კულტურაში იყო ქვეყნების მთავარი მახასიათებლების აღწერა. ამავე დროს, ითვლებოდა, რომ ამ აღწერილობის საფუძველზე უნდა შესაძლებელი ყოფილიყო რუკის შედგენა. რუკის შედგენაზე აქცენტის გაკეთება კარნახობდა გეოგრაფოსებს აღწერის კონკრეტულ მეთოდოლოგიას. მაგალითად, ნებისმიერი გეოგრაფიული აღწერის (თუნდაც სტრაბონის გეოგრაფია) შესავალი სანაპირო ზოლის აღწერით უნდა დაწყებულიყო. ეს რუკის-შედგენის პრინციპი, რეი ლორენსის აზრით, “არის იმპერიული პროექტის ნაწილი”. ეს ის აუცილებელი ცოდნაა, რომელიც იმპერიის მართვას ჭირდება. “ბერძენები და რომაელები ტერიტორიასა და ეთნოსს შორის მჭიდრო კავშირს ხედავდნენ, განაგრძობს ლორენსი, და ქვეყნის აღწერა მათთვის ამ ორივე კომპონენტის თანაბარუფლებიან შესწავლას და გადმოცემას გულისხმობდა” (ლორენსი 2001: 97).

ამ ტიპის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის კარგ მაგალითად გამოდგება ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი, ახ. წ. II ს-ის ავტორის ფლავიუს არიანეს *მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო*, სადაც შავი ზღვის სანაპიროების აღწერასთან ერთად საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე მოსახლე არა ერთი ტომის არსებობაა დადასტურებული. არიანე წერს:

შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს არიან კოლხები, და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელთა მოსისხლე მტურია, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს. მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან... ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარსმანის ქვეშევრდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. ლაზების მეზობლე-

ბი აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო. აფსილების მეზობლები აბასკები არიან. აბასკთა მეფე რესმაგაა, ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასკთა მეზობლები სანიგები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მეფემ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი. (ფლავიუს არიანე 1961: 42-43)

ფლავიუს არიანე აქ ანტიკური ისტორიოგრაფიისა და გეოგრაფიული აღწერის ტრადიციას აგრძელებს. ნაშანდობლივია, რომ ამ ერთი მოგზაურობის შედეგად, არიანემ ბევრად მეტი ინფორმაცია გადმოგვცა დასავლეთ საქართველოს იმდროინდელ ეთნიკურ სურათზე, ვიდრე *ქართლის ცხოვრების* წერის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ. როგორ ავსხნათ ეს გარემოება? *ქართლის ცხოვრების* შემადგინებელ სათანადო ინფორმაცია აკლდათ, თუ სხვა რაიმე მიზეზი არსებობდა საამისოდ?

ამგვარად, ჩვენი მიზანია გავერკვეთ თუ როგორია სივრცისა და ტერიტორიის აღწერის ლოგიკა *ქართლის ცხოვრებაში* და რამდენად ასახა ამ თხზულებამ შუა საუკუნეების ქართველთა ტერიტორიული თუ სხვა იდენტობანი. როგორ აღწერს და ასახავს *ქართლის ცხოვრება* ეთნოსს და მის ტერიტორიას. რა კავშირს ხედავს ის ტერიტორიასა და ეთნოსს შორის? აღწერს თუ არა ის “სხვის” ტერიტორიას და რამდენად აღწერს – “თავისას”? არის თუ არა მისთვის ტერიტორიის საზღვრები საკრალური, სტაბილური, ბუნებრივი თუ საზღვრები მისთვის განუსაზღვრელია და ცვალებადი? რა ემოციურ და ეკზისტენციალურ ცნებებში აღწერს ის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე პოლიტიკური კონტროლის დაკარგვას ან საზღვრების კონფიგურაციის ცვლილებას? არის თუ არა ყველანაირი ტერიტორია მისთვის ერთნაირად ძვირფასი და საინტერესო თუ სახელმწიფო ტერიტორიის შიგნით რაიმე სახის დიფერენციაციას აქვს ადგილი? ერთი სიტყვით, ჩვენი ამჟამინდელი ამოცანაა გავარკვიოთ, თუ როგორია *ქართლის ცხოვრებაში* ქართლის სამეფოს ტერიტორიის გამოსახვის პრინციპი? როგორია სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოდელი *ქართლის ცხოვრებაში* ან, რაც იგივეა, როგორია სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოდელი ქართლის სამეფოს ოფიციალური – მმართველი წრეების თვალთ?

ცალსახად უნდა ითქვას, როცა *ქართლის ცხოვრებას* ვიხილავთ, ძალზე ძნელია სივრცისა და ტერიტორიის მიმართ რაიმე იმის მსგავსი მიდგომა დავადასტუროთ, როგორსაც ანტიკურ მწერლობაში ან თუნდაც მასზე დაფუძნებულ შუა საუკუნეების საისტორიო ტრადიციაში ვხვდებით. უცხო ქვეყნებისადმი ინტერესი, აღწერითობა, რომელიც ტერიტორიის გარდა ეთნოსებსა და მათ თავისებურებებზე ლაპარაკობს – ყოველივე ეს სრულიად უცხოა ქართული საისტორიო ტრადიციისათვის. რა ინტერესები ამოძრავებდათ იმ

ადამიანებს, ვინც *ქართლის ცხოვრებას* ქმნიდნენ? ერთი შესედე-
თაც ნათელი ხდება, რომ აქ იდეოლოგიური მიდგომა არის წამყვა-
ნი. ავტორის/ავტორთა მიზანი არ არის მრავალფეროვნების აღწერა
და წერილობით დაფიქსირება. მათ პოლიტიკური თუ ადმინისტრა-
ციული ერთეული და მისი მთლიანობა უფრო მნიშვნელოვნად მიაჩ-
ნიათ, ვიდრე ეთნო-კულტურული ან ლინგვისტური სიჭრელე მის
შიგნით.

ქართლის ცხოვრება ეთნიკურ თუ ტომობრივ სიჭრელეს ამა
თუ იმ ტერიტორიაზე არ ახსენებს. მისთვის ეთნოსი და ტერიტორია
იგივეობრივია. სადაც არის “ქართლი” (სამეფო), იქ არიან *ქარ-
თველნი, ყოველნი ქართველნი, მკვიდრნი ქართლისანი* (ყაუხჩიშვი-
ლი 1055: 20-35). *ფარნავაზის ცხოვრების* ავტორისათვის საკმარისია
იმის აღნიშვნა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე არის ერთიანი მეფო-
ბა. მეფე არის სახელმწიფოებრივი წესრიგის (ტერიტორიულ-ადმი-
ნისტრაციული დაყოფა), რელიგიური და თვით ენობრივი ერთობის
წყაროც. *ფარნავაზის ცხოვრებაში* ქვეყნის საერისთავოებად დაყო-
ფა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ პრინციპს ეფუძნება და მემპტი-
ანე არსად აღნიშნავს, თუ რა და რა ტომები ცხოვრობენ ამ ტერი-
ტორიაზე. ეთნოსში რელიგიური და ლინგვისტური ელემენტის არ-
სებობაც კი *ფარნავაზის ცხოვრებაში* წარმოდგენილია როგორც სა-
ხელმწიფო ინსტიტუცია. აქ საგანგებოდ აღნიშნულია, რომ სამეფო
კულტი *ფარნავაზ* მეფის დაფუძნებულია: “და ამანვე *ფარნავაზ* შექ-
მნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ
ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა” (ყაუხჩიშვილი 1955: 25). მე-
ფეს მიეწერება სახელმწიფო ენის შემოღებაც: “ამან *ფარნავაზ* გა-
ნავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა
შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული”
(ყაუხჩიშვილი 1055: 26). სიტყვა “განავრცო” გულისხმობს ერთი
ენის გავრცელებას მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. მაშასადა-
მე, აქ ბუნებრივად კი არ არის გავრცელებული ეს ენა და მასთან
ერთად მწიგნობრობა (დამწერლობა), არამედ *ფარნავაზმა განავრცო*
ისინი. ამიტომ ხსენებულ პასაჟში სახელმწიფო ენა და კულტურული
ერთობა იგულისხმება და არა ეთნიკური. სრული ეთნიკურ-ტომობრი-
ვი ერთგვაროვნება არც ივარაუდება სახელმწიფოს მთელს ტერიტო-
რიაზე, მაგრამ *ქართლის ცხოვრება* არ ისახავს მიზნად ასახოს ტო-
მობრივი, ეთნიკური, ლინგვისტური სიჭრელე. ეს ამოცანა არ არის
მისი უანრით განსაზღვრული. სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მა-
ტარებელი თხზულების შინაგანი ლოგიკა მას არ ავალებს ქვეყნის
შინაგანი მრავალფეროვნების ასახვას. აქ აისახება მხოლოდ ის, რაც
სახელმწიფოებრივ დონეზეა ინსტიტუციონალიზებული.

განსხვავების, სიჭრელის, მრავალფეროვნების ხარჯზე სახელ-
მწიფოს კომოგენურობის, ერთიანობის, და თანაზომიერი, რაციონა-

ლური დაყოფის (ადმინისტრაციული და არა ტომობრივ-ეთნიკური) მომხრეა სწორედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიცია და არა “იმპერიული პროექტი”. ასე მაგალითად, რომის იმპერატორის ავგუსტუსის ადმინისტრაციული სისტემა იტალიის რეგიონში და არა იმპერიის მასშტაბით, არ იყო აგებული გეოგრაფიული ლოგიკით. რეგიონების მოწყობა დამყარებული იყო მათი რომთან მიმართების პრინციპზე. თერთმეტი რეგიონი დანომრილი იყო, ხოლო რიგითი ნომერი იზრდებოდა რომიდან მისი სიახლოვის პრინციპით (ლორენსი 2001: 97). მაშასადამე, სატომო სახელის მაგივრად, პროვინციას ნომერი უნდებოდა, ხოლო რუკის შედგენის პრინციპს პროვინციის ცენტრთან (რომთან) მიმართება ცვლის. ავგუსტუსის ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა სახელმწიფო იდეოლოგიის ნაწილი იყო, მაგრამ როგორც დავინახეთ, ამ იდეოლოგიას ისტორიული და გეოგრაფიული უანრის განვითარებაზე გავლენა არ მოუხდენია.

ქართლის ცხოვრებაში იმის მსგავსი სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური პოზიცია იკვეთება, როგორც იმპერატორ ავგუსტუსის მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციულ სისტემაში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ *ქართლის ცხოვრება* სწორედ სამეფო სახლის პატრონაჟით შექმნილი ოფიციალური ისტორიოგრაფიაა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ფლავიუს არიანე სხვადასხვა ტომთა სამოსახლო სივრცეს განარჩევდა, *ქართლის ცხოვრების* ავტორი მხოლოდ ეგრისის საერისთავის ხედავს და შესაბამისად მის ეპონიმად ეგროსს მიიხნევს:

ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უხინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვიან ღიხი; დასავლით – ზღუა; [ხრდილოთ] მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კაკახისა. ხოლო ამან ეგროსს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. (ყაუხნიშვილი 1955: 5).

ფარნავაზის ცხოვრების მიხედვით კი დასავლეთ საქართველოში გამოყოფილია ორი საერისთავო; ერთი არგვეთის (“მარგვის”) და მეორე ქუჯის სამფლობელო – ეგრისი: “ეგრის წყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე” (ყაუხნიშვილი 1955: 24). ასეთ დაყოფასაც, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევები ცხადყოფენ, უფრო პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, ვიდრე ეთნიკურ-ტომობრივი. როგორც ცნობილია, არგვეთის ტერიტორიის უკიდურეს დასავლეთ საზღვარს ჯერ კიდევ ფარნავაზის დროს აგებული ციხეები შორაპანი და დიშნა იცავდნენ. ამ ციხეებს ქართლისა და ეგრისის სამეფოთა დაპირისპირების დროს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ფორპოსტის როლი ენიჭებოდათ როგორც ერთი ისე მეორე მხარისათვის. (მუსხელიშვილი 1977: 105-106). ამგვარად, არგვეთის საერისთავოს ცალკე წარმოდგენა *ფარნავაზის ცხოვრებაში* პოლი-

ტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრის მონიშვნის მაგალითია და არა ეთნიკურ-ტომობრივის.

ფარნავაზის ცხოვრებაში ერისთავთა სახელწოდება ძირითადად მათი სატახტო ქალაქის სახელწოდებიდან არის ნაწარმოები. ასეთებია: ხუნანის ერისთავი, სამშვილდის ერისთავი, წუნდის ერისთავი, ოძრხის ერისთავი². შესაძლოა ერისთავის ან საერისთავოს სახელწოდება პროვინციის სახელიდანაც იყოს ნაწარმოები, როგორც მაგალითად ერისთავი კახეთისა ან კლარჯეთისა. მაგრამ ჩანს, რომ საერისთავო პროვინციის ეთნოგრაფიულ საზღვრებს მთლიანად არ ემთხვევა. *ფარნავაზის ცხოვრების* ერისთავთა ნუსხაში იქვე მოცემულია განმარტება, თუ რომელ პროვინციას მოიცავს ესა თუ ის საერისთავო. მაგ. კახეთის ერისთავის დასახელებისა და საერისთავოს ფარგლების მითითების შემდეგ მემატინანე /რედაქტორი აღნიშნავს: *რომელ არს კახეთი და კუხეთი*. ასევე განმარტავს რედაქტორი სხვა საერისთავოებს და მათ პროვინციის სახელწოდებით მოიხსენიებს მაგალითად, ხუნანის საერისთავოს შემთხვევაში ნათქვამია “რომელ არს გარდაბანი”. ეს განმარტებები, ვფიქრობ, უფრო გვიანდელი რედაქტირების შედეგად გაჩნდა ტექსტში; ხოლო მთავარი ტერიტორიული მსაზღვრელი ამ საერისთავოებისა არის აქვე მითითებული გეოგრაფიული საზღვრები: მდინარეების, მთების, ზღვის თუ მომიჯნავე პოლიტიკური ერთეულის სახელწოდება. მაგალითად, *ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და ვაჩიანთამდის*, ანდა *ფანვართგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და სხვა*.

სხვა ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გარდა საერისთავოთა ფარგლებში დასახელებული ტოპონიმებისა თუ ეთნონიმებისა, სხვა ეთნო-ტერიტორიული ერთეულებიც იყო. მაგალითად, წმინდა ნინოს სამისიონერო საქმიანობის კონტექსტში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში რამოდენიმე სხვადასხვა ტოპონიმსა თუ ეთნონიმს ვხვდებით.

წარვიდა [წმ. ნინო] და დადგა წობენს. და მოუწოდა მთეულთა, ჭართაღელთა და ფხოველთა და წილკანელთა... და გარდავიდა ერწუდ და დადგა ქაღეთს, დაბასა ედემს, და ნათელ სცა ერწუ თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა... და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერთიურთ მათით. (აბულაძე 1964: 88-89)

ცხადია, წმინდანის სამისიონერო მოღვაწეობის აღწერისას მემატინანის პოზიცია სრულიად განსხვავებულია. მას წმინდანი მის ცოცხალ პიროვნულ თუ ეთნიკურ გარემოში აინტერესებს. მისთვის

² *ფარნავაზის ცხოვრების* ერისთავთა სია იხილეთ აქვე, გვ.15.

მთავარია აჩვანოს როგორ მიიღო ეს მისია ამა თუ იმ ტომმა, ქალაქის, დაბისა თუ სოფლის მოსახლეობამ. სახელმწიფო, თავის პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული საზღვრებით მისთვის მეორეხარისხოვანია.

ასეა თუ ისე, საერისთავოთა საზღვრები ზოგი შესაძლოა მთლიანად და ზოგიც ნაწილობრივ ქვეყნის მხარეთა და აქ განსახლებულ ტოთა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ პროვინციათა საზღვრებს ითვალისწინებდა და ეფუძნებოდა. მაგრამ *ქართლის ცხოვრების* როგორც სახელმწიფო იდეოლოგიის გამომხატველი ძეგლის პოზიცია იმგვარია, რომ ის არ ცდილობს ჩაუღრმავდეს დეტალებს და ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობით გაამდიდროს თავის თხზულებას. მართალია, საერისთავოებს თავიანთი სახელები აქვთ, *ქართლის ცხოვრებაში*, და ისინი არ არიან ოდენ დანომრილნი როგორც ავეუსტუსის ადმინისტრაციულ სისტემაში, მაგრამ აქ არ გამოიკვეთება და არ კონკრეტდება, თუ რომელი ტომის სახელია და რა სპეციფიური ნიშნები – გარეგნული სახე, ყოფითი თუ წეს-ჩვეულებითი ან სხვა კულტურული თავისებურებები აქვთ მის მცხოვრებლებს.

ვახუშტი ბაგრატიონი უბრუნდება გეოგრაფიული აღწერილობის კლასიკურ პრინციპებს, მას თავის “აღწერაში” შემოაქვს ბუნების – რელიეფის, მდინარეების, ფლორისა თუ ფაუნის გაგრძელების დეტალები, აღწერს საქართველოში მცხოვრებ ქართველურ და არაქართველურ ტომებს მათ ანთროპოლოგიური ნიშნებს, ტემპერამენტს, წეს-ჩვეულებებსა თუ ხასიათობრივ თავისებურებებს. ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი თვისობრივად ახალ ისტორიას ქმნიდა, და ქმნიდა მაშინ, როცა ფაქტობრივად *ქართლის ცხოვრების* წერის ტრადიცია თავად შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ტრადიციასთან ერთად აღსასრულს უახლოვდებოდა.

საერთოდ *ქართლის ცხოვრების* დასაწყისი ნაწილი ქართლოსიდან არჩილის ჩათვლით სრულიადაც არ არის დარიბი ტერიტორიულ გეოგრაფიული ინფორმაციით. მაგრამ ეს არ არის “ადგილის აღწერა” ანტიკური გაგებით (ქვეყნები, ხალხები და საოცრებები). ეს არის საკუთარი ტერიტორიის მოხაზვა, იმ ტერიტორიისა, რომელსაც აღწერა არ ესაჭიროება, რადგან ივარაუდება, რომ მკითხველი მას ისედაც კარგად იცნობს. თუ *ქართლის ცხოვრება* იდეოლოგიური ძეგლია და ამის ჩვენება მგონი წინა თავებში შევძელი, მაშინ მისი წარმოსახვითი მკითხველი არის სწორედ ამ იდეოლოგიის სამიზნე. იდეოლოგია კი თავისუფალთა ფენას, უმთავრესად არისტოკრატობას მიემართება. სწორედ ის არის კულტურის მატარებელიც, შუა საუკუნეების მკითხველისათვის აუცილებელი სახსრების მქონეც (ხელნაწერი ხომ საკმაოდ ძვირი სიამოვნება იყო შუა საუკუნეებში), და საკმაო სამხედრო ძალისა და გავლენის პატრო-

ნიც იმისათვის, რომ სამეფო სახლმა მის ცნობიერებაზე ზემოქმედება აუცილებელ და მნიშვნელოვან ამოცანად ცნოს.

ქართული არისტოკრატია, საფიქრებელია, რომ ყოველგვარი წერილობითი აღწერილობების გარეშე იღებდა თავისი ქვეყნის გეოგრაფიული და პოლიტიკური სურათის დეტალური ცოდნას, რომელიც არისტოკრატული აღზრდა-განათლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა. სხვაგვარად სამხედრო არისტოკრატია ვერ იარსებებდა. თავისი ქვეყანა თუ საერისთავო, ქალაქი თუ დაბასოფელი მან იცოდა ისე, როგორც დღეს ვიცით საკუთარი ბინის კონფიგურაცია, ვიცით ჩვენი ქუჩა თუ ქალაქი. ქვეყანა თავისი რელიეფით, თავისი სავარგულებით, ტყეებით, მდინარეებით აქტუალურად შემოდოდა არისტოკრატის ცხოვრებაში, რადგან ეს იყო მისი ძალაუფლების სიმბოლოც, საარსებო სახსარიც, სატრანსპორტო ქსელიც, თავდაცვის სისტემაც, შემოსავლის წყაროც და გართობის საშუალებაც. ამიტომ *ქართლის ცხოვრების* ისტორიოგრაფიულ ტრადიციაში არ არის სივრცის აღწერა ამ აზრის ანტიკური რიტორიკის გაგებით. აღწერის გზით ხდება “უცხო” შემოყვანა ნაცნობ სივრცეში, რაც ოიკუმენის ფართო იდენტობის შექმნას უწყობს ხელს. *ქართლის ცხოვრება* კი ესება და ოპერირებს იმ სივრცული და ტერიტორიული ნომენკლატურით, რომელიც უკვე “მისია”, რომელიც კარგად ნაცნობია და ამიტომ მას აღწერა არ ესაჭიროება, ეს უკვე არის “ჩვენი” ტერიტორია; აქ არ შეიძლება იყოს რაიმე მსგავსი იმისა, რასაც ანტიკურ თუ შუა საკუნეების სამყაროში *mirabilia* (საოცრება, უცხო რამ) ეწოდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ *ქართლის ცხოვრებაში* წამყვანია მეფობის იდეა. მეფე და განსაკუთრებით პირველი მეფე – მეფე-არქეტიპი ფარნავაზი გვევლინება ყველა სახელმწიფოებრივი და კულტურული ინსტიტუციის დამფუძნებლად (მსაგვსი ტრადიცია დასტურდება სასანურ ირანში ის რაპი 1997: /// თუმანოვი) ქართლის სამეფოში. თვით სახელმწიფო ტერიტორია, მისი საზღვრები და ტერიტორიულ ადმინისტრაციული სისტემა მეფის მიერ არის ფორმირებული და ამდენად მისივე საკრალური ფიგურა ანიჭებს ამ საზღვრებს ლეგიტიმაციას. როგორც ვთქვი, *ქართლის ცხოვრებაში* ტერიტორიის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტი არის საგამგეო და სამფლობელო. მაგრამ აქაც ერთგვარი დიფერენციაცია არსებობს. ერთი მხრივ არის საკუთრივ სახელმწიფო საზღვარი, რომელიც ერისთავთა ნუსხით არის მონიშნული და მეორეს მხრივ არის მეფის საგამგეო ტერიტორია. თუ პირველი საზღვრის შეცვლა ტერიტორიის დაკარგვის აზრით ტრაგიკულ ნოტებს აღძრავს მატიანეში, მეორის ცვლილება გაცილებით უფრო მშვიდ ვითარებაში ხორციელდება. მიტომ საკუთრივ “ქართლის საზღვარი” არის ის ტერიტორია,

რომლის მიმართ მოცემულ ერთობას აქვს იდენტობის განცდა, ხოლო მეორე შემთხვევაში ასეთი რამ არ დასტურდება.

მირიანის ცხოვრების დასაწყისში ნათქვამია, რომ როდესაც სპარსთა მეფემ არდაშირმა შეისმინა ქართველთა ვედრება მისცა მათ თავისი ძე მეფედ და *დასუა მცხეთას*. სპარსეთის შაჰან შაჰმა თავის ძეს *მისცა ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და პერეთი*. გამოდის, რომ მირიანი მთელი სამხრეთ კავკასიის (ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის) მმართველად დაუნიშნავთ. შაჰმა დაუტოვა მირიანს მის ძეს ორმოცი ათასი მხედარი – *სპარსნი*, მაგრამ აქვე მემკვიდრე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სპარსეთის მეფემ *არა დასხნა ქართლისა საზღვართა სპარსნი იგი* (ყაუხჩიშვილი 1955: 64-65). აშკარაა, მემკვიდრე განარჩევს ქართლის საზღვარს და მეფის სხვა სამფლობელოს. თუ სხვა სამფლობელოში სპარსეთის ჯარი დგას და ამდენად სპარსეთის იმპერიის სუვერენული უფლებები ვრცელდება “ქართლის საზღვრებში” სპარსეთის ჯარი არ დგას. სპარსთა მეფის ეს გადაწყვეტილება წარმოდგენილია როგორც მის მიერ ქართველთათვის თავდაპირველად მიცემული ფიცის შესრულება. ფიცის პირობა კი შემდეგი იყო: “არა აღრევა სპარსთა და წარჩინებულად პერობა ჩვენი” (“ჩვენში” იგულისხმებიან ქართლის წარჩინებულები – “ერისთავნი ქართლისანი”) (ყაუხჩიშვილი 1955: 63). მდენად, მემკვიდრე ხაზს უსვამს, რომ საკუთრივ ქართლის ტერიტორია ანუ “საზღვარი” დაპყრობილი სპარსთაგან არ არის, რადგან ადგილობრივ არისტოკრატიას თავისი წარჩინებული სტატუსი უპყრია, რაც მას საკუთარი კულტურული იდენტობის ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს. “ერისთავნი ქართლისანი” ამბობენ, რომ თუ მათი ეს მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული “და უკეთუ სჯულსა მამათა ჩუნთასა მოგვიღებდეს (ე.ი. წაგვართმევდეს), და ჩუნ ზედა სპარსთა წარჩინებულ ჰყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა ჩუნთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუნთათვის ვიდრე მონახვასა ესევეთარისასა.” (ყაუხჩიშვილი 1955: 63). ამ პასაჟში აშკარად იკვეთება არა მხოლოდ კულტურული, არამედ ტერიტორიული იდენტობის საზღვრებიც. საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში მყოფი არისტოკრატია მოითხოვს თავისი კულტურული ისტორიული ღირებულებების, სოციალური სტატუსის და ტერიტორიული სუვერენიტეტის შენარჩუნებას. საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრები კი, ჯერ კიდევ *ფარნავაზის ცხოვრების* ერისთავთა სიით არის მონიშნული. *მირიანის ცხოვრების* მიხედვით რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ამ ტერიტორიულ საზღვრებში არ ივარაუდება. აი ეს სიაც:

მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და

განამრავლნა ყოველნი მხედარნი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი.

ერთი ვაგზავნა მარგვის ერისთავად, და მისცა მცირით მთითვან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ადმდე [ევრისისა], რიონს ზემოთ. და ამხვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და ღიმნა.

და ვაგზავნა მეორე კახეთისა ერისთავად, და მისცა არაგვითვან ვიდრე პერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეტი.

ესამე ვაგზავნა ხუნანისა ერისთავად, და მისცა ბერდუჯის მდინარითვან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანთამდის, რომელ არს გარდაბანი.

მეოთხე ვაგზავნა სამშვილდის ერისთავად, და მისცა სკვირეთისა მდინარითვან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი.

მეხუთე ვაგზავნა წუნდის ერისთავად, და მისცა ფანგართვან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი.

მექექსე ვაგზავნა ოძრხის ერისთავად, და მისცა ტასისკართვან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითვან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა.

მეშვიდე ვაგზავნა კლარჯეთის ერისთავად, და მისცა არსიანთვან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი იყო ერისთავი ევრისისა.

ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა თბილისითვან და არაგვითვან ვიდრე ტასისკარამდე და ფანგარადმდე, რომელ არს შიდა ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განავებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. (ყაუხნიშვილი 1955: 24-25)

სწორედ ეს შემოფარგლული ტერიტორია, სადაც მეფე “ავზავნის” ერისთავებს არის საკუთრივ ქართლის სამეფო³. მირიანის ცხოვრებიდან კარგად ჩანს ისიც, რომ ტერიტორიული იდენტობა ისტორიულ და კულტურულ იდენტობასთან მჭიდრო კავშირში გაიაზრება. შემთხვევითი არ არის, რომ სანამ მირიანს (7 წლის სასანიან უფლისწულს) გაამეფებდნენ ქართლის სამეფოში, სპასპეტთან იკრიბებიან ერისთავნი ქართლისანი. ერისთავები სპასპეტის გარშემო შესაძლოა სიმბოლურად, მაგრამ მაინც გამოხატავენ ქვეყნის მთელ

³ ეგრისს აქ ერთგვარად შუალედური ადგილი უჭირავს – ეს მიწა შემოდის ქართლში, რადგან მისი გამგებელი ქუჯი ფარნავაზის ერისთავადაა სახელდებული და სიაშიც არის შეყვანილი (ერთია რვათავან), მაგრამ ამავე დროს მის შესახებ არ ითქმის სიტყვა “ვაგზავნა” როგორც სხვა ერისთავებზე, რაც მიანიშნებს ეგრისის საერთავოს განსაკუთრებულ ნახევრად დამოუკიდებელ სტატუსზე.

ტერიტორიას რვა საერისთავოს და სასპასპეტოს, სწორედ ეს არის “საზღვარი ქართლისა”. საზოგადოების ზედა ფენას, რომელიც ამ სახელმწიფო სივრცეს აკონტროლებს იმავდროულად პრეტენზია აქვს თავისუფლად “ეპყრას” მამათა სჯული. “მამათა ჩვენთა სჯულში” ბევრი რამ იგულისხმება: აქ ისტორიული მესხიერების მომენტიც არის, ეთნიკურ-ნათესაობითიც, რელიგიური წეს-ჩვეულებითი, ერთი სიტყვით ამ ერთ ფრაზაში სავსებით ტევადად და არაორაზროვნედ გადმოცემულია იმ რთული ფენომენის შინაარსი, რომელსაც დღეს კოლექტიურ კულტურულ იდენტობას ვუწოდებთ. მირიანის გამეფების სიუჟეტიდან კარგად ჩანს, რომ თავად მეფეც ვადლებულია დაიცვას ის კულტურული ღირებულებები, რომლებიც “მამათაგან” გადმოეცა ადგილობრივ არისტოკრატიას.

მირიანი სწორედ ამ ღირებულებების დაცვის გამო არის შეფასებული მემატნიანის მიერ როგორც საუკეთესო მეფე – “უმეტეს ყოველთა მეფეთასა”. გთავაზობთ მირიანის გამეფების სიუჟეტის დამაგვირგვინებელ პასაჟს:

და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შუნა შვიდთა მათ კერპტასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული. და კმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპტანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. (ყაუხჩიშვილი 1955:65)

ამ ციტატაში ჩამოთვლილია ფაქტობრივად ქართლის სამეფოს არისტოკრატის ეთნო-კულტურული იდენტობის საზღვრები, რომელშიც შედის მამათა რელიგია, კულტმსახურება, ენა, ადგილობრივი წარმოშობის მეფეთა ნათესაობა (ეთნიკური ასპექტი). ეს ყოველივე კი პოლიტიკურად გარანტირებულ სივრცეზეა პროეცირებული. აქ ტერიტორიას, არისტოკრატულ *ეთნისა* და მის კულტურას შორის ტოლობის ნიშანია დასმული. ყველა ეს კატეგორია აშკარად ერთმანეთის იდენტურია. ვფიქრობ, *მირიანის ცხოვრებაში* გასაოცარი სიცხადით და პიდაპირობით არის გაცნობიერებული ქართლის სამეფოს არისტოკრატული *ეთნის* იდენტობის მარკერები.

ვფიქრობ, საჭიროა განმარტებისათვის მკითხველს შევასხენო, თუ რა იგულისხმება არისტოკრატული *ეთნის* ცნებაში. როგორც თანამედროვე ეთნიკურ და ნაციონალურ კვლევათა წარმომადგენლები ამბობენ, ნაციებზე და ნაციონალიზმზე ლაპარაკი მხოლოდ მოდერნული ეპოქიდან იწყება. ის ეთნო-კულტურული გრძნობები და განწყობილებები, რომლებიც მანამდე ე. ი. შუა საუკუნეებსა და ანტიკურობაში არსებობდა შეიძლება დახასიათდეს როგორც ეთნიკური ერთობის ცნობიერება. ეთნიკური ერთობის, ანუ როგორც ენტონი სმიტი მას უწოდებს *ეთნის* იდენტობაში ძალუმად არის შეჭ-

რილი ისტორიულ-ტერიტორიული, ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური ცნობიერება. ამ ცნობიერების მქონე შეიძლება იყოს არა მთელი ერთობა, როგორც ნაციის შემთხვევაში, არამედ მისი ერთი ნაწილი – არისტოკრატია. ისეთ ეთნიკურ ერთობას, სადაც ძირითადი კულტურულ-ისტორიული ცნობიერების და ღირებულებების მატარებელია არისტოკრატია არისტოკრატიულ *ეთნის* უწოდებენ. (სმითი 2008: 111)

ახლა დავუბრუნდეთ ზევით დასმულ შეკითხვებს და განვაგრძოთ *ქართლის ცხოვრების* “დაკითხვა”. ამათგან ნაწილს, ვფიქრობ, უკვე გავეცი პასუხი. რა შეიძლება ითქვას ასეთ შეკითხვაზე: რა ემოციურ და ეკზისტენციალურ ცნებებში აღწერს *ქართლის ცხოვრება* ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე პოლიტიკური კონტროლის დაკარგვას ან საზღვრების კონფიგურაციის ცვლილებას?

ფეროზს “რანის ერისთავს” (კავკასიის ალბანეთის ძველი სახელწოდება) მირიანმა უკვე როგორც სპარსეთის შაჰის მოხელემ კავკასიაში მისცა ქვეყანა “ხუნანიოგან ბარდავამდე მტკვრისა ორივე კერძი” (ყაუხჩიშვილი 1955: 68-69) ამავე ფეროზს მირიანმა მისცა “ასული თვისი ცოლად”. ფეროზის სამფლობელოთა შემდგომი ბედიც ცნობილია მემატიანისათვის. მეფე ბაქარმა მირიანის უფროსმა ვაჟიშვილმა თავის “დისიძეს” ფეროზს “რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანისგან, მისცა მის წილ სამშვილდითგან მიღმართ ქვეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა. მაშინ ღა ნათელ ილო ფეროზ და ერმან მისმან” – ამბობს მემატიანე. მაშასადამე, ბაქარს ფეროზისთვის უკვე საკუთრივ ქართლის ტერიტორია დაუთმია. ფეროზი, როგორც ჩანს, სამშვილდის ერისთავი გამხდარა. სწორედ ამ დროს გაქრისტიანდა ფეროზი. აქ ისეთსავე ტოლობას ვხედავთ ტერიტორიულსა და კულტურულ იდენტობას (ამ შემთხვევაში ქრისტიანული რელიგიის სახით) შორის, როგორც მირიანის დროინდელ “ერისთავთა ქართლისათა”-ს შემთხვევაში. როდესაც ფეროზს მირიანისაგან “რანი ბარდავამხის” ე. ი. არა საკუთრივ ქართლის სამეფოს მიწა-წყალი ჰქონდა მიცემული, ეს მას არ ავალდებულებდა ქრისტიანი გამხდარიყო. მაგრამ, როდესაც მისმა სამფლობელომ ქართლის საერისთავოთა ფარგლებში გადმოინაცვლა, ვითარება შეიცვალა “და მაშინღა ნათელ ილო ფეროზ და ერმან მისმან”.

ბაქარის შვილის – მირდატის ძის – ვარაზ ბაქარის დროს, როგორც მემატიანე გადმოგვცემს, შემოვიდნენ სპარსნი “ხარკისა დადებად”. ვარაზ ბაქარი “ეზრახა” სპარსთა ერისთავს და ითხოვა მშვიდობა მისგან. ამის საპასუხოდ სპარსთა მხარის პირობა ასე უღერდა “პირველად მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისგანთა არს, ხოლო თქვენდა კმა არს ქართლი...” ზავის შედეგად სპარსთა ერისთავს პეროზის “შვილნი” ტყვედ წაუყვანია,

ხოლო მათი ქვეყანა (იგულისხმება სამშვილდითგან ვიდრე თავად-მდე აბოცისა) “საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე” (ყაუხჩიშვილი 1955: 136-137). ზავის პირობებით, მაშასადამე, ქართლის მეფეს სპარსელთათვის დაუთმია ის ტერიტორია, რომელიც არ შედიოდა საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრებში. ამიტომ აქ ტერმინი “მოუღო საზღვარი” ანუ წაართვა სამეფოს ტერიტორია არ არის ნახმარი, პირიქით, ხაზგასმულია, რომ “საზღვარი ქართლისა მოსცა ვარაზ-ბაქარსვე”. შესაბამისად, ასეთი დანაკარგი მემატიანისა და, უნდა ვიფიქროთ, თავად ქართული *ეთნისტისაც* არ იქნებოდა ტრადიციის ტოლფასი.

სულ სხვაგვარი ვითარებაა, როდესაც საკუთრივ ქართლის სამეფოს „საზღვარს“ (ტერიტორიას) მიიტაცებს მოწინააღმდეგე.

საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრის დაკარგვა ავტორის მიერ განცდილია როგორც კატასტროფა –ღვთის რისხვა, რომელიც ქართველებს დაატყდათ თავს იმის გამო ღვთის წინაშე ცოდვა გაამრავლეს. მემატიანე ორ ასეთ შემთხვევას ადარებს ერთმანეთს. ერთი ვახტანგ გორგასლის მცირეწლოვნობის ჟამს მოხდა. ავტორი გვიყვება, თუ როგორ შემოიჭრნენ “ოვსნი” და მოტყვევნეს ქართლი “თავითგან მტკვრისა, ვიდრე ხუნანამდე”. მათ მოაოხრეს, მაგრამ ვერ დაიპყრეს ქვეყანა, ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის უმცროსი და – “სამისა წლისა ქალი”. მტრის მიერ ქვეყნის აოხრების და აწიოკების აღწერას მოსდევს კულმინაციური მომენტი იმ უბედურებისა, რომელიც ქართველთ თავს დაატყდათ: “გამოვიდნეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისწყალს ქუემოთ კერძი ყოველი, და დაიპყრეს ეგრის-წყლითგან ვიდრე ციხე-გოჯადმდე.” სწორედ ამ დროს, როცა ბერძნებმა საკუთრივ ქართლის სამეფოს საზღვრები გადმოლახეს და მისი ტერიტორია მიიტაცეს, “მაშინ იწყო გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა” (ყაუხჩიშვილი 1955: 146). მაშინ მემატიანე “ერს” ათქმევინებს

განვამრავლეთ ცოდვა ღრმთისა მიმართ, და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლად მოაწია ღმერთმან ჩუენ ზედა ესე რისხუა, რამეთუ მივუცნა ჩუენ წარტყუენვად უცხოთა ნათესავთა, და მივვიღო ჩუენ საზღვარი ბერძენთაგან, ვითარცა მიუღო ვარაზ-ბაქარს მეფესა კლარჯეთი. და იგი ცოდვითა ვარაზ-ბაქარისითა მოიწია, რამეთუ ვერ კეთილად ეპყრა სჯული ქრისტესი. ხოლო ესე არა მეფეთა ჩუენთა ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერისა ცოდვისაგან (ყაუხჩიშვილი 1955: 146).

ეს პასაჟი ამოღებულია ქართლის ცხოვრების იმ ნაწილიდან, რომელიც გამოყოფილია სათაურით *ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა*. ჩანს, რომ გორგასლის ცხოვრება აშკარად იცნობს და ეყრდნობა ქართლის ცხოვრების ვახტანგამდელ საისტორიო ტრადი-

ციას; ვარაზ-ბაქარი, ის მეფეა, რომლის დროსაც შემოვიდნენ სპარსნი, ნაწილობრივ მის შესახებ ზევით უკვე ვისაუბრე. ის, *ქართლის ცხოვრების* მიხედვით, მართლაც ცოდვილი მეფეა: *ესე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა*. მის დროს მართლაც *განდგნენ კლარგნი ვარაზ-ბაქარისა ან და მიერთნეს ბერძენთა...* და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე. და დარჩა ვარაზ-ბაქარს ქართლი თვინიერ კლარჯეთისა და ჰერეთი და ეგრისი. (ყაუხჩიშვილი 1955: 136-137) ასევე, როგორც ცოდვილსა და ურწმუნოს იცნობს და მოიხსენიებს ამ მეფეს გორგასლის მემამულიანეც და წინამორბედი მემამულიანის მსგავსად, თვლის, რომ სახელმწიფო ტერიტორიის დაკარგვა სწორედ ამ ჩადენილ ცოდვათა შედეგად მოვლენილი სასჯელი იყო. ავტორის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: ბერძნებმა ქართლის სამეფოს ტერიტორია მიიტაცეს ვარაზ-ბაქარის მეფობის დროს. ეს თვით ვარაზ-ბაქარის ურწმუნოების ბრალია. მსგავსი სიტუაცია გორგასლის დროსაც განმეორდა, მაგრამ ამაში მეფე დამნაშავე არ არის –ის მორწმუნე და ღვთისმოშიში მეფეა... ამიტომ ავტორი თვით ქართველებს ათქმევინებს: ეს უბედურება ჩვენი ურწმუნოების გამო მოხდაო; ამგვარად, ჩანს, რომ ტერიტორიის დაკარგვა: “საზღვრის მოღება” და ქვეყნის “დაპყრობა” მატთანეში შეფასებულია, როგორც ყველაზე მძიმე სასჯელი, რომელიც ცოდვათა და და უღმერთოებათა გამო ეწევა ქვეყანას.

საერისთავოთა ნუსხისა და მათი საზღვრების მშრალი ჩამონათვალის გარდა *ქართლის ცხოვრება* ტერიტორიულ-გეოგრაფიულ ინფორმაციას მაშინაც გვაწვდის, როცა სამეფო სახლის წევრების ტერიტორიულ-უფლებრივ საკითხებზეა საუბარი. მაგალითად, *ქართლის ცხოვრება* საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის მირიანის გვერდითი შტოს – რევიანების სამფლობელოს შესახებ და იმ უფლებრივ-პოლიტიკურ რეალიებზე, რომლებიც ბაქარიანებსა და რევიანებს შორის მომხდარა. თუ ჩვენ რევიანების შესახებ გამოთქმულ რეპლიკებს ამოვკრეფთ *მირიანის ცხოვრებიდან*, მისი შვილის ბაქარის ცხოვრებიდან და ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან, შევძლებთ, რომ თვალი გავადევნოთ რევიანთა სამფლობელოების ცვლილებათა დინამიკას IV-V სს-ის მანძილზე.

და მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს. და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრის წყლამდე; და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხოვნდებოდეს ივინი უჯარმას. (ყაუხჩიშვილი 1955: 70-71).

მაშინ მეფემან ბაქარ, შუამდგომელობისა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა, დაწერა ხელით-წერილი ძმისწულთა

მისთა დედისა მათისა ხალომესგან ესრეთ, ვითარმედ: “ვიდრემდის იყოს ნათესავი ბაქარისი, რომელსა ეძლოს პერობა მეფობისა, მისი იყოს მეფობა, და არაოდეს ძებნონ მეფობა ნათესავთა რევითა”... მაშინდა მოიყვანნა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად. (ყაუხჩიშვილი 1955: 131).

ნათესავისაგან მირიან მეფისა მოერწმუნისა ვახტანგ და დანი მისნი დარჩომილ იყვნეს: ივინი იყვნეს ნათესავნი ბაქარ მირიანის ძისა. ხოლო მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევითა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვრებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა. რამეთუ შემცირებულ იყვნეს ურთიერთსა კლვითა. (ყაუხჩიშვილი 1955: 159).

როგორც ვხედავთ, მირიანის დროს რევს აქვს კახეთი და კუხეთი. როგორც ჩანს, ეს ერთი საერისთავოა (თუმცა ნათქვამია “საუფლისწულოდ”) ამ დროს ცენტრით უჯარმაში (შეადარე ფარნავაზის ცხოვრების საერისთავოთა სია, აქვე, გვ.15). შემდეგ, ბაქარის დროს რევიანები მხოლოდ კუხეთს ფლობენ და სხედან რუსთავში ერისთავად. ე. ი. კუხეთი ცალკე საერისთავოდ გამოყოფილა და რუსთავი კუხეთის საერისთავოს ცენტრი გამხდარა.

შემდეგ, ვახტანგ გორგასლის დროს რევს შთამომავლებს მირიანსა და გრიგოლს ვხედავთ ისევ ციხე-ქალაქ რუსთავში კუხეთის მფლობელად, მაგრამ უკვე არა ერისთავად. როგორც ვახტანგის ცხოვრების ერისთავთა ნუსხაშია მითითებული, კახეთი და კუხეთი ისევ ერთი საერისთავოა, როგორც მირიანის სიცოცხლეში იყო, მაგრამ ამ საერისთავოში რევიანები აღარ ერისთავობენ, რადგან ერისთავად აქ დასახელებულია ვინმე “დემეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა” (ყაუხჩიშვილი 1955: 185). ამგვარად, ცხადია ქართლის ცხოვრება ტერიტორიას განიხილავს პოლიტიკურ ძალაუფლებასთან, დინასტიური და არისტოკრატიული წარმომავლობის ლეგიტიმურ უფლებებთან მჭიდრო კავშირში. სივრცე და ტერიტორია აქ უპირველეს ყოვლისა სამფლობელო თუ საგამგეოა, ეს არის საზღვარი, სადაც ესა თუ ის საგვარეულო შტო თუ დინასტია თავის ლეგიტიმურ უფლებების ახორციელებს.

ვფიქრობ, მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, თუ რას ნიშნავს ქართლის ცხოვრებაში საზღვარი ქართლისა ეს არის საკუთრივ ქართული სახელმწიფოს ტერიტორია, სადაც ქართველთა მეფის (თუნდაც სასანური წარმომავლობის) სუვერენული უფლებები ვრცელდება. ეს ის ტერიტორიაა, სადაც ქართველი წარჩინებულები (ანუ არისტოკრატიული ეთნი) ელიან და მოითხოვენ კიდევ “კეთილად პერობას” და “არა აღრევას” უცხო ერთობასთან. საკუთრივ ქართლის საზღვრებშია სწორედ წარმოდგენილი ის 8 საერისთავო და სასპასპეტო, რომელიც პირველთგანვე ფარნავაზის შექმნილად

არის გამოცხადებული. საერისთავოთა ჩამონათვალი თავისი საზღვრებით ფაქტობრივად არის ქართლის სამეფოს ლეგიტიმური ტერიტორიის პოლიტიკური მოდელი. ამ ტერიტორიას და მისი მფლობელი ეთნის ეთნო-კულტურულ იდენტობას შორის არა უბრალოდ მჭიდრო არამედ იგივეობის კავშირი არსებობს.

ქართლის ცხოვრებაში გეოგრაფიული აღწერილობის ლოგიკით ყველა შემთხვევაში ტერიტორია ისეა მითითებული, რომ ჩანს, ავტორი მის დახასიათების არავითარ აუცილებლობას არ ხედავს, რადგან ივარაუდება, რომ ამ სივრცეს მკითხველი ისედაც იცნობს. ეს არის “მისი” სივრცე, “მისი” ტერიტორია. სივრცე, უპირველეს ყოვლისა, არის დინასტიის თუ ადგილობრივი არისტოკრატიის ძალაუფლების სიმბოლო – სამფლობელო და საგამგეო ტერიტორია. აქ ტერიტორიის ფლობის სამართლებრივი მომენტი უფროა გახაზული, ვიდრე შემეცნებითი თუ წმინდა ლიტერატურულ-გასართობი.

ქართლის ცხოვრების დამოკიდებულება ტერიტორიის მიმართ ავლენს, რომ ეს არის “შიდა მოხმარების” ისტორია. მისი მიზანი არ არის გარე სამყაროს აღწერა, სხვადასხვა ხალხებისა თუ ქვეყნების შემეცნება, ის რასაც რეი ლორენსი “იმპერიული პროექტის ნაწილს” უწოდებს. აქ მთავარია სამფლობელო, მისი საზღვრები, როგორც ის არეალი, სადაც სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება ვრცელდება და სადაც ადგილობრივი არისტოკრატიული ეთნი თავის სოციალურ და კულტურულ იდენტობას ახორციელებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბულაძე: აბულაძე, ილია (რედ.). *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. I. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964.
- ბათერფილდი: Butterfield, Herbert. “The Rise of Classical Historiography”. *The Origins of History*. London, 1981.
- გენე: გენე, ბერნარ. *შუა საუკუნეების დასავლეთის ისტორია და ისტორიული კულტურა*. თარგმანი ფრანგულიდან რუსულ ენაზე. მოსკოვი: იაზიკი სლოვიანსკოი კულტური, 2002.
- ელიადე: Mircea. *The Sacred and the Profane*. San Diego, New York, London, 1987.
- ელიადე: ელიადე, მირჩა. “მითოსი – პარადიგმული მოდელი, ინგლისურიდან თარგმნა ლ. პატარიძემ”. *კლდეკარი*, 1996 №1, 191-200.
- მუსხელიშვილი: მუსხელიშვილი, დავით. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, I. თბილისი: მეცნიერება 1977.

- ლორენსი: Laurence, Ray. "Territory, Ethnonyms and Geography: the construction of Identity in Roman Italy". In Ray Laurence and Joanne Berry (eds). *Cultural Identity in the Roman Empire*. London and New York: Routledge 2001.
- ლიდოვი: А.М. Лидов, Иеротопия. Создание сакральных пространств как вид творчества и предмет исторического исследования. Иеротопия. Создание сакральных пространств в Византии и Древней Руси, Москва, "Индрик", 2006.
- რაპი: Rapp, Stephen Harold. *Imagining History at the Crossroads: Persia, Byzantium, and The Architects of the Written Georgian Past*. Vol. I. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (History) in The University of Michigan 1997.
- სმიტი: Smith, Antony D. *National Identity*. Reno, Las Vegas, London: University of Nevada Press. 1991.
- ფლავიუს არიანე: ფლავიუს არიანე. *მოვზაურობა შავი ზღვის გარშემო*. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭელაძისა, თბილისი: მეცნიერება 1961.
- ყაუხიშვილი: ყაუხიშვილი, სიმონ (რედ.). *ქართლიც ცხოვრება*, ტ. I. თბილისი: სახელგამი, 1955.
- ყაუხიშვილი: ყაუხიშვილი, სიმონ (რედ.). *ქართლიც ცხოვრება*, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი: საბჭოთა საქართველო 1973.

Lela PatariZe

Territorial and Cultural Identities in the Context of Christianity

We-groups, based on collective cultural identity, are primarily mnemonic entities. They simply do not exist without the historical memory. The strength of in-group bonds and the degree of consolidation do depend on what is the configuration of the ethnic and national historical narrative, on how vital its principal proofs are. The present article has been focused on one of the most principal historical monuments of the pre-modern Georgian historiography *Kartlis Tskhovreba* ("The Life of Kartli"), having always been of special interest in Georgian Studies; however, it was traditionally studied as a source for the sake of the immediate information provided by the work, that is, it was concerned in order to find out what had happened, and there was almost no concern with how it was reflected in social perceptions.

The author demonstrates why is a territorial identity is considered to be one of the most important components of national consciousness on its every level of development.

მარინა ქავთარაძე

პიროვნების თვითიდენტიფიკაციის პრობლემა
დიმიტრი შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში

ლიტერატურა დიმიტრი შოსტაკოვიჩზე დიდი და მრავალფეროვანია – დაწყებული მისი ცხოვრებისა და შემოქმედების, ცალკეული ჟანრისა თუ ნაწარმოების ფუნდამენტური ანალიზიდან, დამთავრებული კომპოზიტორის მოგონებებით. ყველა, ვინც კი მიმართა მის შემოქმედებას, გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ ჭეშმარიტად გიგანტური ფიგურისადმი, და უპირველეს ყოვლისა გამოავლინა თავისი დამოკიდებულება მის მიმართ, განსაზღვრა რა კომპოზიტორის ადგილი მარადიულ ღირებულებათა სისტემაში. ამავე დროს შოსტაკოვიჩის სახელი გახდა თავისებური სიმბოლო დროისა, რომელშიც ის ცხოვრობდა, და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს, სიმბოლო სრულიად განსხვავებული – იმის გათვალისწინებით თუ რა კუთხით შევხედავთ მას, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს მისი შემოქმედების და პიროვნების მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში ხელოვანთა მხოლოდ მცირედმა ნაწილმა, შეძლო არ გამტყდარიყო, ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად წინ აღდგომოდა ტოტალიტარულ რეჟიმს; ამ პირობებში თითოეული ადამიანი თავის გზას პოულობდა გამოსავლისათვის, ყოველ მათგანს თავისი კომპრომისები და ზღვარი ჰქონდა, რომლის გადაბიჯების უფლებას საკუთარ თავს აძლევდა; რამდენი იდეოლოგიურად მიუღებელი ნაწარმოები, „თაროზე შემოდებული“ ელოდა თავის დროს, ან დარჩა დაუმთავრებელი და განუხორციელებელი. მაგრამ საკმარისია ამ პერიოდის მუსიკის გულდასმით მოსმენა და ანალიზი, ნაწარმოებების შექმნის თარიღების შედარება იმ მოვლენებთან, რომლებიც ქვეყანაში ხდებოდა, რომ ბევრი რამ სხვა ელფერს იძენს.

საყოველთაოდ ცნობილია ბგერა-სიმბოლოების მნიშვნელობა შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში, მათ შორის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მის მონოგრამა „DSCH“-ს (D. Schostakovich), რომლითაც შექმნილი ავტოპორტრეტი, ამავე დროს, საკუთარ „მე“-ზე პროექცირებული XX საუკუნის კატაკლიზმებით სავსე კაცობრიობის პორტრეტი, ტრაგიკული და მრავლისმეტყველი. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ებრაული თემისადმი მი-

მართვა დიმიტრი შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში, რომელიც არაერთ კითხვას ბადებს.

რატომ იკავენ შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში ესოდენ დიდ ადგილს ებრაული თემა? რატომ იზიდავდა მის შემოქმედებით ფანტაზიას ის მხატვრული სახეები, რომელიც საბჭოთა კავშირში არაოფიციალურად აკრძალული იყო და იდევნებოდა? რატომ მიმართავდა ის მათ მონოგრამასთან ერთად?

ამ კითხვებზე პასუხი მომცა შოსტაკოვიჩის მეგობრის, ისააკ გლიკმანის მოგონებებმა და მისდამი შოსტაკოვიჩის მიერ მიწერილი წერილების პუბლიკაციამ (**გლიკმანი 1993**), თავად შოსტაკოვიჩის მემუარებმა – «Свидетельства», რომელიც გამოსცა სოლომონ ვოლკოვმა (**ვოლკოვი 1979**) და მისივე წიგნმა «Шостакович и Сталин» (**ვოლკოვი 2005**); მათ განამტკიცეს კომპოზიტორის შემოქმედებასთან დაკავშირებული ჩემი მოსაზრებები, რომელთა დადასტურებაც მის ნააზრევში და შემოქმედებაში ვნახე; ასე დაიბადა ეს თემა.

რუსულ მუსიკაში ცნობილია ებრაული თემისადმი მიმართვის ფაქტები ისეთი კომპოზიტორების შემოქმედებაში როგორცაა გლინკა, სეროვი, მუსორგსკი, რუბინშტეინი. მაგრამ ებრაული მათ მუსიკაში უფრო „ეკზოტიკურ“, „ორიენტალურ“, ერთჯერადი გამოყენების ხასიათს ატარებდა. სხვაგვარია შოსტაკოვიჩის დამოკიდებულება ამ თემისადმი;

დიმიტრი შოსტაკოვიჩი ებრაული კულტურისა და მუსიკისადმი ინტერესს იჩენდა მთელი ცხოვრების მანძილზე. ცნობილი პიანისტი ქალის მარია იუდინას მტკიცებით შოსტაკოვიჩი „მეტაფორულად“ ებრაელობასთან მთელი ცხოვრება იყო დაკავშირებული, თუმცა წარმოშობით ის იყო პოლონელი და ებრაული მის სისხლში წვეთი არ ყოფილა. შესაძლოა, რომ ის ისწრაფვოდა ებრაელების წინაშე მითითური დანაშაულის გამოსყიდვისაკენ, რაც ნაკლებ სავარაუდოა, ან ცდილობდა ამ გზით მიეცა გამოსავალი საკუთარი სულიერი „დევნილობისათვის“, ტანჯვის შეგრძნებისათვის არსებული რეჟიმის პირობებში, რის გამოც საკუთარი თავის ებრაელობასთან იდენტიფიცირებას ახდენდა. ნიშანდობლივია, რომ გუსტავ მაღერის მსგავსად ებრაული მუსიკიდან ის უპირატესობას ანიჭებდა ყოფით ჟანრებს, აკეთებდა აქცენტს მათ ტანჯვით, „ტირილის“ ინტონაციებზე, ჰენამისოტონიკურ კილოზე, რომელიც ასე სახასიათოა ებრაული მუსიკისათვის.

შესაძლოა, შოსტაკოვიჩისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო იმ ადამიანებთან საკუთარი თავის გაიგივება, რომლებსაც სდევნიდნენ და კლავდნენ; მან მშვენივრად იცოდა რა იყო II მსოფლიო ომი, გულაგი და ხალაკოსტი.

როგორც ცნობილია, პოსტსაბჭოურმა ეპოქამ მოახდინა ღირებულებათა გადაფასება და „ინფლაცია“. არ დაინდო მან შოსტაკო-

ვინც. „სიმართლე“ მის შესახებ გახდა არაერთი წიგნის, სიმპოზიუმის თუ ფესტივალის თემა, განსაკუთრებით უცხოეთში. უფრო ადრეული რუსული გამოცემები შოსტაკოვიჩის შესახებ „ეპოქის ნიშნითაა“ აღბეჭდილი; მაგალითად, ს. ხენტოვას 1986 წელს გამოსული ფუნდამენტური მონოგრაფია 2 ტომად, რომელიც დიმიტრი შოსტაკოვიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალურ აღწერას ახდენს, „ვირტუოზულად ახერხებს“ დაფაროს მისი შვილის, დირიჟორ მაქსიმ შოსტაკოვიჩის არსებობის ფაქტი, რომელიც 1981 წლიდან, ემიგრაციაში იმყოფებოდა ევროპაში.

დიმიტრი შოსტაკოვიჩის შესახებ არსებულ თანამედროვე რუსულ და დასავლურ ლიტერატურაში, ხშირად გეხვედება მოსაზრებები, რომ ის ოფიციალური კომპოზიტორი, „მშიშარა“ და „რეჟიმის მსახური“ იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მავანთათვის „პოლიტიკურად“ მიუღებელი აღმოჩნდა მისი პიროვნება, რომელიც მათი აზრით ღიად უნდა დაპირისპირებოდა არსებულ რეჟიმს. არსებობს აგრეთვე ვარაუდი იმის თაობაზე, რომ 1936 წლის შემდეგ ის თავად კი არ წერდა სტატიების და გამოსვლების ტექსტებს, არამედ მხოლოდ ხელს აწერდა მათ. სოლომონ ვოლკოვის მირ გამოქვეყნებულმა შოსტაკოვიჩის მემუარებმაც ვერ გადაარწმუნა ოპოზიციონერები საწინააღმდეგოში. არა და როგორ გულახდილად ჟღერს კომპოზიტორის სიტყვები მისი ყველაზე საყვარელი ნაწარმოების - მე-14 სიმფონიის შესახებ: *«Тюремные камеры – страшные норы. Люди ждут. Можно с ума сойти от страха. Многие не выдерживают напряжения. Я знаю об этом. Ожидание казни – одна из тем, которые меня мучили всю жизнь. Многие страницы моей музыки про это».*

მუსიკას გააჩნია თავისთავადი ღირებულება, მაგრამ მან შეიძლება ნათელი მოჰფინოს არა მარტო ნაწარმოების შექმნის პროცესს და დაგვეხმაროს უფრო ღრმად შევიგრძნოთ ხელოვანის სულიერი ტკივილი და მისი ტრაგედია, არამედ მისი მისიაც ამ საზოგადოებაში

ებრაული თემა სსრკ-ში ფაქტიურად აკრძალული იყო. ხელისუფლება დროდადრო აწყობდა ანტისემიტურ კამპანიებს „მავნებლებთან“, „კოსმოპოლიტებთან“, „მარგინალ-ვეიცმანისტებთან“, „მკვლელ ექიმებთან“, „სიონისტებთან“ ბრძოლის სახით. 1952 წელს კი მასიურად დახვრიტეს ებრაული ლიტერატურის მოღვაწეთა ის ნაწილი, რომელიც იდიშს ფლობდა.

შოსტაკოვიჩის პროტესტი არსებული რეჟიმის მიმართ ნაწარმოებების ინტონაციურ ბუნებაში, მის მრავალშრიან დრამატურგიულ სტრუქტურაში, მის ორმაგ კოდირების პრინციპზე აგებულ მუსიკალურ სიმბოლოებში გამოიხატებოდა. მემუარებში ვკითხულობთ *«Для меня еврейский народ превратился в символ: в нем сосредоточена была вся незащитность человека. После войны я попытался передать это*

ощущение в своей музыке. Для евреев тогда наступили нелегкие времена, хотя какое время было для них легким?» (2,56)

საკუთრივ ებრაული მუსიკით დაინტერესება შოსტაკოვიჩის შემოქმედებაში 40-იანი წლებიდან შეიმჩნევა და აშკარად უკავშირდება მის უსაყვარლეს მოწაფეს ვენიამინ ფლეიშმანს, რომელიც 1941 წელს ომში ტრაგიკულად დაიღუპა. შოსტაკოვიჩმა თავის მოვალეობად ჩათვალა დაესრულებინა და გაეორკესტრებინა, მის მიერ შეთავაზებული სიუჟეტის – ჩეხოვის მოთხრობის მიხედვით შექმნილი ფლეიშმანის ოპერა „როტშილდის ვიოლინო“ (ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული მისი ნაწარმოები), რითაც ფაქტიურად უკვდავყო მოწაფის სახელი. თავად ეს ფაქტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანური და შემოქმედებითი “გმირობა“, იმის გათვალისწინებით, რომ ოპერაზე მუშაობა შოსტაკოვიჩს ევაკუაციაში, უძიმეს პირობებში ყოფნისას უწევდა და თანაც ეს უანრი მისთვის ტაბუდებული იყო 1936 წლის შემდეგ; მას შემდეგ, რაც ოპერა „კატერინა იზმაილოვას“ უწოდეს „სუმბური მუსიკის ნაცვლად“ და უსამართლოდ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს. ოპერა „როტშილდის ვიოლინოში“ აშკარად შეიგრძნობა შოსტაკოვიჩის სტილი. ერთი მხრივ, ფლეიშმანი, როგორც მისი მოწაფე, ცხადია, პედაგოგის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ყვალაფერი რაც დაკავშირებულია ებრაულ მუსიკასთან ამ ნაწარმოებში, თავად ფლეიშმანს ეკუთვნის, ვინაიდან არსებული ცნობებით ის იზრდებოდა რელიგიურ ოჯახში, იცნობდა სინაგოგურ ღვთისმსახურებას, თავად უკრავდა ვიოლინოზე კლესმერულ ორკესტრში და ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული თავისი კულტურის მდიდარი ტრადიციები. მეორე მხრივ, როგორც სჩანს, აღინიშნება უკუგავლენა მოსწავლისა მასწავლებელზე, რადგან სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული შოსტაკოვიჩის „ენობრივ ველში“ მოექცა ებრაული მუსიკა და მის შემოქმედებაში განჩნდა ებრაული მოტივები. ამ სამყაროში შოსტაკოვიჩი ფლეიშმანის წყალობით მოხვდა, რაც არა შემთხვევითი, არამედ გარკვეულწილად მისი შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიციის გამოსატულებაც გახდა. ცნობილია შოსტაკოვიჩის გამონათქვამი ებრაულ მუსიკაზე: *«...она может показаться веселой, тогда как на самом деле трагична. Почти всегда еврейская музыка – это смех сквозь слезы»; «И этот проклятый жид даже самое веселое умудрялся играть жалобно» (Скрипка Ротшильда).*

საკუთრივ შოსტაკოვიჩის პირველი ნაწარმოები, რომელშიც ებრაული თემა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, არის საფორტეპიანო ტრიო №2 (1944), (VIII სიმფონიის კამერული პარალელი) მიძღვნილი უდიდესი ერუდიციის მქონე მუსიკისმცოდნის ივან სოლერტინსკისადმი, რომელმაც, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა მოახდინა შოსტაკოვიჩის მუსიკალური ინტერესების ფორმირებაზე. ტრიოს

ფინალური, IV ნაწილი არსებითად ებრაული ცეკვაა, ტრაგიკული ცეკვა. ამ ნაწილში ჩართული ებრაული თემა თითქოს ასახავს იმ სისასტიკეს, რომელსაც ნაცისტები და კომუნისტები სჩადიოდნენ ებრაელობის მიმართ. საინტერესოა ისიც, რომ გაცილებით გვიან, 1960 წელს გერმანიაში დაწერილ №8 – ავტობიოგრაფიულ კვარტეტში ამ თემას კომპოზიტორი იყენებს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიდან ციტატების და მონოგრამა DSCH-ს გვერდიგვერდ; ცნობილია, რომ ამ ტრიოს ფინალის მიხედვით ცნობილია ბალეტ-მაისტერმა ლ. იაკობსონმა დადგა ერთაქტიანი ბალეტი „საქორწილო კორტეჟი“, რომლის ებრაულ მოტივებზე შექმნილი სიუჟეტი და ქორეოგრაფია შთაგონებული იყო მარკ შაგალის ვიტებსკის პერიოდის ნახატებით.

VIII კვარტეტის შესახებ, რომელიც ოფიციალურად ეძღვნება „ფაშიზმისა და ომის მსხვერპლთა ხსოვნას“, შოსტაკოვიჩი თავის მეგობარს, ისააკ გლიკმანს წერდა: „გარეკანზე შემოდლო პირდაპირ დამეწერა – ეძღვნება ამ კვარტეტის ავტორის ხსოვნას“.



კვარტეტის ოფიციალური მიძღვნა ასახული ქვესათაურში, მხოლოდ შირმა იყო მისი საკუთარი ბიოგრაფიის ქვეტექსტისათვის; VIII კვარტეტი იყო შოსტაკოვიჩის შინაგანი საპროტესტო პასუხი მისი პარტიაში იძულებით შესვლაზე. აქ გამოყენებულია ციტატები შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებიდან, რომლებიც მთელი მისი შემოქმედებითი გზის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს ასახავენ: თემები I, VIII, X სიმფონიებიდან, საფორტეპიანო ტრიოდან, ჩელოს კონცერტიდან, ოპერიდან „კატერინა იზმაილოვა“, მასში გამოყენებული სიმღერის თემით «Замучен тяжелой неволей», რომელსაც წინ უძღვის სიკვდილით დასჯის ეპიზოდის მუსიკა კინოფილმ „ახალგაზრდა გვარდიიდან“. ამ „ავტოკოლაჟის“ შემდეგ კვარტეტის II ნაწილის კულმინაციურ მომენტში ჩნდება ებრაული თემა საფორტეპიანო ტრიოდან, როგორც ავტორისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის დაშიფრული ინფორმაციის მატარებელი; აქ ის კიდევ უფრო ემოციურად ჟღერს. მონოგრამა „DSCH“-დან ინტონაციურად ამოზრდილი ეს თემა თავის თავში ატარებს მის ძირითად მარცვალს, სეკუნდურ ინტონაციას, ავსებს მას, შედის მასთან დიალოგში. ამ ციტატის სემანტიკა, ასოცირებული „მუდმივ ტანჯვასთან“, ნიშნობრივია შოსტაკოვიჩისათვის, რომელმაც ამ ნაწარმოებში თავისი ცხოვრებისეული კრედილო გამოხატა.

ვოკალური ციკლი „ებრაული ხალხური პოეზიიდან“ (სოპრანოს, კონტრალტოს, ტენორისა და ფორტეპიანოსათვის, თხზ.79) შეიქმნა 1948 წელს, „კოსმოპოლიტების“ წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის პერიოდში. ცეკას ავადსახსენებელმა დადგენილებამ – „ვანო მურადელის ოპერა „დიადი მეგობრობის“ შესახებ“, რომელმაც ფორმალისტში დაადანაშაულა შოსტაკოვიჩი, პროკოფიევი, მიასკოვსკი, ხაჩატურიანი, კაბალევსკი, შებალინი, საქართველოშიც კპოვა გამოძახილი ანდრია ბალანჩივაძის მიმართ გამოტანილი მკაცრი ბრალდების სახით. როგორც ცნობილია, ამ დადგენილებას წინ უძღოდა კულტურის სფეროში მთავარი იდეოლოგიის, ჟდანოვის შეხვედრა მურადელთან და დიდი თეატრის დირექტორთან ლეონტიევთან, რომელიც შეხვედრის შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა. ამ მოვლენების კვალდაკვალ, 1948 წლის შემოდგომაზე შოსტაკოვიჩი გაათავისუფლეს პროფესორის თანამდებობიდან დაბალი პროფესიული დონის გამო! სწორედ ამ პერიოდში, დაიწერა ვოკალური ციკლი „ებრაული ხალხური პოეზიიდან“, როგორც კომპოზიტორის თავისებური პროტესტი. 1948 წლის 25 სექტემბერს დიმიტრი შოსტაკოვიჩმა საკუთარ დაბადების დღეს სახლში მოაწყო ნაწარმოების მოსმენა და შეასრულა ეს ციკლი მის პირველ ვარიანტში, რომელიც ტრაგიკული შინაარსის მქონე 8 სიმღერისაგან შედგებოდა. როგორც სჩანს, მოგვიანებით „წინდახედული“ მეგობრების რჩევით შოსტაკოვიჩმა ციკლს დაუმატა 3 სიმღერა (დასრულების თარიღი 24 ოქტომბერი), რომელთა გარეგან შრეში საბჭოთა იდეოლოგიის კვალი აღინიშნება: ებრაელები ნათელ მომავალს საბჭოთა კოლმეურნეობაში პოულობენ. მაგრამ, ამავე დროს, მასში კოდირებულია სიტყვა-სიმბოლოები, რომლებიც ამ ციკლის ტრაგიკული შინაარსის სიღრმისეულ შრეებს ასახავენ. საგულისხმოა, რომ 1949 წელს დააპატიმრეს „ებრაული ხალხური პოეზიის“ კრებული შემდგენლები ი. დობრუშინი და ა. იუდიცკი, მანამდე კი ებრაული კულტურის მრავალი მოღვაწე; ისე რომ ამ სიტუაციაში შოსტაკოვიჩი ვერც კი იფიქრებდა ვოკალური ციკლის საჯარო შესრულებაზე, რომელიც მხოლოდ 1955 წელს შედგა.

ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული სავიოლინო კონცერტი №1, თხზ. 77 (1948 წ.) მიძღვნილი მისი პირველი შემსრულებლისადმი – დავიდ ოისტრახისადმი; ისიც შესრულებას 7 წელი ელოდა (შესრულდა ასევე 1955 წელს). სწორედ ამ ნაწარმოების II ნაწილის ფინალში (ც. 67), „ებრაული“ თემის გატარების შემდეგ პირველად გამოიყენა კომპოზიტორმა თავისი მონოგრამა DSCH, რომელმაც მის შემდგომ ნაწარმოებებში წამყვანი ადგილი დაიკავა. ამ თემათა – ებრაულისა და მონოგრამის ასეთი მეზობლობა, შესაძლოა, სულაც არ იყო შემთხვევითი შოსტაკოვიჩისათვის, რომელიც ხშირად მუსიკით ამბობ-

და იმას, რისი თქმაც სიტყვით არ შეეძლო და დევნილ ებრაელობასთან თვითიდენტიფიკაციას ამ გზით ახდენდა.

სიმებიანი კვარტეტის №4, რე მაჟორი, თხზ. 89 (1949) შექმნის და შესრულების თარიღებს შორის შუალედი 6 წელია. მისი IV ნაწილი, ისევე როგორც ტროში დაწერილია ებრაულ მასალაზე.

შოსტაკოვიჩის საფორტეპიანო პრელუდიებისა და ფუგების მელოდიური წყაროების განხილვისას ხშირად მიუთითებენ მათ ხალხურობაზე, მხედველობაში აქვთ რა მათი რუსული წარმომავლობა.

ამ კონტექსტში ძნელი არ არის დავინახოთ ზოგიერთ მათგანში ებრაული ელემენტი (პრელუდია და ფუგა №8, პრელუდია №17, ფუგა №19, ფუგა №24), განსაკუთრებით ბოლო ფუგაში, სადაც ძირითადი აზრობრივი დატვირთვის მქონე, პიანისიმოდან ამოზრდილი ებრაული თემა გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევს. შოსტაკოვიჩის შემოქმედების სხვადასხვა მკვლევართან ხდება ან ამ ფაქტის უბრალო კონსტატაცია, ებრაული წარმომავლობის ხაზგასმის გარეშე, (ა. დოლჟანსკი, 2) ან მხოლოდ ვოკალურ ციკლთან „ებრაული ხალხური პოეზიიდან“ მათი კავშირის ხაზგასმა (მ. სობინინა, 3).

კიდევ ერთი მიმართვა ებრაული თემისადმი – შოსტაკოვიჩის №13 სიმფონიაა, რომელშიც ყველაზე სრულად აისახა მისი დამოკიდებულება ძალადობისადმი. „*Наш отец ненавидел всякое насилие, а уж тем паче войну*“ – ამ სიტყვებით იხსენებს მაქსიმ შოსტაკოვიჩი მამას. 1961 წელს გამოცემულმა ევგენი ევტუშენკოს ლექსმა *«Бабий яр»*; რომელიც კომპოზიტორს მისმა უახლოესმა მეგობარმა ისააკ გლიკმანმა მიაწოდა, იმ დროს საზოგადოებაზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა; პირველად ებრაული თემა დადებითი პოზიციიდან თანაგრძნობით, ღიად გაისმა ოფიციალური გამოცემის ფურცლებიდან. მართალია, ეს ჯერ არ იყო ანტისემიტიზმის ოფიციალური აღიარება საბჭოეთში, მაგრამ თავად პუბლიკაციის ფაქტი უკვე იმედისმომცემი ფაქტი იყო. შოსტაკოვიჩმა ამ ვოკალურ სიმფონიაში ევტუშენკოს პოეტური ტექსტისადმი მიმართვით, სპეციფიკური საშემსრულებლო შემადგენლობით (სოლისტის, ბანების გუნდის და ორკესტრისათვის), შეიძლება ითქვას, პირველად თავის შემოქმედებაში დაუფარავად, ღიად, პლაკატურად გააცხადა ნაწარმოების იდეა, რაც მანამდე სრულიად წარმოუდგენელი იყო. თავად კომპოზიტორი არაერთგზის უსვავდა ხაზს ამ ოპუსის მნიშვნელობას მისთვის.

ჩელოს II კონცერტის შესახებ (1966) შოსტაკოვიჩი წერდა ი. გლიკმანს: „II ნაწილში და III ნაწილის კულმინაციაში უღერს თემა, რომელიც ძალიან გავს ოდესურ სიმღერას „*Купите дублики*“, (რომელიც უკვე ჰქონდა გამოყენებული ოპერა „ცხვირში“, მ.ქ.) ვერაფრით ამიხსნია რითია ეს გამოწვეული, მაგრამ ძალიან გავს“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ებრაული თემისადმი მიმართვისას შოსტაკოვიჩი თითქმის არ იყენებს ციტატებს, ისეთ წმინდა ებრა-

ულ ნაწარმოებშიც კი, როგორცაა ვოკალური ციკლი “ებრაული ხალხური პოეზიიდან“. მართალია, აქ შეიძლება მელოდიური საქცევების, ტრადიციული ებრაული მუსიკისათვის დამახასიათებელი „ტანჯვითი“ ან „ფრეილაქსის“ ტიპის, ოდესური „*Kyните тублики*“-ს ტიპის კილო-ინტონაციების ამოცნობა; მაგრამ ძირითადად, ეს მაინც შოსტაკოვიჩისეულ მხატვრულ პრიზმაში გარდატეხილი ებრაული მუსიკაა.

«Если говорить о музыкальном воздействии, то еврейская народная музыка оказала на меня самое неизгладимое впечатление. Никогда не устаю ее слушать: она многогранна, она может показаться веселой, тогда как на самом деле трагична. Почти всегда еврейская музыка – это смех сквозь слезы. Евреи так много страдали, что научились скрывать свое отчаяние. Это ее свойство близко моему пониманию музыки: в ней всегда должно быть два слоя..». (შეიძლება გავიხსენოთ შოლომ ალეიხემის სიტყვები „ნახევარი სახე იცინის, ნახევარი ტირის“ მკ). კომპოზიტორის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება იძლევა გასაღებს მისი მუსიკისა და საზოგადოდ ცხოვრების შოსტაკოვიჩისეული გაგებისათვის. იმ პირობებში, რომელშიც მუშაობდა ეს დიდი მუსიკოსი გაჩნდა განსაკუთრებული დამოკიდებულება შემოქმედებისადმი, როცა მას საკუთარი აზრების, გრძნობების გამოსახატავად მათი „დაშიფვრა“ და „ორმაგად“ კოდირებული ენის გამოყენება უწევდა, რომელიც ხშირად გასაგები მხოლოდ მისთვის იყო. ამ კუთხით „ებრაული“ თემები მის შემოქმედებაში არა შემთხვევითი, არამედ თვითიდენტიფიკაციის შეგნებული აქტია, გზავნილია, რომელიც ასახავს შოსტაკოვიჩის დამოკიდებულებას მისი დროისა და რეალობისადმი.

ლიტერატურა:

- გლიკმანი: И. Гликман – "Письма к другу. Дмитрий Шостакович – Исааку Гликману"/ [Санкт-Петербург](#)., DSCH, Композитор „1993“
- ვოლკოვი: С.Волков – «Свидетельство. Мемуары Д.Д. Шостаковича» (რუსულ ენაზე: Aufgezeichnet und herausgegeben von Solomon Volkow. Hamburg, 1979).
- ვოლკოვი: С.Волков – «Шостакович и Сталин. Художник и царь», Москва, «Эксмо», 2005.
- დოლჟანსკი: А Должанский. – «24 прелюдии и фуги Шостаковича», – Ленинград., “Музыка», 1970.
- სობინინა: М.Собинина – «Шостакович – симфонист», Москва, “Музыка», 1976.

**The problem of self-identification of individual in
Dimitri Shostakovoich's creative work**

Under the pressure of Soviet ideology only few artists managed to resist totalitarian regime; in such conditions every individual tried to find the way out of it. The analysis of the musical compositions of the mentioned period, the comparison of their dates with the events which had been taking place in the country elucidate both the artist and his epoch. The creative work of Shostakovich is a clear example of this, who using the Jewish musical rhythmic-intonation strived to find the way out from his own spiritual state of "persecution" in the existing regime conditions. For that reason he identified himself with the Jewish people.

In the article the compositions of various genres had been analyzed from that standpoint, there he appeals to the everyday life genres, accentuating suffering, "wailing" intonations using heterisotonic harmony. Shostakovich's protest against the existing regime was expressed by the intonation of the composition, multilayer dramatic structure and the musical symbols constructed by the use of double coding principle. "Jewish" motifs were not arbitrary in his creative work, but they constituted the conscious act of self-identification, the message to the recipient.

ეთნომუსიკოლოგიის დეფინიციისათვის

მეცნიერების ნებისმიერი დარგის დეფინიციას განსაზღვრავს მისი საგნობრივი სფერო, რომელიც ყალიბდება სამეცნიერო ტრადიციის, მეცნიერების რეალური გამოცდილების საფუძველზე და რომლის ფორმირება არის ისტორიული, პერმანენტული პროცესი.

მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინების სინთეზის, ინტეგრაციისა თუ დიფერენციაციის შედეგად იქმნება ახალი მიმართულებები, ახალი დარგები. ეს ეხება მუსიკისმცოდნეობის – მუსიკოლოგიის სფეროსაც. ხალხური მუსიკალური კულტურის შემსწავლელი დარგის აღმნიშვნელად სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა დროს არსებობდა და ზოგჯერ თანაარსებობდა ტერმინები – *მუსიკალური ეთნოგრაფია*, *მუსიკალური არქეოლოგია*, *ეთნომუსიკისმცოდნეობა*, *ეთნომუსიკოლოგია*, *ეთნოსაკრავთმცოდნეობა*, *ეთნოერგოლოგია* ამ სახელწოდებათა არსებობა და ცვლილებები სხვადასხვა გარემოებებით იყო გაპირობებული შესაწავლი ობიექტის ფარგლების და კვლევის ასპექტების ცვლილებების შესაბამისად (ჩეკანოვსკა, 1983: 10; შილაკაძე, 1972: 185-186; 1991: 3).

ეთნომუსიკოლოგიის არსის გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ მისი ისტორია ეთნოლოგიასთან კავშირში, რადგანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი მისი ერთ-ერთი მიმართულებიდან ჩამოყალიბდა. სპეციალურ საცნობარო ლიტერატურაში დამკვიდრებული განმარტების თანახმად, ეთნოგრაფია არის მეცნიერება მსოფლიოს ხალხთა (ეთნოსთა) შესახებ. მის გვერდით იხმარება ეთნოლოგია (რომელიც საბჭოურ სივრცეში იყო გავრცელებული XX ს.-ის 30-ან წლებამდე და დღემდე მიღებული ევროპის ბევრ ქვეყანაში). პარალელურად გამოიყენებოდა ტერმინები Народоведение („ნაროდოვედენიე“ რუსულად), narodopis (სლოვაკურად, სლოვენურად), ludoznawstwo (პოლონურად). გერმანულენოვან ლიტერატურაში იყო Volkskunde, Völkerkunde, Ethnologie, შეედეთსა და ნორვეგიაში Folkeminer და Folklivsforskning. ინგლისურენოვან ლიტერატურაში სოციალური (ინგლისი) და კულტურული (აშშ) ანთროპოლოგია (Social anthropology, Cultural anthropology). ეთნოგრაფია გაგებული იყო როგორც აღწერილობითი, ეთნოლოგია – თეორიული დისციპლინა (ბრომლეი, ტოკარევი, 1988: 21-41).

ქართველი მეცნიერის აკად. გ. ჩიტაიას (1890-1986) ერთ-ერთ პირველ ნაშრომში (ჩიტაია, 1926), რომელშიც ჩამოყალიბებულია დარგის მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდი, პრინციპულად არის გამიჯნული ეთნოგრაფია და ეთნოლოგია. 30-ანი წლებიდან საბჭო-

ურ სივრცეში მიღებული სახელწოდების შემდეგ საქართველოშიც *ეთნოგრაფია* დამკვიდრდა (ამის მიზეზების შესახებ იხ მედიქიშივილი, 2000).

რამდენადაც ეთნოლოგია შეისწავლის ხალხს/ხალხებს (ეთნოსს/ეთნოსებს), მათი ყოფის, საქმიანობის ყველა სფეროს სხვადასხვა კუთხით და ასპექტით, უკავშირდება მრავალ მომიჯნავე დისციპლინას (ისტორია, არქეოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ბოტანიკა, მედიცინა, რელიგიათმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, მუსიკათმცოდნეობა, ენათმეცნიერება და სხვა). მათი სინთეზის, ინტეგრაციის შედეგად, განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიწერა შესაბამისი ტერმინები: ეთნობოტანიკა, ეთნოზოოლოგია, ეთნოგეოგრაფია, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოდემოგრაფია, აგროეთნოგრაფია, ეთნოეკოლოგია, ეთნოარქეოლოგია, ეთნოსოციოლოგია, პალეოეთნოგრაფია, გამოყენებითი ეთნოგრაფია/ანთროპოლოგია, ეთნოხელოვნებათმცოდნეობა (Anthropology of Art), ეთნომუსიკოლოგია (ჩისტოვი, 1986: 265-266; ეთნოგრაფია და მომიჯნავე დისციპლინები, 1988: 84-106; მედიქიშივილი, 2000: 6-7).

მუსიკალური ეთნოგრაფია საკმაო ხნის მანძილზე *მუსიკალურ ფოლკლორისტიკას* შეესაბამებოდა. ორივე განიხილებოდა როგორც ხალხური მუსიკალური შემოქმედების შემსწავლელი დარგი, რომელიც მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, მუსიკალური კრიტიკის, საკრავთმცოდნეობის გვერდით მუსიკისმცოდნეობის სფეროში შედიოდა (ენციკლოპედია, მუსიკათმცოდნეობა; ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1959).

მუსიკალური ეთნოგრაფია // მუსიკალური ფოლკლორისტიკა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბდა XIX ს.-ის II ნახევარში. იგი თავდაპირველად იყო წმინდა აღწერილობითი მეცნიერება, რომელიც აფიქსირებდა ზეპირი ტრადიციის სპეციფიკურ მასალებს. XX ს.-ის 20-ანი წლების დასაწყისში გერმანიასა და ინგლისში გაჩნდა ახალი მიმართულება – ე. წ. შედარებითი მუსიკისმცოდნეობა, რომელიც იკვლევდა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა (ძირითადად კოლონიური ქვეყნების) მუსიკას. ეს მიმართულება იმდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება. ესენია: შედარებითი მუსიკისმცოდნეობა (გერმ. Vergleichende Musikwissenschaft, ფრანგ. musicologie comparee, ინგლ. comparative musicology), მუსიკალური ეთნოლოგია (გერმ. Musikethnologie), ეთნომუსიკოლოგია (ინგლ. ethnomusicology), მუსიკალური ფოლკლორისტიკა (გერმ. Musikalische Volkskunde, რუს. Музыкальная этнография) (ჩეკანოვსკა, 1983: 10-11).

ამ დარგის საგანი და მიზნები 1885 წლიდან იკვთება. მისი კვლევის სფერო იფარგლებოდა ტრადიციული მუსიკით და კვლევის

ძირითადი ობიექტი ჩინური, ინდური, მექსიკელ ინდიელთა და სხვა-თა მუსიკა იყო. 1885 წ. გამოქვეყნებულ გვიდო ადლერის (1855-1941) სტატიაში (ადლერი, 1885) სისტემატიზებულია მუსიკათმცოდნეობის დარგები და შედარებითი მუსიკისმცოდნეობა გამოყოფილია დამოუკიდებელ დისციპლინად. მის ამოცანად დაისახა სხვადასხვა ხალხთა ხალხური სიმღერების კვლევა ეთნოგრაფიული მიზნისათვის (ჩეკანოვსკა, 1983: 34).

დარგის ფუძემდებლად მიჩნეულია ერიკ მორიც ჰორნბოსტელი (1877-1935, განათლებით ქიმიკოსი), რომელმაც შექმნა სკოლა – მისი მოწაფეები და თანამშრომლები (ფ. ბოზე, მ. შნაიდერი, მ. კოლინსკი, ე. ემსპაიმერი, ი. კუნსტი და სხვები) შემდგომში ხელმძღვანელობდნენ ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ცენტრებს ბერლინში, ვენაში (ჩეკანოვსკა, 1983: 38-40). XX ს-ის 30-ან წლებში ე. წ. დიდმა გერმანულმა სკოლამ გერმანიიდან აშშ-ში გადაინაცვლა (ლოს-ანჯელესი, ბლუმინგტონი).

რუსეთში მუსიკალური ეთნოგრაფიის (იქ ამ სახელწოდებით იყო) ფუძემდებლად ითვლება ნ. თ. ფინდუიზენი (1868-1928). XX ს-ის დასაწყისში მუსიკალური ეთნოგრაფიის ცენტრად იქცა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების ეთნოგრაფიული განყოფილების მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისია, რომელიც იკვლევდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების მუსიკალურ ფოლკლორს. ამ კომისიის დავალებით დაიწყო და გაშალა მუშაობა საქართველოში ეთნომუსიკოლოგიის ფუძემდებელმა დიმიტრი არაყიშვილმა (1873- 1953).

XX ს-ის 50-60-ან წლებშიც სხვადასხვა ქვეყანაში ისევ სხვადასხვა ტერმინი რჩებოდა ხალხური მუსიკის შემსწავლელი დარგის აღმნიშვნელად: ეთნომუსიკოლოგია (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, უნგრეთი, რუმინეთი), მუსიკალური ეთნოლოგია (გერმანია), მუსიკალური ეთნოგრაფია // მუსიკალური ფოლკლორისტიკა (საბჭოური სივრცე მთლიანად, პოლონეთი) (ზეგერი, 1966: 194; ბოზე, 1953: 17-18, 140, 142; შილაკაძე, 1991: 19). კვლევის პროფილიც სხვადასხვაგვარი იყო – სოციოლოგიური, ზოგადკულტურული, ბგერათა ფიზიკური თვისებები, ესთეტიკური პრობლემები, მუსიკის აღქმის ფსიქოლოგია. XX ს-ის 70-ანი წლებიდან ამ დისციპლინის ობიექტი დაფორმულდა როგორც ყველა კონტინენტისა და ქვეყნის ტრადიციული მუსიკა (ჩეკანოვსკა, 1983: 13-15). მეთოდოლოგია ეყრდნობა მომიჯნავე დარგების, უფრო მეტად, ლინგვისტიკის მეთოდოლოგიას და მეთოდებსაც. ესენია: შედარებით-ანალიტიკური, ისტორიულ-გეოგრაფიული, ფუნქციონალური, სტრუქტურული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კარტოგრაფიული (ჩეკანოვსკა, 1983: 27-32; შილაკაძე, 1991: 34-35).

ტერმინი “ეთნომუსიკოლოგია” შემოიტანა 1950 წ. ჰოლანდიელმა ი. კუნსტმა (ზემცოვსკი, 1988: 74-75). რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში 60-ანი წლებიდან ჩნდება ტერმინი ეთნომუსიკისმცოდნეობა (этномузыкознание) – “ეთნომუსიკოლოგიის” კალკი, რომელშიც იგულისხმებოდა ხალხური მუსიკის შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც მუსიკისმცოდნეობის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფიის // ეთნოლოგიის სინთეზს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირში მუსიკალური ეთნოგრაფია განიხილებოდა როგორც ზოგადი მუსიკისმცოდნეობის ნაწილი, მაგრამ ამასთანავე, ზოგადად ეთნოგრაფიასთან ფოლკლორისტიკასთან, სოციოლოგიასთან კავშირში. “მუსიკალური ეთნოგრაფიის საგანია ტრადიციული ყოფითი (უპირველეს ყოვლისა ფოლკლორული) მუსიკალური კულტურა... მუსიკალური ეთნოგრაფია შეისწავლის ხალხურ მუსიკას, ამავედროულად, უპირველეს ყოვლისა, როგორც “ენას” – სპეციფიკური მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების სისტემას, მეორე მხრივ, როგორც “მეტყველებას” – სპეციფიკურ საშემსრულებლო “ქცევას”... მუსიკალურ-ეთნოგრაფიული გამოკვლევები დასახული მიზნის შესაბამისად მრავალფეროვანია, შეიცავს სპეციალურ მუსიკალურ ანალიზს (მუსიკალურ-აკუსტიკური წყობა, კილო, რიტმი, ფორმა და სხვა). მათში გამოყენებული მომიჯნავე დარგების (ფოლკლორისტიკა, ეთნოგრაფია, ესთეტიკა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ლექსმცოდნეობა, ლინგვისტიკა და ა.შ.) და ზუსტი მეცნიერების (მათემატიკა, სტატისტიკა, აკუსტიკა) მეთოდები და აგრეთვე კარტოგრაფირება... მუსიკალური ეთნოგრაფიის თანამედროვე მეთოდთა იყენებას მუსიკალური კულტურის კომპლექსურ და სისტემურ მიდგომას” (ზემცოვსკი, 1982: 578-579).

საბჭოურ მეცნიერებაში ეს დარგი უფრო ფოლკლორისტიკული მიმართულებით დაწინაურდა. მუსიკალური ფოლკლორის მონაცემები მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვანეს წყაროდ კულტურისა და ეთნოკულტურული ურთიერთობების უძველესი პლასტების კვლევისათვის. XX ს.-ის 60-70-ან წლებიდან გამოჩნდა სტატიები, სადაც დასმული იყო საკითხი მუსიკალური მონაცემების გამოყენების აუცილებლობაზე ეთნოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის – ეთნოგენეზის რიგი საკითხების გადაწყვეტისას (ბ. ბარტოკი, თ. რუბცოვი, ი. ზემცოვსკი და სხვები). ეთნოგენეზი ეთნოლოგიის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი პრობლემაა. იგი მოითხოვს კომპლექსურად სხვადასხვა მეცნიერებათა (ეთნოლოგია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, ლინგვისტიკა) მონაცემების ანალიზს. ამ პრობლემის შესწავლაში მუსიკალური მასალა, განსაკუთრებით მისი განვითარების ადრეული საფეხურების ამსახველი ძველი პლასტები, ინტერესის საგანი გახდა. ასევე მნიშვნელოვნად წარმოჩნდა მუსიკალურ კულტურათა კონტაქტების, ურთიერთობების შედარებითი შეს-

წავლა, რომლის კლასიკური ნიმუშია ცნობილი უნგრელი კომპოზიტორის, ფოლკლორისტის ბელა ბარტოკის (1881-1945) შრომები, რომლებშიც გამოკვლეულია უნგრეთის მეზობელ ხალხთა სიმღერები მათი საერთო ნიშნების დადგენის მიზნით და ამის საფუძველზე უნგრული მუსიკალური ფოლკლორის კავშირი ევროპის სხვა ხალხთა მონათესავე კულტურებთან (ბარტოკი, 1996).

ეთნოგენეზის პრობლემატიკაში მუსიკალური ენის მონაცემების მნიშვნელობა სამეცნიერო წრეებში აღიარებული იქნა, რაზედაც მეტყველებს ამ თემისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომი. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ვ. ვინოგრადოვის შრომები ყირგიზების ეთნოგენეზის პრობლემის შესახებ მუსიკალური ფოლკლორის მონაცემების შუქზე (ვინოგრადოვი, 1960, 348-360; 1968), საერთო სლავური მუსიკალური ენის რეკონსტრუქციის შესახებ ფ. რუბცოვის ნაშრომი (რუბცოვი, 1962). მუსიკალური სლავისტიკის დარგში მნიშვნელოვანია ვ. გოშოვსკის ნაშრომი (გოშოვსკი, 1971). ავტორის აზრით, მუსიკალური ენა, ავლენს უფრო მეტ კონსერვატიულობას, ვიდრე მეტყველება, სამეცნიერო ენა (გოშოვსკი, 1971: 12) და ტრადიციული გლეხური სიმღერის ინტონაციები, განსაკუთრებით საწესო და შრომის სიმღერებისა, წარმოადგენს სარწმუნო მასალას მუსიკალური კულტურის უძველესი წარსულის შესასწავლად. ამ მხრივ იგი არის არა მარტო არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის ტოლფასი, არამედ სანდოობის მხრივ კიდევაც აღემატება მას (გოშოვსკი, 1971: 14). ეთნოგენეზის, ხალხთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ნათესაობისა და ურთიერთკავშირის ასახსნელად მუსიკალური ენის ეროვნული საფუძვლების გამოყენების მნიშვნელობას ეხება ი. ზემცოვსკი (ზემცოვსკი, 1972).

ეთნოგენეზის პრობლემატიკის შესწავლაში ჩართულ იქნა ტრადიციული სამუსიკო საკრავები როგორც წყარო, როგორც არტეფაქტი – მატერიალური კულტურის ძეგლი, ამ კუთხით დაისვა საკითხი კ. ვერტკოვის შრომებში (ვერტკოვი, 1972: 97-113). რუსულბალტიურ-ფინური ურთიერთგავლენების ხასიათის გარკვევის ცდა რუსული სიმებიანი ინსტრუმენტის – გუსლის მაგალითზე იყო ი. ტინურისტის ნაშრომი (ტინურისტი, 1977: 16-29).

ეთნოკულტურული კავშირების დადგენის საქმეში ყოფაში დადასტურებული ფაქტის შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნების მნიშვნელობა ჩანს ერთი ფრიად საინტერესო ტრადიციის მაგალითზე. ეს არის ტუვაში გავრცელებული ყელისმიერი სიმღერის ტრადიცია – ერთი კაცის მიერ ერთდროულად ორი ტონის (ორი სახვადასხვა სიმაღლის ბგერის) გამოცემა, რომელიც ცნობილია მხოლოდ თურქულ-მონღოლური ჯგუფის ოთხ ხალხში სამხრეთ ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში და ერთადერთ თურქულენოვან ხალხში, რომელიც მათგან ათასეული კილომეტრითაა დაშო-

რებული და აღმოსავლეთ ევროპაში ცხოვრობს (ვაინშტაინი, 1980: 149-156; ტრან ქუანგ ჰაი, 2002: 266-283). ყელისმიერი სიმღერა, კულტურის იმ სპეციფიკურ მოვლენათა რიცხვს განაკუთვნებს, რომლის გავრცელებაც წინათ რეალური ეთნიკური კავშირების საფუძველზე მოხდა (ვაინშტაინი, 1980: 155-156).

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, მუსიკალური ფოლკლორი განიხილება როგორც ეროვნული იდენტიფიკაციის წყარო: „ეროვნულობის ფენომენში კულტურის მნიშვნელობის განსაზღვრის იდეაში მუსიკა იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას, როგორც ეროვნული ხელოვნების ფართო კონცეფციის ერთ-ერთი განშტოება“ (პიოტროვსკა, 2008: 98).

ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიის//ეთნოლოგიის საგნობრივი სფეროების და ურთიერთმიმართების საკითხს XX საუკუნის 60-70-ანი წლებიდან მოკიდებული, თითქმის 20-30 წლის მანძილზე არაერთი ნაშრომი მიეძღვნა (პროპი, 1964; ჩისტოვი, 1968; 1971; 1986; ზემცოვსკი, 1968 და სხვა). რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიკვეთა მისწრაფება ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის შესასწავლი სფეროების საზღვრებისა და მომიჯნავე ან მონათესავე მეცნიერებებთან ურთიერთობის უფრო მკვეთრად განსაზღვრისაკენ (ჩისტოვი, 1986: 253). ითქვა, რომ ფოლკლორისტიკა წარმოადგენს ფილოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, რამდენადაც თითოეული ფოლკლორული მოვლენა ყოველთვის, ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს ხალხური ყოფის ფაქტსაც და სიტყვიერი ხელოვნების ფაქტსაც, თითოეული ფოლკლორული მოვლენა არის ყოფითიც და ესთეტიკურიც. გამოიკვეთა, რომ ფოლკლორისტიკა არის მეცნიერება ფოლკლორის – ხალხური შემოქმედების შესახებ, რომელშიც იგულისხმება არა მარტო სიტყვიერი ხელოვნება, არამედ გამოყენებითი ხელოვნებაც, ხალხური მუსიკაც, ქორეოგრაფიაც. ხალხურ შემოქმედებას შეისწავლის ფოლკლორისტიკა, მაგრამ ხალხურ შემოქმედებას როგორც ყოფის მოვლენას შეისწავლის ეთნოლოგიაც (ჩისტოვი, 1986: 276). ასეთმა მიდგომამ მუსიკალური ფოლკლორისა და ეთნოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხიც დასვა, რამაც განაპირობა ეთნოლოგიაში მუსიკალური ფოლკლორისტიკის მონაცემების, როგორც წყაროს მნიშვნელობის მიმართ ინტერესის გაზრდა.

ცნობილია, რომ ტერმინ “ფოლკლორს” ადრე ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, იგი აღნიშნავდა სიბველეთა გარკვეულ სფეროს, რომელიც მოიცავდა არა მარტო ხალხურ პოეტურ შემოქმედებას, არამედ გამოყენებით ხელოვნებასაც, რწმენა-წარმოდგენებს, წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციული ხალხური კულტურის სხვა მხარეებსაც, ხალხის მთელ სულიერ ცხოვრებას... (კოკიარა, 1960). “შემდეგ ამ ტერმინის მნიშვნელობამ ევოლუცია განიცადა, შეიცვალა ფოლ-

კლორის შესწავლის ასპექტები (არქეოლოგიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეთნოგრაფიული). ტერმინის მნიშვნელობამ მოიცვა თითქმის მთელი სულიერი კულტურა და მატერიალური კულტურის ზოგიერთი სფეროც, შემდეგ კი ისევ დაიწყო ამ ტერმინის მნიშვნელობის დავიწროება” (გუსევი, 1967: 34,77; ს. მელეტინსკი, 1960: 6).

ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ *მუსიკალური ფოლკლორისტიკა* გაიგივებული იყო *მუსიკალურ ეთნოგრაფიასთან*. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მუსიკალური ფოლკლორი თავიდანვე შემოდიოდა ეთნოლოგიის ინტერესების სფეროში. მაგალითად, ჟურნალ “*Zeitschrift für Ethnologie*”-ში სისტემატურად იბეჭდებოდა მუსიკალური ფოლკლორისტიკული გამოკვლევები. ასევე რუსულ ჟურნალ “*Этнографическое обозрение*”-ში იბეჭდებოდა ხალხური მუსიკისადმი მიძღვნილი სტატიები. ეთნოლოგიის//ეთნოგრაფიის იმ სფეროს, რომელიც ხალხურ მუსიკას საგანგებოდ იკვლევდა, თავისი სპეციფიკის საზგასასმელად მუსიკალური ეთნოგრაფია//ეთნოლოგია ეწოდა. “*მუსიკალური ეთნოგრაფია*” ეწოდება პოლონელი მეცნიერის ანა ჩეკანოვსკას ნაშრომს /*Ethnografia musiczna. Metodologia I metodyka. Warszawa, 1971*), რომელიც რუსულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა 1983 წელს (ჩეკანოვსკა, 1983). ეს არის საფუძვლიანი, აკადემიური ნაშრომი, რომელშიც განხილულია ამ დისციპლინის მეთოდოლოგიის, მეთოდების საკითხები, მიმდინარეობები, სკოლები. ამ ნაშრომიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსიკალურ ეთნოლოგიაში ეთნოლოგიის მიმდინარეობებს, სკოლებს, მეთოდებს, (ევოლუციონისტურს, სოციოლოგიურს, ფუნქციონალურს, კარტოგრაფიულს).

ეთნომუსიკოლოგიის ისტორიას იწყებენ 1880-ანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც ხმის ჩამწერი აპარატი – ფონოგრაფი იქნა გამოგონებული (1877). გამოვლინდა, რომ სხვადასხვა ეთნოსთა მუსიკის (იგულისხმება ზეპირი გზით მოღწეული, ხალხური, ტრადიციული მუსიკის) ბგერათრიგები არ ემთხვეოდა ევროპაში მანამდე ცნობილ ბგერათრიგებს. ამის შემდეგ იწყება ბგერათა აკუსტიკური გაზომვები (ელისი, 1885; ჩეკანოვსკა, 1983:35, 102; ზემცოვსკი, 1988:105). ტერმინი „ეთნომუსიკოლოგია“ შემოიტანა 1950 წელს პოლანდიელმა ი. კუნსტმა. ეთნომუსიკოლოგიის თანამედროვე მეთოდოლოგია დაეფუძნა ისეთ მეცნიერთა კვლევებსა და ნაშრომებს, როგორც იფუნენ კ. ზაქსი, კ. ბრელოუ, ბ. ბარტოკი, ვ. ვიორა, ჩ. სიგერი და სხვები (ზემცოვსკი, 1988:105).

აქვე აღვნიშნავ, ეთნომუსიკოლოგია XX ს.-ის 90-ან წლებამდე განიხილებოდა როგორც ეთნოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ეთნოლოგიის მეთოდებით იკვლევდა ტრადიციულ მუსიკალურ კულტურას და განსხვავდებოდა მუსიკალური ფოლკლო-

რისტიკისაგან, რომელიც იკვლევს ამავე ობიექტს როგორც მხატვრულ მოვლენას (შილაკაძე, 1991). ამაჟამად მასში ინტეგრირებულია ხალხური მუსიკის ყველა ძირითადი ასპექტი – სამუსიკისმცოდნეო, აკუსტიკური, ფოლკლორისტული, ეთნოგრაფიული, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური (И. Земцовский, 1988: 105). ეთნომუსიკოლოგია საკმაოდ მომძლავრდა და დამოუკიდებელი დისციპლინად ჩამოყალიბდა. არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია – ევროპის ეთნომუსიკოლოგიური სემინარი (European Seminar of Ethnomusicology, ESEM), რომელიც ყოველწლიურად მართავს სემინარს ევროპის რომელიმე ქვეყნის ერთ-ერთ სამეცნიერო ცენტრში (ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები საქართველოდან არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფ. ნ. მაისურაძე და პროფ. მ. შილაკაძე).

მეცნიერების განვითარების გზაზე ყოველი ახალი ეტაპი იწყება შესასწავლი ობიექტის სფეროს ცვლილებით (გაფართოებით, დავიწროებით, მომიჯნავე დარგთან ინტეგრაციით და სხვა), ფაქტობრივი მასალის დაგროვების, მეთოდოლოგიური სიხსნეებისა და მეთოდების ცვლილებების საფუძველზე, რის შესაბამისადაც დეფინიციებიც იცვლება, ზუსტდება. ამის მკაფიო მაგალითია ტერმინი „ფოლკლორი“. ასეთი ცვლილებები (საკვლევი ობიექტის გაფართოება/დავიწროება, მომიჯნავე დარგებთან ინტეგრაცია), გვაქვს დასახელებულ დისციპლინებში. იკვეთება ახალი პრობლემატიკა, ახალი თემატიკა, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო სპექტრის ჩართვას ითხოვს. ყოველივე ეს ზრდის მეცნიერული კვლევის სიღრმეს, მოითხოვს მეთოდოლოგიის გადახედვას (ბრედნიხი, 2001: 77-100).

ეთნოლოგიის საგნობრივი სფეროს ბირთვია მყარი მახასიათებლები, რომლებიც წარმოადგენს ეთნოსების ერთმანეთისაგან განმასხვავებელ თავისებურებებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის განუმეორებელ მთლიანობას, თავისთავადობას. ეთნოლოგიის სფეროში ექცევა საზოგადოებრივი ცხოვრების ის ფართო ველი, რომელშიც უფრო მკაფიოდ ვლინდება ეთნიკური კულტურის სპეციფიკა. სწორედ ეს ედო საფუძველად ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის გ. ჩიტაიას მთავარი ამოცანის – ქართველთა ეთნიკური თავისებურების განსაზღვრას, რაშიც გულისხმობდა „მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა კონკრეტულ ერთიანობას“ (გეგეშიძე, 1980:39). ეთნოლოგიის ობიექტი არის ხალხი, ეთნოსი, ფაქტოლოგიური ბაზა – ეთნიკური კულტურა, მრავალდარგოვანი და მრავალასპექტიანი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით. ეთნოლოგიის სპეციფიკაა ის, რომ მას არა აქვს თითქმის არცერთი სფერო, რომელიც მომიჯნავე მეცნიერებასთან არ იყოს კავშირში. ამიტომ არის მასში სხვადასხვა მიმართულებანი, რომლებიც წარმოადგენენ ეთნოგრაფიის გეოგრაფიასთან, ლინგვის-

ტიკასთან, ბოტანიკასთან, მუსიკასთან და სხვა დარგებთან სინთეზის შედეგს – ეთნოგეოგრაფია, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოდემოგრაფია, ეთნოსოციოლოგია, ეთნოფსიქოლოგია და სხვა (ჩისტოვი, 1986: 265-266;).

ზემოთ აღინიშნა, რომ ეთნოლოგიის სფეროში ყოველთვის შემოდის მუსიკალური ფოლკლორი. ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკად. გიორგი ჩიტაია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის როგორც ეთნოგრაფიული წყაროს შესწავლას. შემთხვევითი არ იყო რომ საქართველოს აკადემიის ივ. ჯავახიშვილის ისტორიის, ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილებაში წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ცნობილი წარმომადგენლები (დ. არაყიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, შ. ასლანიშვილი, ვ. ახობაძე, ბ. გულისაშვილი, თ. მამალაძე). გ. ჩიტაია ზრუნავდა იმაზე, რომ მოემზადებინა სათანადო მუსიკალური განათლების მქონე კადრები, რომლებიც შეძლებდნენ ეთნოლოგის პოზიციებიდან შეესწავლათ მუსიკალური ფოლკლორი. 60-ანი წლების დასაწყისში გააქტიურდა მუშაობა ამ მიმართულებით აკად. გ. ჩიტაიასა და პროფ. ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით. მომზადდა სადისერტაციო ნაშრომები, რომლებშიც ეთნოგრაფიული სკოლის მოთხოვნების შესაბამისად იყო შესწავლილი ქართული ხალხური მუსიკა (სასიმღერო შემოქმედება და სამუსიკო საკრავები). ეს ნაშრომები ეფუძნებოდა მასალას, რომელიც ავტორთა მიერ უშუალოდ ველზე იყო შეკრებილი გ. ჩიტაიას მიერ შემუშავებული საველე ეთნოგრაფიული მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით. ხალხური მუსიკალური შემოქმედება განიხილებოდა როგორც წყარო, როგორც ისეთი ინფორმაციის მატარებელი, რომელიც საშუალებას იძლევა დასმულ იქნას საერთოქართული მუსიკალური ენის გენეზისის, ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის შუქზე (მაისურაძე, 1983; 1989). ქართული ტრადიციული საკრავები განიხილება როგორც მატერიალური მუსიკალური კულტურის ძეგლები, ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობების დამადასტურებელი ფაქტები (შილაკაძე, 1991; 2007).

როგორც აღვნიშნეთ, მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე შესასწავლი ობიექტის სფეროს ცვლილების გამო დეფინიციებშიც ცვლილებები ხდება. დეფინიციების მრავალგვარობა და სინონიმების სიმრავლე ართულებს ზოგიერთი ტერმინით ოპერირებას. ამიტომ დროულად მიმაჩნია ტრადიციულის გვერდით სავსებით კანონზომიერად გაჩენილი ახალი ტერმინოლოგიის გარკვევა. კერძოდ, მათში ნაგულისხმევი შინაარსის, მასშტაბების, ძირითადი პრინციპების მკაფიოდ ჩამოყალიბება, ყოველი ტერმინის, ახალი მი-

მართულებების ობიექტის, საგნის, მეთოდოლოგიის, მეთოდისა და ამოცანების დაკონკრეტება.

ამგვარად, ეთნომუსიკოლოგია არის მეცნიერების დარგი, ჩამოყალიბებული ეთნოლოგიისა/ეთნოგრაფიისა და მუსიკალური ფოლკლორისტიკის სინთეზის შედეგად. მისი სახელწოდება ნაწარმოებია ეთნოლოგიაში შემავალი ზოგიერთი დარგის სახელწოდების (ეთნობოტანიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნომედიცინა და მისთანათა) ანალოგიურად. XX ს.-ის მიწურულამდე პარალელურად, შეიძლება ითქვას, სინონიმებად იხმარებოდა ტერმინები *მუსიკალური ეთნოგრაფია*, *მუსიკალური ფოლკლორისტიკა*, *ეთნომუსიკისმცოდნეობა*, *ეთნომუსიკოლოგია*. XXI ს.-ის დასაწყისიდან (შეიძლება უფრო ადრინდანაც) ყველგან, მათ შორის საქართველოშიც მკვიდრდება ტერმინი ეთნომუსიკოლოგია (შდრ. შილაკაძე, 1991; მაისურაძე, 2001: 299-301), ალბათ, მისი მობილურობის გამოც. „ამჟამად მასში ინტეგრირებულია ხალხური მუსიკის ყველა ძირითადი ასპექტი – სამუსიკისმცოდნეო, აკუსტიკური, ფოლკლორისტული, ეთნოლოგიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური“ (ზემცოვსკი, 1988: 76). ეთნომუსიკოლოგია საკმაოდ მომძლავრდა. იგი აქტიურად ვითარდება. გაფართოვდა მისი კვლევის სფერო და მეთოდები. მეცნიერები, აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკის შესაბამისი აპარატურით, იკვლევენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა კულტურას. ამ კვლევაში დიდი როლი შეასრულა და ასრულებენ ფონოგრაფიკები, რომლებიც ორგანიზებულ იყო ვენაში 1900 წლიდან (რ. ვალაშეკი, რ. ლახი) და 1902 წლიდან ბერლინში (კ. შტუმპფი, ო. აბრაჰამი, ე. ჰორნბოსტელი, კ. ზაქსი). მათ გარდა არსებობს 1944 წ. დაარსებული ხალხური მუსიკის საერთაშორისო არქივი, პუშკინის სახლის ფონოგრაფიკები (სანკტ-პეტერბურგი), ადამიანის მუზეუმის არქივი (პარიზი), ხალხური სიმღერის არქივები კონგრესის ბობლიოთეკაში (ვაშინგტონი), ტრადიციული მუსიკის არქივი ინდიანის უნივერსიტეტში (აშშ) და ეთნომუსიკოლოგიისა კალიფორნიის უნივერსიტეტში (აშშ). 1947 წლიდან მოქმედებს იუნესკოსთან არსებული ხალხური მუსიკის საერთაშორისო საბჭო, რომელსაც აქვს სხვადასხვა ქვეყანაში თავისი კომიტეტები და სპეციალური ჟურნალები. არსებობს ეთნომუსიკოლოგიის საზოგადოების ჟურნალი *Ethnomusicology* (აშშ), შედარებითი მუსიკათმცოდნეობის საერთაშორისო ინსტიტუტი (ბერლინი), საერთაშორისო ორგანიზაცია *European Seminar of Ethnomusicology (ESEM)*, რომელიც ყოველწლიურად მართავს საერთაშორისო სემინარს ევროპის რომელიმე ქვეყნის შესაბამის სამეცნიერო ცენტრში, გამოდის საერთაშორისო ჟურნალები *Journal of International Folk Music Council (Jahrbuch of International Folk Music Council)*, *Ethnomusicology* (აშშ), *Jahrbuch für musikalische Volks- und Völkerkunde* (ბერლინი), *Acta Ethnomusicologica* (ბუდაპეშტი).

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მუსიკალური ფოლკლორისტიკა ინტეგრირებული ჩანს ეთნომუსიკოლოგიაში. შეიცვალა ხალხური მუსიკის შესასწავლი რესურსებიც და კვლევის შესაძლებლობანიც. თითქმის დამკვიდრდა ტერმინი „ეთნომუსიკოლოგია“, რომელიც ჩაენაცვლა მანამდე სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ტერმინებს და რიგ შემთხვევაში დაფარა კიდევ. ტერმინის დამკვიდრება განაპირობა მასში არსებულმა ინტერდისციპლინურობის პრინციპმა და თავად ტერმინის მობილურობამ.

ეთნომუსიკოლოგია განხილულ უნდა იქნას როგორც ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც სწავლობს ტრადიციულ მუსიკალურ შემოქმედებას ყველა ასპექტით – როგორც მხატვრულ მოვლენას, როგორც ყოფის მოვლენას, როგორც ესთეტიკურ ფენომენს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- ადლერი: G. Adler, Umfang, Ziel und Methode der Musikwissenschaft – “Vierteljahresschrift für Musikwissenschaft”, Jahrgang 1. 1885.
- ბარტოკი: Барток, Б., Народная музыка Венгрии и соседних народов, Москва: Музыка. 1996.
- ბოზე: Bose, F., Musikgeschichtliche Aspekte der Musikethnologie. – Archiv für Musikwissenschaft, Wiesbaden, Heft 3. 1966.
- ბრედნიხი: Brednich Rolf W., Quellen und Methoden. In: Grundriss der Volkskunde. Einführung in die Forschungsfelder der Europäischen Ethnologie. hrs. R. W. Brednich, Berlin:Reiner, 2001, 77-100.
- ბრომლეი, ტოკარევი: Бромлей Ю.В., Токарев, С. А., Этнография, – Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 21-41.
- გეგეშიძე: მ., გიორგი ჩიტაია, თბილისი: „მეცნიერება“, 1980.
- გოშოვსკი: Гошовский, В. У истоков народной музыки славян (Очерки по музыкальному славяноведению, Москва: Советский композитор. 1971.
- გუსევი: Гусев В. Е., Эстетика фольклора, Ленинград, 1967.
- ეთნოგრაფიული და მომიჯნავე: Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988.
- ელისი: Ellis, A. J. Tonometrical Observations on some Existing Nonharmonic Scales. – Proceedings of the Royal Society. 1885.
- ელისი: On the Musical Scales of Various Nations. – Journal of the Society of Arts. 1885a.
- ენციკლოპედია: Большая Советская Энциклопедия, 2-е изд.

- ენციკლოპედიური ლექსიკონი: Музыкальная Энциклопедия (в 6-ти томах). Главный редактор Ю. В. Келдыш, Москва: Советский композитор.
- ვაინშტაინი: Феномен музыкального искусства, рожденный в степях. – Советская этнография, 1980, №1, 149-156.
- ვერტკოვი: Музыкальные инструменты как павятеики этнической историко-культурной общности народов СССР. – Славянский музыкальный фольклор. М.-Л.: Музыка, 1972. с. 97-113.
- ვინოგრადოვი: Проблема этногенеза киргизов в свете некоторых данных их музыкального фольклора. – Вопросы музыкознания, (Отв. ред. Ю. В. Келдыш), М.: Музгиз, 1960. с. 348-360.
- ვინოგრადოვი: Музыка советского Востока, Советский композитор. 1968.
- ზეგერი: Seeger Horst, Musklexikon, II, Leipzig. 1966.
- ზემცოვსკი: Земцовский И. И., К спорам о жанрах, – Советская музыка, 1968 №7, 104-107.
- ზემცოვსკი: Фольклористика как наука. – Славянский музыкальный фольклор. М.-Л.: Музыка, 1972. с.7-79.
- ზემცოვსკი: Этнография музыкальная. – Музыкальная Энциклопедия (в 6-ти томах). Главный редактор Ю. В. Келдыш, т. 6, 1982. с. 578-581, Москва: Советский композитор.
- ზემცოვსკი: Этномузыкология, – Свод этнографических понятий и терминов, Москва: «Наука», 1988, 105-106.
- კოკიარა: Коккьяра Дж., История фольклористики в Европе, Москва, 1960.
- მაისურაძე: ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბილისი: მეცნიერება (რუს. რეზ.). 1989.
- მაისურაძე: ქართული მუსიკალური ეთნოლოგიის (ეთნომუსიკოლოგიის) პროგრამა – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIV, თბ., 2001, с. 299-301.
- მელეტინსკი: Мелетинский Е. М., О книге Дж. Коккьяры „История фольклористики в Европе“, Москва, 1960, с.5-15.
- მელიქიშვილი: მელიქიშვილი ლ., ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია, თბილისი: „მემატიანე“, 2000.
- პიოტროვსკა: PPiotrowska, A., Folklore as a Source of National Identifikation in Music. – The Third International Symposium on Traditional Polyphony. Tbilisi: State Conservatoire, 2008, p.p. 97-118.
- პროპი: Принципы классификации фольклорных жанров. – Советская этнография, 1964, №4, 147-154.
- რუბცოვი: Иинтонационные связи в песенном творчестве славянских народов (Опыт исследования), Л.: Советский композитор.

- ტინურისტი: Где во гусли звонили? (Опыт картографирования народных музыкальных инструментов). – Этнографические исследования Северо-Запада СССР. Л.: Наука (Ленинградское отделение), 1977. с. 16-29.
- ტრან ქუანგ ჰაი: Tran Quang Hai, Polyphony in one Throat. – The First International Symposium on Traditional Polyphony. Tbilisi: State Conservatoire, 2002. pp. 266-283.
- შილაკაძე: შილაკაძე მ. ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბილისი: მეცნიერება (რუს. და გერმ. რეზ.). 1971.
- შილაკაძე: შილაკაძე მ. მუსიკალური ეთნოგრაფიის საგანი, – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII, 185-190, თბილისი: მეცნიერება. 1972.
- შილაკაძე: შილაკაძე, მ., ეთნომუსიკოლოგიის საგანი, მეთოდები და ამოცანები, თბილისი: „მეცნიერება“. 1991.
- შილაკაძე: შილაკაძე, მ., ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი, თბილისი, „კავკასიური სახლი“. 2007.
- ჩეკანოვსკა: Чекановска А., Музыкальная этнография. Методология и методика, М.: Сов. композитор. 1983.
- ჩისტოვი: Чистов К. В. Фольклор и этнография, – Сов. этнография, 1968, №5, 3-12.
- ჩისტოვი: Чистов К. В. О взаимоотношении фольклористики и этнографии, – Сов. этнография, 1971. №5, 17-24.
- ჩისტოვი: Чистов К. В.: Народные традиции и фольклор. Очерки теории. Л.: Наука (Ленинградское отделение). 1986.
- ჩიტაია: ჩიტაია გ., ქართული ეთნოლოგია, – მიმომხილველი, 1926; შრომები; III, 2001, თბილისი: „მეცნიერება“, გვ. 21-32.

Towards the Definition of Ethnomusicology

The article aims to show the problems of definitions of one of the fields of musicology – investigating the folk musical culture, which at different times had been defined differently: as musical ethnography, musical archaeology, ethnomusicology, ethno-instrumentalism etc. The author tried to show that the changes of the name in this field were caused by the changes in the research approaches in the subject matter.

The author shows, how ethnomusicology as a field of science developed and formed as a result of synthesis of one of the branches of ethnology/ethnography with musical folklore. Its name is derived by analogy to some of the other branches of ethnology (ethno-botany, ethno-linguistics, ethno-medicine, etc.). Since the beginning of the 19th century almost everywhere, including Georgia, the term ethnomusicology has been inculcated, in which all the fundamental aspects of folk music: musicological, acoustic, folkloristic, ethnologic, sociological, psychological, culturological (the term predominantly used in former Soviet Union) are integrated. Now, the ethnomusicology is actively developing. The spheres of interests are expanded and the methods and approaches are worked out. Currently, the scientists explore the musical cultures of various peoples of the world. Phono-archives played and still have a huge role in these investigations. Since 1947 the International Council of folk music at UNESCO, which has the committees and special journals in various countries, has been functioning. The Society for Ethnomusicology has issued the journal “Ethnomusicology”. There are some other international journals, as well. Thus the inculcated term “ethnomusicology” has substituted other terms which were in scientific circulation until then. Hence, ethnomusicology is regarded as an interdisciplinary branch, studying traditional musical creative work from different aspects: as an artistic, everyday life and esthetic phenomena.

Nutsa Batiashvili

**Power of History and Symbolic Forms:
Georgia's 'Revolutionary' politics
December 2008**

The winter of 2007-2008 witnessed turmoil in the political life of Georgia. Several months of political unrest were followed by the re-election of president Saakashvili, and this in turn sparked a new series of protests and demonstrations on the streets. The riots were over political disputes between the government and the opposition parties, at the centre of which was the issue of democracy. All these events were characterized by an abundance of political performances and symbolic displays, and this makes it possible to explore a number of conceptual issues – both for Georgia and for the anthropology of the state.

The council is working, but without creating miracles. They organised help from the state and with men from the village they did some basic renovations of the school. Now the school with its 40 pupils is working. Some improvement of the infrastructure was done and half of the village has now drinking water. Cattle-breeding is a large part of their subsistence. But there is no money to hire a herdsman. For this reason the members of the council organise the herdsmen by themselves, and post the list in the village centre. The council is perhaps now the main representative organ of the village.

The council should also not be overestimated. It has no real authority to order someone to do something. Also, if there is a conflict in the village, e.g. if

drunken Svans are heavily struggling or if some mediation is needed, the council is not responsible for it. They only inform older people in the village to sit together to try to find a solution.

Car accident and traditional law

The village of Chivchavi was planned on a drawing table. A lot of fast build, similar looking houses, at least from the basic structure, can be found there. The families came one by one from Lower Svaneti, once their house was finished. Most of the families originate from one municipality in Lower Svaneti. This is a big difference to the above mentioned village of Abeliani. The families in Chivchavi knew themselves and lived even together before coming to their new village. Since 21 years now this village is existent. It has an officially appointed head of the village, a member of the regional parliament, has a brand new church with priest and is generally better embedded in the local state administration. In the village are some elders, who act as mediators for internal conflicts, e.g. in property relations or after fights between young people. After an accident which led to a dead young Svan there were also attempts for mediating the case. But there were rejected, which means that some action of revenge might have emerged ...

The Svans practice even today blood feud. This can happen because of numerous reasons, e.g. if somebody was killed, even in an accident, and the mediation process between the conflicting parties did not come to an end. Often, the offended party try to avenge its dead family member. Generally the male members of one extended family tries to kill a member of the other family. There were mainly two possibilities to avoid a process of blood feud, i.e. the mediation of the conflict or the persecuted family had to leave the region.

In July 2009, in the centre of the regional capital Tetrtskaro, a young boy from Chivchavi was killed in a car accident. The driver was a Svan from Abeliani. He drove much too fast, apparently bumped on the curbstone and did touch the boy from Chivchavi of around 22 years of age. The boy named Gia was, as people tell, flying through the air and was even dead before hitting the ground. According to the family of the victim, the driver was drunk, but the blood was not tested by the police. The family from Chivchavi even accused the police that they did wait a while on purpose before testing for alcohol in the blood. I have the impression that a dead person after a car accident can be considered as deplorable misfortune but not as an act on purpose, whereas a drunken driver killing a man seems to be a more serious incident.

According to my information the driver of Abeliani was afraid of the revenge of the Svans and did flee from Tetrtskaro to Tbilisi. The capital of Georgia is around one hour away from Tetrtskaro. Only there he turned himself in to the police. Apparently, he considered himself there more secure from the revenge of the Svans of Chivchavi. The trial took later place in Tetrtskaro. The driver was punished and went for four years to jail.

It is still difficult to get a clear picture out of all the different accounts of the case. The versions of the case differ from narrator to narrator. Sometimes the driver was drunk, and sometimes not. Sometimes it was suggested that in fact another driver was the culprit. Some people say that they were afraid of blood feud while other claimed that blood feud would happen here in Tetrtskaro. But apparently, shortly after the accident did happen, but before the driver turned himself in to the police, some elders from Abeliani went to the village of Chivchavi to ask for a mediation process.

These elders went to Chivchavi and they were received by the family of the victim, but the latter did not agree to start mediation. In theory, this means a blood feud might take place. After the negotiations did fail to start mediation, only then, as the people told me, the young driver did surrender to the police. Maybe he thought to be in better hands there.

It was difficult to talk to the victim's family about the case. One man told us, that after the accident they should have gone directly to Abeliani and burn down the house of the driver. But they were so in grieve that they could not. And now, when the driver will be out of jail after some years, and no mediation will be under way, a blood feud may start. But I have to add, that the family in question consists of five cousins which are all around 70. Will they practice the blood feud? I could not talk intensively to their children, but my impression is that they are not on the way to go for a blood feud.

Still, the police immediately tried to control the situation, perhaps because of fear that the situation might get more difficult. Also, the family of the culprit, who just arrived to Abeliani, did leave shortly after the incident the village, in order to respect the feelings of the family of the victim, how it is said.

I personally think that a blood feud will not occur in this case. The reason for this is also because the father of the dead boy has no further sons. One man in Chivchavi told me: "Look at the father! He's so old and who knows if he would still be alive when the driver will come out of jail in some years. The father of the victim is alone to revenge is son." Earlier, a feud meant that one extended family stood together against the other. But in Chivchavi, the extended family is indeed deeply mourning for the dead boy, but is taking no further steps in a revenge process.

But the idea is there, and also the police seems to be cautious of it. The family of the driver did leave the village, maybe because they were afraid that a reaction of the family of Chivchavi might be provoked with their presence. People of Abeliani and Chivchavi say that there might and should be some mediation and compensation after the culprit will have left the prison. The period in jail seems like a time out, a moment to think, before talking again on the conflict between the villages.

Conclusion

With these two examples of the practice of traditional law I wanted to illustrate that the idea of traditional law is there, that it is practiced from time to time, but that it cannot be conceived as a functioning frame of reference for all social actions. The state is not as weak as at the begin of the 1990s. But the local state administration is not rich and does not have the funds, e.g. to rebuild the streets of all little villages. The local administration is not present in every village. The informal council in Abeliani, in which people try to organise themselves on a certain level, is accepted by the state administration. It does not cause any harm and even compensate the fact that the administration did not really care of the newly arrived citizens. The former mayor of the region, so it was told, said that if one wants to see a village who take its life in its own hand one should go to Abeliani! There might be similar arrangements in other non-Svan villages. For me it was interesting to note, that with the swearing of an oath on the icon and references to similar councils in Svaneti, the councils was ideological embedded in traditional legal procedures.

In relation to the accident the police possibly wanted to act fast. The topic of blood feud with the Svans is widely known in Georgia. The Svan driver did flee from the region because of fear of revenge. One can say that as long traditional law does not bother the state administration its practice might prevail. But when it comes to more heavy cases which go beyond the border of the village, the state is interfering. The practice of traditional law in Kvemo Kartli appears like an improvisation on a theme, which everybody respects but only if it does fit with the individual plans of the villagers.

შტეფან ფოელი

ჩვეულებითი სამართალი ქვემო ქართლის სვანურ სოფლებში

მკვლევარი საველე ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, რომელიც შეკრებილია მის მიერ ქვემო ქართლის სვანურ სოფლებში 2010 წელს, აფიქსირებს ფაქტს, რომ ჩვეულებითი სამართალი შეადგენდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. ყურადღება საგანგებოდ მახვილდება ფაქტზე, რომ ის დამახასიათებელი იყო არა მარტო სვანეთისა და ხევსურეთისთვის (ე.ი. საქართველოს მთიელთათვის), სადაც ეს პრაქტიკა ჩვეულებრივ შეისწავლებოდა, არამედ ბარის მოსახლეობისთვისაც (რაც არ იყო აღწერილი და დაფიქსირებული აქამდე).

ნინო აბაკელია

**სატყელო-ბალთა კომპლექსის საკულტო და კოსმოლოგიური
განზომილებებისათვის ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში**

წინამდებარე სტატია ეხება სამოსის დაწვეილებულ ელემენტებს სარტყელსა და ბალთას, რომელთა სიმბოლური ველები განსხვავებულია. სარტყლისა და ბალთის სიმბოლური ფუნქციების განხილვისას შევეცდებით ვაჩვენოთ განსხვავებული (ადამიანური და კოსმიური) საუფლოები, რომლიდანაც ისინი მომდინარეობენ და როგორ ფუნქციონირებენ ისინი ქართულ ტრადიციაში. მიზნის მისაღწევად გამოვიყენებთ როგორც ეთნოგრაფიულ, ასევე არქეოლოგიურ მასალას.

ზოგადად, ყოფაში წელზე შემორტყმული გარკვეული სახის ქამრები / სატყელები მიანიშნებენ მისი მატარებლის კონკრეტულ სტატუსზე და იმ ძალებზე, რომლებიც მათშია ჩადებული. სარტყელი ასევე იზიარებს ძაფის, თოკის, ჯაჭვის სიმბოლიზმს (შევალიე, დებრაი: 1994). რამდენადაც ქამარი ადამიანის სხეულს გარს ერტყმის და იბმება (იკვრება), ამდენად მას ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში დაცვის გარდა “ბედის დაბმის” ფუნქციაც გააჩნია.

სარტყელი როგორც გარკვეული პირობის, ფიცის, აღთქმის განსხეულება და ნიშანი ხშირად იზიარებს საკრალურ ან ინიციაციურ თვისებებს და ამგვარი ასპექტები მრავალი ხალხის (და მათ შორის ქართველთა) რიტუალებსა და ტრადიციებშიც ვლინდება. განსაკუთრებულ სიმბოლიზმს იძენს “სარტყლის შებმა” ან მისი “შეხსნა”, რომელიც ქართველთა რიტუალურ ცხოვრებაში სხვადასხვანაირად ვლინდება და უმეტეს შემთხვევაში ბრძოლის და ბედ-იღბლის იდეას უკავშირდება. მოკლედ შეჩერდებით თვითოეულ მათგანზე.

ეთნოლოგიური გამოკვლევების (აბაკელია: 1997, 108-131) თანახმად, ბედის პერსონიფიკაციას ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში “ბედისმწერლები წარმოადგენენ, რომლებიც ადგილობრივი პერცეფციით შავებში ჩაცმულ (ხშირად, ხანში შესულ) ქალებად წარმოიდგინებიან. მათი რიცხვი ძირითადად, სამს არ აღემატება (თუმცა, ზოგჯერ შვიდით ან ცხრითაც შეიძლება შეიცვალოს). მრავალ ტრადიციაში ბედ-იღბლის ქალ-ღვთაებები ძაფის მრთველებად და მქსოველებად აღიქმებიან [შდრ. პლატონის ცნობას, რომელიც თა-

ვის მხრივ, უფრო ძველ მითოლოგიურ წყაროს ეყრდნობოდა, რომლის მიხედვით მოიღობის დედას – ანანკას მუხლებზე თითისტარი ელო (ხატება, რომელიც, როგორც ცნობილია ძაფის დართვის მოტივს სამყაროს ღერძის მოტივთან აერთიანებს)]. მოგვიანო განვითარების შედეგად, ბიზანტიურ ხელოვნებაში თითისტარი და ძაფის დართვა ღვთისმშობლის ხატთან (კერძოდ ხარების სცენასთან, იერუსალიმის ტაძრის წმინდა კრეტსაბმელის ქსოვასთან და ახალი სიცოცხლის მუცლად ღებასთან) ასოცირდება.

ადამიანის დაბადებისას ბედ-იღბლის ქალღვთაებები ქსოვენ ახლად დაბადებულის ბედ-იღბალს (შდრ. “ბედნიერ პერანგში” დაბადებულის მოტივს), მისი ცხოვრების მთელ გზას. შესაბამისად, გავრცელებული რწმენა-წარმოდგენებით, ძაფის გაწვევტა სიცოცხლის ძაფის გაწვევტას, სიკვდილს მოასწავებდა.

საინტერესო რიტუალი არის დაფიქსირებული საინგილოში, რომლის მიხედვით: ახალის წლის შუა დამეს როდესაც ყველას ეძინა, ოჯახის დიასახლისი რთავდა ძაფს, ოჯახის უფროსი ფხიზლობდა და საუბრით ართობდა მეუღლეს; როდესაც ძაფი დაირთვებოდა, ორივე ჩუმად, ოჯახის ყველა მძინარე ვაჟს მაჯაზე ძაფს შეაბამდა, რომელიც მათ სამი დღე უნდა ეტარებინათ. ახლად დართულ ძაფს ყველაფერს ახვევდნენ – ავეჯს, ჭურჭელს, დედაბოძს და სხვ. აღნიშნული რიტუალით, ჩვენი აზრით, დედას, რომელიც თავისი რიტუალური როლით და ფუნქციებით ბედის მწერელს გვაგონებს, მომავალი ახალი წლისთვის ვაჟებისთვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა უნდა დაეხედებინა.

ამრიგად, ქართულ ტრადიციაში, კოსმოლოგიურ პლანში ბედისმწერლები ქსოვენ და განსაზღვრავენ ადამიანის ბედ-იღბალს, ყოფით პლანში – ოჯახის დიასახლისი, რომელიც იმეორებს ბედისმწერლის ქმედებას. ეს უკანასკნელი ძაფის დართვისა და მისი ადამიანებზე და საგნებზე შემოხვევის გზით ცდილობს დაიცვას მომავალ ახალ წელს ოჯახი და ოჯახის ყველა წევრი არასასურველი ძაღების ზემოქმედებისაგან, რომლებიც განსაკუთრებულად აქტიურდებიან, ადგილობრივი რწმენებით, სეზონების ცვლის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი წლის დადგომის) დროს. ახალ წელს უკავშირდება, აგრეთვე, კარგი ბედის დაბედებაც, რომელიც შესაძლებელი ხდება ოჯახში ფეხ-ბედნიერი მეკვლეს მოსვლის და შესაბამისი რიტუალების ჩატარების მეშვეობით.

ბედ-იღბლის მოტივი, ასევე, ვლინდება ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ რიტუალებში, რომელშიც წინაქრისტიანული ქალღვთაება ნერჩი რეკონსტრუირდება (რომელიც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მარიამ ღვთისმშობელმა ჩაანაცვლა) (აბაკელია: 1991). მასთან სპეციალური სალოცავი რიტუალები ასოცირდება. აღნიშნული რიტუალის წარმმართვეი ბებია ქალი იყო, ხოლო მონაწი-

ლენი – საგვარეულოდან მოწვეული ქალები. სალოცავი რიტუალის შესრულება აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული, რომ ბავშვი და მთელი საგვარეულო მომავალში უნაყოფო არ დარჩენილიყო.

ფუნქციონირება ამგვარი კომბინაცია (ანუ ნაყოფიერებისა და ბედ-იღბლის მიმნიჭებლობა) ჩვენი აზრით, ასევე, მიიკვლევა რომაულ ღვთაება ფორტუნაში, რომელიც რომაულ ტრადიციაში გავრცელებული რწმენების მიხედვით ბედ-იღბლის, ნაყოფიერებისა და მშობიარობის მფარველი იყო.

ქართულ ტრადიციაში ბედის შეცვლისა და დაბმის, მიჯაჭვის მოტივი, ასევე, მიიკვლევა “ხატზე გადაცემის” წეს-ჩვეულებაში, რომელიც როგორც წესი სრულდებოდა ეკლესიის ეზოში (ან სამკედლოში), რომლის დროსაც ღურსმნები მიეჭედებოდა საკრალურ ხეზე (ან სახლში – დედაბოძზე, რომელიც, თავის მხრივ, სამყაროს ღერძს წარმოადგენს მიკროკოსმურ დონეზე). ამ ქმედებებით, გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, დამნაშავე ადამიანის ბედი მიჭედებული და შესაბამისად ჩაკეტილი, შეკრული უნდა ყოფილიყო (მდრ. ბედკრულს), მანამდე, სანამ ე.წ. “გამოსასყიდი რიტუალი” არ შესრულდებოდა.

აქ კვლავ გავიხსენებთ ეტრუსკების ქალღვთაება ნორციას / ნურტის (რომაულ პერიოდში იდენტიფიცირებულს ფორტუნასთან), რომლისთვისაც უცნაური და აუხსნელი რიტუალი სრულდებოდა ყოველწლიურად; აღნიშნული რიტულის შესრულების დროს მისი ტაძრის კარებებზე ღურსმნები იჭედებოდა. ზემოთ ხსენებულმა ქართულმა ტიპოლოგიურმა მაგალითმა შეიძლება შუქი მოფინოს ღვთაებისადმი (ფორტუნასადმი) მიძღვნილ ყოველწლიურად შესრულბულ წეს-ჩვეულებას, რომელიც მას ბედ-იღბლის იდეასთან აკავშირებს.

თოკის შემოკვრის უძველეს წესს მაჯაზე (სხვა შემთხვევაში წელზე, ყელზე...) შეიძლება, ერთი მხრივ, დამცველი ფუნქციები ჰქონოდა, ხოლო მეორე მხრივ – ადამიანზე სასურველი თვისებების (დღეგრძელობის, სიბრძნის და სხვ.) “დასაბმელი” საშუალება ყოფილიყო. მოგვიანებით ამგვარი ამულეტები, რომლებსაც ხელზე, ყელსა და წელზე შეოირტყამდნენ, როგორც ცნობილია, დამცველი სამაჯურების, სარტყლებისა და ყელსაბამის ფორმას იღებს (აბაკელია: 1977, 108-130).

სარტყლის შეკვრისა და გახსნის სიმბოლიზში ქართულ საკრალურ პოეზიაში, წმ. გიორგის სახელთან ასოცირდება. სადღესასწაულო საკრალური ტექსტი რომელშიც წმ. გიორგის სახელი ფიგურირებს შემდეგნაირია:

“დღესამ დღეობა ვისია,
წმინდისაგორგისია.
გიორგი გალაგანზედა

უქამრო იარებოდა,
გიორგის გადმონავალზე
ხე ალვად ამუსულიყო.
იმას მოესხა ყურძენი,
საჭმელად მოწეულიყო,
იმის შემცოდვე ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულიყო...”

ლექსში გადმოცემულია, როგორც ამას თ. ჯაფელი წარმოაჩენს, დევ-კერპებთან ბრძოლიდან დაბრუნებულ წმ. გიორგის სახე, რომელსაც როგორც ბრძოლიდან დაბრუნებულს საბრძოლო ქამარი შეუხსნია. სარტყლის შებმა სარტყლის შეხსნისგან განსხვავებით ომისთვის მზადებას აღნიშნავს (“ემზადე გუდანის ჯვარო, წელთ შამოირტყი ხმალია”) (ჯაყელი: 1990, 29).

სარტყლის შეხსნისა და შებმის (შემორტყმისა და მოხსნის) სემანტიკური ამბივალენტობა, ჩვენი აზრით, რამდენადაც ის *შინადად გარეთ* (სააქაოდან საიქიოში) გასვლასთან, შესაბამისად ერთი მოდალობიდან მეორეზე გადასვლას გულისხმობს, მიგვანიშნებს მის ზღვრულ სიმბოლიზმზე.

ზღვრის სიმბოლიზმთან დაკავშირებულად მიგვანიშნა ბრინჯაოს გრავირებული სარტყლების დეკორი, რომლებიც აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს, ჩრდილოეთ სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დღეისთვის დაგროვებული მასალის მიხედვით, აღნიშნული არტეფაქტების ქრონოლოგიური ჩარჩო ძვ. წ. IX- VII საუკუნეებს მოიცავს (ხიდაშელი: 1982).

სარტყლის მაგიურ და რიტუალურ ფუნქციებზე მიგვანიშნებს ბრინჯაოს სარტყლების დეკორი, რომელიც, მკვლევართა აზრით, დვთაებრივი ნადირობის (უფრო ზუსტად, საკრალური ნადირობის) ამსახველი უნდა იყოს, რამდენადაც ამ ტიპის სარტყლებზე წმინდა ნადირობის სცენებია გამოსახული (მ.ხიდაშელი: 1982; 2001; 2005). სარტყლის ფუნქციებიდან გამომდინარე მიგვანიშნა, რომ გრავირებული სარტყელი მონადირის სამოსის აუცილებელი ატრიბუტი და, შესაბამისად, მისი სტატუსის მაჩვენებელიც უნდა ყოფილიყო. სარტყლის ტარება, ისევე როგორც მონადირის მიერ მაგიური ბეჭდის ფლობა, რომელსაც ტყის დედოფალი აძლევს მონადირეს, როგორც თავის რჩეულს მიგვანიშნა, რომ ბედ-იღბალთან არის დაკავშირებული (აბაკელია: 2006, 201-213).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული ხალხური საფერხულო სიმღერის ერთერთი უძველესი ნიმუში: “ქალსა ვისმეს ერქვა შროშანაო...” რომელიც რაჭასა და სვანეთში იქნა დაფიქსირებული XIX საუკუნის ბოლოს და რომელიც გაზაფხულზე სრულდებოდა. აღნიშნული საფერხულო სიმღერა ლიტერატურაში ბუნების ძალთა აღორძინებას, კოსმიურ მოვლენას – გაზაფხულის დადგომას უკავ-

შირდებოდა; იგი, ასევე, განსაზღვრულია, როგორც ღვთაებისადმი მიძღვნილი უძველესი ჰიმნი, რომლის სათანადო შესრულებას მონადირისათვის იღბლიანი ნადირობა უნდა მოეტანა (ვირსალაძე: 1964, 178-180). საფერხულო საწესო სიმღერის ტექსტი რომელიც წინამდებარე კვლევისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, შემდეგნაირია:

“ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე,
ერქვა შროშანაო.
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა,
ეცვა ბეჭედაო.
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა
მოლი მოსულაო;
მოლის თავსა, მოლის თავსა
ნაძვი ასრულაო.
ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა
ქორს ბუდე ედგაო,
ბუდე იყო, ბუდე იყო აბრეშუმისაო,
კვერცხი ჰქონდა,
კვერცხი ჰქონდა იაგუნდისაო.
გადმოსჩეკა, გადმოსჩეკა
მარგალიტისაო.
ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი
ჩემთვის გაზარდეო,
სხვა ათასი, სხვა ათასი
სხვისთვის გაზარდეო.
სანადიროს, სანადიროს
გზა გაუწაღდეო, ინადიროს ინადიროს
მოკლას ირემიო, ეიკიდოს, ეიკიდოს
შინ მოიტანოსო
მაგ ირემსა, მაგ ირემსა
ბეწვი შეგლიჯეო.
მაგ ბეწვისა, მაგ ბეწვისა
ჩოხა დამირთეო.
ნაგულარი, ნაგულარი
წინდა –პაიჭიო.
ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო
ლომო და გმიროო.
მაგ ალვის ხეს,
მაგ ალვის ხეს ტოტი შესტეხეო.
მაგ ტოტისა, მაგ ტოტისა
სახლი დამიდგიო.
ნაფოტარი(ით), ნაფოტარ(ით)
წისქვილ-ბოსელიო ...” (ე.ვირსალაძე, 1964, 189-190).

რამდენადაც ციტირებულ ტექსტს სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა (აბაკელია: 2006, 201-212; Abakelia: 2006,49-54) აქ მხოლოდ დასკვნებს მოვიტანთ: აღნიშნული ტექსტის ანალიზმა გვაჩვენა, რომ იგი უფრო დიდი მითის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ნადირობას, მონადირისა და ქალღვთაების სასიყვარულო ურთიერთობას და რჩეულობის ინსტიტუტს უკავშირდება. საწესო ლექსის უფრო ფართო კონტექსტში განხილვა მასთან დაკავშირებულ ახალ ინფორმაციულ ნაკადებს წარმოშობს. ქალის სახელი შროშანა, რომელიც სურნელოვანი, თეთრი მთის ყვავილის (ლილიის) აღმნიშვნელია, მას ერთი მხრივ ოდორისტულ კოდში რთავს, ხოლო მეორეს მხრივ, ყვავილის ცენტრიდან გამომავალი ფურცლების გამო, რომელიც ცენტრიდან გამოსხივებას შეიძლება შევადაროთ გენონისეული გაგებით, მას სამყაროს სიმბოლიზმთან აკავშირებს (გავისხენოთ ეგვიპტურ შესაქმის მითში ან ინდუისტურ ტრადიციაში ლოტოსი, როგორც სამყაროს გამოვლინება, რომელზეც ღვთაებაა გამოსახული და სხვ.).

ქალღვთაება შროშანასთან რამოდენიმე აზრობრივად თანხვედრილი სიმბოლო ასოცირდება. მაგ., ყვავილი და ბეჭედი. ორივეს (ბეჭედსა და ყვავილს), როგორც წრის მანიფესტაციას, წრის ყველა მითოლოგიური მნიშვნელობა მიუღია და მათ შორის თვითობისაც ანუ სიცოცხლის ყველაზე არსებითი ასპექტიც იუნგისეული გაგებით (თვითობაზე იხ.: იუნგი: 2005), რომელიც ყოველთვის მის აბსოლუტურ სისრულეზე მიაწვდის.

სხვა სიმბოლოთა აგებულება, რომელსაც ტექსტში ვხვდებით, ეფუძნება წრისა და ღერძის გამოსახულებას. თვლიანი ბეჭედი, როგორც წრე სამყაროს წარმოსახვითი სურათხატია. მის ცენტრში ამოსული ნაძვის ხე, ღერძული სიმბოლიკის მნიშვნელობისაა (ცენტრის და ღერძის სიმბოლიზმთან დაკავშირებით იხ. ელიადე: 1958) შესაბამისად, წრეში (მოძრაობის სიმბოლო), ამოსული ხე (უძრაობის სიმბოლო), მოძრაობისა და უძრაობის მიმართების მაჩვენებელია.

ჰორიზონტალურ პროექციაში ხე, ზოგადად, სამყაროს ჭიპად არის მიჩნეული, ხოლო ვერტიკალში – სამყაროს ღერძად (გენონი: 2000).

მცირემასშტაბიანი სამყაროს მოდელის სტრუქტურა, რომელსაც ბეჭედი იძლევა კოსმიური ასპექტი გააჩნია. ხოლო ბეჭედი იმ სურათხატს გვაძლევს, რომელშიც დრო და სივრცე (“აქ” და “ახლა”) იჭრება და იქმნება რეალობა, მთლიანობა.

ამრიგად, მონადირე საზოგადოების ის პრივილეგირებული პირია, რომელსაც ქალღვთაების კეთილგანწყობის გამო შეუძლია, ნება ეძლევა მივიდეს საკრალურ ცენტრთან, მიაღწიოს სამოთხისეულ მდგომარეობას და დროებით დაეუფლოს მთლიანობას.

მონადირის გასვლა გარეთ და შეხვედრა ქალღვთაებასთან, მასთან სატრფიალო ხელშეკრულების დადება და ამით ბედის მოპოვება უკვე მის განსაკუთრებულ სენსიტივობაზე მიუთითებს. პრაქტიკულად, მონადირის არაჩვეულებრივად გამახვილებული გრძნობების მეშვეობით ვლინდება საკრალური სამყარო. მონადირე ამ შემთხვევაში განსხვავდება საზოგადოების სხვა წევრებისგან საკუთარი რელიგიური განცდების ინტენსივობით. მისი სულიერი ცხოვრება ფარული უნარების გამო უფრო ღრმა და შინაარსიანია, ვიდრე სხვა დანარჩენი ხალხისა. მონადირის შეხვედრისას ქალღვთაებასთან ხდება მისი ტრანსფორმაცია ჩვეულებრივიდან არაჩვეულებრივში – რჩეულში.

მთლიანობა ზემოთ მოტანილი წრიული საფერხულო რიტუალითაც გამოიხატებოდა. ქ. ალავერდაშვილის მიერ შესწავლილი ფერხულებში (ზემყრელო, სახატო ფერხულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში) სამყაროს წრებრუნვის იდეაა გამოხატული სამყაროს ღერძის გარშემო, ცისა და მიწის კავშირი საკრალურ ცენტრში, დროის ციკლური მდინარეობა, რაც სამყაროს წესრიგს, ნაყოფიერებას, კეთილდღეობას და სხვ. უკავშირდება (ალავერდაშვილი: 2004, 24; 2005). მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში მოქცეული თითოეული ფერხული განსხვავებული სიმბოლური მნიშვნელობისაა.

რას შეიძლება უკავშირდებოდეს სამონადირეო ციკლში ჩართული ფერხული და რისი სიმბოლო შეიძლება იყოს იგი? ამაზე შეიძლება ტექსტმა გვიპასუხოს, რომელიც რეალურად ქალღვთაების ინვოკაციაა და შესრულების წესმა, რომელსაც მთელი სოფელი ასრულებს. ორივე, როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური ქმედებები ერთმანეთს ავსებენ და ესმარებიან ერთმანეთს და ორივე ერთად – მონადირეს. საფერხულო მოძრაობებით “დახატული” ფორმა, ჩვენი აზრით, შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნას ლაბირინთთან, ხოლო ცეკვა – ლაბირინთულ ცეკვასთან. აღნიშნულ კონკრეტულ სიტუაციაში ცეკვის მიზანია გაამხნევოს მონადირე და გაუძღვეს მას უხილავ ბილიკზე, რომელიც წარმავალიდან წარუვალ სფეროში მიემართება (შდრ. შამანების ცეკვას, რომელიც ესმარება შამანს გავიდეს სულიერ სამყაროში ან შივას ცეკვას ცეცხლოვან წრეში, რომელიც შესაქმეს უკავშირდება).

მაგრამ ას უნდა ნიშნავდეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინვოკაციის შემცველი ფერხული? თუ გავითვალისწინებთ საკრალური ცეკვების სხვადასხვა ფუნქციას (მაგ.: საკრალური ცეკვის მეშვეობით შამანი გადის სულიერ სამყაროში; შივას საკრალური ცეკვა ცეცხლოვან წრეში შესაქმეს უკავშირდება და სხვ.) და ასევე თუ მხედველოვებობაში მივიღებთ იმ გეომეტრიულ ნახაზს, რომელიც ამ ცეკვებით იქმნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ აღნიშნულ საფერხულო საკრალურ ცეკვის მიზანი იყო იმ ბილიკის, იმ

გზის დახატვა, რომელიც უნდა გაეგლო მონადირეს და რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ლაბირინთული ცეკვა (ცეკვა-ლაბირინთი) ან სულიერ სამყაროში გასასვლელი სიმბოლური გზა. საკრალური ცეკვის მიზანი იყო გაემხნეებინა მონადირე და გაეცილებინა იგი უხილავ ბილიკზე რომელსაც ის უნდა გაეყვანა წარმავალიდან წარუღვალ სამყაროში. ჩემი აზრით იგივე იდეა უნდა იყოს გამოსატყული ადრებრინჯაოს ხანის გრაფირებულ სარტყლებზეც. ზემოთ ხსენებულ გრაფირებულ ბრინჯაოს სარტყლების (ძვ.წ. IX – VII საუკუნეები) კიდებზე შესაძლებელია ლაბირინთის ჯგერედინი მოდელის იდენტიფიცირება, რომელსაც უკვე ეთნოგრაფიულ დონეზე გააჩნდა გამოკვეტილი რელიგიური მნიშვნელობა ქართველებისთვის.

ჩვენი აზრით, ლაბირინთის მოდელი (რომელიც შეიძლება იყოს კონცენტრული წრეებისაგან, კვადრატებისგან ან რომელიმე სხვა გეომეტრიული ფიგურისგან შემდგარი) შეიძლება იდენტიფიცირებული იქნას ზემოთ ხსენებული ბრინჯაოს გრაფირებული სარტყლების კიდებზე შექმნილ გამოსახულებებთან; ლაბირინთის მოდელი ეთნოგრაფიულ დონეზე ავლენს გამოკვეთილ რელიგიურ ფუნქციებს ქართველთა რწმენა-წარმოდგენებში. მაგრამ რა შესაძლებელი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ბრინჯაოს სარტყლებს? რომელნიც მეცნიერების მიერ გაიგივებულია ღვთიური ნადირობის და პურობის სცენებთან? სარტყელი თავად მიუთითებს მის მფლობელზე ე.ი. მონადირეზე, რომელსაც იმისათვის რომ ენადირა სამოთხისმსგავს საკრალურ ცენტრში ქალღვთაების გულის მოღობა და თანხმობა ესაჭიროებოდა, რაც არ იყო ადვილი საქმე და სადაც მისასვლელი მხოლოდ ქალღვთაების რჩეულს ჰქონდა. აღნიშნული რწმენა-წარმოდგენების ფონზე გასაგები ხდება თუ რატომ სრულდებოდა საფერხულო სიმღერები მთელი სოფლის მიერ, რაც გულისხმობდა ქალღვთაების ინვოკაციას, რომელსაც მონადირისთვის იღბლიანი ნადირობა უნდა უზრუნველყო. ფერხულების ზოგადი ელემენტები მოიცავს მოძრაობების სპირალურ კომპლექსურობას, გამეორებით რევერსიებს (ერთ მხარეს ბრუნვას, შეჩერებას და შემდეგ საპირისპირო მხარეს ტრიალს), თითქოსდა განმეორებადი წინააღმდეგობების გამო შეჩერებების შემდეგ ხელახალ ფორმად ქმნას, რომლებიც სიმბოლურად შეიძლება დახვეულ ბილიკებს წარმოადგენდნენ. მისადგომები საკრალურ ცენტრში იყო რთული და გმირს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში მონადირეს) უნდა დაეძლია ლაბირინთული სიძნელეები. ჩვენი აზრით, საფერხულო სიმღერების ქორეოგრაფია ლაბირინთული კონსტრუქციების სიმბოლიზმს ავლენს.

ამგვარად, საკვლევი ფერხულის ტექსტი ქალღვთაემისადმი მოწოდებაა; ხოლო რაც შეეხება ქორეოგრაფიას საფერხულო ცეკ-

ვისას ის ძნელი გზის სირთულეთა მაგიური დაძლევის საშუალებაა, რომელიც უნდა დახმარებოდა მონადირეს გზის გავლაში.

ფერხულის თუ მაგიური ლაბირინთის შესრულება / წარმოდგენა, მაგიური და დამცავი სარტყლის ფლობა (შესაძლოა მაგიურ ბეჭედთან ერთად), ჩვენი აზრით, უნდა დახმარებოდა მონადირეს საკრალური ცენტრის სახიფათო ძიებაში.

ზემოთ თქმულის ანალიზი ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ საკრალური ნადირობა უშუალოდ დაკავშირებული იყო საზღვრის გარღვევასთან და შესაბამისად, ლაბირინთის დაძლევასთან (რომელიც, თავის მხრივ, რთული და სახიფათო გზის დაძლევის სიმბოლოა). ბრინჯაოს სარტყლებზე გრავირებული საკრალური ლაბირინთი მოგვიანო განვითარების შედეგად შესაძლოა შეცვლილიყო ჭვირული ბაღთებით (ა.წ. 3 და 2 საუკუნეები); ეს უკანასკნელნი, ჩვენი აზრით, ძალზე ლაკონურად აჩვენებენ საკრალურ ცენტრის სიმბოლიზმს და მის მფლობელ ტყის დედოფალს ზომორფულ იპოსტასში (იგი შესაძლოა წარმოდგენილი ყოფილიყო გარკვეული სახეობის ცხოველით ან ჰიბრიდული არსების სახით) და, ასევე, ლაბირინთის აბრევიატურას.

ამგვარად, სარტყელი-ბაღთას კომპლექსი წარმოაჩენდა რა კონტრასტს წარმოავალსა და წარუვალ სამყაროებს შორის “იწერებოდა” “სამყაროს მოდელში”, რომელიც ასოცირდებოდა გარკვეულ მითო-რიტუალურ კომპლექსებთან და შესაბამისად ქართული კულტურის სხვადასხვა კატეგორიასთან.

დამოწმებული ლიტერატურა:

აბაკელია: Абакелия Н., Миф и ритуал в Западной Грузии. Тб., 1991.

აბაკელია: აბაკელია ნინო, *სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში*, თბ., 1997.

აბაკელია: აბაკელია ნინო, *სიმბოლო-ანალოგიები და იმპლიციტური “თეოლოგია” ერთ საწესო საფერხულო სიმღერაში*, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 2006.

აბაკელია: აბაკელია ნინო, “*ექსტაზური მოგზაურობის მოტივი ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში*”, მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, მასალები, ნაწილი I, თბ., 2009.

ალავერდაშვილი: ალავერდაშვილი ქეთევანი, *საკრალური გეომეტრია*, თბ., 2004.

- ალავერდაშივილი: *წრიული რიტუალური ფერხულების სიმბოლუკოსათვის ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით*, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 25., თბ., 2005.
- ბარდაველიძე: Бардавелидзе В.В., *Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен* Тб., 1957.
- გენონი: Генон Р., *Символы священной науки*, М., 2002.
- ელიადე: Eliade M., *Patterns in Comparative Religion*, N.Y., 1958.
- ვირსალაძე: ვირსალაძე ელენე, *ქართული სამონადირეო ეპოსი (დალუპული მონადირის ციკლი)*, თბ., 1964.
- იუნგი: იუნგი კ. გ., *ფსიქოლოგია და ალქიმია*, თბ., 2005.
- კიკნაძე: კიკნაძე ზურაბი, *მონადირის ორმაგი ცხოვრება*, თბ., 2005.
- სურგულაძე: სურგულაძე ირაკლი, *ხალხური ორნამენტი*, თბ., 1987
- ხიდაშელი: ხიდაშელი მანანა, *ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში* (ბრინჯაოს გრაფიკული სარტყლები). გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1982.
- ხიდაშელი: ხიდაშელი მანანა, *სამყაროს სურათი აქრქაულ საქართველოში*, თბ., 2001.
- ხიდაშელი: ხიდაშელი მანანა, *რიტუალი და სიმბოლო არქაულ კულტურაში*, თბ., 2005.
- შევალიე, ლეებრანი: Cevalier Jean, Alain Gheebrent, *The Penguin Dictionary of Symbols* (translated from the French by John Buchnan-Brown), London, 1994.
- ჯაყელი: ჯაყელი თამარი, *საუფლო ხე ალვა*, ჯვარი ვაზისა, 2, თბ., 1990



აღმოჩენილია მცხეთის მახლობლად, ნაბადრების სამაროვანზე, ინახება მცხეთის არქეოლოგიურ ბაზაში.

On the Cultic and Cosmic Dimensions of the Belt-Buckle Complex in Georgian Mythic-Ritual System

The paper deals with the juxtaposed and paired elements of garment – belt and buckle, the symbolic fields of which differ. An attempt is made to show the distinctive realms (human and cosmic from which they derive and to show how they function in Georgian tradition. Certain kinds of belts girded on the waist point to the definite status of the bearer and the powers invested in him / her. It also shares the symbolism of chain, thread and rope.

As an embodiment of a contract, oath or vow undertaken, the belt often partakes of a sacral or initiatory quality and these aspects belong to the rites and traditions of different peoples (and among them Georgians)). Encircled round the waist it aims to protect and defend from evil spirits, from evil spells, purifies its bearer and gives him strength.

In Georgian tradition, the symbolism of fastening and loosing of belt is revealed in the sacral poetry of Georgians and is associated with name of St George. The fragment of this sacral poetry as follows:

“Whose day is today?

St George’s day is today.

Upon enclosure, St George walked untied (without girdle).

A sacred tree has grown on St. George’s footprints,

It bore the grapes of vine, mature (ripe) to taste,

Those, who did not taste them,

Were prematurely injured”.

The fragment reveals the situation after St George’s battle with the evil powers, represented by mythological creatures called Dev-kerpni in Georgian. As T, Jaqeli had observed St George has untied his belt as was the custom after the battle. Per contra when a person or on a higher level saint prepared for a battle he girded himself with a belt (Comp: “Be ready for battle saint of Gudani by and gird the belt and sword”).

The semantic ambivalence of fastening and loosing reveals its connection with the other realm, when it is necessary to penetrate through the other loci and as such alludes to the border symbolism.

In Georgian tradition rope, thread and chain encircled round the waist, wrist and neck have on the one had defensive functions, on the other hand – they represent the binding means of certain qualities such as longevity, wisdom, wellbeing, etc.

Spinning of yarn is united with the motif of the Fate Goddess at *axis mundi*, which on its turn implies the aspects of spinning or writing the fates of humans. The same ideas are expressed in the rituals of “fastening” of good luck, which in Georgian tradition are primarily found during the winter solstice festivals. (It is suffice to recall the rituals associated with the First foot on the New Year’s day, whose

function is to leave a happy and good footprints and consequently the good luck for the household, or a ritual practice according to which the mother of the family used to coil spun red yarn on the wrists of male members of the family, etc.).

The motif of fate is also revealed in the childbirth and mortuary rituals. In childbirth rituals, the image of pre-Christian deity Nerchi can be traced (after the conversion to Christianity substituted by Virgin Mary), which also combined the aspects of fortune and fate. That sort of combining of functions can be detected in the image of Roman deity Fortuna which in Roman tradition was believed to be the Goddess of fortune, fecundity and childbirth.

In Georgian tradition the motif of changing and fastening the fate is revealed in the ritual of “transferring of somebody’s fate to the spiritual judgment of the icon (predominantly of St George) performed in the churchyard (or in smithy) during which the nails were fixed in the sacred trees (or in the Mother pillars of dwellings, the latter on its turn functioning as *axis mundi* on the microcosmic level). By this action, it was believed that the fate of the guilty person was nailed up on the sacred tree until the redemption ritual would not be performed. Here we would recall the deity of Etruscans - Norcia /Nurti (In the Roman period identified with the deity Fortuna) for whom a strange and ambiguous ritual had been performed annually, during which nails were wedged, fixed in the gates of her temple.

The above describes typological Georgian parallel might shed light to this strange custom performed annually on the divinity’s celebration day.

Wearing of belt (like owning the magic ring of the Goddess, given to the hunter by the Queen of the Woods) is also associated with the motif of fortune and ill-fortune.

We have a very rare mention of the name of the Goddess in one of the round dance songs directly associated to the hunting. The sacred text of the round dance is as follows:

“There was a woman,
There was a woman,
Called Shroshana,
Who wore finger-rings
On all her five fingers;
There was a grassy land on the ring,
On the ring,
There was a fir-tree in the grassy land,
in the grassy land;
There was a hawk nest on top of the fir-tree,
on top of the fir tree,
It was a silken nest,;
Pearl birds were hatched,
were hatched
Dear Lord, dear Lord,

let one grow for me,
 Thousand others, thousand others
 for the others.
 Make the way clear with a hatchet,
 Let him have a happy hunting,
 a happy hunting,
 Let him hunt a deer,
 Let him lay it over the back,
 Let him bring it home.
 Pull out the hair from the deer,
 from the deer,
 Spin for me a coat (a chokha-coat, i.e. a national garment for men)
 From the core, from the core
 Spin or me the socks.
 Oh, my husband, oh, my husband,
 Oh, my Lion and hero
 Break a branch from that poplar,
 from that poplar,
 Build a poplar house from that poplar branch,
 from that poplar branch
 And a mill and a cattle-shed from the chips
 from the chips.

Possession of the ring implies the following succession of events: the election of the hunter by the goddess and presenting the hunter with a magic ring, that works wonders. The possession of this ring makes him a temporal king of the woods.

The analysis of the text makes it possible to suggest, that it is the only part of the great body of hunting myths, which retells us about the love affairs between the mortal hunter and immortal Goddess and, consequently, deals with the institution of election. Examination of the ritual text in far more wider context causes new informational streams that are associated to it.

The name of the goddess Shroshana, which in Georgian literally means “the lily of the mountain” points to the epiphany in a sign. The sweet scent of the flower, which is considered to be one of her emblems, places the goddess into the odoriferous code and the flower petals emanating from the core (the center) can be compared with the radiation from the center in Genon’s sense and which associates it with the symbolism of the world (compare with the lotus flower in the Egyptian Creation myth or in the Hindu tradition, on which a deity is depicted, etc.).

However, several conceptually similar symbols are associated with the deity Shroshana: e.g. flower and ring (i.e. the symbols of the world, the Unity and the Self). The symbols (the ring and the flower) being the manifestation of the circle, have adopted all the mythological meanings and among them of the

Self or of the very substantial aspect of the Being in Jung's sense (See K.G.Jung, 2005), which points to its absolute perfection.

The symbols met in the text are built on the images of a circle and an axis. The ring with a stone on it, as a circle, is an imagined projection and picture of the world. The evergreen fir tree (or in the other cases poplar) grows in the center of the World and also shares the symbolism of the axis of the world. (see: M.Eliade, 1958,1975). Hence the tree (the symbol of immobility and steadiness) grown up in the center of the circle (the symbol of mobility and movement), points to the opposition: fixed /volatile, unmoved principle/ movement, mobile / immobile.

In the horizontal projection, the tree, generally, is considered to be the navel of the earth, in the vertical plane - the axis of the world (R.Genon, 2000, M.Eliade, 1958, 1975).

The world structure, given on the ring, has a cosmic aspect and time and space (here and now) penetrate into reality.

The idea of the unity and continuity are also expressed by the very form of round dances (or many-storey round dances), that usually are performed around a tree, a banner, a specially constructed tower, etc. The round dances, according to K.Alaverdashvili (2001), express the idea of rotation around the sacred center. As is known, according to the local beliefs, wrong, inaccurate or non-rhythmic performance of a round dance could cause crop-failure, cattle-plague, illness and even death of people and reverse.

The symbols manifested in the myths (the myth of the killed hunter) and rituals (round dances performed in mythologized situations) also appear in the archaeological visual data from Colchis. Here I mean the signet (or intaglio ring) in the grave of the Noble Warrior in Vani i.e. in Colchis (the 1st half of the IV c. B.C.), with the inscription of "Dedatos" on it. On the surface of the ring the Mistress of the Wild Nature is depicted, seated under the sacred tree at the center of the ring. In the right hand she holds a vial, in the left one - supposedly a branch of the same sacred tree under which she sits. The Goddess is regarded to be the patron Goddess of the Warrior, called Dedatos.

All these archaic symbols imply ontology and reveal the correspondence of a mystical order between various (cosmological, anthropological, psychical) levels of cosmic reality.

To my mind, a criss-cross pattern of maze can be discerned on the edges of engraved early- Bronze Age belts; the maze pattern on the ethnographic level show distinct religious functions in the folk beliefs of Georgians. But what possible meanings might have mazes on the early-Bronze belts?

The reply is on the engraved plot of the Caucasian bronze belts (9th-7th c. BC) which by the scholars are recognized as scenes of sacred hunting. The belt itself pointing to its owner i.e. a hunter, who in order to receive the approval of hunting deity had to get into the paradisiacal sacred centre, that was not an easy thing to do and is accessible only for the elect).

Against this background it becomes quite clear why the sacred round dances had been performed before hunting by the whole village (I mean in Georgian tradition) which implied the invocation upon the Goddess who had to give a good fortune in hunting to the hunter. Common elements of round dances include a convoluted complexity in the dancer's movements, repeated reversals (turnings and returning), and a series of patterns variously reformed after regular interceptions end represented winded passages.

The access in the sacred centre was difficult and a hero (in this particular case a hunter) had to overcome the labyrinthine difficulties. In our opinion the choreography of round dances also reveal the symbolism of labyrinthine constructions. Thus the text of the round dance in question is the invocation of the Goddess; and as for the choreography of the round dance it is a magic means of overcoming the difficult path or better to say difficulties of which has to be trodden by the hunter. The performance of round dance song had to help the hunter to overcome the difficulties and obstacles on his way to the sacred grove. the performance of round dance or magical maze dance and owing of magic belt (Sometimes together with owning of magic ring) to our mind, helped the hunter in his perilous quest.

According to our analyses, the sacred hunting is directly associated with idea of overcoming the maze (which in its turn symbolizes the difficult path that must be overcome).

The sacred labyrinth engraved on the belts in later development might be substituted by the open work buckles (3rd an 2nd c. BC) which in my opinion, in a very laconic way display the sacred center symbolism together with the Mistress of the Woods represented in the zoomorphic revelation (it can be figured in the image of certain species of animals or hybrid creatures) and the abbreviation of the maze.

Thus belt-buckle complex contributing to the contact between the transient and intransient worlds is “inscribed” in the “pattern of the world” which associated it with the definite mythic-ritual complexes and consequently with the various categories of Georgian culture.



ბაზლი მუცროლოგიების მუზეუმის კოლექციიდან
Buckle from the Metropolitan Museum Collection

რიტუალური ფერხულების სიმბოლიკის შესწავლისათვის

ჰერმან ჰესე წერდა, რომ მუსიკა და ცეკვა, სხვა ხელოვნებათა მსგავსად, პრეისტორიულ ხანაში მაგიის ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი ატრიბუტი იყო. დაწყებული რიტმით (ტაშის კვრა, ფეხების ბაკუნის, ხის ძელაკების დარტყმები, დოღზე დაკვრის ხელოვნება), იგი მძლავრ და გამოცდილ საშუალებას წარმოადგენდა მრავალთა ერთ წყობაზე შესაწყობად, გულებისა და სუნთქვისათვის ერთიანი რიტმის მისანიჭებლად, ადამიანთათვის მარადიული ძალების მოხმობის და შელოცვის, ცეკვის, შეჯიბრის, ლაშქრობის, ღვთისმსახურებისაკენ მოსაწოდებლად. ეს საწყისური, სუფთა და პირველქმნილი ბუნება მუსიკამ უფრო დიდხანს შეინარჩუნა, ვიდრე ყველა სხვა ხელოვნებამ. საკმარისია გავიხსენოთ ისტორიკოსებისა და პოეტების მრავალრიცხოვანი გამონათქვამები მუსიკის შესახებ. პრაქტიკულად არც მარშებს და არც ცეკვას არასოდეს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა (ჰესე: 1969:52).

ცნობილი ხელოვნების ისტორიკოსი პ. ელისი განიხილავდა ცეკვას, როგორც მოვლენას, რომელშიც ყველაფერი ემორჩილება მეტრის, წესრიგის მტკიცე წესებს, ფორმის საერთო კანონების მკაცრ თანმიმდევრობას და მთელისადმი ნაწილების მორჩილებას. ეს ნიშნები მთელ სამყაროს ახასიათებს და შეიძლება ითქვას, რომ მთელი სამყარო ცეკვაა (ელისი: 1929).

მირჩა ელიადე აღნიშნავდა, რომ საწყისურად ყველა ცეკვა საკრალური იყო, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ ზეადამიანური მოდელი გააჩნდათ. ყოველი ცეკვა იქმნებოდა *in illo tempore*, მითოსურ პრადროში, მითოსური წინაპრის, ღვთაების თუ გმირის მიერ. ქორეოგრაფიული რითმების მოდელი ადამიანის მიწიური ცხოვრების გარეთ არსებობს. ცეკვა მუდამ არქეტიპული უესტის იმიტირებას ახდენს ან მითოსურ მომენტს აღნიშნავს. ერთი სიტყვით, ეს არის გამეორება და „საწყისური დროის“ რეაქტუალიზაცია (ელიადე: 1949:53; ელიადე: 1987: 50).

ლუკიანეს დიალოგში “ცეკვისათვის”, რომელიც ფაქტობრივად ცეკვის წარმომავლობას და ისტორიას მოიცავს, ლიკინე, დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე, განუმარტავს მეგობარს, რომ თავისი წარმომავლობით ცეკვა ღვთაებრივი ხასიათისაა და თავიდან საკულტო რიტუალთან, მსხვერპლშეწირვასთან და მისტერიულ საიდუმლოებასთან იყო დაკავშირებული, რომ ცეკვა არსებითად წარსულის ისტორიაა და მოცეკვავემ ყველაფერი უნდა იცოდეს ქაოსიდან დაწყებული (სამყაროს პირველსაწყისების გაჩენიდან) კლეოპატრას დრომდე. დახელოვნებულმა მოცეკვავემ კარგად უნდა იცოდეს მი-

თოლოგიური სიუჟეტები და შეედლოს ყველაზე დრამატული სიუჟეტების ცეკვით გადმოცემა (ლუკიანე: 1990).

ცეკვის სიმბოლური და რიტუალური ფუნქციები მეტად მრავალფეროვანია. იმის გამო, რომ ცეკვა გარკვეულ რიტმს ემორჩილება, იგი ხელს უწყობს სამყაროს ორგანიზაციას და ციკლურ მოწესრიგებას, წარმოადგენს მიწასა და ზეცას შორის კავშირის, ჰარმონიის დამყარების საშუალებას, შეუძლია გამოიწვიოს წვიმა, ხელი შეუწყოს გამარჯვებას, სიყვარულს, ნაყოფიერებას; იგი კრეაციის, სამყაროს მოწესრიგების, დაცვის და ამავე დროს რეინტეგრაციის საშუალება, ვიტალური, ინტელექტუალური მოძრაობაა; ანტიკურ საბერძნეთშიც, ინდიელთა მზის ცეკვებშიც, ჩინურ, ინდურ და სხვ. ცეკვებშიც არსებობდა კავშირი მოცეკვავეთა მოძრაობასა და პლანეტების მოძრაობას შორის; ცეკვები კავშირშია კოსმოლოგიურ, ინიციაციურ სიმბოლიკასთან. ითვლებოდა, რომ დერვიშების წრიული ცეკვები ღმერთამდე აღამაღლებდა მათ. ცეკვა ზეციური წყალობის მიღების საშუალებას წარმოადგენდა. ნაყოფიერების გამოთხოვნას ემსახურებოდა საგაზაფხულო ცეკვები. ძველგვიპტურ ცეკვებში თვით ღვთაებანი იღებდნენ მონაწილეობას. ძველ საბერძნეთში ცეკვის, რითმული მოძრაობების საშუალებით გადმოცემული იყო მითოლოგიური სცენები. მათი მიზანი იმ კოსმიური და მისტიკური ძალების განახლება იყო, რომლებიც წარსულში მოქმედებდა. რელიგიური და კოსმიური ცეკვა წარმოადგენდა კრეატორისა და კრეაციის იდენტიფიკაციის რიტუალს. იგი უკავშირდებოდა ენერჯიას, ძალას, რომელიც განაგებს სამყაროს ტრანსფორმაციებს (შევალიე, გეერბრანი: 1973: ტ. II; კერლოტი: 1994; სამსონი: 1987; სესლავისკაია: 1990). ინდუისტურ ხელოვნებაში შივას ცეკვა გამოხატავდა ერთდროულად ქვეყნიერების შექმნას, შენარჩუნებას და განადგურებას, რაც განიხილებოდა როგორც ღმერთის განუწყვეტელი ქმედების ეტაპები. შივამ – „ცეკვის უფალმა“ (ნატარაჯა) – გაუმხილა წმინდა ცეკვის პრინციპები ბრძენ ბჰარატამუნის, რომელმაც მოახდინა მათი კოდიფიცირება. მოძრაობა გაგებულა როგორც ბრუნვა უძრავი ღერძის გარშემო. ცნობილ ქანდაკებაზე შივა ცეკვავს ქაოტური მატერიის დამარცხებულ დემონზე, მისი დოლის დარტყმის ხმა კი შესაქმის აქტს შეესაბამება (ბურკჰარტი: 1999: 47,49).

მეფერხულეთა წრეში ჩამდგარი ადამიანები ქმნიდნენ მტკიცე ცოცხალ ჯაჭვს, რომელიც ფაქტობრივად მთელ საზოგადოებას განასახიერებდა, კიდევ უფრო განამტკიცებდა მის ერთიანობას და ურთიერთკავშირს. წრის ცენტრში ჩამდგარი ღვთისმსახურის მიერ საკრალური სასმელით დარწმუნებულნი ახალი ენერჯიით აღივსებოდნენ და გაძლიერდებოდნენ. ფერხული განსაკუთრებით კარგად წარმოაჩენს ამ ერთობას. „ფერხულში ჩაბმა“ საერთო საქმეში მონაწილეობის მიღებასაც აღნიშნავს, „ცხოვრების ფერხულში ჩაბმა“ კი

საერთოდ ცხოვრებას. ამგვარი წრიული საწესო ცეკვები დიდი თერაპიული ძალის მატარებლად ითვლებოდა. ცნობილია რიტუალები, როდესაც ავადმყოფის გარშემო წრიული ქმედებებისა და ცეკვის საშუალებით ხდებოდა მისი განკურნება.

კ. გოლეიზოვსკი წერდა, რომ „საფერხულე ცეკვებსა და სიმღერებს სასწაულმოქმედი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ხალხური შეხედულების მიხედვით, ამ საფერხულო გაერთიანებას სამკურნალო თვისებაც გააჩნდა“. ზოგჯერ მათ ასრულებდნენ გაუნძრევლად, ზოგჯერ უბრალოდ იხსდნენ და მღეროდნენ (ქორნიცკაია: 1983: 221).

მკვლევართა აზრით, ფერხულების უძველესი ფორმა წრისებური უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს საფერხულო წყობის ძველი ქართული სახელწოდებანი. ტერმინები „ძნობა“, „მძნობარი“, „მძნობრი“, ივ. ჯავახიშვილის აზრით, უძველეს ხანაში უმთავრესად გუნდობრივობის ცნებასთან იყო დაკავშირებული და უფრო სარწმუნოებრივ ცეკვის ამსრულებელთა გუნდებს გულისხმობდა (ჯავახიშვილი: 1990: 46-48).

სულხან-საბა ორბელიანს „ფერხული“ განმარტებული აქვს, როგორც „მრგვალად წყობა“, განსხვავებით „ფერხისა“-სგან, რომელიც „მრავალ მობმით როკვაა“ და როგორცა ჩანს მწკრივში ცეკვის აღმნიშვნელია.

ფერხულის აღსანიშნავად იხმარებოდა „მრგვალიც“. ასე მაგალითად: მონადირეები ანთებულ ლამპრებს „მხარსა შეიდებენ, ეგრე მრგვალსა დააბმენ“ („ხელმწიფის კარის გარიგება“); „ყოველნივე ურთიერთას მოკიდებულ არიან, ვითარცა მრგულისმომგლეტთა მწყობრნი“ (სარჯველაძე, 1995). დ. ჯანელიძე აღნიშნავდა, რომ „მრგვალის“ ასახსნელად საინტერესოა, რომ სვანური „მურგუალ“ ნიშნავს მთელს, ყოველს (ჯანელიძე, 1948; გვ. 154). ასე რომ „მრგვალი“, „მრგვალის დაბმა“ წრიული ფერხულის აღმნიშვნელი ძველი ტერმინი უნდა იყოს (ჯანელიძე: 1948; თათარაძე: 1970; გვარამაძე: 1987).

უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ ფერხულებში ფეხის მოძრაობათა უძველეს თანმიმდევრობას ანუ საფერხულო სვლას ეწოდებოდა „მურგვალ ჭიმს“ ანუ წრიული სვლა (ნაბიჯი). უეჭველია, რომ წრიული სვლა დამახასიათებელი იყო წრიული ფერხულებისათვის, რომელთაც „მურგვალი“ ეწოდებოდათ და წრის ფორმა ჰქონდათ (თათარაძე: 1970: 4-5). დ. ჯანელიძის კლასიფიკაციით ხუთგვარი წყობის ფერხულებს ვხვდებით: ა) წრისებური, ხელმობმით წყობის ერთ-ორ და სამსართულიანი ფერხულები; ბ) ერთი ან ორი რკალისაგან შემდგარი ფერხულები; გ) წრისებური ხელმოუბმელი, ერთიმეორის ზურგშექცევით მოძრავი ფერხულები; დ) ფერხისები, რომელთაც არა აქვთ მრგვალი, წრისებური წყობა. ფერხისა ორ ან სამ მწკრივად იყოფა, ხელმობმული მწკრივები ერთიმეორის პირისპირ ეწყობიან და ურთიერთთან მისვლა-მოსვლით ცეკვავენ და მოძრაობენ; ე) რთული

საფერხულო წყობა აერთიანებს ფერხულთა ყველა ნაირსახეობას. ასეთია, მაგალითად, მეგრული ოსხაპუე და ზოგი სვანური ფერხული (ჯანელიძე: 1948: 185, 216).

მ. იაშვილი ქართული მრავალხმიანობის განვითარების პროცესში გამოიყოფა სამ საფეხურს: აკორდულ-ქორალურ წყობას, პოლიფონიურსა და ჰომოფონურს. ეს საფეხურები შეესაბამება ქართული ხალხური სიმღერის სამ სტილისტურ კატეგორიას. „აკორდულ-ქორალური“ ანუ „საფერხულო“ წყობა, რომელიც ქართული მრავალხმიანობის ქვაკუთხედს წარმოადგენს, გულისხმობს ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ საწყისთა ერთიანობას. ძველქართულ პროფესიულ მუსიკაში ორი ჟანრის – „საგალობლის“ და „ძნობის“ არსებობა საფუძვლიანი არგუმენტია „აკორდულ-ქორალური“ ანუ „საფერხულო“ წყობის კულტივირების „სიძველის“ დასადასტურებლად. ამასთან „ძნობა“ სინკრეტული ტიპისა იყო. მასში ერთ მთლიანობაში შერწყმული იყო ქორეოგრაფიული და მუსიკალური საწყისი. იგი წარმოადგენდა ფერხულს სიმღერის თანხლებით და საკულტო ცეკვის სინონიმი ანუ წარმართული რიტუალის გადმონაშთი იყო. ქორეოგრაფიული ფორმით „ძნობა“ წრიულ ფერხულს, „მრგვალო წყობას“ წარმოადგენს. (იაშვილი: 1987).

გ. შარაშიძის მოსაზრებით, ქართველ მთიელთა ცეკვაში ასახულია ძირეული დაპირისპირება საზოგადოებას, კულტურას, „შინას“ სამყაროსა და ბუნებას, „გარეს“ სამყაროს შორის, ანუ კონტინუალურსა და დისკრეტულს შორის. ცეკვა თარგმნის თავისი სპეციფიკური საშუალებებით პოზიტიური და ნეგატიური ურთიერთობების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს კულტს, რომელსაც იგი ეკუთვნის. ძირეული ოპოზიცია უწყვეტსა და წყვეტილს შორის უნდა გამომჟღავნდეს აქ ამა თუ იმ ფორმით. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ქორეოგრაფიული ტიპი, რომელთაგან ერთი ცდილობს მოძრაობათა უწყვეტობის მიღწევას, მეორე კი პირიქით, მკვეთრი, დაუკავშირებელი ქესტებით გამოხატავს მისწრაფებას ერთიანობის გაწყვეტისაკენ. პირველი ტიპის ცეკვის აღწერისას იგი ხაზს უსვამს, რომ მოცეკვავეთა ორსართულიანი „შენობა“ მოძრაობს ორმაგი წრიული მოძრაობით, როგორც დედამიწის სფერო: იგი ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო და ამავე დროს გადაინაცვლებს სალოცავის მიმართულებით. მონაწილენი ნელა ცეკვავენ და ფრთხილობენ, რომ არ დაინგრეს „შენობა“, რომელსაც ისინი ქმნიან. ამ ქორეოგრაფიის კონტინუალური ხასიათი ნათლად ჩანს და კიდევ უფრო ღრმავდება თვით ნაბიჯების ხასიათის მიხედვით: მოცეკვავეებმა აუცილებლად ერთდროულად უნდა გადაადგან ფეხი და ერთიდაიგივე მოძრაობა გააკეთონ. ერთგვარობა უკავშირდება ცეკვის ყველა ასპექტს და ისევე კარგად შეიმჩნევა მონახაზში, როგორც მოძრაობებში. იგი მიეკუთვნება რელიგიის სფეროს და აღნიშნავს

კულტის ყველაზე საკრალურ ფაზას. გ. შარაშიძის აზრით წრე, წრიული ცეკვები უკავშირდება უწყვეტი მოძრაობის ერთგვარობას და უწყვეტობის აღნიშვნის მისია აქვს, მაგრამ ეს მნიშვნელობა არ არის უცვლელი და იცვლება განსახილველი სისტემების შესაბამისად (შარაშიძე: 1968: 709-712).

საქართველოს მთის მოსახლეობაში ფერხულები და მათი თანმხლები სიმღერები, უკანასკნელ დრომდე ძირითადად შემონახულია როგორც საწესო ცეკვები, ამიტომ საფერხულო სიმღერების ჟანრი მთის კუთხეებში, კერძოდ კი ხევსურეთში, გამოიყოფა საწესო საფერხულო სიმღერების სახელწოდებით (მაისურაძე: 1971: 40).

წრიული რიტუალური ფერხულებისა და წრის მნიშვნელობას დიდი ყურადღება დაუთმო ვ. ბარდაველიძემ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სასულიერო ტექსტების, შემდეგ კი ლიფანაღის მხატვრობის შესწავლისას (ჭრელა „ფერხულთან“ დაკავშირებით). მისი აზრით, ფერხულის შესახებ არსებულ მასალას ქართველი ტომების უძველეს სარწმუნოებრივ შეხედულებათა აღსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს. ქორბელელას, ფერხისაის, მათთან დაკავშირებული და სხვა სასიმღეროები ხთიშვილთა შესახებ წეს-ჩვეულებათა და მსოფლმხედველობის ანარეკლს წარმოადგენს და გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ეს მასალა თავისებურ გასაღებს წარმოადგენს ქართველ ტომთა უძველესი რელიგიის დასადგენად (ბარდაველიძე: 1938:10; ბარდაველიძე: 1953; ბარდაველიძე: 1968).

თუშური ორსართულიანი წრიული ფერხულის - ქორბელელას აღწერისას ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა, რომ ამ ფერხულის მიხედვით მომავლის წინასწარმეტყველება ხდებოდა: თუ ქორბელელა იქცეოდა ან ქორბელელას საგალობელი ირეოდა, მაშინ ეს საჭონლის, მიწის მოსავლისა და ადამიანის ზიანს მოასწავებდა და, პირიქით, ქორბელელას ჯეროვნად შესრულება სიუხვის, სიკეთისა და ბედნიერების მომასწავებელი იყო. ქორბელელას საგალობელში ის ხთიშვილი მოიხსენიება, რომლის სახელობის დღეობაზეც ეს ცეკვა სრულდებოდა, და მას მოუწოდებენ პურის მოსავალი გაადიდოს და საჭონელი და ადამიანები გაამრავლოს. ამასთან ერთად, ვ. ბარდაველიძის მოსაზრებით ქორბელელას საგალობელი მადლარი ვაზის კულტს ასახავდა. ტექსტის ეს ნაწილი ფერხულისაგან დამოუკიდებელი საგალობლის სახითაც არის დამოწმებული ხევსურეთსა, ფშავსა და ხევში, ხოლო ცალკე ლექსად კახეთსა და ქართლშია ფიქსირებული. ხევსურეთში მას ჯვარში დღეობის დროს ე.წ. ზე-დამდგენი გალობდნენ. ასევე ხატში დღეობის დროს წარმოითქმოდა ის ხევში და, ალბათ, ფშავშიც. ამ საგალობლის გავრცელების ესოდენ ფართო არეალი იმის მაჩვენებელია, რომ ქორბელელა, როგორც საწესო საცეკვაო-საგალობელი, ყველა ქართველი ტომისათვის საერთო უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თვითველი

ქორბელელას სასიმღერო გარკვეულ ხთიშვილს მოიხსენიებს და მის სახელზეა განკუთვნილი, ყველას შინაარსი თავის ძირითად ნაწილში საფესებით ერთნაირია და ფორმის მხრივაც ერთსა და იმავე ფრაზებშია ჩამოყალიბებული. მასში მოცემულია: 1. იმ ღვთისშვილის სახელი, რომლისთვისაც დღეობაა განკუთვნილი, 2. ღვთისშვილისადმი მიმართვა პურის მოსაგლის, საქონლის და ადამიანთა მატებაზე და 3. ბოლოს (ან თავში) მოცემულია ეპიზოდი ხთიშვილის სახელობის ხატის კარზე აღვის ხის ამოსვლის შესახებ. ქორბელელას და ფერხისაის სასიმღეროები სრულდებოდა ხატში ანუ ჯვარში ფერხულის დროს. თუშეთში ხატის მამულის გარკვეულ ადგილზე, უფრო ხშირად მამაკაცების სადგომ ადგილზე, რამდენიმე კაცი მხარი-მხარს გადაებმოდა და წრეს მართავდნენ. მეორე წყება მამაკაცებისა მათ მხარზე შეადგებოდა და აგრეთვე მხარი-მხარს გადაებმოდა. ეს ორსართულიანი წრე ნელი ნაბიჯით და სათანადო რიტმის დაცვით ხატის შენობისაკენ გაემართებოდა, თან მარჯვნივ ტრიალებდა და ქორბელელას სასიმღეროს ამბობდა. სასიმღეროს თითო მუხლს ორიპირად ამბობდნენ და, თუ სასიმღეროს ტექსტი მთავრდებოდა ხატის კარზე მისვლამდე, მას თავიდან გაიმეორებდნენ. ზოგჯერ, როდესაც ცეკვის მოსურნე ახალგაზრდობა ბევრი იყო, ქორბელელას ორ-სამ წრეს გააკეთებდნენ. მაშინ თითოეული წრე რიგ-რიგობით იმეორებდა სასიმღეროს ერთსა და იმავე მუხლს ორჯერ. ქორბელელაზე თუში იკვლევდა თავის მომავალს: თუ ქორბელელა იქცეოდა და სიმღერაც ირეოდა, მაშინ საქონელი და ადამიანი დაგვეხოცებაო და პირიქით, თუ ქორბელელა კარგად მიდიოდა და სიმღერაც შეწყობილ-შეხმატკბილებული იყო, მაშინ საქმე კარგად წავივით, ფიქრობდნენ ძველად თუშები. ხატის კართან ქორბელელა იშლებოდა და სიმღერაც წყდებოდა. ხევესურული ფერხისაიც ხატის მახლობლად დგებოდა. მოცეკვავენი ერთმანეთს ხელიხელ გადაებმოდნენ და წრეს აკეთებდნენ. წრის მონაწილენი ორ გუნდად იყვნენ გაყოფილნი და მათი მეთაურები წრეში ერთი-მეორის პირდაპირ იდგნენ. წრე დაიწყებდა მარჯვნივ ტრიალს, თან ნელი ნაბიჯით მიემართებოდა ხატის კარისაკენ და თან ფერხისაის სასიმღეროს ასრულებდა. სიმღერას იწყებდა ერთი გუნდის მეთაური და მას მისი გუნდი ბანს აძლევდა, შემდეგ მეორე გუნდის მეთაური იმავე სიტყვებს გაიმეორებდა და მისი გუნდი კი მას ბანს მისცემდა. ასე მღეროდნენ სასიმღეროს თვითეულ მუხლს ორ-ორჯერ და ხატის კარის შორი-ახლო ფერხისაი დაიშლებოდა და სიმღერაც შეწყდებოდა. ხშირად ეს ფერხული დღეობის დასასრულს ხატიდან წასვლის დროს იმართებოდა, წრე ხატის მოშორებით დგებოდა და სოფლისაკენ მიემართებოდა. მაშინ ამ ფერხულში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას (ბარდაველიძე: 1938; ბარდაველიძე: 1953; ბარდაველიძე, 1968).

ვ. ბარდაველიძე თვლიდა, რომ წრიული ცეკვების აზრსა და დანიშნულებას კარგად გამოავლენს საწესო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, რომელშიც წრიული ცეკვები შედიოდა, როგორც საწესო მოქმედების ერთ-ერთი სახეობათაგანი. მაგალითისათვის ავტორი განიხილავდა „ბატონებთან“ დაკავშირებულ „თავშემოვლებისა“ და გარშემოვლის რიტუალს, როდესაც ხორციელდებოდა წრის სახის ქმედებანი - ავადმყოფის გარშემო წრის გაკეთება, მის ირგვლივ შემოვლა და „ბატონების“ სახელზე განკუთვნილი შესაწირავის, სხვადასხვა საბოძვარისა და საზვარაკო საქონლის შემოტარება. გარშემოვლა ხდებოდა ცეკვითა და გალობით. იგი მიიჩნევდა, რომ ბატონებთან დაკავშირებული თავშემოვლების რიტუალი, ცხოველების ამა თუ იმ ღვთაების სახელზე დაყენების რიტუალი, წმ. ბარბარესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და სხვ. საშუალებას იძლევა ჩავთვალოთ, რომ მზის ღვთაების ეპითეტები, ემბლემები, მისთვის მიძღვნილი საგნები ასახავენ ამ მნათობის თვისებებს - სიმრავლეს, ნათებას, ბრწყინვალეობას. ამ თვალსაზრისით შეწირვის თავისებური რიტუალის განხილვისას, რომელიც ამა თუ იმ ობიექტს ასტრალური ღვთაებისადმი მიკუთვნებულ ობიექტად აქცევდა, იგი ასკვნიდა, რომ აქ აქცენტირებული იყო მნათობთა ერთ-ერთი თვალსაჩინო მხარე, კერძოდ კი წრიული მოძრაობის, ტრიალის დინამიური თვისება. ის ფაქტი, რომ შეწირვის რიტუალის ჩატარების შემდეგ ცხოველი გადაიქცეოდა წმინდა ცხოველად, გვაძლევს გასაღებს ამ თავისებური რიტუალის თავდაპირველი აზრის გაგებისათვის. როგორც ჩანს, ითვლებოდა, რომ წრიული მოძრაობის საშუალებით, აგრეთვე წითელი და თეთრი ფერის ტანსაცმლის ჩაცმით, ხდებოდა ასტრალურ ღვთაებათა ბუნებასთან ზიარება, ზეციურ მნათობთა თვისებებისა და ძალის მიღება, მათ მოძრაობაში თანამონაწილეობის გზით შესაძლებელი იყო ასტრალურ ღვთაებათა წრეში მოხვედრა და მათ სახელზე შეწირვა. ვ. ბარდაველიძე აღნიშნავდა, რომ წრიული სახის მოქმედებანი უკავშირდება ასტრალური საფეხურის სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობას. ქართველთა სარწმუნოებრივ წარმოდგენებში წრისებური და მრგვალი ობიექტები მზისა და სავსე მთვარის გამოსახულებებთან იყვნენ დამსგავსებული და ასოცირებული. მისი აზრით, უმართებულო არ უნდა იყოს, თუ დავასკვნით, რომ ასტრალური რელიგიის განვითარების მაღალ საფეხურზე ქართველ ხალხში უნდა არსებულიყო ძველი აღმოსავლური რელიგიებისათვის დამახასიათებელი, წრიული ბრუნვის სწავლება, რომლის მიხედვით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის ბედი ღვთაებრივი ბედის მამუღავნებელ მნათობთა წრიულ ბრუნვას უკავშირდება. ქართველთა რელიგიურ პრაქტიკაში ესოდენ ფეხმოკიდებული და გავრცელებული ცეკვები მიძღვნილი იყო ღვთაებების, გაღმერთებული ნაყოფიერების ძალისა და ბუნე-

ბის აღორძინების განდიდებისადმი, აგრეთვე ხალხის მძლეოსნობისა მისთვის თავდადებული ცალკეული გმირებისადმი. ამგვარი საწესო ცეკვების წარმომსახველი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, მისი აზრით, ქალ-ვაჟთა და ითიფალურ მოცეკვავეთა ჭრელები, რომლებიც ლიფანალის საწესო მხატვრობაში აღიბეჭდა (ბარდაველიძე; 1953: 129; ბარდაველიძე; 1957: 196-197).

ბორჯღაღის ორნამენტთან დაკავშირებით წრისა და წრიული ბრუნვის მნიშვნელობას განიხილავდა ი. სურგულაძე, რომელიც წერდა, რომ თანახმად ძველი მსოფლიოს ხალხების კოსმოგონიური შეხედულებებისა, მიწა უძრავი იყო, ხოლო ცა და ციური სხეულები ბრუნავდნენ მის გარშემო. ამდენად, ამ ნიშანთა ჯგუფი ცისა და ციური სხეულების მოძრაობის სპეციფიკურ აღწერილობად უნდა მივიჩნიოთ. როცა მბრუნავი ჯვარი სხვა ნიშნებისაგან დამოუკიდებლადაა გამოსახული, იგი ზოგადად განყენებულ ბრუნვის იდეას გადმოგვცემს, ხოლო კერძო შემთხვევებში კი, როცა მას დაბოლოებაზე დაერთვის რაიმე ნიშანი, საქმე ეხება ამ ნიშნის გადაადგილებას ქვეყნიერების 4 მხარესთან მიმართებაში. ბრუნვის იდეა უნივერსალური მოვლენაა ძველი მსოფლიოს ხალხების აზროვნებაში და მბრუნავი ჯვარი მას გამოსახავს უადრესად ლაკონური და რაფინირებული ფორმით. განსხვავებით ჯვრისაგან, მბრუნავი ნიშანი ერთი მიმართულებით ბრუნვას გადმოგვცემს. იგი ციურ სხეულთა როტაციული მოძრაობისა და შესაბამისად, სეზონთა ცვალებადობაზე დამყარებული დროის თანმიმდევრული, ციკლური დინების აღმნიშვნელია, რომელიც ძველი ხალხების თვალსაზრისით წრიული სახით წარმოიდგინებოდა. (სურგულაძე, 1986 – გვ. 64). მისივე აზრით, სადღესასწაულო რიტუალური მსვლელობების მონაწილეთა რიგის მიერ ხდებოდა შემოვლა, გარშემოვლა სოფლისა ან სოფლებისა რიტუალის ძირითადი იდეების შესაბამისად. რიტუალის მონაწილენი მთელი სამოქმედო პროცესით კრავდნენ წრეს, რადგან მათი მსვლელობის მიზანი არ იყო რაიმე გეოგრაფიულ ან საკულტო პუნქტთან მიღწევა. შემოვლილი ტერიტორია წარმოგვიდგება როგორც სამყარო მისტერიის პრაქტიკული და იდეოლოგიური განფენისა და ამ ნიშნით როგორც აღნიშნული, ორგანიზებული სივრცე, უპირისპირდება დანარჩენს, არაორგანიზებულ სამყაროს, აღუნიშვნელს. დღესასწაულის სივრცობრივი, წრიული გააზრება მას დამოუკიდებელ მიზნობრივ ღირებულებას ანიჭებს. იგი უკავშირდება კონცეფციას, რომელიც წარმოგვიდგენს დროის აღრიცხვის წრიულ, ციკლურ წესს, შესაბამისად ბუნების კვდომა-აღორძინებისა. ეს იდეა ვლინდება ბრინჯაოს ბალთების დეკორშიც, სადაც ხშირია წრის, ანუ შემოვლის პრინციპზე აგებული კომპოზიციები. საფიქრებელია, რომ აღნიშნული მასალა ასახავს კავკასიური მითოსის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს და მას შესაბამისი

რელიგიურ-კოსმოგონიური ასპექტიც გააჩნია. აღნიშნულ კომპოზიციებში მოცემულია სამყაროს ყველა სკნელის სიმბოლიკა და ისინი კომპოზიციურად წრის, ციკლის სახით არიან წარმოდგენილი, რაც არ იძლევა მათი სემანტიკური არეალის მხოლოდ ასტრალური წარმოდგენებით შემოფარგვლის საშუალებას. მსგავსი რელიგიურ-მითოლოგიური შინაარსის კომპოზიცია ი. სურგულაძის აზრით წარმოდგენილია ყანჩაეთის შტანდარტზეც. ეს კომპოზიცია წრიულადაა აგებული და ამდენად იდეური საფუძვლით უახლოვდება სარტყელებზე გამოსახულ და ხალხურ დღესასწაულებში შემორჩენილ რიტუალურ მნიშვნელობებს (სურგულაძე: 1981: 115, 116; ხიდაშელი: 2001). ამავე იდეის განცხადებას წარმოადგენს რიტუალური ფერხულები (ზოგჯერ მრავალსართულიანი), ორპირული (ორგუნდიანი) სიმღერები, საქანელებზე ქანაობა და ა.შ. (სურგულაძე: 1987).

როგორც ი. ზემცოვსკი წერს, საჭიროა ჩავუკვირდეთ და შევიგრძნოთ რიტუალურ ფერხულთა სემანტიკა, წარმოვიდგინოთ მათი რეალური არსებობა რეალურ სოფლურ გარემოში. მთელ სოფელზე გაგლა წარმოადგენს მთელი თავისი სამყაროს სიმბოლურ დაპატრონებას (დათვალიერებას, მხატვრულ „ათვისებას“). ამ თვალსაზრისით, ისრისა და წრის სახეები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: ორივე სიმბოლურად მოიცავს „სამყაროს“ მთლიანობას... ფერხული არ არის უბრალოდ ქორეოგრაფია, ამა თუ იმ ნაბიჯის, მოძრაობის ურთიერთშეთანხმება. ფერხული – სტიქიაა, რეალური და მხატვრული სინამდვილის იმ სინკრეტული ერთიანობის მძლავრი კომპონენტი, რომელიც ძველთაგან კვებავდა ხალხურ შემოქმედებას... რიტუალში წრე ერთგვარი წერტილი, დახშული სფეროა, მიკროსამყარო, რომელიც ასახავს წარმოდგენებს მაკროსამყაროზე. რიტუალურ ფერხულში ბრუნავს მელოდია, ადამიანები კი თავისი დახშული „სამყაროს“ წრეში ტკეპნიან ადგილს. თუმცა არ უნდა გავამარტივოთ წრიული მოძრაობის სიმბოლიკა: აქ არა მარტო დახშულ წრეზე ბრუნვაა, არა მარტო სტრუქტურული უწყვეტობა და განმეორებაა, არამედ იმის განუმეორებლობის ნიშანიც, რაც პრინციპში განმეორებადია (ზემცოვსკი: 1987: 41,77).

წრე კარდინალურ სიმბოლოთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, მაშინ, როცა თავისუფალი, ძალდაუტანებელი მოძრაობა წრიული, მომრგვალებულია – შეჩერება, სტაბილურობა უკავშირდება კუთხოვან ფიგურებს, მკვეთრ და წყვეტილ, არათანაბარ ხაზებს. წრისაგან განსხვავებით კვადრატი ანტი-დინამიური ფიგურაა. კვადრატი სივრცის ფიგურაა, წრე, სპირალი კი დროისა. ქრისტიანულ სიმბოლიკაში კვადრატი დროის კუთვნილებაა, მარადიულობა კი წრითაა გამოხატული. ეს უკანასკნელი გამოხატავდა ჯერ წელიწადს, შემდეგ ზომავდა დროს, შემდეგ მარადიულობას

და ბოლოს დაუსაბამოს აღმნიშვნელი იყო (შევალიე-გეერბრანი: 1973. I; კერლოტი: 1994).

ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ცენტრის და ღერძის სახეები, სიმბოლოთა დინამიკაში, კორელატურია და განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ ხედვის კუთხით. კოლონა, სვეტი, დანახული თავისი წვეროდან, წარმოადგენს ცენტრალურ წერტილს; ჰორიზონტიდან დანახული, პერპენდიკულარულად კი იგი ღერძს წარმოადგენს. ამგვარად ერთი და იგივე საკრალური ადგილი, რომელიც ყოველთვის სიმადლისაკენ ისწრაფვის, ერთდროულად არის ცენტრიც და სამყაროს ღერძიც. ამგვარად, იგი წარმოადგენს თეოფანიის პრივილეგირებულ ადგილს. როგორც ცნობილია, ცენტრი ხშირად გამოხატულია შემადლების საშუალებით: მთა, ბორცვი, ხე, კოშკი, ციხე, ოფვალსი, ქვა და სხვ. ცენტრის ცნება მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციური არხის ცნებას. ცენტრს გააჩნია როგორც სპირიტუალური, ისე მატერიალური მნიშვნელობა. მისტიკური საკვები იღვრება ცენტრიდან ისევე, როგორც ბიოლოგიური - დედის სისხლიდან. ცენტრი შეიძლება განხილულ იქნას, თავის ჰორიზონტალურ განფენილობაში, როგორც სამყაროს სურათი, როგორც მიკროკოსმი, რომელიც თავის თავში შეიცავს სამყაროს ყველა ვირტუალობას, ხოლო თავის ვერტიკალურ განფენილობაში – როგორც გადასვლის, მიჯნის ადგილი სამყაროს ზეციურ, მიწიურ და ინფერნალურ დონეთა შორის. ეს არის ყველაზე ძლიერი ინტენსივობის მატარებელი წერტილი (ელიადე: 1987; ელიადე: 1949; ელიადე: 1965; შევალიე, გეერბრანი: 1973. I).

რაულის მიხედვით, წრებრუნვა, ტრიალი, რაც წრის დინამიურ განსაზღვრებას წარმოადგენს რიტუალსა და ხელოვნებაში, წარმოშობს მაგიურ ძალას, მათ შორის დამცავ ძალას, რადგანაც ქმნის ხელშეუხებელ ტერიტორიას – წრეს (კერლოტი: 1994).

მნიშვნელოვანია, რომ ქართულ რიტუალურ ფერხულებში წრის სახით ერთმანეთზე მხარი მხარს გადაბმული მოცეკვავენი ტრიალებენ წრის ცენტრში მდგომი ხევისბერის გარშემო, რომელსაც ხელში დროშა უჭირავს. წრის შუაგულში შეიძლება იდგეს ან ხევისბერი დროშით ხელში, ან დასტური, რომელიც ხატის ლუდს ასმევს მოცეკვავეებს; მეფერხულენი გარს უელიან ხეს, სალოცავს, კოშკს (სვანეთში თოვლის კოშკს, რომელსაც შუაგულში ჯოხი აქვს დატანებული, თავზე კი დროშა ან ჯვარი აქვს დამაგრებული), ზოგჯერ კოშკზე ხატია მოთავსებული. როგორც ცნობილია, ხეც, დროშაც, ციხეც, კოშკიც, მთაც სხვა ანალოგიურ სიმბოლოებთან ერთად (კვერთხი, შუბი, ჯოხი და ა.შ.), სამყაროს ცენტრის მასზე გამავალი ღერძის სიმბოლოებს წარმოადგენდნენ (ელიადე: 1965; შევალიე, გეერბრანი: 1973; მხმ: 1992).

მეფერხულეთა წრის ცენტრში ხშირად ფიგურირებს კოშკი, რეალურად არსებული ან თოვლისგან სპეციალურად აშენებული. თვით მეფერხულეთა წრეც, როდესაც ერთმანეთის მხრებზე შემდგარი ადამიანები ფერხულს ცეკვავენ, განიხილება, როგორც სართულებიანი ნაგებობა, ერთგვარი კოშკი თუ ციხე. სვანეთში დღესასწაულს „კოშკობას“ (მურყვამობას) უწოდებდნენ, თუშეთში ცენტრში მდგარ მუსიკოსს „მეციხოვნეს“ ეძახდნენ. საყურადღებოა ფერხულთა სახელწოდებანიც – „ქორბელელა“, „ციხე-ბუნა“ და ა.შ. კოშკი, ციხე ცენტრისა და მასზე გამავალი ღერძი ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს ხის, დროშის, სალოცავის და სხვა სიმბოლოთა მსგავსად).

ფერხული “ქორბელელა” შეიძლება განვიხილოთ როგორც სართულებიანი, მაღალი შენობა (შეად. სულხან-საბა: „ქორი - სახელი სახლზეც აგებული; ქორედ-ქორედი – ოთხი, ხუთი სახლი სახლზე შენებული.“ „ქორბელელად დაწყობა“, „დაბელელა“ საკულტო ბელის გადახურვის სტრუქტურასთან დაკავშირებული ტექნიკური ხერხის აღნიშვნელია და გარდიგარდმოდ დაწყობას ნიშნავს (ბარდაველიძე: 1974: 18)).

კოშკი ეწოდებოდა აგრეთვე ზოდიაქალურ თანავარსკვლავედს, ბურჯს. თავის მხრივ ბურჯი (კოშკი, გოდოლი) საბჯენს, საყრდენს, მზიდ კონსტრუქციას (მაგ. მასიურ ბოდს) აღნიშნავს (სულხან-საბა: 1966; აბულაძე: 1973; კვიციანი: 1971).

ცნობილია ფართოდ გავრცელებული, დამკვიდრებული მოტივი ქართულ ფოლკლორში, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ციხის დანგრევა-წაქცევას და ადამიანის სიკვდილს (მაგ.: „ბაკურ-ხევს ციხე დაიქცა ნაგები ბასრის ქვისაო, / ჯაბანას ებრძვის სიკვდილი, ჭეხვა დგა, ელვა ცისაო“... „აღვანში კოშკი წაიქცა, ნაგები აგურისია, / მოგვიკლეს გორგაიისძე, მოკლეს შემრტყმელი ხმლისია“... (შანიძე: 1984: 167, 257). ავის მომასწავებელია დღეობის დროს ფერხულის შესრულებისას არევ-დარევა და მოცეკვავეთა შენობის დაშლაც.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფერხულის შესრულებით შეიძლებოდა მდგომარეობის გამოსწორებაც. აულ ხოდში ძუკაევების გვარი ყოველ ზაფხულს სათიბში გასვლის წინ სიმღერითა და ცეკვით აღნიშნავდა აულის უხილავი პატრონის, არვიაგდის დღეს. არვიაგდი წარმოადგენდა საგვარეულო კოშკს, სადაც იმყოფებოდა კაუი-ზაედი ანუ აულის ანგელოზი. ხოდელებს სჯერათ, რომ უხსოვარ დროში ეს კოშკი მეხის დაცემის შედეგად გადაიხარა, თავით მეზობელ კოშკს დაეყრდნო და ამგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდა სამი დღის განმავლობაში. მაშინ ძუკაევების მთელმა გვარმა შექმნა წრე, ტრიალებდა კოშკის გარშემო სამი დღის განმავლობაში და დღედაღამ მღეროდა შესაბრალის სიმღერას მისამღერით, რომელიც მეხის დაცემასთან დაკავშირებით შეიქმნა. მეოთხე დღის

დადგომისას კოშკი ყველას თვალწინ სწრაფად წამოიშრება და წინანდებური მდგომარეობა მიიღო (გატიევი: 1987: 191).

საინტერესოა ერთი ცნობილი ხალხური ლექსი, სადაც სამყაროს შუაგულში აღმართული კოშკი ერთგვარი გნომონის, ღერძის როლს ასრულებს, რომლის გარშემოც წუთისოფელი ბრუნავს:

“იდუმლის კოშკო, მადალო, სასეიროზე დგახარო,

მოწყენილთ გულსა გაუშლი, მახარობელსა ჰგავხარო.

ქვეშ ქალნი მოგისხდებიან, შენ, ჩრდილო, სითკენ წახვალო?”

“როგორ ვერ ხედავ, ყმაწვილო, უღვაშაშლილო, ახალო?-

მეც ისე ვბრუნავ, როგორც შენ ამ წუთისოფელს დახვალო.”

(ჭინჭარაული: 1985: 139).

ხე და კოშკი ურთიერთმონაცვლე, იდენტური სიმბოლოებია, რომლებიც ცასთან შიბით არიან შეერთებული. ეს უკანასკნელი მომენტი კი ხისა და კოშკის სიმბოლიკის კოსმოგონიურ განკუთვნილობაზე მიუთითებს. თავიანთი საფუძვლით ისინი მიწიერი წარმოშობისა არიან და ცას რაღაც გარეგანი, მესამე შუალედური ელემენტით უნდა დაუკავშირდნენ. ასეთი შუალედური ელემენტი არის შიბი, ჯაჭვი (სურგულაძე: 1986: 155, 192). ხისა და კოშკის ანალოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ირმის რქებსაც (სურგულაძე: 1986; ხიდაშელი: 2001; 2004).

უაღრესად საინტერესოა არქეოლოგიური მასალა, სადაც რიტუალური ცეკვის, ფერხულის სცენებია წარმოდგენილი. მ.ხიდაშელის აზრით, ყურადღებას იმსახურებს ყაზბეგის განძიდან ერთი სარიტუალო ძეგლი – ბრინჯაოს ღერო, რომელზეც სამი ზარია დაკიდებული, ცენტრში გამოსახულია ჯიხვის თავი, სამ იარუსად განაწილებული მაღალი რქებით. რქებზე დგას მამაკაცის ითიფალური ფიგურა, კვერთხით ხელში. ბრინჯაოს ღეროს ორივე ბოლო, ასევე სამ იარუსად დაყოფილი რქებით არის დამთავრებული. ავტორის აზრით, ცხოველთა რქები, ამ შემთხვევაში, გააზრებულია, როგორც ვერტიკალურად აგებული, სამი სკნელისგან შემდგარი სამყარო, ხოლო ანთროპომორფული არსება, როგორც ამ სამყაროს გამგებელი (ხიდაშელი: 2004: 152).

ხის, კოშკის, დედაბოდის, რქების, ჯაჭვის (ძეწკვის), შიბის ვერტიკალურობა, ე.ი. “ზე” და “ქვე” სამყაროთა შორის გადამყვანი და ცენტრზე გამავალი საკომუნიკაციო საშუალების ფუნქცია ცნობილია და გამოვლენილია ფოლკლორული, ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური მასალის საფუძველზე.

შიბის, ჯაჭვის საშუალებით ღვთაებები მოძრაობდნენ, ციდან ხეზე ჩამოდიოდნენ. ცის სამყარო ღვთაებათა საბრძანისია, რომელიც ადამიანთა სამყაროსთან შიბით, ჯაჭვით და ა.შ. არის შეერთებული და ამ გზით ღვთაებები ჩამოდიან კაცთა სამყაროში. ასეთივე სიმბოლოა ყამარის “ცაზე დაკიდებული” კოშკი, ე.ი. კოშკი,

რომელიც ცასთან ჯაჭვით ყოფილა შეერთებული. ამ გზით შეიძლება გადასვლა სამყაროდან სამყაროში. ასეთივე გადასვლის მაგალითია ცასთან შიბით შეკრული ხმელგორის მუხა ლაშარის ჯვარში (სურგულაძე: 1986: 177), შურის ციხე და ალვის ხე, რომლებზეც ოქროს შიბი იყო გაბმული და რომელზეც ანგელოზები მიდი-მოდიოდნენ და სხვ.

ცნობილია კორელაცია შენობასა და კოსმოსს შორის. საცხოვრებელი შენობა განიხილებოდა როგორც კოსმოსი, ცენტრს კი წარმოადგენდა ის ადგილი, რომელიც კონსეკრირებული იყო რიტუალებისა და ლოცვის მეშვეობით, რადგან ასეთ ადგილებში მყარდებოდა კონტაქტი ზებუნებრივ ძალებთან (აბაკელია:1991:111).

ამ სქემაში შეიძლება ჩავთვალოთ რიტუალური ფერხულებიც, რომლებიც აღწერილია როგორც ერთგვარი კოშკი, შენობა, ხშირად სართულებიანი შენობა (მაგ. ფერხულის სახელწოდება “ქორბელელა” (ქორი – სართული, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბედელიც ჯვარის შენობების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია), ციხე-ბუნა, ფერხულის ცენტრში მდგომის სახელწოდება – “მეციხოვნე”, ორსართულა ფერხული და სხვ.).

შენობის ზედა სართული, ზეთასთვალი, ისევე როგორც ფერხულის ზედა სართული, უკავშირდებოდა ზეცას, ქვედა სართული, ძირისთვალი, ქვედა წყება კი მიწას. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ფერხულის ტექსტში ნახსენები “ზემყნელი” და “ქვემყნელი” მეფერხულეთა ზედა და ქვედა წყების აღსანიშნავად.

ფერხული “ზემყნელი”: ეს ფერხული ძველად იცოდნენ. ქვემო რგვლად ერთი მწკრივია დაბმული, მერე ზედ ავლენ, მხრებზე შეადგამენ ფეხს და ზეითაც ერთი მწკრივი შეიკრება, უვლიან გარშემო და მღერაინ:

ზედა მწკრივი: ქვემყნელი ხარ, ზემყნელი ვარ,
ზეით ამოდიო.

ქვედა მწკრივი: ზემყნელი ხარ, ქვემყნელი ვარ,
ქვეით ჩამოდიო (მაისურაძე, ი.: 1939)

ფერხული “სამყრელო”: ყველიერის ბოლო დღეს, კვირას, საღამო ხანზე ხალხი შეიკრიბებოდა მოედანზე. კაცები ფერხულს დააბამდნენ. 7-8 კაცი მჭიდროდ გადახვევდნენ მკლავებს მხარი-მხარს მიტანით, ამათ მხრებზე სხეები ავიდოდნენ, ისინიც ფერხულს დააბამდნენ, ყველანი ნელ-ნელ ირხეოდნენ და თამაშით მღეროდნენ:

ქვედა წრე იძახდა: სამყრელო, სამყრელო, ძირს ჩამოდი სამყრელო,

ნუ გეშ, ნუ გეშინია, ქვეშ ბუმბული გიგია.

ზედა წრე პასუხობდა: – როგორ არ მეშინია,

ცაში ბეწვით ვკიდივარ.

(ვარ.: ცასა ბეწვი ჰკიდია)

ამას რამდენჯერმე გაიმეორებდნენ და მერე ზედა წრე ერთბაშად შეძახილთ ძირს ჩამოხტებოდა.(მაისურაძე, ი: 1945).

თუ ფერხულებს განვიხილავთ როგორც მთელი კოსმოსის, სამყაროს განსახიერებას, რომელიც სამყაროს ღერძის გარშემო ბრუნავს, ბუნებრივია მისი შემადგენელი ნაწილების, სართულების ამავე კონტექსტში განვიხილო. ფერხულის ზედა სართული ზეცის, ზედაიერის(სვ.), ზემო სამყაროს განსახიერებაა, ქვედა სართული კი მიწის, ქვემო სოფლის, ქვედა იარუსისა (შეად. აგრეთვე სახარებისეული “თქვენ ქუესკნელისა მისგანნი ხართ და მე ზესკნელისა მისგანი ვარ, თქვენ ამის სოფლისაგანი ხართ, მე არა ამის სოფლისაგანი ვარ (იოანე 8, 23))(ამასთან დაკავშირებით იხ. “ქვეყანა“-ს, “ყანა“-ს და მასთან დაკავშირებული ენაში შემორჩენილი სივრცის აღმნიშვნელი ტერმინები. ბრეგაძე: 1982; სურგულაძე: 1986).

“ზემყრელოს” ტექსტში ნახსენები “ცაში ბეწვით ვკიდივარ”(ან “ცასა ბეწვი ჰკიდიას”) უიგივდება შიბს, ჯაჭვს, ძეწვეს, რომელიც ციდან ეშვება და ვერტიკალურად განლაგებულ სამყაროს დონეთა შემაკავშირებელ და საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენდა.

წრიული ფერხულები გამოხატავენ მთელი სამყაროს, ვერტიკალზე განლაგებული მისი სამივე დონის წრებრუნვის იდეას ხის მუხდის-ის გარშემო, ცისა და მიწის კავშირს საკრალურ ცენტრში, დროის ციკლურ მდინარებას, რაც ბუნებრივია, უკავშირდება წესრიგს, ნაყოფიერებას, კეთილდღეობას და ა.შ. (ალავერდაშვილი, 2000).

გასაგები ხდება დღეობებზე ფერხულის ცეკვის აუცილებლობა, რასაც მთხრობლები აღნიშნავენ: „ფერხული აუცილებლად უნდა ეცეკვათ. მგლოვიარე თუ იყო ვინმე, ფეხს მაინც გაუსვამდა - აუცილებელი იყო“. „მგლოვიარე ხშირად დამინახია მოფარებულში ფეხს რომ მაინც გაუსობს. არ შეიძლება იქიდან ადამიანი უცეკველად წამოვიდეს.“ (ალავერდაშვილი: 1985). „ხატში მხვეწარმა უნდა იცეკვოს, რომ ხატი წყალობდესო, ამიტომ წლოვანების განურჩევლად აქ ყველანი თამაშობდნენ.“ (მაკალათია: 1985: 13,209). „ქალები უფრო სუფრის ბოლო მხარზე ისხდნენ. აქვე იმართებოდა თამაშობა. ხნიერი დედაკაცებიც კი თამაშობდნენ, რადგან სავალდებულო იყო ხატში მხიარულობა. რაც უნდა დარდიანი ყოფილიყო, ხატში მაინც არ შეიძლებოდა არ ემხიარულა“ (ოჩიაური: 1991: 80, 267). „ფერხისაის“ ჩაბმამდის ჯარიდან წასვლის უფლება არავის ჰქონდა“ (ცოცანიძე: 1990: 95).

თუ შევაჯამებთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ყოველგვარი წრე აუცილებლობის ძალით გულისხმობს ცენტრის არსებობას. როგორც კი მოცეკვავენი წრეს შეკრავენ, წრის შიგნით წარმოიქმნება საკრალური სივრცე თავისი ცენტრით. ფერხულებში ეს ადგილი შეიძლება ეჭიროს ხატის მსახურს ხატის დროშით

ხელში, დასტურს საკრალური ლუდით, მეჩონგურეს (რომელსაც „მეციხოვნეს“ ეძახიან), მოცეკვავეთა წრის შუაგულში შეიძლება აღმოჩნდეს ხე, სალოცავი, ციხე, კოშკი (სვანეთში თოვლის კოშკი შუაგულში ჩატანებული ჯოხით) და ა.შ., რომელსაც მეფერხულენი გარს უვლიან. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახით ცენტრი ერთგვარად მატერიალიზებულია. როგორც ცნობილია ხეც, ხატის დროშაც, ციხეც, კოშკიც, სალოცავიც საკრალურ ცენტრზე გამავალი Axis mundi-ს სიმბოლოებს წარმოადგენენ, ასე რომ საქმე სამყაროს ღერძის გარშემო ვერტიკალურად განლაგებული კოსმოსის ყველა დონის წრებრუნვასთან გვაქვს.

წლის მნიშვნელოვან მომენტებში შესრულებული რიტუალური ფერხულები მეფერხულეთა მოძრაობასა და სამყაროს მოძრაობას შორის სიღრმისეულ კავშირს ავლენს. დღესასწაულზე ფერხულის სწორი, რიტმული მოძრაობა, ზუსტი შესრულება სტიმულს, ბიძგს აძლევს და ხელს უწყობს სამყაროს განახლებას, გაჯანსაღებას, ახალი ენერგიით ავსებას, კვებას მას, როგორც მეფერხულებს საკრალური სასმელი.

“ფერხულში ჩაბმა” საერთო საქვეყნო საქმეში მონაწილეობას აღნიშნავს. “ცხოვრების ფერხული” წუთისოფლის სინონიმია. შეიძლება ითქვას, რომ ფერხული ტრიალებს ისევე, როგორც მთელი სამყარო, ისევე როგორც წუთისოფელი, როგორც დროის მდინარეა ზედროული ცენტრის გარშემო, როგორც ჩრდილი მზის საათში უძრავი გნომონის გარშემო. შესაბამისად ავისმომასწავებელია დღესასწაულზე რიტუალური ფერხულის შესრულებისას არევ-დარევა, რიტმის დარღვევა, წყვეტილი შესრულება, მოცეკვავეთა შენობის დაშლა და სხვ. გასაგები ხდება ფერხულის შესრულების მიხედვით წინასწარმეტყველების შესაძლებლობაც. ფერხულისა და მისი თანმხლები სიმღერის არაზუსტ, არარიტმულ, ცუდ შესრულებას, სამყაროში ქაოსი, არეულობა შეაქვს და შედეგად სიკვდილიანობა, უნაყოფობა და სხვა უბედურებანი მოჰყვება. და პირიქით, ფერხულის სწორი, რიტმული, კარგი შესრულება სამყაროში წესრიგის, მშვიდობისა და ნაყოფიერების გარანტია.

ფერხული არა მარტო სამყაროსა და დროის ბრუნვას, ტრიალს გამოხატავს ცენტრის გარშემო, იგი ერთგვარად სამყაროს სტრუქტურასაც ასახავს (მხედველობაში გვაქვს ზოგიერთი სართულებიანი ფერხული). იგი ხაზს უსვამს და განამტკიცებს საცეკვაო წრეში მეფერხულეთა, ანუ ანუ საზოგადოების ერთიანობას, ხოლო ფერხულის ცენტრზე გამავალი სამყაროს ღერძი სამყაროს სამივე დონის დამაკავშირებელ საკომუნიკაციო არხს წარმოადგენს.

“ერთმ ბერიკაცმ თქვა: ფანდურნი ვის მისცენით, ფანდურით გვიმღერას. ფანდურ მისცეს მომღერალს. სრუ ერთ მუხლზე ხალხი სხავ. მომღერალმა თქვა: ხალხნო, ყველან დავიხოცებით. მკვდარ

უნდა დავღმარხოთ, ცოცხალნ ცოცხლად უნდა ვიყვნეთ, მტერს უნდა მაგრა დაუხვდათ, სიკვდილსაც არ გაუტყდათ, მტერსაც. ქვე თუ ვიმღერებ, წესრიგს ვაყენებ” (შანიძე: 1984: 48).

ა. შანიძის მიერ ხევისურეთში დაფიქსირებული ეს ეპიზოდი, რომელიც ფანდურზე სიმღერის საჭიროებას შეეხება (საქმე ეხებოდა მიცვალებულისათვის რიგის გადახდას), შეიძლება საწესო ფერხულების შესრულების აუცილებლობაზეც გავრცელდეს. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება ფერხულია. *ქვე თუ ვიმღერებ, წესრიგს ვაყენებ.*

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაკელია: აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.
- აბაკელია: აბაკელია ნ. ზღურბლისა და კარის სიმბოლიკისათვის ქართულ ტრადიციაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXV, თბ., 2005.
- აბაკელია: Абакелия Н. Миф и ритуал в Западной Грузии. Тб., 1991.
- აბულაძე: აბულაძე, ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., „მეცნიერება“, 1973.
- ალავერდაშვილი: ალავერდაშვილი, ქ. საველე დღიურები. ლენტეხის რ-ნი. 1985 წ. (ხელნაწერი).
- ალავერდაშვილი: ალავერდაშვილი, ქ. საველე დღიურები. იმერეთი. 1988 წ. (ხელნაწერი).
- ალავერდაშვილი: ალავერდაშვილი ქ. ცენტრის სიმბოლიკისათვის ზოგიერთ ქართულ ფერხულში, ჟურნ. ”ანალები”, 2000, №1
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე, ვ. აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ნაკვეთი I. ტფ., 1938.
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე, ვ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. თბ., მეცნ. აკად. გამომც., 1939.
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე, ვ. ივრის ფშავლებში (დღიური). „ენიმკის მოამბე“. ტ. XI, თბ., 1941.
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე, ვ. ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები. თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1953.
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე, ვ. სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში. კრებ. „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები“. თბ., „მეცნიერება“, 1968.

- ბარდაველიძე: ბარდაველიძე, ვ. აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. ფშავი. თბ., „მეცნიერება“, 1974.
- ბარდაველიძე: Бардавелидзе, В.В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, Изд. АН Грузинской ССР, 1957.
- ბრეგაძე: Брегадзе, Н.А. Очерки по агроэтнографии Грузии. Тб., „Мецნიერება“, 1982.
- ბურკჰარტი: Буркхардт, Т. m Сакральное искусство Востока и Запада, М., 1999.
- გატიევი: Гатиев, Б. Суеверия и предрассудки у осетин. „Периодическая печать Кавказа об Осетии и осетинах“. III. Цхинвали, „Ирыстон“, 1987.
- ელიადე: Eliade, M. Traité d'histoire des religions. Paris, 1948.
- ელიადე: Eliade, M. Le mythe de l'éternel retour. Paris, 1949.
- ელიადე: Eliade, M. Le sacré et le profane. Paris, Gallimard, 1965.
- ელიადე: Элиаде, М. Космос и история. Москва, „Прогресс“, 1987.
- ელისი: Ellis, H. The dance of life. N.Y., 1929.
- ზემცოვსკი: Земцовский, И.И. По следам веснянки из фортепианного концерта П. Чайковского. Историческая морфология народной песни. Л., „Музыка“, 1987.
- იაშვილი: Иашвили, М. Об истоках грузинского многоголосия. Тб., „Хеловნება“, 1987.
- თათარაძე: თათარაძე ა. ქართულ ცეკვათა განმარტებანი. თბ., 1986.
- კერლოტი: Керлот, Х.Э. Словарь символов. Москва, Reffe-book, 1994.
- კვიციანი: კვიციანი, თ. უროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი. თბ., „განათლება“, 1971.
- მაისურაძე: ი. მაისურაძის ეთნოგრაფიული მასალები (სოფ. ჭობარეთი, მოქმედი არხილ ჯვარიძე, 1939 წ.), ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ე.დ. №3141.
- მაისურაძე: ი. მაისურაძის ეთნოგრაფიული მასალები (სოფ. უდე, მოქმედი მიხა კობაძე, 1945 წ.), ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ე.დ. №3141.
- მაისურაძე: მაისურაძე, ნ. აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა. თბ., „მეცნიერება“, 1971.
- მაკალათია: მაკალათია, ს. ფშავი. თბ., „ნაკადული“, 1985 (II გამოც.).
- მსმ: Мифы народов мира. Энциклопедия. В 2-х т., М., Сов. Энци., 1992.
- ოჩიაური: ოჩიაური, აღ. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი (ხევსურეთი. არხოტის თემი). თბ., „მეცნიერება“, 1988.
- ოჩიაური: ოჩიაური აღ. ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი). თბ., „მეცნიერება“, 1991.

- ონიაური: ონიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბ., „მეცნიერება“, 1967.
- ჟორნიცკაია: Жорницкая, М.Я. Народное хореографическое искусство коренного населения Северо-Востока Сибири. М., „Наука“, 1983.
- სამსონი: Самсон, Л. Ритмы радости. Традиции классических индийских танцев. Нью-Дели - М., 1987.
- სარჯველაძე: სარჯველაძე, ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., თსუ, 1995.
- სულხან-საბა: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. წიგნი I. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- სურგულაძე: სურგულაძე, ი. მთა-თუშეთის ციხე-ნაგებობათა ორნამენტები. „ძეგლის მეგობარი“, №7, 1966.
- სურგულაძე: სურგულაძე, ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., „მეცნიერება“, 1986.
- სურგულაძე: სურგულაძე, ი. სივრცობრივი ასპექტები ქართველთა რელიგიურ და მითოსურ წარმოდგენებში. „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, XXIII, თბ., „მეცნიერება“, 1987.
- თათარაძე: Татарадзе, А.А. Древнейшие грузинские (сванские) хороводы. Тб., 1970 (дисерт. на соискание ученой степени канд. ист. наук).
- შანიძე: შანიძე, ა. ქართული კილოები მთაში. თსზ. 12 ტომად. ტ. I, თბ., 1984.
- შარაშიძე: Charachidzé, G. Le système religieux de la Géorgie païenne. Paris, 1968.
- შევალიე, გეერბრანი: Chevalier, Gheerbrant, 1973 – Dictionnaire des symbols. t.I. paris, Seghers, 1973.
- ცოცანიძე: ცოცანიძე, გ. გიორგობიდან გიორგობამდე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში). II გამოც., თბ., „მეცნიერება“, 1990.
- ჭინჭარაული: ჭინჭარაული ა. “ლექსო არ დაიკარგები”, რედ. შემდგ. ალ. ჭინჭარაული, თბ., 1985.
- ხიდაშელი: ხიდაშელი, მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში. თბ., „ნეკერი“, 2001.
- ხიდაშელი: ხიდაშელი მ. არქაული ეპოქის დღეობებზე შესრულებული რიტუალების კოსმოგონიური კონცეფცია. მსე, XXVI, თბ., 2004.
- ჯავახიშვილი: ჯავახიშვილი, ივ. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., “ხელოვნება”, 1990.
- ჯანელიძე: ჯანელიძე, დ. ქართული თეატრის ხალხური საწყისები. წ. I. თბ., სახელგამი, 1978.

**Towards the investigation of the symbolism
of Georgian round dances**

The paper aims to examine the Georgian round dances in the image of the cosmos which rotates round the axis that penetrates the centre of the world. The constituent parts of it – the tiers are considered (contemplated) in the same context.

“To perform the round dance” means to be involved in the worldly deeds. While dancing in the circle it emphasizes and confirms the unity of the participants i.e. the wholeness of the society.”The round dance of life” is synonymous of the world itself.

The round dance whirls, rotates in the manner of the world in the significant moments of the year. The movements of the dancers in the performed ritual reveal the basic, fundamental likeness of the rotation of the world.

The rhythmic performance of the round dance together with the song accompaniment promotes, stimulates and facilitates the renovation, recovering and filling with the new energy the world. It feeds the dancers in the same way as the sacred drink does. Consequently uneven and untrue, false performance of the dance and mess and confusion while dancing, the “deconstruction of the building of the dancers” is a sign of evil luck which will plunge the whole society into the chaos, fruitlessness, death and other misfortunes. Many circled round dances represent the rotation in the all three levels around the axis mundi i.e. in the sacred center of the junction of the Heaven and the Earth.

ჯადოსნური სარკე

(ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)

უძველეს ხალხთა კულტურაში ხშირად ვხვდებით ეგ. წ. ჯადოსნურ სარკეებს, რომელსაც გარკვეული მაგიურ-რელიგიური ფუნქცია მიეწერება. ესაა სიკვდილ-სიცოცხლის, ბედის ძიების, გმირის თავგადასავლის, ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის და ავი თვალისაგან დაცვის მოტივაციები, რაც კარგად ჩანს არქეოლოგიურ მასალებში (სამარხებში ჩატარებული ნივთები), მითოლოგიურ და ფოლკლორულ გადმოცემებში, ხალხურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ამ თემისადმი მიძღვნილი არა ერთი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ ეთნოლოგიაში (განსაკუთრებით ქართული სინამდვილის მაგალითზე) დღემდე თითქმის არაფერია დაწერილი.

აღნიშნული პრობლემით ჯერ კიდევ 1985 წელს დაინტერესდნენ, როცა როგორც ასპირანტი სანქტ-პეტერბურგში (იმ დროს ლენინგრადში) მიკლუხო მაკლას სახელობის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში „კუნსტკამერაში“) დაცულ იური და სოფიო მარის მიერ ირანიდან 1926–1928 წლებში მოპოვებულ კოლექციებს ვეცნობოდი. სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთებს შორის ჩემი ყურადღება მიიქცია ხის ან ტყავის ჩარჩოებში ჩასმულმა, ვერცხლით მოვარაყებულმა ამაღლამიანმა სარკეებმა. ზოგიერთ მათგანს თან ახლდა არშიებზე ამოტვიფრული ყურანიდან ამოკრებილი ციტატები, რაც მათ განსაკუთრებულ რიტუალურ დანიშნულებაზე მიგვანიშნებდა. ამ ეგ. წ. აღმოსავლურ სარკეებიდან გამოირჩეოდა ერთი შედარებით პატარა ზომის სარკე, რომლის ამაღლამზეც საინტერესო სიუჟეტური სცენა იყო გამოსახული. მაშინ დავწერე პირველი სტატია ამ თემაზე და „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოვაქვეყნე (გოცირიძე, 1985: 105–110). მას შემდეგ 25 წელი გავიდა და დღეს სარკეს სხვადასხვა მიზეზების გამო კვლავ მივუბრუნდი. მკითხველს ვთავაზობ წინარე სტატიის შესწორებულ და გადამუშავებულ ვარიანტს.

„კუნსტკამერის“ სამუზეუმო ფონდების სარეგისტრაციო ჟურნალში დასახელებული სარკე სპარსული ვერცხლის სარკის სახელწოდებითაა ფიქსირებული. მისი ჩარჩო მთლიანად ვერცხლის თხელი ფენითაა დაფარული და გაწყობილია მცენარეული ორნამენტებით (7-7 ორნამენტი მარჯვნივ და მარცხნივ, 5-5 თავსა და ბოლოში, სულ 24 ორნამენტი. განსაკუთრებით საინტერესოა სარკის ამაღლამის ცენტრალური ნაწილი, რომელზეც სადღესასწაულო (საქორწინო) ცერემონიალია გამოსატყლი. ჩვენი კვლევის წინაშე დად-

გა ორი საკითხი 1. აგვეხსნა სიუჟეტის არსი კომპოზიციურად და 2. დაგვედგინა თუ რა განაპირობებდა სარკის მონაწილეობას კონკრეტულ შემთხვევაში – საქორწინო რიტუალში.

ცნობილია, რომ სარკე ძველთაგან ადამიანის ცხოვრების უცილობელი ატრიბუტი იყო. ყოფის ამ მნიშვნელოვან პრაქტიკულ საგანს, ისე როგორც ყველა სხვა უტილიტარულ, გამოყენებით ნივთს თავისი განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველი ცნობები ლითონის, ბრინჯაოს ან ვერცხლის სარკეების გამოყენების თაობაზე განეკუთვნება მე-3 ათასწლეულს ჩვენს ერამდე. ბრინჯაოს ხანის სარკეები უმეტესწილად ძველი აღმოსავლეთის ცივილიზირებული ქვეყნებისათვისაა დამახასიათებელი (ხაზანოვი 1964; 31). ამ პერიოდით თარიღდება საქართველოში აღმოჩენილი სარკეების უმეტესი ნაწილიც ისინი გამოირჩევიან წმინდა მოპრიალებული ზედაპირითა და ზურგზე გრავირებული – რელიეფური უზორებით (ვაგოშიძე 1985). ფორმით მრგვალი და მოკლე სახელურიანი სარკეები სცოდნიათ წინა აზიასა და ძველ საბერძნეთშიც, რისი დასტურიცაა ტერაკოტული ქანდაკებები, რომელთაც ხელში სარკეები უჭირავთ (მუხიტდინოვი 1973; ლიტვინსკი 1964).

რაც შეეხება შუშის სარკეებს, მათი წარმოება რომაელებს დაუწყიათ დაახლოებით პირველ საუკუნეში. შუა საუკუნეების ადრეულ საფეხურებზე კი ისინი თითქმის გამქრალან, ხოლო მე-13 საუკუნიდან კვლავ გამოჩენილან. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული ვითარდება რა მოკალეულ-ამალგამიანი სარკეების წარმოება, კლასიციზმისა და ბაროკოს სტილის ბატონობის დროს შეინიშნება მათი დეკორატიული გაფორმების მრავალფეროვნება და ფორმათა მრავალგვარობა (ჯიბის სარკეებიდან დაწყებული, დამთავრებული უხარმაზარი „ტუალეტებით“). სარკეებს იყენებდნენ კედლებისა და ბუხრების მოსაპირკეთებლად, შენობათა ინტერიერების გასაღამაზებლად*.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ფუნქციონალიზმის ტენდენციური განვითარების შედეგად სარკეებმა დაკარგეს რა ოდინდელი რელიგიური ხასიათი, ფუნქცია, მხოლოდ ყოფითი დანიშნულების საგნებად გადაიქცნენ. მანამდე კი, წარსულში სარკეს იყენებდნენ არა მხოლოდ უტილიტარული მიზნით, არამედ როგორც მაგიური ფუნქციის მქონეს, რომელთანაც დაკავშირებული იყო არა ერთი რიტუალური წეს-ჩვეულება.

სარკის მაგიური დანიშნულებისა და გამოყენების თაობაზე საკმაოდ ფართო სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, რომელიც

* სხვათა შორის ეს ტრადიცია საქართველოშიც შეინიშნება. თანამედროვე საცხოვრებელი სახლების აივნებზე სარკვა ერთ-ერთ კედელზე მიმაგრებული.

ძირითადად არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს ემყარება (Шылов 1959). არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით სარკეები უმეტესწილად ქალის სამარხებშია აღმოჩენილი და თითქმის ყველა (ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა) გატეხილია. მათ ემჩნევათ საგანგებოდ მიყენებული ზიანი (ხაზანოვი 1964). საქართველოშიც მცხეთასა და არმაზის ხევის ტერიტორიაზე გათხრილ სამარხებში, სარკეების (უმეტესობა) დაზიანებულია. აღნიშნულმა გარემოებამ მკვლევარებს აფიქრებინა, რომ უძველეს დროში მიცვალებულის დაკრძალვის დროს სარკეებს საგანგებოდ ტეხდნენ გარკვეული მაგიურ-რელიგიური მოსაზრებების გამო. ა. ხაზანოვის აზრით სარკეები იმ ავგაროზებისა და ამულეტების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რომელთაც ადამიანები სიცოცხლეში თან ატარებდნენ, როგორც ავი თვალისაგან თავდასაცავ საშუალებას, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მათ საფლავში იმ მიზნით ატანებდნენ, რომ სარკეს „იმ ქვეყანაშიც“ პატრონისათვის იგივე ფუნქცია შეესრულებინა, რომელსაც სააქაოში ასრულებდა (ხაზანოვი 1964; 89). ვ. შილოვი ფიქრობდა, რომ ეს ჩვეულება საზოგადოების განვითარების იმ საფეხურის გადმონაშთური მოვლენაა, როდესაც ხალხური რწმენით სიკვდილის არსი სხეულისა და სულის გაყრით აიხსნებოდა. უძველეს ადამიანთა წარმოდგენით სიკვდილის დროს სული ტოვებდა სხეულს, ეს უკანასკნელი კი მიწისათვის უნდა მიებარებინათ, ამიტომაც მისთვის საჭირო ნივთებს საგანგებოდ აზიანებდნენ, რათა მათ სხეულსაც გაეყოფა სული და იგი პატრონის სულს შეერთებოდა (ე. ი. სული სულს და სხეული სხეულს). ეს იყო დრო როცა ყველა საგანი გასულიერებულად ჰქონდათ წარმოდგენილი (შილოვი 1959: 438). ფრეზერი წერდა, რომ პირველყოფილთა შეხედულებით სარკეში აირეკლებოდა მათი სული. ისინი ჩრდილსა და სარკეში არეკლილ გაორებულ გამოსახულებას აღიქვამდნენ როგორც სულის გამოვლინებას (ფრეზერი 1922: 93). ალბათ ამით აიხსნება ის შიში, რომელსაც განიცდიდა კოლონიზაციის პერიოდში აბორიგენი მოსახლეობა სარკეში ჩახედვისას, რასაც არა ერთმა ევროპელმა მოგზაურმა მიაქცია ყურადღება. საგულისხმოა, რომ ძველ რუსულ ქალაქებში დღემდეა შემორჩენილი შეხედულება – თითქოს სარკეს მკვდრის აღდგენა შეეძლოს, რამეთუ სულს ძალა შესწევს უკან გამობრუნებისა (ხაზანოვი 1964: 71). მსოფლიოს მრავალ ხალხში (და მათ შორის ჩვენშიც) ახლაც სრულდება რიტუალი, რომლის თანახმადაც მიცვალებულის დროს ჭირისუფლები სარკეს ან კედლისაკენ შეაბრუნებენ ან მასზე თეთრ ქსოვილს გადააფარებენ.

მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქალ-ღვთაებათა ტერაკოტული ქანდაკებები, რომელთაც ხელში სარკეები ეჭირათ, მკვლევართა ერთ ნაწილს აფიქრებინებს ამ საგნების ასტრალურ რწმენა-წარმოდგენებთან კავშირზე (მუხიტ-

დინოვი 1973: 11). სხვათა აზრით ისინი გამარჯვების მომნიჭებელ სიმბოლურ დანიშნულებაზე მეტყველებენ. ზოგი მეცნიერი კი მათ ნაყოფიერების ფუნქციას მიაწერს. საინტერესოა ვანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ურარტული ბრინჯაოს სარკე, გრავირებული სალტეებით და საკრალური სიმბოლოებით დატვირთული, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება. მისი ახსნა ისტორიკოსმა ნანა ბახსოლიანმა სცადა. მისი თქმით: სარკის სალტეებზე ორივე მხრივ წრიულად მოძრავი სხვადასხვა ცხოველები და ფრინველებია გამოსახული; ფიგურათა მიმართულება ზედა და ქვედა ზონებისაკენ აღნიშნავს ადამიანის გააზრებულ შემეცნებას, რომელიც მზის ამოსვლა-ჩასვლას, დღე-ღამის მონაცვლეობას, სინათლის და წყვიადის დაპირისპირებას უკავშირდება, რაც დროის ციკლური აღქმისა და გააზრების საფუძველია. მკვლევარი იქვე განმარტავს სიუჟეტში წარმოდგენილ ფიგურებისა და გამოსახულებების საკრალურ მნიშვნელობას („წმ. ხეს“, ცხოველებიდან: ხარს, თხას, ლომს, ტახს; ფრინველებიდან: იხვს, რქიან ჩიტს როგორც ღვთაებათა იპოსტარებს) და ასკვნის, რომ ურარტული ხელოვნების ეს ნიმუში (სარკე), ჩვეულებრივ არა საყოფაცხოვრებო არამედ რიტუალური დანიშნულების საგანი უნდა ყოფილიყო, მაგიური წარმოდგენების მიხედვით სიკვდილ-სიცოცხლის ორმაგი ფუნქციის მატარებელი (ბაღსოლიანი 2010, 349^{*}). ჩვენ აქ არ შეუდგებით აღნიშნულ შეხედულებათა შესახებ დაწვრილებით მსჯელობას რამეთუ ამ შეხედულებებს ძირითადად არქეოლოგიური მასალების გააზრება უდევს საფუძველად, ჩვენი მიზანი კი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების გაანალიზებაა, რამეთუ ამ დარგთა მონაცემები არა თუ ადასტურებენ არქეოლოგიური კვლევის შედეგების სისწორეს, არამედ მათ ახალი მასალებით ავსებენ და ამაგრებენ.

დაუბრუნდეთ მარების კოლექციებში დაცულ სპარსულ „ვერცხლის სარკეს“.

სარკის ამალგამზე ასახულ სიუჟეტურ მოქმედებაში აქცენტი ძირითადად გამახვილებულია ქალისა და მამაკაცის გამოსახულებაზე, მათ სადღესასწაულო ტანსაცმელი აცვიათ, თავზე გვირგვინები ახურავთ, ხელში კი სასმისები უჭირავთ. წინ ორი სასანთლე უდგათ, ხოლო თავს ზემოთ ბროწეულები უწყვიათ. ქალ-ვაჟის მარჯვენა და მარცხენა მხარეს მუსიკოსები სხედან. ერთ წყვილს სიმებიანი საკრავი უჭირავს ხელში, მეორეს კი ჯვრის ფორმის ხემიანი ინსტრუმენტი. მუსიკოსების წინ მუტრიბები ცეკვავენ. თითქმის ყველა პერსონაჟთან უხვადაა გაბნეული ბროწეულის, ხორბლისა და ხმე-

* ნ. ბაღსოლიანს მადლობას მოვახსენებ ჩემი სტატიის გამოყენებისა და კორექტული ინტერპრეტაციისათვის ცერემონიალის (ქალები ცალკე სხდებიან, კაცები ცალკე).

ლი ხილის მარცვლები, პურის თავთავები, ყვავილები, ტკბილეული. ერთგან მზესუმზირას ყვავილიც მოსჩანს (სურათი №3).

წარმოდგენილი სიუჟეტი, რომ უთუოდ საქორწინო ცერემონიალის ამსახველია ამას შემდეგი მონაცემები ადასტურებენ:

1. სიუჟეტის საერთო ფონი სადღესასწაულოა (ყვავილოვანი ორნამენტები, სასმისები; მოცეკვავეები (მუტრობები, მუსიკოსები) და სხვ.).

2. ქალ-ვაჟს თავზე გვირგვინები ადგათ, რომლებიც საქორწინო ტანსაცმლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ.

3. ამაღლამზე გამოხატული პერსონაჟებიდან ნეფის გარდა ყველა ქალია, რაც სპარსული ტრადიციის თანახმად, მხოლოდ „აქლის“ ანუ ქორწინების დროსაა მიღებული.

4. სურათზე ნათლად ჩანს რომ ნეფე-პატარძალი ყველსათვის თვალსაჩინო, საგანგებოდ შერჩეულ, შემადლებულ ადგილზე სხედან და მუტრობები (მოცეკვავეები) მათ საპატივცემულოდ ცეკვავენ, რაც ასევე სპარსული საქორწინო ტრადიციითაა განპირობებული (გალუნოვი 1930; 187).

5. სიუჟეტურ კომპოზიციაში უხვადაა გამოყენებული ბროწეული, ხმელი ხილი, ტკბილეული, ხორბალი, ყვავილები და სხვ. საგნები რომელთა მონაწილეობაც სპარსულ ქორწინებაში, სიუხვე-ბარაქიანობისა და ნაყოფიერების გამომხატველ. სიმბოლურ დანიშნულებაზე მეტყველებს (კისლიაკოვი 1959; 197).

ამრიგად, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება საბოლოოდ დავადგინოთ, რომ სპარსული ვერცხლის სარკის ამაღლამზე ნამდვილად საქორწინო ცერემონიალია ასახული. ვფიქრობთ კონკრეტულ შემთხვევაში მისი არსებობა ირანელთა ყოფაში მყარად დამკვიდრებული ტრადიციის შედეგი უნდა იყოს. როგორც ჩანს თითოეული ოსტატი ამ ხელობას საკუთარი ფანტაზიითა და შემოქმედებითი უნარით ამდიდრებდა, მიმართავდა რა ამისათვის სათანადო ორიგინალურ ხერხებსა და საშუალებებს. თვით ტრადიციის არსს (ამაღლამზე საქორწინო ცერემონიალის გამოსახვას), ჩვენი ვარაუდით უპირველეს ყოვლისა სარკის ის მაგიურ-რელიგიური ფუნქცია განაპირობებდა, რომელიც მას საქორწინო წეს-ჩვეულებებში მონაწილეობის გამო მიეწერებოდა და რომლის ახსნაც საკუთრივ ამ წეს-ჩვეულებების რიტუალურ ხასიათში უნდა ვეძიოთ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ირანული ქორწინებიდან:

ძველი სპარსული ტრადიციის თანახმად ნიშნობიდან ქორწილამდე არსებულ პერიოდში, სადღესასწაულო დღეებში, სასიძოვალდებული იყო საპატრულო სხვადასხვა სახის საჩუქრებით მოეკითხა, საჩუქრებში სარკე აუცილებლად უნდა ყოფილიყო. მაგალითად, „ყურბან-ბაირმის“ (მსხვერპლშეწირვის) დღესასწაულზე სასი-

ძო დანიშნულს „უგზავნიდა“ ერთ ცხვარს, რომელსაც რქებზე ოქროსფერი ფურცლები ჰქონდა დამაგრებული, ხოლო შუბლზე სარკე. ქორწილის დღის მოახლოებისას სიძე სხვა საგნებთან ერთად (შაღის ქსოვილი, სანთელი, ყურანი, ტკბილი და სხვ.) საპატრულოს უგზავნიდა სარკეს, რომელსაც იმ ოთახში დგამდნენ, სადაც აყდი უნდა შესრულებულიყოს. სარკის წინ წყვილ სანთელს ანთებდნენ ჯამით ხილს, ერბოსა და ჭიქა წყალს დგამდნენ. ქალ-ვაჟს ერთმანეთი აუცილებლად ამ სარკეში უნდა დაენახათ, რადგან მათი მომავალი ცხოვრების გზა ბედნიერად გაეგლოთ. ამას გარდა ქალის მზითვეშიც სარკე აუცილებლად შედიოდა. მას როგორც ბედის ავგაროზს გათხოვილი ქალი დიდი სიფრთხილითა და მოკრძალებით ეპყრობოდა. პატარძლის გამყოფელ ქალებსაც, როცა ის საქმროს სახლში გადაყავდათ, ხელში სარკეები ეჭირათ (გალუნოვი 1930; 187-189).

ქორწინებაში სარკის რიტუალური გამოყენების თაობაზე საინტერესო მასალა მოწმდება ფერეიდნელ ქართველებშიც. მათი გადმოცემით როცა პატარძალს ვაჟის სახლთან მიიყვანდნენ, მას წინ ლანგრით ხელში სადედამთილო შემოეგებებოდა. ლანგარზე სარკე და ჭიქა წყალი იდგა, აქვე იყო ტკბილეული, ხმელი ხილი და ხორბლის მარცვლები. სადედამთილო „ახანძალს“ (პატარძალს) ჯერ სარკეში ჩაახედებდა, მერე სახეზე წყალს „მიაწკაპწკაპებდა“ და თავზე ტკბილეულსა და ხორბლის მარცვლებს გადააყრიდა – ნიშნად გამრავლებისა და ბედნიერებისა. სანთიობოშიც (ნეფე-პატარძლის საძინებელ ოთახში) ვიდრე იქ ახლადდაქორწინებულებს შეიყვანდნენ, ვაჟის დედა ტკბილეულის სუფრაზე ჭიქა წყალსა და სარკეს დადგამდა, რათა ნეფე-პატარძალს სარეცელის ზიარებამდე ამ სარკეში დაენახათ ერთმანეთი. საკუთრივ ქორწილშიც (ლხინში), ვიდრე საქორწილო ხარს დაკლავენ, მას რქებს ჯერ ინით შეუღებავდნენ, მერე კი ზედ წყვილ სანთელს აანთებდნენ და რქებს შორის სარკეს ჩაუდგამდნენ. „ჯეჰაზშიც“ (მზითვეში) სარკე აუცილებლად უნდა შესულიყო (გოცირიძე 1981; 88).

საყურადღებოა, რომ ირანის მომთაბარე ტომებში – ბახთიარებში (ვის მეზობლადაც ფერეიდნელები ცხოვრობდნენ), მზითვის გადატანას დემონსტრაციული ხასიათი ჰქონდა. პროცესიას, რომელსაც ქალის ნივთებით სავსე ყუთები მიჰქონდა წინ ახალგაზრდა კაცი მიუძღვებოდა რომელსაც მას ხელში დიდი სარკე ეჭირა (ტრუბეცკოი 1975)

საქორწინო სარკე რომ მზითვის ძვირფასი სამკაული იყო, ამას ქართული მზითვის წიგნებიც მოწმობენ (იაშვილი 1974). სამზითვო სარკის გატანების ჩვეულება ზოგიერთ კუთხეში დღემდე შემონახული. მაგალითად აჭარაში მზითვის სარკეს ბალიშში ჩააკერებდნენ, მას გვერდებზე ვარდებს ამოუქარავდნენ და ამ ლამაზად

გაწყობილ საჩუქარს („მუჯღებელიმს“) მახარობლის ხელით გააგზავნიდნენ სასიძოს ოჯახში (ბექაია 1974).

1980 წელს კახეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობის დროს ერთ-ერთმა მთხრობელმა გვითხრა, რომ სამზითვო სარკე ქალის ბედის, მისი მომავალი ცხოვრების მეგზურია, მას სიფრთხილით უნდა მოეპყროს ქალი, რადგან თუ იგი გატყდა მისი ბედიც გატყდება. ქმარს დაკარგავს და სიცოცხლე ტანჯვად გადაექცევა. მთხრობელის ამ სიტყვებმა უნებლიეთ ცნობილი სპარსული მწერლის სადუყ ჰედაათის მოთხრობა „გატყხილი სარკე“ გაგვახსენა. მოთხრობის მთავარი გმირი უიღბლო სიყვარულისა და აუხდენელი ოცნებების მსხვერპლი ხდება. სარკე ამ ნაწარმოებში ბედის აგვაროზის ფუნქციას ასრულებს (ჰედაათი 1970).

სარკე, როგორც ადამიანის ბედისა და სიცოცხლის განმგებელი მაგიურ-რელიგიური დანიშნულების საგანი, მსოფლიოს მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებაშია ასახული – თქმულებებში, ლეგენდებში, ზღაპრებში. გავიხსენოთ ჩინელები, რომელთაც სარკის მონაწილეობით მეტად თავისებური ორიგინალური წესჩვეულებები გააჩნიათ. მათში (ირანელების მსგავსად) მიღებული ტრადიციის თანახმად როცა პატარძალი საქმროს სახლში გადაყავთ, გულზე უმაგრებენ პატარა სარკეს ვითარცა ბედის აგვაროზს, ავი თვალი-საგან თავდასაცავად საშუალებას. არსებობს ჩინური ამულეტების (მინიატურული სარკეების) მთელი წყება, ზურგზე ამოტვიფრული წარწერებით მომავლის წინასწარ-მეტყველური ქადაგებით. მოვიყვანოთ რამოდენიმე მათგანს:

1. „ამ სარკის პატრონი, იყავი მუდამ ძლიერი, უხვი და ბარაქიანი, დოვლათით აივსოს შენი ოჯახი, ყოველ დღეს მოეტანოს შენთვის სიკეთე და ბედნიერება, არ შეგმთხვეოდეს ავი და ცუდი“;

2. თუ ამ სარკეს ატარებ, იგი შენ ბედნიერებას მოგიტანს, დაგიცავს ყოველივე დარდისა და ჭმუნვისაგან.

3. ამ სარკის სადარი მხოლოდ წყალია, სარკე წმინდაა ვითარცა წყალი და ნათელია ვითარცა მზე, ატარე იგი. ის შენ სიხარულსა და ბედნიერებას მოგანიჭებს.

ძველ ჩინურ თქმულებებში სარკე სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდაა გამოყვანილი. ერთი ძველი გადმოცემის თანახმად ცოლ-ქმარს დროებით განშორებისას ერთმანეთისათვის სარკეები უჩუქებიათ. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი როცა ქალმა ქმარს უღალატა, ეს ამბავი მას (ქმარს) სარკემ შეატყობინა. იგი კაჭკაჭად გადაიქცა და ყველაფერი უამბო (ლავროვი, 1927). ერთმანეთისათვის სარკეების ჩუქება მეუღლეთა შორის, საკმაოდ ძველი და გავრცელებული ჩვეულება იყო ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიც.

სარკეს ფალოსური კულტის მსგავსად გამანაყოფიერებელი და ძლიერების მომნიჭებელი ფუნქციაც ჰქონია დაკისრებული. ერთ-ერთ

თურქმანულ ლეგენდაში, რომელიც 1928 წელს სამხრეთ თურქმენეთში პ. არბეკოვსა და ტ. მაჩნევს ჩაუწერია, ვკითხულობთ:

„ძველ დროში ცხოვრობდა დედოფალი ქაქა-შირი. მას ჰქონდა სარკე, რომლის მაგიური ძალის შემწვობით ყველა მოწინააღმდეგეს ამარცხებდა. როცა აღექსანდრე მაკედონელს დედოფლის დამორჩილება განუზრახავს, მისთვის უამბნიათ ამ ჯადოსნური სარკის ამბავი. მეფე ვეზირებს დათაობირებია, რომელთაც ხელმწიფისათვის ასეთი რჩევა მიუციათ: 40 მეომარი ვაჟკაცი 40 ასულზე დააქორწინე, ცოლებმა ქმრების გამანაყოფიერებელი სითხე ერთ ჭურჭელში უნდა მოათავსონ. იქიდან სარკე გაკეთდება, რომელიც გამარჯვებას მოგიტანსო. ასეც მოქცეულა მეფე და დედოფალი ქაქა-შირი დაუმარცხებია“ (აბივერდის სიძველენი 1931; 48).

ჯადოსნური სარკის მაგიური დანიშნულება ქართულ ხალხურ ზღაპრებშიც მრავლად მოწმდება, სადაც მას სხვადასხვა მნიშვნელობასთან ერთად ადამიანის ბედის, მისი თავგადასავლის ძიების ფუნქციაც მიეწერება და გამარჯვების მოპოვების ძალაც. მაგ. წიქარას ზღაპარში როცა გაქცეული გმირი მღევარს სარკეს ესვრის, მის უკან კლდე აღიმართება.

ნიშანდობლივი ფაქტია ისიც, რომ როგორც ეთნოგრაფიულ ყოფაში, ასევე ხალხურ თქმულებებში თუ ლეგენდებში სარკის მოვალეობას ხშირად წყალი ასრულებს, რაც ბუნებრივია მათი (წყლისა და სარკის) საერთო თვისების ზედაპირზე გამოსახულების არეკვლის გამოა გამოწვეული.

ვარაუდობთ, რომ ამ მნიშვნელობით ყოფაში პირველად მინც წყალი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან მას, ისე როგორც სარკეს, ადამიანის ბედის, სიცოცხლისა და თავგადასავლის მაუწყებელი ძალა მიეწერება. მაგ. ვ. აბაევის განმარტებით სარკის ტაჯიკური სახელწოდება იდენტურია წყლის ძველი სპარსული სახელწოდებისა „აინ“ (აბაევი 1959; 4). გავისხენოთ ვეფხისტყაოსანი. მამიდის მიერ შერისხული ნესტან-დარეჯანი წყალს გაატანეს. ტარიელი რომ ამას შეიტყობს იგი მდინარეს ეკითხება დაკარგული სატრფოს ამბავს. პოემის ხალხურ ვერსიაში ვკითხულობთ:

„აი შენ წყალო, შენ წყალო არაგვიანო

არც გესროლებს ისარი, არც შუბნი გეცემიანო

ნეტავ რა უყავ ჩემი მზე, წყალო შენ არემიანო

შენი მზე წყალმა წაიღო, შენი აღარა ქვიანო

სხვას თუ აღარას დაგაკლებ, აღართუ დაგლევ ტიალო“

(ჩიქოვანი 1937; 190).

შესაძლოა იგივე სიმბოლური მოტივი იგულისხმებოდეს რუსთაველის პოემის იმ ეპიზოდში, როცა პოეტი ავთანდილისაგან ტარიელის პირველი ხილვისას ამბობს:

... „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა-პირსა“.

ამრიგად, სახლში სამამაცოსა და სადიაცოს მითო-რიტუალური დაპირისპირების უმთავრეს ნიშანს მათი ფართობებისა და დროის საწადმართო და საუკუთმართო მხარე-უამად (მდრ.უჟამო უამი) მიჩნევა წარმოადგენდა. ეს ტერმინები კულტურულ-ისტორიული თვასაზრისითაც ინფორმატულნი უნდა იყვნენ. მათი ხალხური ეტიმოლოგია უფრო ხელშესახებს ხდის დაპირისპირების ხასიათს, რომლის მიხედვით ცნებათა ძირი ღმართი//ღმერთია. თავსართად გამოყენებული წა კავკასიურ (ვაინახურ) ენათა ჯგუფში ცეცხლს//სახლს ნიშნავს. ასე რომ წადმართი თითქოს სახლის//ოჯახის მკვიდრთა მფარველ სულს, ხოლო უარყოფით ნაწილაკიანი ანტონიმი, უკუ-ღმართი, მისი ოპოზიციონერის აღმნიშვნელი უნდა იყოს. სულთა ასეთი დაყოფა უცხო არ არის მთიულეთისათვის. ძველთაგან მომდინარე რწმენით, კაცის მფარველი ხატების

გარდა, რომლებიც უმეტესწილად იერ-სახით ადამიანებს ჰგავდნენ, არსებობდა უკუღმართთა დიდი ლაშქარიც. ისინი ცოცხალი ადამიანებისა და მათი ღმერთების ანტაგონისტებს წარმოადგენდნენ და შესაფერი საწინააღმდეგო თვისებებითაც იყვნენ დაჯილდოებულნი.

ოპოზიცია წადმართი – უკუღმართი ყველა დროში თავისებურ სახეს იღებდა. ახალი ეპოქა თავის „სახლის ღმერთს“ და მის ანტიპოდს შობდა. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ უნივერსალური ბინარული ოპოზიციის არსი, რომელიც უფრო ზოგადად პოლარულ დაპირისპირებაში ხელსაყრელი – არახელსაყრელი და მის „სინონიმურ წყვილებში“ გამოსტყვივის¹¹.

ყველა დროის საზოგადოებაში არაოფიციალური, დაგმობილი კულტის აღმსრულებელნი უმეტესწილად სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მდგომნი იყვნენ¹². ამავე მიზეზის გამო პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალი ძველი რწმენა-წარმოდგენების თავისებურ „საკუჭნაოდ“ იქცა. ასეთივე ვითარება იყო ჩვენშიც. არქაული რიტუალების აღმსრულებლის როლში საქართველოს მთიანეთში ძირითადად ქალი გვევლინება. აქ ეთნოგრაფიული სახლის წესი, ფაქტიურად, ბევრგან ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ოფიციალურ ნაწილს, რომელიც სახლის ანგელოზისა და ჯვარ-ხატების სახელზე აღსრულებდებოდა, უფროსი მამაკაცი უძღვებოდა. ეს რიტუალები ერთადერთ ჭეშმარიტ და ღვთის სარგებ საქმედ იყო მიჩნეული. ამ თვალსაზრისის მიუხედავად, ხშირად ოჯახში ოფიციალურ კულტს უპირისპირდებოდა არაოფიციალური, რომელსაც პირობითად ქალთა ლოცვა შეიძლება ეწოდოს. ის უმეტესწილად საიდუმლოდ სრულდებოდა და არსებითად ღვებულური რიტუალების „შებრუნებულ“, სარკულ-სიმეტრიულ ვარიანტს წარმოადგენდა. თუ ოჯახის უფროსი დღისით სამამაცოში აღმოსავლეთის ცისაკენ, სახემიპყრობილი ხმაღლა ლოცულობდა, დიასახლისი სადიაცო მხარის ბნელ კუთხეში ჩასწურწულდება მიწას. მამაკაცი, ცეცხლზე გამომცხვარ, შესაწირ კვერს დანამომარჯვებული ჯვარულად დასერავდა და წაღმა დადებდა თარო-სარკმელზე. დედაკაცი პირიქით, მზის ჩასვლის შემდეგ ხელუკუღმა//კურტუკუღმა უდგამდა უცეცხლოდ დამზადებულ კერძიან ჯამს „თავის“ მფარველს¹³.

მთიულური სახლის შიდა სივრცის გეგმარება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ოფიციალური და არაოფიციალური კულტის თანაარსებობისათვის. მასში კერა საჯალაბოს მარჯვენა მხარის ზემოთოლში იყო გამართული. სამამაცოს სახლის გვერდითი და უკანა კედელი საზღვრავდა, სადიაცოს კი მხოლოდ შენობის მარჯვენა მხიდი კედელი. ქალების სასხდომის უკან დარჩენილი ნაგებობის ნახევარი მთლიანად საქონელს ეკავა. ამიტომ ქალთა ლოცვა, რომელიც ფაქტიურად სადიაცოს მიღმა სრულდებოდა, საკმაოდ დაშორებული იყო კერის ცეცხლით „დაცულ“ ანგელოზის კუთხეს. ასე

რომ, უშუალო მეზობლობით გამოწვეული უსიამოვნება თითქმის გამორიცხული იყო.

ამრიგად, სათავსოს მარჯვენა კუთხე სახლის ანგელოზს, მარცხენა კი მის ანტიპოდს ეჭირა. უკანასკნელი საუკუდმართო მხარის შესაფერისად არის მოდელირებული: საქონლის მხარეს ცხოვრობს და პირუტყვს პატრონობს. ამიტომ წადმა მავალი ანგელოზის „უკუდმართი“ ვარიანტია -- შავია, ტერფები შებრუნებული აქვს, ცაცია ღამე მუშაობს და ჭამს, წადმა ნათქვამი უკუდმა ესმის¹⁴ და სხვა. მისი რიტუალი ხელუკუდმა//კურტუკუდმა უნდა შესრულდეს. ერთი სიტყვით, ეს „უწესო“, „გადაბრუნებული ანგელოზი“ დევია.

როგორც ვნახეთ, მთიულურ სახლში არა მარტო საჯალაბო – სამყოფოს, არამედ მთელი ძირა სახლის ორად გაყოფილი ფართობი უპირისპირდება ერთმანეთს. მათ შორის საზღვარი საფასადო კედლისა და დედაბოძის შუაზე დაშვებულ ვერტიკალზე გადის; მარჯვენა, საწადმართო მხარეს კერით გაყოფილი სამყოფოა. მარცხენა, საუკუდმართო მხარე საქონლის სადგომს უჭირავს. თითოეული ეს ოპოზიტი კვლავ განაგრძობს დიქტომურ დაყოფას, როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ ჭრილში. ამრიგად, სათავსოს მთელ მოცულობას სიმბოლური კოორდინატების სისტემა ავსებს. მასში ყველაფერის ადგილია დაკონკრეტებული, კაცი იქნება ეს, საგანი თუ ორნამენტი. თვალსაჩინოებისათვის ისევ საჯალაბოზე შეეჩერდეთ. აქ დაპირისპირებულთა პირველ წყვილს სამამაცო და სადიაცო მხარეები ქმნიან, სამამაცოში ერთმანეთს დაპირისპირებია საუფროსო და საუმცროსო. თვითონ საუფროსო ანგელოზის კუთხის ოპოზიციონერია. ამავე თარგზეა „დაჭადრაკებული“ სადიაცოც. დიასახლისის ადგილის მეწვეილეა ე.წ. ზემო კერა. ის არქაულ (დილოგურ) ტექსტებში ქალთა ლოცვის სამსხვერპლოს როლს ასრულებს. ამგვარად სტრუქტურირებულ საჯალაბოს, მიკროკოსმის სივრცეში ოჯახის – მიკროსოციუმის ყველა წევრსა თუ ნივთს თავისი „უჯრა“- ლოკუსი და სვლაგეზი ანუ საწინაგეულებო ქრონოსის შესაბამის ერთეულთან დაკორელირებული ქცევის ნორმა გააჩნია.

სახლის შიდა სივრცის სიმბოლური დაყოფა ჯვარის კარის „სოციალური გეომეტრიის“ კანონებს ემორჩილება. ორივე შემთხვევაში ანგელოზის სამეზობლო ადგილი „რჩეულთ“, „ღვთის სახლის“ და ოჯახის უფროსებს უჭირავთ. ეს წინამძღოლები სივრცობრივი თვალსაზრისით ძალიან შეიწროვებული არიან. ესეც ხსენებული პრინციპების რეალიზაციის შედეგია. ჩვეულებრივ, მთის ტრადიციულ საზოგადოებაში სოციალური ორგანიზაციის ფაქტიური ხელმძღვანელი (ხვეისბერი, ხუცეს-დეკანოზი) ნაკლებ მობილურია. ის კოლექტივის რიგით წევრებთან შედარებით, ინდივიდუალური ცხოვრების წესის ქრონოტოპში საკრალურისა და პროფანულის სხვაგვარი პროპორციის გამო, შებოჭილი ჩანს. თუმცა აქტიურ მწარმოებ-

ლურ შრომას თითქმის ჩამოცილებულს მათი დარი თავისუფლება და ე.ი. სამოქმედო დრო-სივრცე არც სჭირდება.

რაც უფრო მაღალია სოციალური კიბის საფეხური, მით უფრო „ვიწროა“ ის, მაგრამ მასზე მდგომს დიდი სივრცის კონტროლირების საშუალება აქვს. მწარმოებლურ და არამწარმოებლურ სივრცეებს შორის შეფარდება პიროვნების სოციალურ სტატუსზეა დამოკიდებული. მთის საზოგადოებებში საწარმოო სივრცე კოლექტივის რიგითი წევრების შეუზღუდავი მოქმედების არეა. ის განუზომლად დიდია სოციალიზირებულ სივრცეზე, რომელზედაც მათი პირადი გავლენა ვერცელდება. ამ სიდიდეებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა თემის ხელმძღვანელის შემთხვევაში. ამგვარ ვითარებას ასახავს, სწორედ, აფორიზმული გამოთქმა – გლეხი ეზოს გადაღმა ვერას ხედავსო. საწინააღმდეგოდ ახასიათებს ტრადიცია სოციალური ორგანიზაციის მეთაურს. ის „მორსმჭვრეტელია“, „არწივის მზერა“ და „ქორის თვალი“ აქავეს, მაღალი მდგომარეობის გამო მას არაფარი გამოეპარება.

მწარმოებლური და არამწარმოებლური სივრცის დაყოფა-დანაწილების წესი კარგად წარმოაჩენს კოლექტივის წევრთა უფლებამოვალეობებს. სხვადასხვა დონის „გამძლობარეთა“ შემთხვევაში ხსენებულ კატეგორიებს შორის არსებული დისპროპორცია საზოგადოებაში მათი როლის შესაფერისი ქცევის ნორმებში მოდელირდება. უკანასკნელთა კლასობრივ შინაარსს მითო-რიტუალური მოტივირება ნიღბავდა: ხევისბერი ხატისაგან იყო „დაჭერილი“ და ბუნებრივია, ხშირად მეურნეობისათვის მას არ ეცალა. „შავი“ საქმეებისათვის მოუცლელი იყო ოჯახის უფროსიც. ასეთ სამუშაოს ქალი ასრულებდა, რადგან სახლის ანგელოზის „მოწესე“ მუდამ „სუფთა“ უნდა ყოფილიყო. მსგავსი რწმენა-წარმოდგენები განამტკიცებდნენ „უფროსების“ მდგომარეობას. მათი საშუალებით ხატის მონა (შედ. ღმერთის გლახა) – ხუცესი მოთემეებს ჩაგრავდა, „სიწმინდის“ დაცვის საბაბით, მამაკაცს ქალი სრულ მორჩილებაში ჰყავდა. ამიტომ იყო სწორედ „რომ“ „უფროს-უხუცესები“ უდრტვინველად იტანდნენ „სივრცობრივ სივიწროვეს“. სასაცილოდ მცირე სამამაცოზე, საკურცხილში, მახვშთა ჩვეულ პოზაში „გაყინულები“ მოთვალთვალეთა ხვედრს „შერიგებოდნენ“. საუფროსოს სიმცირე და „დინჯთა ეტიკეტი“ საკრალური უუფლებობის ილუზიას აღრმავებდა. ეს კი „თავისუფლებს“ „მორჩილებისადმი“ პატივისცემის გამოვლენას ავალდებულებდა. ისინიც შესაფერი სამსახურით „უმსუბუქებდნენ“ ბედს ღვთის რჩეულთ: სახლში კაცს ქალი ემსახურებოდა, ხევში ბერს თემი და ა.შ.

საჯალაბოს ოპოზიტებს სიმბოლური „წყალგამყოფი“ ხაზები აკავშირებდა კიდევ ერთმანეთთან, რადგან თითოეული ასეთი დაპირისპირება იმავე დროს მთლიანობაც იყო. საუფროსო – საუმცრო-

სო სამამაცოს ქმნიდა, სამამაცო – სადიაცო სამყოფოს, საჯალაბო – ბოსელი ძირა სახლს და ა.შ. ოპოზიცია – გაყოფასთან ერთად მათი ერთობა-კავშირის მოტივიც თავისებურ მითო-რიტუალურ გააზრებას ჰპოვებდა. ამ ხასიათის მონაცემების დაკონკრეტება თითქმის ყველა წყვილისათვის ხერხდება.

ყოვლისმომცველი ოპოზიცია ადამიანი – არაადამიანი სახლში საჯალაბო – ბოსელის დაპირისპირების სახით იყო წარმოდგენილი. ამ საწადმართო და საუკუღმართო მხარეებს ერთსა და იმავე დროს ჰყოფდა და აკავშირებდა კიდევ სახლის//სამყაროს თაღის საყრდენი – დედაბოძი. სიცოცხლის ხის „კამერული“ ვარიანტი იმავე ფუნქციას ასრულებდა მიკროუნივერსუმში, რაც მას მაკროუნივერსუმში ჰქონდა დაკისრებული. ორივეგან ის სამყაროს ცენტრი იყო. ამიტომ ადამიანსა და არაადამიანს, საწადმართო ქვეყანა-მხარეს//შიდა სკნელსა და საუკუღმართო ქვეყანას//გარესკნელს შორის იდგა. ასევე ჰყოფდა და აკავშირებდა ის ვერტიკალურ სკნელებსაც: დედაბოძს//სიცოცხლის ხეს ფესვები ქვესკნელში გაუდგამს, ტანი შუასკნელში აქვს, ხოლო წვერით ზესკნელს მიბჯენია. იმიდა მიხედვით თუ სიმბოლური კოორდინატების სისტემის რომელ და რა კატეგორიის მოვლენა-ფაქტების გამყოფ-დამაკავშირებლის როლში გამოდიოდა დედაბოძი შესაფერად მოტივირდებოდა მისი მედიციური ფუნქციაც¹⁵.

ასევე ჰყოფდა და აკავშირებდა პორიზონტალურ ჭრილში კერა-საკიდელი დუალურ მიკროკოსმს, სამამაცო – სადიაცოს//მაკროკოსმის ვაჟისა და ქალის ლოკუსებს, ხოლო ვერტიკალურ ჭრილში ოჯახის საამქვეყნო – საიმქვეყნოს ანუ სამზეოსა და საბნელოს მაქსიმალურად ორგანიზებულ ნაწილებს.

ლიტერატურა და შენიშვნები

1. Гуревич А. Я. Категории средневековой культуры, М.,1972; მისივე, Проблема средневековой народной культуры, М.,1981; Лихачев Д.С. Поэтика древнерусской культуры, Л.,1971; Бахтин М., Формы времени и хронотопа в романе, мისივე წიგნში: Вопросы литературы и эстетики, М.,1975; Неклюдов С.Ю. Время и пространство в билине, кт. Славянский фольклор, М., 1972; Бахтина В.А. Время в волшебной сказке, кт. Проблемы фольклора, М., 1975; Девис П. Пространство и время в современной картине вселенной, М., 1979 და სხვა.

2. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გაცხობდა ინტერესი ადამიანის მოღვაწეობის სივრცობრივი პარამეტრების შესწავლის მიმართ. 20-იანი წლებიდან მოყოლებული საბჭოთა მეცნიერები არა ერთხელ შეხებიან ამ პრობლემას (ფლორენსკი, პროპი, ბახტინი, ბოგატირიოვი, ზოლოტარიოვი და სხვ.) მაგრამ ჩვენში კვლევას დისციპლინარული ხასიათი არ მიუღია. სპეციალური დარგი მხოლოდ 60-იანი წლების ბოლოს გაფორმდა პროქსემიკის სახელწოდებით და მის დამფუძნებლად ამერიკელი ანთროპოლოგი ედუარდ ჰალი გვევლინება. იხ. Hall E.T. Proxemics, "Current Anthropology", 1968, No. 9; მისივე, Handbook for Proxemic Research, Washington: Society for the Anthropology of Visual Communication, 1974; Watson O.M. Proxemic Behaviour: A cross-cultural study, The Hague, Mouton, 1970.
3. Свешникова Т. Н., Цивьян Т. В. К функциям посуды в восточно-романском фольклоре, კრ. Этническая история восточных романцев. Древность и средние века, М., 1979; Цивьян Т.В. К семантике дома в балканских загадках, კრ. Материалы Всесоюзного симпозиума по вторичным моделирующим системам, /МВСВМС/, 1/5/, Тарту, 1974; მისივე, Дом в фольклорной модели мира /на материале балканских загадок/, კრ. Труды по знаковым системам, /ТЗС/, Тарту, 1974; Баибурин А.К. Жилище в обрядах и представлениях восточных славян, Л., 1983; Терехихин Н.М. Строительная обрядность пермских финоугров, Л., 1981.
4. ვ. ჩიქოვანი, მთიულური სახლის კერა, 1977, გვ.24-40 /ხელნაწერი ინახება ივ.ჯავახიშვილის სახ.ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში/.
5. ვ.ჩიქოვანი, ახალი დღესასწაულები და ტრადიციათმცოდნეობის ამოცანები, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუბები“, „მეცნიერება“, თბ., გვ. 119.
6. ვ.ჩიქოვანი, საცხოვრებელი ნაგებობები მთიულეთ-გუდამაყარში, კრ. „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი XIII რესპუბლიკური სესიის მასალები/ მოხსენებათა შინაარსი/“, „მეცნიერება“, თბ., 1976.
7. ნაგებობა ანთროპომორფული მთლიანობის დარად აღიწერება. საერთოდ, „სხეულებრივი პრინციპი“ მეორადი სამოდულო სისტემების ერთეულთა „მეტაფორული იზომორფიზმის“ მეშვეობით ეთნოსემიოტური თავისებურებების გამოვლენის სა-

შუალეხას იძლევა (შედ. თავი მოჭრა//ბანზე სიპები აუყარა//ქალი მოსტაცა...).

8. კულტურის „ტექსტების“ აღწერაში ბინარული სტრუქტურების როლის შესახებ იხ. Лотман Ю.М. О метаязыке типологических описании культуры, ТЗС, 4, Тарту, 1969; Успенский Б. А. Право и лево в иконописном изображении, СВМС, Тарту, 1973; Толстые Н.И. и С.М. К семантике правой и левой стороны в связи с другими символическими элементами, МВСВМС,1/5/, Тарту, 1974; Иванов В.В. Чет и нечет. Ассиметрия мозга и семиотических систем, М., 1978 и др.
9. ბუნება – კულტურის ოპოზიცია განსაკუთრებით ცხადად კერაში ამოსული იფნის მითოლოგემაში აქტუალიზდება. იხ. ვ.ჩიქოვანი, მთიულური სახლის კერა, გვ. 59-87.
10. მსგავსი ოპოზიცია \ მთლიანობის ერთი წევრიდან მეორის ატრიბუტების სრული კონის გამოყვანა შეიძლება კაზუალური იმპლიციების მეთოდით /თუ A....., მაშინ B.....; ან A ----->B და პირიქით/.
11. Ивანовиотических системах, კრ. Системные исследования, Ежегодник, 1972, М., 1972.
12. ამ უნივერსალური ქრონოტოპის მქონე პრინციპის რეალიზაციის შედეგია, რომ გარდასულ დღეთა იდეოლოგიის ატრიბუტების მატარებლად, დღესაც კი, საზოგადოების დაბალი სტატუსის მქონე წევრები გვევლინებიან. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მათი სამუშაო ადგილის „კანკელის“ გაფორმების „არაოფიციალურ“ სტილში მჟავნდება. აქ უცნაურად მეზობლობენ სრულიად განსხვავებული სისტემის ნიშან-სიმბოლოები -- „დაცემული ანგელოზები“ და ყოფილი ლიდერები, შიშველი ნატურები და „ოქროს ხანის“ სურათები, ხალხური თუ კუსტარული რეწვისა და ხელოვნების „უნიკალური“ ნიმუშები, კინოვარსკვლავთა ფოტოები და სხვ. ასეთი „გამოფენები“ წარსულის ანუ არაოფიციალური აწმყოს ნამდვილი სარკეა, სადაც ახალი „გადმონაშთი“ სწრაფად პოულობს თავის ადგილს. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ე.წ. „ხალხური კულტურის“ პრობლემა ურბანიზმის პირობებშიც აქტუალურია.
13. ვ.ჩიქოვანი, მთიულეთ-გუდამაყარის ეთნოგრაფიული დღიურები, რე.№11, 1975, გვ.25-30, 38, 40-41, 45, 53, 68, 75, 81 და სხვა. რიტუალებსა და „ანტირიტუალებში“ ანთროპომორფულ, სოციალურ, ვერბალურ, მუსიკალურ, ქორეოგრაფიულ, კულინარულ, არქიტექტურულ, მითოლოგიურ და სხვა კოდებზე აქ

ტუალიზებული ბინარული ოპოზიციები ცხადყოფენ, რომ ერთიანი მითო-რიტუალური სისტემის ერთეულებს წარმოადგენენ: ცა – მიწა, აღმოსავლეთი – დასავლეთი, მარჯვენა – მარცხენა, ზედა – ქვედა, შინა – გარე, ჭეშმარიტი – ყალბი, ოფიციალური – არაოფიციალური, ადამიანი/მეტყველი – საქონელი /პირუტყვი, კაცი/ნეფე – ქალი/პატარძალი, უფროსი – უმცროსი, საბერო – საჯალაბო, საჯალაბო – ბოსელი, სამამაცო – სადიაცო, კერა – ერდო, სარკმელი – კუთხე, კაცების ლოცვა – ქალების ლოცვა, სახლი – ეზო, მზე – მთვარე (“მიწის“//იმქვეყნის მნათობი, შედ. მკვდრის მზეს. შუასკნელის „მნათობის“, კერის ცეცხლის წყლით ჩაქრობით, ყვერბის სიპების რიტუალიზირებული ამოყრით და სემანტიკურად მათი დარი სხვა ქმედებებით, მაგალითად, დედაბოძის წაქცევით ან ასეთი რამის ჩადენის მუქარით ტრიალული მიკროკოსმის ნგრევა და მოწინააღმდეგე ძალების გამარჯვება მოდელირდებოდა. მსგავს მომენტებს ხალხურ პოეზიაში და ხატოვან სიტყვა-თქმებში საგანგებო ადგილი უჭირავს და მეტაფორულ აზროვნებას ნოყიერ ნიადაგს უქმნის.), დღე – ღამე, სინათლე/ცეცხლი – სიბნელე/ნესტი, წყალი/, ჟამი – უჟამო ჟამი, თეთრი/წმინდა – შავი/მირეული, წადმა – უკუღმა (ხელუკუღმა, კოჭუკუღმა, კურტუკუღმა. გადაბრუნებული მოსასხამის სტუმრისათვის მოხურვით ანდაბის ანუ გარდაცვლილ ნათესავთა საიქიოში არსებული გაერთიანების წევრის გამასპინძლების რიტუალი სრულდებოდა), სახე – ზურგი, ანგელოზი – დევი, ხმამაღლა – ჩურჩულით / უმძრახად, სანთელი – ნიგვზის ლებნების დამაკავშირებელი უღელი, თარო – ჯამი, ქადა – ფაფა /უცეცხლოდ დამზადებული/, სველი – მშრალი/ბერწი, წულიანი/ჯიშიანი – უწული/უკაცო, კერა – საკიდელი (შუაცეცხლის თავზე ჩამოშვებული ჯაჭვი), რკინის საკიდელჩამობმული/რკინის საკიდელით დაბმული – საკიდელჩამოგდებული, დაკოჭვა/დაჭერა, შეკვრა, მიჯაჭვა/ – აშვება / საკიდლის ჯაჭვის ჩაჭრა//კარის შეხსნა, ნაწილიანი/ლიშნიანი/ბედიანი – უნაწილო/უუღურო/უბედო, ცოცხალი/სააქაო – „ცივი“/საიქიო, დაბადება – სიკვდილი, ქორწილი – გასვენება, ხმით ნატირალი – მთიბლური / ჩვენი სამყაროს გლოვის ზარი ანტისამყაროს // სათიბის სიმღერა/, პირიმზე – ფუძის ანგელოზი /პირქუში და სხვა. ვ.ჩიქოვანი, ქორწინება – მედიაცია მითოლოგიაში, 1978 /ხელნაწერი/.

14. შესაბამისად ასეთი არსებისადმი მიმართვის ფორმულა ანტილოცვა//წყველა იყო. ის უკუღმა, ქაჯურ ენაზე, უნდა წარმო-

ეთქვა გადაბრუნებულ ტანსაცმლიან, დედათა წეს-გადასულ უფროს დიასახლისს. სრულ სიბნელეში აღსრულებულ ამ რიტუალს დადებითი შედეგი რომ მოჰყოლოდა, ხანდაზმულ მანდილოსანს (ჯადოსნური ზღაპრების მსგავს ამბივალენტურ დედაბერს) საიდუმლო მფარველისათვის საქონლის გამრავლების მაგიერად მათი დაღევა, ხოლო ოჯახის წევრების კარგად ყოფნის მაგიერად მათი ავად გახდომა, სახლ-კარის დაწვა, ყანა-სათიბის დასეტყვა, ერბო-კარაქის გაწყალება და ა.შ. უნდა ეთხოვა. მას ღრმად სწამდა რომ უცეცხლო კერძების იმქვეყნიურმოყვარულთა ერთგულ, ფარულ მსახურს უკუღმა მაგალი „ანგელოზი“ ყველაფერს შებრუნებით აუსრულებდა. ამგვარი პრაქტიკის „გვერდითი პროდუქტია“ დევების, ალ-ქაჯების და ადამიანების ინტიმური ურთიერთობებისადმი მიძღვნილი გადმოცემა-მემორატები.

15. დედაბობის შესახებ იხ. ი.სურგულაძე, ასრტალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში /დედაბობის დეკორის მიხედვით/, თბ., 1967, დისერტაცია.

Vakhtang Chikovani

Symbolic Organization of Space in the Interior of a Mtiuletian House

A rectangular-shaped plan of a traditional dwelling structure is divided in two equal sections with a plaited partition – the right section used as a family living space, and the left section used as a space for cattle. In its own turn, an open hearth divides the living section in men’s (right) and women’s (left) halves. In the center of the dwelling structure stands a central support of the flat roof – the so-called “Mother Column.” Inside the house, among the ritually important places, the main one is the upper corner of the men’s section – a “House Guardian Angel’s corner,” where a family head performs official rituals. The angel’s antipode “Dev’s” place is in the upper left corner of the space for cattle. A family housewife is the one who secretly observes the Dev’s rituals. According to some mytho-ritual texts, the Angel’s Corner represents a sacred social center (cosmos, culture), while the Dev’s corner represents a center of nature (chaos). The open hearth and the Mother Column function as mediators between the structural elements of the microcosm-house and are opposites of each other in the myth of a sacred tree (the local version of “axis mundi”) that grows from the hearth of an (unbeliever) highlander.

ნინო მინდაძე

ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურის
ანთროპოლოგიური კვლევა საქართველოში

სამედიცინო ანთროპოლოგია დღეს ანთროპოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. იგი შეისწავლის ჯანმრთელობასა და დაავადებას, საერთოდ ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, ბუნებრივ და სოციოკულტურულ გარემოსთან ადამიანის ბიოკულტურულ ადაპტაციას. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მედიცინის სოციოკულტურულ ასპექტებზე, რადგან, დაავადება და მკურნალობა მხოლოდ აბსტრაქტულად არის სუფთა ბიოლოგიური პროცესი... სად გახდა ავად ადამიანი, რა სახის დაავადება შეეყარა მას და რა სახის მკურნალობა სჭირდება, ბევრად არის დამოკიდებული სოციალურ ფაქტორებზე [აკერნესტი ე., 1947; ლაიბანი რ., 1977, 13-30].

სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის სფერო კიდევ უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, რადგან მას დაავადება აინტერესებს, როგორც ფენომენი, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს სოციოკულტურულ მოვლენებსა და პროცესებზე.

ცნობილია, რომ ყველგან, ყოველი დროისა და ყოველგვარი ტიპის საზოგადოებაში დაავადება საფრთხეს უქმნიდა როგორც ცალკეულ ადამიანს, ასევე საზოგადოებასაც. გარკვეულ შემთხვევებს ახდენდა არა მხოლოდ ადამიანის თუ ადამიანთა მთელი კოლექტივის ბიოლოგიურ მდგომარეობაზე, არამედ სოციოკულტურულ სისტემაზე, ისტორიული განვითარების პროცესზე. განაპირობებდა გარკვეულ ისტორიულ მოვლენებს. ცნობილია, რომ III ათასწლეულში ძველი ინდოევროპული მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი და ამ მიგრაციის მიმართულებების განმსაზღვრელი შავი ჭირისა და მალარიის გავრცელება იყო [გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1984, 915-916; 963]. ითვლება, რომ შავი ჭირი გახდა მიზეზი ძველ აღმოსავლეთში მიცვალებულის კრემაციის ტრადიციის ჩამოყალიბებისა [გამყრელიძე თ., ივანოვი ვ., 1984, 831]. შუა საუკუნეებში კი შავი ჭირის ეპიდემიებმა, რომელმაც შეიწირა მილიონობით ადამიანი, მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის დემოგრაფიული სურათი, ყოფითი კულტურა... [ბროდელი, 1989, 97-102]. ამ დაავადების პანდემიამ შეუწყო ხელი ფეოდალიზმის რღვევას ინგლისში.

სამედიცინო ანთროპოლოგიას აინტერესებს ამა თუ იმ ხალხის სამედიცინო სისტემა, რომელსაც გავლენა აქვს ადამიანის ეკოლოგიაზე, ევოლუციაზე, კულტურაზე, სოციალურ ღირებულებებზე... მხოლოდ სამედიცინო პერსონალი და ავადმყოფი არ არის სამედიცინო ანთროპოლოგიის კვლევის ობიექტი, არამედ ზოგადად საზოგადოება, რამდენადაც მასთან დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობა და სამედიცინო პრობლემები. (ლაიბენი რ., 1977, 15). აქედან გამომდინარე, სამედიცინო ანთროპოლოგია ერთი მხრივ გულისხმობს სამედიცინო სისტემების შესწავლას სოციოკულტურული თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ სოციოკულტურული სისტემის, საზოგადოების შესწავლას სამედიცინო ასპექტით.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, გამომდინარე იმ ფაქტიდანაც, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაავადების მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების, განსხვავებული სამედიცინო აზროვნებისა და პრაქტიკის გამო ძნელია ლაპარაკი ერთსა და იგივე სამედიცინო სტანდარტებზე, სამედიცინო ანთროპოლოგია მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას და კროსკულტურულ კვლევას. მას აინტერესებს ყველა დროისა და ყველა ეთნოსის სამედიცინო ტრადიციები, ხალხური სამედიცინო აზროვნება.

სამედიცინო ანთროპოლოგია ძრითადად სამ მიმართულებას მოიცავს: სამედიცინო ეკოლოგიას – შეისწავლის გარემოსთან ადამიანის, საზოგადოების ბიოკულტურულ ადაპტაციას; იკვლევს თუ რამდენად ეფექტურად იყენებს ადამიანი ადაპტაციის პროცესში ბიოლოგიურ და კულტურულ საშუალებებს; რა გავლენას ახდენს დაავადება ეკოლოგიურ და ევოლუციურ პროცესებზე... 2. ეთნომედიცინას, რომელიც შეისწავლის მედიცინის ტრადიციულ სისტემებს საბუნებისმეტყველო და სოციოკულტურულ ასპექტში 3.გამოყენებით სამედიცინო ანთროპოლოგიას, რომლის მიზანია სამედიცინო ანთროპოლოგიური კვლევის შედეგების გამოყენება პრაქტიკულად, ავადმყოფის მკურნალობის დროს ყურადღების გამახვილება მის სოციოკულტურულ გარემოზე და სხვ.

საქართველოში უკვე საკმაო ხანია არა ერთი მკვლევარი მუშაობს სამედიცინო ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების ეთნომედიცინის, ტრადიციული მედიცინის კვლევის ხაზით.

ქართველ მეცნიერთა კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ მკურნალობის ხალხური, ტრადიციული საშუალებების გამოვლენით და შესწავლით, მათ აინტერესებთ თვით ადამიანი, ხალხური წარმოდგენები ადამიანზე როგორც ბიოლოგიურ და სოციოკულტურულ არსებაზე [ბარდაველიძე ვ., 1949; ჯავახიშვილი ივ., 1953; ბერიტაშვილი ივ., 1957; მინდაძე ნ., 2008], ხალხური სამედიცინო თეორია, ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო აზროვნება, სამკურნა-

ლო პრაქტიკა, ბიოეთიკის ხალხური ტრადიციები [მინდაძე ნ., 2009], დაავადებისა და გარემოს ურთიერთმიმართება [დაავადება და გარემო, 1996], ასევე ტრადიციული სამედიცინო ინსტიტუტების, დაავადების როლის, მნიშვნელობის გარკვევა საზოგადოებაში და სხვ.

ეთნომედიცინის, ტრადიციული, ხალხური მედიცინის კვლევის ობიექტის და მისი სახელწოდების შესახებ სხვადასხვა შეხედულება და აზრი ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ **ხალხური მედიცინა** უნდა იხმარებოდეს ვიწრო მნიშვნელობით და აღნიშნავდეს მხოლოდ თვითმყოფად, ემპირიულ მედიცინას, ე.ი. ფაქტობრივად უნდა ასახავდეს განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი საზოგადოების თვითმყოფად სამედიცინო კულტურას. ხოლო თანამედროვე, განვითარებული ეთნოსების ხალხური მედიცინის სახელწოდებად ტერმინ **ეთნომედიცინას** გვთავაზობენ [ბრომლეი ი., 1881, 211-214].

ტერმინთა ასეთი დიფერენცირება თანამედროვე მეცნიერებაში იშვიათია. როგორც განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი საზოგადოებების, ისე თანამედროვე ეთნოსების არასახელმწიფო, არაოფიციალური სამედიცინო კულტურის აღსანიშნავად გამოიყენება: **ეთნომედიცინასა** და **ხალხურ მედიცინასთან** ერთად, გამოიყენება **არაორთოდოქსალური, არაოფიციალური, ტრადიციული მედიცინა...** მსოფლიო საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის [WHO] მიერ 1978 წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე შემოთავაზებულ იქნა ტერმინი – **ტრადიციული მედიცინა**, რაც **ხალხური მედიცინის** სინონიმად იქნა მიჩნეული. ასევე აღინიშნა, რომ **ტრადიციული მედიცინა** არსებობდა ყველა საზოგადოებაში, ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე. [ჰოლი, 1994,1, 1]. დღეს ტერმინი ეთნომედიცინა ტრადიციული მედიცინის შემსწავლელი მეცნიერების, სამედიცინო ანთროპოლოგიის ერთ-ერთი მიმართულების სახელწოდებაა. თუმცა მას ტრადიციული, ხალხური მედიცინის სინონიმადაც საკმაოდ ხშირად იყენებენ.

ტრადიციული მედიცინა, თვითმყოფად, ემპირიულ პრაქტიკასთან ერთად გულისხმობს სხვადასხვა სამედიცინო სისტემის, მათ შორის ოფიციალური მედიცინის, გავლენის შედეგად ამა თუ იმ საზოგადოების ხალხურ მკურნალობაში დანერგილ **გახალხურებულ** სამედიცინო ცოდნასაც. ცნობილია, რომ ტრადიციული სამედიცინო სისტემა და ოფიციალური, კლასიკური მედიცინა ყველა ეპოქაში თანაარსებობდა, ურთიერთგავლენას განიცდიდა. ასეა ახლაც, ტრადიციულ სამედიცინო სისტემას ოფიციალური მედიცინის ელემენტების შეთვისების უნარი გააჩნია. ეს ელემენტები ეგუება თვისებრივად უცხო სამედიცინო გარემოს, ხშირად ამ გარემოსთვის დამახასიათებელ შინაარსს იძენს და ხალხურ ტრადიციად ყალიბდება.

ტრადიციული სამედიცინო კულტურა ტრადიციულად ორ ნაწილად იყოფა: ერთი, რომელსაც მეტწილად *ემპირიულ-რაციონალურს* უწოდებენ, აერთიანებს ხალხურ საბუნებისმეტყველო შეხედულებებსა და ბუნებრივ სამკურნალო საშუალებებს. მეორე *მაგიურ-რელიგიური*, მოიცავს დაავადებათა შესახებ არსებულ რწმენა-წარმოდგენებსა და მკურნალობის ზებუნებრივ საშუალებებს.

ასეთი დაყოფა მეტ-ნაკლებად მოხერხებულია მკვლევართათვის. ჩვენც, ამ ტრადიციას ვაგრძელებთ. შევცვალებთ მხოლოდ ტერმინი *ემპირიულ-რაციონალური*, რადგან ემპირიულ, თვითმყოფად სამედიცინო ცოდნასთან ერთად, ვიკვლევთ სხვადასხვა, ძირითადად კი ქართული ოფიციალური, კლასიკური მედიცინის გავლენის შედეგად გამდიდრებულ ხალხურ სამედიცინო კულტურას. აქედან გამომდინარე, ტერმინი *ემპირიული* არ ამოწურავს ჩვენი კვლევის ობიექტს. ხოლო რაციონალურად მიგვაჩნია არა მხოლოდ შინაური წამლებითა თუ სხვადასხვა მანიპულაციებით მკურნალობა, არამედ მაგიურ-რელიგიური სამკურნალო პრაქტიკაც, სათანადო სოციოკულტურული გარემოს თავისებურებების თუ ეთნოფსიქოლოგიური ფონის გათვალისწინებით. ამდენად, *რაციონალური* უფრო მეტისმომცველი ტერმინია, ვიდრე ზემომოყვანილ კომპოზიტში მისი ტრადიციული მნიშვნელობა გულისხმობს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია *ემპირიული-რაციონალურის* შეცვლა ტერმინით *ნატურ-მედიცინა*, რადგან ხალხური მედიცინა ძირითადად ბუნებრივ საშუალებებს იყენებს. ნატურმედიცინა აერთიანებს ხალხურ საბუნებისმეტყველო შეხედულებებსა და ნატუროპათიას – მკურნალობას ბუნებრივი: მცენარეული, ცხოველური, მინერალური საშუალებებით და ტრადიციულ მეთოდებს: სისხლის გამოშვებას, მასაჟებს, ქირურგიულ მანიპულაციებს და სხვ.

ტრადიციული მედიცინა აერთიანებს *ყოფით* – საზოგადოების წევრთა უმრავლესობისა და *პროფესიულს* – ხალხურ მკურნალო სამედიცინო ცოდნა-გამოცდობებს. რასაც ზოგიერთ მეცნიერი მხოლოდ წინაკლასობრივი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს [ბრომლეი ი., 1981, 215]. ეთნომედიცინის კვლევის სფეროში შედის როგორც ყოფითი სამკურნალო ცოდნის, ისე ხალხური მკურნალების საქმიანობის განხილვა, მათი მკურნალებად ჩამოყალიბების პროცესის კვლევა, მათი სოციალური როლის, სტატუსის განსაზღვრა, ტრადიციული სამედიცინო სისტემების რეგიონალური თავისებურებების გამოვლენა და სხვ.

ტრადიციული მედიცინის ხასიათი დამოკიდებულია მის ადგილსა და ფუნქციაზე გარკვეულ კულტურულ მოდელებში, ამიტომ ტრადიციული მედიცინის, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების შესწავლა საჭიროა, კომპლექსურად, ყოფის სხვა ელემენტებთან ურთიერთკავშირში, გეოგრაფიული გარემოს, სოციალურ-ეკონომი-

კური, ისტორიული პირობებისა და ეთნოფსიქოლოგიური ფონის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინარული მიდგომით.

ქართველ ეთნოლოგთა კვლევის ობიექტი ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა – ქართველი ხალხის სამედიცინო აზროვნება და სამკურნალო პრაქტიკაა; ემპირიულ სამედიცინო გამოცდილებასთან ერთად, სხვადასხვა, ძირითადად კი ქართული კლასიკური მედიცინის, გავლენის შედეგად ყოფით კულტურში მკვიდრად ფუნქციონირებელი და დროთა განმავლობაში ხალხურ ტრადიციად ჩამოყალიბებული სამედიცინო ცოდნა. კვლევის ძირითადი წყარო თანამედროვე ყოფაში ან მოსახლეობის მესხიერებაში დღემდე შემორჩენილი ხალხური სამედიცინო ტრადიციებია. რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, ხშირად ხერხდება უფრო ძველი სურათის აღდგენა, სამკურნალო ტრადიციების წარმოშობისა და განვითარების გზების კვლევა, ხოლო თანამედროვე მონაცემების ანალიზით, რიგი ფაქტების ახსნა. ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, ქართული მედიცინის შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის არქეოლოგიური, ფოლკლორული მონაცემები, ანტიკურ ავტორთა თუ უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა ცნობები, ქართული წერილობითი წყაროები.

ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურის სრულყოფილი წარმონეჩისთვის საჭიროა ხალხური და ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების შედარებითი ანალიზი, ქართველთა კულტურულ-ისტორიული გარემოცვის, მეზობელი ხალხების სამედიცინო ტრადიციების გათვალისწინება. კროსკულტურული კვლევა საშუალებას იძლევა წარმოიხედოს ის კულტურული წრე, რომელშიც ჩამოყალიბდა ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალისა და და სხვა მონაცემების შედარებითი ანალიზის შედეგად დადგინდა რომ საქართველოს მთისა და ბარის განსხვავებულმა გეოგრაფიულმა გარემომ, სოციალურ-ეკონომიკურმა და ისტორიულმა პირობებმა, მოსახლეობის ცხოვრების წესმა, განაპირობა ამ რეგიონებში გავრცელებულ დაავადებათა სპეციფიკური ხასიათი და ტრადიციული სამედიცინო სისტემების თავისებურებანი. კერძოდ, საქართველოს მთაში განვითარდა და პროფესიულ დონეს მიაღწია მხოლოდ ტრავმების მკურნალობამ, თუმცა ყველგან მაგ. ხევსურეთში, არ ჩამოყალიბდა საგვარეულო-საოჯახო მედიცინა. ბარში კი ყოფით სამედიცინო კულტურასთან ერთად, საგვარეულო-საოჯახო მედიცინაც განვითარდა, რომელსაც პროფესიული მედიცინის ნიშან-თვისებები გააჩნია და გულისხმობს ცალკეული ან მხოლოდ რამდენიმე სხვადასხვაგვარი დაავადების მკურნალობის საგვარეულო პრაქტიკას.

საინტერესო შედეგებს იძლევა ხალხური, განსაკუთრებით კი მაგიურ-რელიგიური სამედიცინო ტრადიციების შესწავლა ისტორიული განვითარების პროცესში, საქართველოს მოსახლეობის რელიგიური აზროვნების ცვალებადობის ფონზე.

არქეოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები უძველესი სამედიცინო ტრადიციების შესახებ. მკვლევრები თვლიან, რომ პალეოლითის ხანის ზოგიერთ სამეურნეო იარაღს – პატარა ხელცულებს სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა და გამოიყენებოდა ჩირქროვებიდან ჩირქის გამოსაშვებად, ჭრილობიდან უცხო სხეულის ამოსაღებად... [ფირფილაშვილი პ., 1989, 11-14]. პალეოლითის ხანის ერთ-ერთ გამოქვაბულში (საკაჟია) ნანახი ცხოველის თავის ტვინისა და ქონის ნაზავი მიჩნეულია სამკურნალო დანიშნულების მაღამოდ [ნიორაძე გ., 1953, 59]. ასეთი სახის მაღამო საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (სვანეთში) დღესაც გამოიყენება [ბურდული მ., 2000, 117]. ბრინჯაოს ხანისა და შემდეგი პერიოდის, განათხარ მასალაში უხვად გვხვდება ქირურგიული იარაღები: დანები, პინცეტები, ძველი რომაული კეფალოტრიბების მსგავსი ნამგლისებრი დანები, ნემსები, ზონდი და სხვ. ასევე სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელი [ფირფილაშვილი პ., 1989, 14-33]. ფიქრობენ, რომ სამედიცინო დანიშნულება ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ საკმაოდ დიდი რაოდენობის გველის გამოსახულებიან ჭურჭელსაც [ფირფილაშვილი პ., 1989, 36]. ძვ. წ. VIII-VI სს. დათარიღებული წამლის დასამზადებლად მიჩნეული გველის გამოსახულებიანი ორსართულიანი ჭურჭლის [ფირფილაშვილი პ., 1989, 38] მსგავსი ჭურჭელი ქართულ ხალხურ მედიცინაშიც არც თუ დიდი ხნის წინათ გამოიყენებოდა [ბურდული, 2000, 119].

საქართველოში სხადასხვა ეპოქის სამარხებში [ძვ. წ. X-IX სს., VII-V სს., ა.წ. XV-XVII სს.] აღმოჩენილია ტრეპანირებული თავის ქალები. ტრეპანაციის ხალხური პრაქტიკა საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთმა კუთხემ – ხევსურეთმა XX საუკუნის მეორე ნახევრამდე შემოინახა.

განათხარი ძვლოვანი მასალის რენტგენოპალეოანთროპოლოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში ტრეპანაციის მკურნალობა უმეტესწილად სწორად იყო ჩატარებული [ფირფილაშვილი პ., 1989, 3-22, 36].

ტრადიციული ქართული მედიცინის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის ქართული და ბერძნული მითოლოგია. უძველეს ქართულ ამირანის მითში დაცულია ცნობები: სამკურნალო მცენარეებით მკურნალობის, ქალის (მითის მთავარი პერსონაჟის) მიერ ცხოველებზე დაკვირვებით სამკურნალო მცენარეების მიკვლევის, დღენაკლული ბავშვის დაბადების დროს ხელოვნური ინკუბაციის პრაქტიკისა და საკეისრო გაკვეთის შესახებ. [შენგელია მ.,

1970, 32-33]. ამავე მითის ვარიანტში ლაპარაკია ერთ-ერთი პერსონაჟის გვამის გასპეტაკების ე.ი. დამუშავების შესახებაც. ქართველთა ისტორიულ ქრონიკაში *ქართლის ცხოვრება (Xს.)* აღწერილია ვახტანგ გორგასალის ბიძის ვარაზ ბაკურის ცხედრის საბრითა [ალექ] და მურით (სურნელოვანი ზეთი) დამუშავება [ქართლის ცხოვრება, I, 1955, 176].

ზემომოყვანილის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველები ბალზამირების წესს იცნობდნენ [სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., 1958, 35]. თუმცა ამ მოსაზრების დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა ჯერ-ჯერობით მოპოვებული არ არის.

ქართული მედიცინა უძველესი დროიდან უცხო ქვეყნების იტერესების არეალში იყო მოქცეული. იმავდროულად თავადაც განიცდიდა ძველი ცივილიზებული სამყაროს სამედიცინო ცოდნის გავლენას.

მედიცინის ისტორიკოსთა მიერ დადგენილია, რომ ქართულ სამკურნალო ხელოვნებაში უხვად ჩანს ძველადმოსავლური გავლენები [შენგელია მ., 1963, 3-15].

ქართული, ანტიკური და შუა საუკუნეების ქვეყნების კლასიკური მედიცინის ურთიერთობაზე გვაუწყებს ძველი ქართული ხელნაწერები: *უსწორო კარაბადინი (XI ს.)*, *წიგნი სააქიმო (XIII ს.)*, *ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სამკურნალო წიგნი (XV ს.)*, დავით ბაგრატიონის *იადიგარ დაუდი (XVI ს.)*, თარგმნილი ლიტერატურა გრიგოლ ნოსელის *კაცისა შესაქმისათვის*, რომლის არასრული თარგმანი IX-X საუკუნისაა, მეორე გიორგი მთაწმინდელის სრული თარგმანი X საუკუნის ნემესეოს ემესელის *ბუნებისათვის კაცისა*, ბერძნულიდან თარგმნილი იოანე პეტრიწის მიერ და სხვ.

ცნობილია, რომ არგონავტების მითის მთავარი პერსონაჟი მედეა, რომელიც წამალმკეთებლობის საიდუმლოებას ფლობდა კოლხეთის მეფის ასული იყო. მას სამკურნალო მცენარეები სპეციალურ ბაღში მოჰყავდა [ორფიკული არგონავტიკა, 1977, 107-108]. „მედეას ბაღის“ ზოგიერთი სამკურნალო მცენარე: დაფნა, შინდი და სხვ. დღესაც ფართოდ გამოიყენება ქართულ ხალხურ მედიცინაში.

ანტიკური ავტორების მიხედვით, ქართველთა წინაპრები კოლხები და იბერები სამკურნალოდ იყენებდნენ უცუნას [Colchicum speciosum], ზამბახის [Iris], ღოღოს [Rumex], ბაიას [Aconitum], პრომეთეს ბალახს... [hani, 1884, 501-507; როდოსელი აპ., 1970, 222-223; ლატიშევი ვ., 1896, 107-108].

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პლინიუსის – *ბუნების ისტორიაში* დაცულია ცნობა იბერიაში საიკეთესო კამის წვეწვების მომზადების შესახებ, რომელსაც თაფლში შერეულს მაღამოდ ხმარობდნენ იბერები [ჰანი კ., 1884, 112].

როგორც მედიცინის ისტორიის ქართველი მკვლევარები აღნიშნავენ: *საქართველოში სამკურნალო საქმიანობისა და წამალმკეთებლობის შესახებ ცნობები ანტიკური ხანის თითქმის ყველა უცხოელ მწერალს, ისტორიკოსსა და გეოგრაფს აქვს. ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია და იმაზე მიუთითებს, რომ მთელი რიგი ძვირფასი სამკურნალო მცენარეების შეგროვების, დამზადების და ხმარების წესები, რომლებიც საქართველოში იცოდნენ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდ ინტერესს იწვევდა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა საჭირო მცენარეების შეგროვების და წამლების მომზადების წესების აღწერა, ისიც ისე დაწვრილებით, როგორც ეს ბერძენ და რომაელ ავტორებს აქვთ. თუ ასე დეტალურად იძლევიან ცნობებს ალბათ იმისთვის, რომუცნობი სამკურნალო მცენარეები გაეცნოთ თავიანთი ქვეყნისთვის [სააკაშვილი მ., გელაშვილი ა., – 1956, 35].*

ასეთივე ტრადიცია გაგრძელდა შემდეგაც, რასაც მოწმობს ბიზანტიელ ავტორთა გეორგიკა, 1961, 100, 113...] და საქართველოში სხვადასხვა დროს ნამყოფ მოგზაურთა, მისიონერთა, მეცნიერთა თუ სხვათა ნაწერები. განსაკუთრებით საინტერესოა ლამბერტის, შარდენის, გიულდენშტედტის, კოხისა და სპენსერის, ვაგნერის... ცნობები, რომელთა მიხედვით, საქართველოში სამკურნალოდ იყენებდნენ თავლს [ლამბერტი არქ., 1991, 193-195], დაფნას [გიულდენშტედტი ი., 1960, 107] და სხვ.

მედიცინის ისტორიის არაერთი მკვლევრის, მათ შორის ცნობილი მეცნიერის კურტ შპენგლერის, მიხედვით ყვავილის საწინააღმდეგო აცრა, ვარიოლაციის მეთოდით, XVII საუკუნის I მეოთხედში საქართველოს გზით იქნა შეტანილი ევროპაში [იოსელიანი ა., 1977, 144].

ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის უძველეს ძეგლში – იაკობ ცურტაველის *შუშანიკის წამებაში*, მოხსენიებულია ტრავმების სამკურნალო გარეგანი და შინაგანი საშუალებები: საღბუნი (მაღამო), წამალი...

ქართული საისტორიო მწერლობის X ს. ძეგლში „მოქცევაი ქართლისაი“, რომელიც IV საუკუნის ვითარებას ასახავს არის ცნობა საქართველოში სამედიცინო ცოდნის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი წესისა და ქართული მედიცინის სოციალური ხასიათის შესახებ. აქ მოხსენიებულია „ხელოვანი მკურნალი“, რომელიც მაშინ და შემდეგაც ხელმწიფის კარის ექიმს გულისხმობდა შუა საუკუნეების საქართველოში განსაკუთრებით ვითარდება ქართული ოფიციალური მედიცინა, იქმნება სამედიცინო ხელნაწერი წიგნები (უსწორო კარაბადინი XI ს., წიგნი სააქიმო XIII ს., ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნი XV ს., იადიგარ დაუდი XVI ს), სამედიცინო სკოლები და დაწესებულებები.

ქართული ხალხური მედიცინის ანთროპოლოგიური შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ლიტერატურა, სადაც იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს სამედიცინო ცოდნასთან ერთად, ხალხური მედიცინის ელემენტებიც აისახა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა სამედიცინო გეოგრაფიის თვალსაზრისით [ბატონიშვილი ვ., 1990].

ქართული ხალხური მედიცინის ცალკეული პრობლემების კვლევას საქართველოში საფუძველი XIX საუკუნის II ნახევარში ჩაეყარა. ამ ხანიდან დღემდე საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების წარმომადგენლებმა უნიკალური მასალის დაუნჯებასთან ერთად საყურადღებო კვლევა ჩაატარეს მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. ეს მონაცემები საინტერესოა სამედიცინო ანთროპოლოგიის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქრისტიანობის აღდგენის, განსაკუთრებით კი კავკასიის სამედიცინო საზოგადოებების წევრთა ღვაწლის შესახებ. მათ მკურნალობის ხალხური საშუალებების შეგროვება-აღწერასთან ერთად ყურადღება მიაქციეს ისეთ საკითხებს, რომლებიც სამედიცინო ანთროპოლოგიის ინტერესებსაც ითვალისწინებს: ხალხურ ცოდნას დაავადებათა სიმპტომების, ეტიოლოგიისა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესახებ, დაავადებისა და გარემოს დფაავადების და ტრადიციული ყოფის ურთიერთმიმართებას...

ამ პერიოდში მოღვაწე ექიმთა შორის გამოირჩევა ა. იაშვილის, ილ. აღსაზიშვილის, ს. ვირსალაძის, ი. პანტიუხოვის, ა. შურიგინის, ი. შაბლოვსკის, ი. მინკევიჩის, ვ. ერიკსონის და სხვათა საქმიანობა.

ხალხური მედიცინისადმი ინტერესი მედიცინის მუშაკთა შორის არც შემდეგ გამქრალა. XX საუკუნის 30-იან წლებში და შემდეგაც მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა ქართველ ექიმთა და მედიცინის ისტორიკოსთა: ლ. კოტეტიშვილის, გ. თედორაძის, მ. სააკიშვილის, ა. გელაშვილის, მ. შენგელიას, ი. ქურჩიშვილის, ბ. რაჭველიშვილის, პ. ფირფილაშვილის, რ. სურმანიძის, რ. შენგელიას, ჯ. ქორჩილაკას, ს. სალუქვაძისა და სხვათა მიერ. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მეცნიერული გამოცემების ფუძემდებელი ლადო კოტეტიშვილი, რომელიც მედიცინის ისტორიის პრობლემებთან ერთად ხალხური მედიცინის საკითხებსაც იკვლევდა.

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა, ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა შორის ხალხური მედიცინის კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ზ. ჭიჭინაძემ, ექვ. თაყაიშვილმა, აღ. ხახა-

ნაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, თ. სახოკიამ. უფრო მოგვიანებით 30-იან წლებში კი – ს. მაკალათიამ.

შედარებით ფართოდ გვინდა შევეხოთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გაწეულ მუშაობას, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქართული ხალხური მედიცინის ეთნოლოგიურ კვლევას.

1938 წელს აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში შექმნილ ეთნოგრაფიულ განყოფილებას სათავეში ჩაუდგა გ. ჩიტაია. მეცნიერების საკვანძო საკითხების კვლევასთან ერთად, სამომავლო, პერსპექტიული მუშაობის ამოცანები დასახა და ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაშალა. ამ დროიდან მოყოლებული, 1940-50-იან წლებში გ. ჩიტაიას და ვ. ბარდაველიძის მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარების საფუძველზე მეცნიერ-ეთნოგრაფებმა და კვალიფიცირებულმა კორესპონდენტებმა, ეთნოგრაფიის სხვადასხვა საკითხზე და მათ შორის ხალხურ მედიცინაზე მდიდარი საველე მასალა შეკრიბეს.

ხალხური მედიცინის შესწავლის საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდო ისტორიის ინსტიტუტში 1945-1950 წლებში არსებულმა მედიცინის ისტორიის განყოფილებამ, რომელსაც მ. სააკაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილებამ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა მედიცინის ისტორიის მრავალტომეულის გამოცემას...

ხალხური მედიცინის ეთნოლოგიური კვლევის საქმეში განსაკუთრებულია ვ. ბერდაველიძის დეაწლი, მან შეადგინა პირველი კითხვარი ქართული ხალხური მედიცინის შესახებ ეთნოგრაფიული მასალის მოპოვებისათვის და მნიშვნელოვანი გამოკვლევა დაგვიტოვა ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ [ბარდაველიძე ვ., 1957, 85-93; ბარდაველიძე ვ., 1941].

აღსანიშნავია ინსტიტუტის ანთროპოლოგების (იგულისხმება ფიზიკური ანთროპოლოგია) საქმიანობა მ. აბდუშელიშვილის, შემდეგ ლ. ბითაძის ხელმძღვანელობით. ანთროპოლოგების მიერ შესწავლილია განათხარი კრანიოლოგიური და ოსტეოლოგიური მასალა. გაკეთებულია მნიშვნელოვანი დასკვნები.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს პ. ფირფილაშვილის ნაშრომები. მან პალეოანთროპოლოგიური მასალის კვლევის გარდა, საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინა ქვით მკურნალობის, სამედიცინო იარაღ-ჭურჭლის და სხვათა შესწავლის შედეგად.

1960-იანი წლების დასასრულისა და 1970-იანი წლების დასაწყისისათვის ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კვლევის ხაზით გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით რამდენიმე კადრი მომზადდა, რომ-

ლებიც დღემდე აგრძელებენ მუშაობას ტრადიციული მედიცინის ანთროპოლოგიური კვლევის საზით.

სამედიცინო ანთროპოლოგიურმა კვლევამ, გვაჩვენა, რომ ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა რომელიც ძირითადად მედიცინის განვითარების უნივერსალურ პრინციპებს ითვალისწინებს, იმავდროულად გამოირჩევა ადგილობრივი გეოგრაფიული გარემოს, ისტორიული თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობების თავისებურებებით და საინტერესოა როგორც ზოგადად სამედიცინო კულტურის კვლევის, ისე ქართული ხალხური მედიცინის სპეციფიკის დადგენის თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა:

- აკერნეხტი: Acherknecht E.H. Problems of Primitive Medicine. Reader in comparative Religion, An Antropological Approach. New-York, 1958.
- ბარდაველიძე: Бардавелидзе В. Древнейшие религиозные верования и обрядовые графическое искусство грузинских племен, Тбилиси, 1957.
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან ღვთაება ბაბარ-ბარბარ. თბილისი, 1941.
- ბარდაველიძე: ბარდაველიძე ვ. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია) მიმომხილველი, I, თბილისი, 1949.
- ბატონიშვილი: ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1990.
- ბერიტაშვილი: ბერიტაშვილი ივ. მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში (ძველი დროიდან XIV საუკუნემდე), თბილისი, 1957.
- ბროდელი: Бродель Ф. Средиземное море и средиземноморский мир в эпоху Филиппа II, Москва, 2002.
- ბრომლეი: Бромлей Ю. В. Народная медицина как предмет этнографии. Современные проблемы этнографии.. М., 1981.
- ბროდელი: ბურდული მ. ძველი მედიცინა არქეოლოგიური მასალის მიხედვით. ივ. ჯავახიშვილის ახალციხის ფილიალი. შრომები. ახალციხე, 2000.
- გამყრელიძე, ივანოვი: Гамкрелидзе Т., Иванов Вяч., Индоевропейский язык и индоевропейцы, реконструкция и историко- типологический анализ праязыка и пракультуры. Тбилиси. 1984.
- გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

- ხეხ I, ტექსტები ქართული თარგმანით გამოცემა და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1961.
- გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოცემა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა ტ., I, თბილისი, 1962.
- დაავადება და გარემო, თბილისი, 1996.
- ლამბერტი: ლამბერტი არქ., სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1991.
- ლიბენი: Lieban R. W. The Field of Medical Antropology.- David Endly (Ed.). Cultura, Disiese and Healing. New- York, 1977.
- ლატიშვილი: Латышев В.В., Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, Греческие писатели, вып. 2 (записки императорского русского археологического общества. Приложение СПб, 1996).
- მინდაძე: მინდაძე ნ. ქართველი ხალხის შეხედულებები ადამიანის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, 2008
- მინდაძე: მინდაძე ნ. ბიოეთიკური კვლევის პერსპექტივა ტრადიციულ კულტურაში, სამეცნიერო კრებული – „ბიოეთიკა“, თბ., 2009.
- ნიორაძე: ნიორაძე გ. ქვის ხანის ადამიანი საკაუხას გამოქვაბულში თბ., 1953.
- ორფიკული არგონავტიკა, ძველი ბერძნულიდან თარგმანა გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა. თბილისი, 1977.
- როდოსელი: როდოსელი აპ. არგონავტიკა, თბილისი, 1975.
- სააკაშვილი, გელაშვილი: სააკაშვილი მ. გელაშვილი ა. საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, თბ., 1956, გვ. 63-64, 17.
- ფირფილაშვილი: ფირფილაშვილი პ. ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან. თბ., 1989.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 104.
- შენგელია: შენგელია მ. ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბილისი, 1963.
- შენგელია: შენგელია მ. ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1970.
- ჯავახიშვილი: ჯავახიშვილი ივ. ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, კრ-ში: ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ., 1953. გვ.141.
- ჰანი: Ган К. Известия древних греческих и римских писателей о Скифии и Кавказе, сборник материалов описаний местностей и племен Кавказа, Тф. 1864.
- ჰოლი: Holly F. Mathews Introduction: A Regional Approach and Multidisciplinary Perspective. Herbal and Medical Medicine, U S A, 1994.

**Anthropological Study of Georgian Traditional
medical Culture in Georgia**

Medical anthropology, as independent scientific discipline was formed in the 70-ies of the past century, though anthropological researches commenced much earlier.

In result of anthropological researches of Georgian folk medical culture there was established that views of Georgian people on the essence, substance of human included both, empirical knowledge and certain elements of Georgian medieval medical manuscripts. Georgian population was quite well aware in the age specific features, what was included into the traditional life style. Traditional medical culture of Georgian people, together with the natural sciences and naturopathic treatment, unified magic-religious theory and treatment practice. In many cases, it was based on absolutely correct observations and views on etiology of the diseases, their nature and character, interrelations between the diseases and environment etc. what, in everyday life, could be met as the beliefs and views. Archaeological findings, georgian and greek mythology provides information on the practice of medicine by the ancient population inhabiting the territory of georgia. More reliable information about the medicinal herbs is provided by ancient Greek and Roman authors. Medieval georgian medical manuscripts were popular with the population. In some cases these books were one sources for traditional medical knowledge of various family clans. Medieval georgian medical manuscripts include Georgian popular beliefs and conceptions. Prospects of Georgian ethnologists include study of Georgian folk medical culture in the medical anthropological context; reveal not only medical thinking and practice of Georgian people but also show the role of the diseases in social-cultural development process of Georgian nation, as well as impact of social-cultural factors on health status; reveal knowledge of Georgian people about humans etc.

Elders and their Families in Crisis: “Ageing and its Discontents”

The Social and behavioral implications for people with dementia

I increasingly encounter life stories, narrated by relatives of elders, as well as written in nursing and medical notes, of a crisis or before admission to hospital or a nursing home. In my ethnographic study of a nursing home in the UK, the one crisis that far outnumbers other crises of admission is that of a person suffering from dementia, its associated physical and intellectual declines and its bewildering confusion. In this paper I consider an important reason for admission into a nursing home. When looking at coping strategies of families, there seem to be limits as to what families can do for a relative with dementia, while endeavoring to keep them safe and free from harm. The social dimensions of a relative with dementia are harsh and almost impossible to live with. For example, the day night reversal, the wandering into busy or isolated streets, not suitably dressed and often resulting in neighbors, police and caring neighbors returning them home at all times of the day and night. Another severe example of difficult behavior is of inappropriate toilet habits such as defecating on the carpet throughout their home. This adds to the ever-present strain assisting with all activities for daily living for their partner. However, one of the coping strategies used by the partner of the ill spouse is that of distancing of the present character of the ill spouse from that of the present one, especially if aggressive behavior is a feature of the illness. To see the person with dementia as “not the person I married” enables relatives especially the spouse to maintain good memories of better times with their spouse. Bearing in mind that partners were often aged from 70-90+ a number of reasons for not coping are listed as follows...

- The sick relative can experience loss of bowel/or bladder control and subsequently needs washing and bathing
- It becomes too difficult to lift and move the patient as s/he loses co-ordination
- Difficulty living with behaviors such as wandering or dangerous use of appliances e.g. placing an electric kettle on stove and lighting the gas flame
- The behavior becomes too aggressive to manage
- The sick elder no longer recognizes his/her family members
- The caregiver becomes too ill or too exhausted to carry on

Most caregivers list multiple reasons for their decision to give up full time care. By use of two case histories, this paper highlights the difficult and even embarrassing circumstances that dementia as an illness places the person in. The direct result of these circumstances on the family, main carer and neighbors in the community is also noted in terms of how each crisis can lead to the necessity for residential care. The behavior associated with dementia, becomes too difficult for

the carer to manage and so potentially harmful for the sufferer, that admission to an institution proves to be the only solution for some families.

From the above points, one can see what a profound effect the disease has, not only on the person with dementia, but also the carer be it husband/wife. The most daunting aspect of dementia is its manifestation as short term memory loss due to progressive decline and failure of cerebral functions.

Many people with dementia are found to have symptoms of depression, visual and auditory hallucinations, and delusions of theft or persecution. Other changes in a person's behavior include wandering, altered eating habits such as binge eating and lack of sexual inhibition. At present it is irreversible medically and those people with the condition need increasing care as the disease progresses. Forgetting recent events, anxiety in making decisions and failure to recognize objects are all difficult manifestations of the decline in cerebral function. As these problems increase great losses of practical skills occur such as inability to tell the time, wash and dress or maintain personal hygiene or cook a meal. This progressive deterioration contributes to the crisis. Currently 700,000 – or one person in every 88 in the UK has dementia, incurring a yearly cost of £ 17bn, (Help and the Aged 2008). Out of 70 residents in the home, 45 people suffered from dementia during the study. What these numbers represent is a high incidence of residents with behavioral problems such as already described... Often the family caring for them at home had insufficient understanding about what was happening to their relative, with occasional or scant professional support and a felt stigma associated with dementia. The care assistants in the nursing home each had their own way of working with people with dementia, some more experienced and sympathetic than others. What was most evident was a “common sense” approach by staff.

Observations of the demanding situations and crises presented at home, along with behavioral issues encountered in the nursing home, form part of this ethnographic data. Care in the community, as well as use of the few day care centers available, have been tried and severely tested, as well as the continual round the clock care relatives. However, when these situations present themselves, they usually do so as a crisis to the social and medical services, which then in turn prioritise according to need. There is a growing awareness amongst the staff at the Home studied that these particular crises in dementia result in a “heavier” workload. During fieldwork I endeavored to look at what this meant for the staff, as well as what it meant in lived terms for relatives or neighbors involved in caring, and show from various accounts and incidents how quality of life was in question. This concerns the quality of working life for employee as well as quality of life and resident and the family.

DOREEN, a 74 year old woman, was admitted from her own home in nearby town. Her next of kin is a male second cousin and he and his wife live in the same town. She was born and brought up in the Oxfordshire town that remained her home until nursing home admission. She has lived with her mother,

in this same house, and had been born there, so was at complete ease and familiarity with her surroundings. An only child, her first husband was killed in a flying accident at the end of World War II. During the war she worked in the local supplies depot as supervisor then all her life as a bookmaker. Her father died aged 72 while her mother lived to age 91, when Doreen was already in her sixties. She had been a fit woman but was diagnosed with Alzheimer's disease aged 69 years. Until then Doreen played the piano, read novels and enjoyed dancing.

She was referred by her GP to the psycho geriatric services and noted to be extremely fit physically but noted extremely poor results for cognitive function tests. It was established that the only word she could say with certainty was her name. The severity of her long term memory loss and short term memory loss was such that her ability to keep her house clean, as well as care for her own needs had deteriorated greatly. As with so many of the residents suffering from dementia she presented as a crisis. The crisis in fact was an extreme emergency in that she had found her elderly gentleman friend on the kitchen floor, dying. When Doreen found him she was not aware of the reality of the situation and it was only when her cousin called that the emergency became apparent. Afterwards it was ascertained that her friend inadvertently, or possibly knowingly, managed to conceal the severity of her disability through constant prompts and supervision while there. It became immediately obvious that Doreen was incapable of caring for herself. Two weeks prior to this emergency she had driven her car with no apparent comprehension of the severity of her disability, but equally no trouble on the road. However this kind of situation, where the full reality only becomes noticeable during a crisis such as death of spouse, became evident again in the accounts of the residents with dementia, where mostly family and friends, as well as this unusual case of the lodger, were able to hide the severity of the condition from others.

The psycho geriatrician visiting her at home after the emergency and found Doreen to be disheveled, grubby and bemused with no grasp of who the doctor was nor why she had let her into her home (which was alarming for her personal safety). The house was described as having an overwhelming smell of cat faeces with cat food and cat faeces scattered around. The refrigerator smelt of sour milk and other stale food items which had clearly been there for many weeks. The geriatrician arranged urgent referral to the Social Services and the battery in her car was immediately dismantled. As she had driven the car only recently, the Driving Licence Authority was duly informed by her nephew of the immediate ban on her driving her car.

The subsequent family involvement of her cousin and his wife was such that they would help her wash and dress at weekends and provide midday meals. The cousin went daily to get her tea at 5pm, while one or both got her ready for bed at 7-8pm. They were mostly concerned about her isolation and poor quality of life as she spent much time alone. She repeatedly talked to herself, not usually

understandable to others, but showed an enjoyment of company. She was also noticeably frightened by loud noises. The cousin was also troubled about faeces in the bathroom, possible smearing and deteriorating toilet habits. Due to all these factors respite care was arranged and Doreen was admitted to respite residential care for some weeks. The desired plan for her future safety, which all parties were in agreement with, (presumably except Doreen herself), was for admission to long-term residential care as soon as possible. However this took over three years to achieve. The reality of those three years, both for her, the relatives and carers was one of constant worry and concern, especially at night when there was no active support system for her alone at home. Family were not able to take holidays easily during these three years. Meanwhile her family were invited to meetings of a carers' group, and home care assistance started which consisted of washing and dressing her every day and providing lunch twice a week. A "sitting" service, whereby a carer would visit twice a week and stay one and a half hours, was provided. One of the problems noted when day care centre provision was arranged was her tendency to wander far from the observance of staff unable to give one-to-one attention.

A first meeting with Doreen in the nursing home showed her ability to hide her limitations as I observed her talking with animation to her reflection in the mirror. The notes in her care plan (written by one of the nurses) say that she repeats key phrases but is never known to express herself with lucidity. Her notes also state that she "wanders". This "wandering" is often presented as a problem when looking after people with dementia. She repeated many routines such as when in the garden she tended to walk around the flower bed again and again but this did not seem aimless as there were no signs of despair and Doreen always appeared content. Her nursing care notes mention that although she has expressive dysphasia she can be understood if the listener picks up certain words used. Doreen was noted to mix well with other residents greeted all staff with a smile and tried to communicate with words not understood by others. In discussion with her cousin he emphasized the crisis leading up to her admission, and how he and his family were relieved and delighted to have Doreen admitted to the nursing home.

Life for Doreen in the residential home involved the staff attending to her, washing and dressing her, as she was unable to do this herself. Doreen had beautiful clothes and always looked well presented. Her walk was of someone who took pride in how she looked. Although she did not appear to speak coherently she seemed to respond well to the care assistant washing and dressing her. The most noticeable lack of co-ordination was the loss of ability to put clothes or shoes on. The hairdresser employed in the nursing home kept Doreen's hair washed, cut and set, with the overall impression of someone well turned out.

**მოხუცები და კრიზისში მყოფი მათი ოჯახები:
“ხანშიშესულობა და უკმაყოფილობა“**

სტატია, რომელიც ილიას უნივერსიტეტის თეორიულ სემინარზე იქნა წაკითხული და წარმოდგენილი 2008 წლის 2 ოქტომბერს ეხება საზოგადოების ნაკლებად დაცულ ალცჰეიმერის სახელით ცნობილი დაავადებით შეპყრობილთა (ძირითადად ხანშიშესულთა) ფენის სტატუსს, რომლებიც პრობლემას უქმნიან ოჯახს, ახლობლებს, მომვლელებს. ავტორი განიხილავს მიზეზებს თუ რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ამგვარი ავადმყოფების საავადმყოფოებსა და მოხუცებულთა თავშესაფრებში განთავსება და სხვ.

ნათია ჯაყელი

**ქართული ხალხური დღესასწაული და ტრადიციული
სუფრა ფიროსმანის შემოქმედებაში**

ადრექრისტიანულ პერიოდში საკრალური დღესასწაული ადამიანის მეორე ცხოვრებას წარმოადგენდა, მას ჰქონდა თავისი წესები, საზღვრები, რომელიც მკაცრად იყო დაცული და გამოიყოფოდა ყოფითი ცხოვრებისაგან, თუმცა შუა საუკუნეებიდან მოყოლებული იგი თანდათან შეერწყა ყოფით ცხოვრებას და ფაქტიურად მისი შემადგენელი ნაწილი გახდა, რომელიც სამწუხაროდ დღითიდღე იკარგება და მხოლოდ გადმოცემების სახითღა რჩება.

ქართული დღესასწაულისა და სუფრის აღწერას ეთმოფა ფიროსმანის შემოქმედების დიდი ნაწილი. იგი აღწერს იმას, რასაც ხედავს, მისთვის ქართველის ტრადიციულობა მნიშვნელოვანია.

ფიროსმანის ნამუშევრების ხილვისას ყველაფერი ჩვენს თვალწინ ცოცხლდება და დაუვიწყარ ელფერს იღებს. ასეთივე დაუვიწყარია აღდგომის დღესასწაულის აღწერა, რომელსაც ფიროსმანის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. აღდგომას აუცილებელი იყო კვერცხების წითლად შეღებვა, პასკის გამოცხოვა, ცხვრის დაკვლა ან მინდორზე გაშვება. ეს ყველაფერი კარგად ჩანს მის ორ ნამუშევარში, რომელთაგან პირველზე გამოსახულია წყაროს წყალს დაწაფებული ცხვარი, მის მარჯვნივ – თეთრი სუფრა, რომელზეც მოთავსებულია ჯვრიანი პასკა და წითლად შეღებილი კვერცხები, სურათის უკანა პლანზე კი ცენტრში ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული, მის მარცხნივ და მარჯვნივ ანგელოზთა გაშლილფრთებიანი თავები, მათ უკან კი ოქროსფერი მერცხლები. მიუხედავად ფრინველთა დინამიკურად გამოსახვისა, კომპოზიცია საკმაოდ მშვიდია.

კომპოზიცია შესრულებულია შავ მუშამბაზე და ასეთი მრავალსიუჟეტოანი კომპოზიციის შესაქმნელად მხოლოდ რამოდენიმე ფერია გამოყენებული, კონკრეტულად კი თეთრი, წითელი, ოქროსფერი და ნაცრისფერი, რაც ავტორისეული იდეის გადმოსაცემად სრულიად საკმარისია.

როგორც აღვნიშნე, წინა პლანზე გამოსახულია წყაროს წყალს დაწაფებული თეთრი კრავი, რომელსაც ყელზე წითელი ლენტი აქვს შებმული, რაც ვფიქრობ, უნდა წარმოადგენდეს მინიმუმბას ამ კრავის მსხვერპლად შეწირვაზე, თვით ამ კრავის გამო-



სახვით კი მინიშნება უნდა იყოს ქრისტეზე, რადგან როგორც ვიცით, ადრექრისტიანულ მონუმენტურ ხელოვნებაში ქრისტე კრავის სახით გამოისახებოდა, როგორც ხალხის ცოდვათა გამოსასყიდად განწირული მსხვერპლი და ფიროსმანის ნამუშევარიც სწორედ ამის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს.

კრავი წინა ფეხებით წყალში დგას და წყალს სვამს, რაც სავარაუდოდ ქრისტეს ნათლისღების სიმბოლურ გამოსახვას უნდა წარმოადგენდეს. მის მარცხნივ, მეორე პლანზე, მართკუთხედის ფორმის მაგიდაზე გადაფარებულია თეთრი სუფრა, რომელზეც წითელი ჯვარდარჭობილი პასკა და წითელი კვერცხები აწყვია, რაც აღდგომის ატრიბუტებს წარმოადგენს. მესამე პლანის ცენტრში გამოსახულია ქრისტეს ჯვარცმა, მის აქეთ-იქეთ კი ფრთებგაშლილი ანგელოზის თავებია მოცემული, რომელთა თავზეც სამი გადამფრენი ოქროსფერი მერცხალია გამოსახული, კომპოზიციის მეოთხე ხედი კი პირობითი ფონია, რომელიც შავ მუშამბაზე გამოსახულ ბუნდოვან ხეებს წარმოადგენს. პირობითადაა გამოსახული მინდორიც, რომელსაც სურათის საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი და მიღებულია შავი მუშამბის დატოვებით, ალაგ-ალაგ მუქი მწვანე მონასმებისა და ოქროსფერი წერტილების სახით.

როგორც ვნახეთ, კომპოზიცია მრავალხედიანი და მრავალსიუჟეტია. მთელ სურათში საოცარი სიმშვიდე და დუმილი მეფობს. ყველა ხედი და სიუჟეტი ურთიერთშეთანხმებული და თანმიმდევრულია. იგი ქრისტეს ცხოვრების სამ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ესენია: ნათლისღება, ჯვარცმა და აღდგომა, რასაც ფიროსმანი მონუმენტური მხატვრობის მსგავსად, პირობითად, ლაკონურად და კონკრეტულად გადმოსცემს, ყოველგვარი ზედმეტი დეტალებისა და წვრილმანების დამუშავების გარეშე. ამ კომპოზიციაში გამოსახული ყველა საგანი თუ ფიგურა მნიშვნელოვანი და პირველხარისხოვანია.



მეორე ნახატზე წარმოდგენილია აღდგომის დღესასწაულის მნიშვნელოვანი ატრიბუტები, რასაც წარმოადგენს სამსხვერპლო კრავი, წითელი კვერცხი და პასკა. ფონად აქაც შავი მუშამბაა დატოვილი, რომელზეც ოქროსფერი საღებავით მცენარეებია გამოსახული. კომპოზიციის ცენტრში მოცემულია პროფილში წარმოდგენილი კრავის დიდი, მონუმენტური ფიგურა, რომელ-

საც საკმაოდ მშვიდი სახე აქვს, თვალები კი – მეტყველი. მის წინ მიწაზე დადებულია პასკა, კრავის ფეხებს შუა კი წითელი კვერცხები. ფიროსმანის ეს კომპოზიცია პირადად მე მაგონებს ქრისტიანულ თემაზე შექმნილ შუა საუკუნეების მონუმენტურ მოზაიკურ კომპოზიციებს, რომლებიც ოქროს ფონზე გამოისახებოდნენ, რათა უფრო განზოგადებული და მიწიერებას დაშორებული ყოფილიყო. ვფიქრობ, აქაც იგივე მდგომარეობაა, ოქროსა და მუშამბის ფონზე გამოსახულია სააღდგომე კრავის უზარმაზარი ფიგურა, რომელსაც ეს ფონი მიწიერებასთან ერთად რაღაც ღვთიურ იერს მატებს, რასაც მისი მშვიდი სახე, თვალები და თეთრი ფერის დიდი დოზით გამოყენებაც ეხმარება. იქედან გამომდინარე, რომ ეს კომპოზიცია აღდგომის დღესასწაულთან არის დაკავშირებული, მასში გამოყენებული წითელი და თეთრი ფერი ქრისტეს ღვთაებრივ და მიწიერ ცხოვრებაზე მინიშნებას უნდა წარმოადგენდეს.

აღდგომა დღეს დილით დიასახლისი ტაბლაზე დააწყობდა წითელ კვერცხებს, დადებდა ჯვარდარტობილ პასკას და მიცვალებულის საფლავზე დატოვებდა. ეს რიტუალი არაჩვეულებრივად აქვს ფიროსმანს აღწერილი. მისი სურათი სახელწოდებით “სააღდგომე კვერცხები” გატყედილია თეთრი სამოსით შემოსილი ქალის ფიგურით, რომელსაც ხელში ტაბლა უჭირავს წითელი კვერცხებითა და პასკით. ფონი აქაც მუშამბის დატოვებითაა მიღებული, მხოლოდ ალაგ-ალაგ არის მუქი მწვანე ფერი დადებული და ნახატის ქვედა ნაწილში რამოდენიმე ყვავილია გამოსახული. ქალის ფიგურა მუხლამდეა გამოსახული, მისი სახე და სამოსი იმდენად თეთრია, რომ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შინაგანად არის გაბრწყინებული, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ სურათში რეალური განათების წყარო არ ჩანს. მისი სახის ნაკვთები მონუმენტური ფერწერისათვის ჩვეული ფორმებითაა დამუშავებული, მას მრგვალი,

თეთრი სახე, დაბალი შუბლი, მომცრო პირი, თხელი, გრძელი ცხვირი, მორკალული წარბები და რაც მთავარია ნუშისებრი ფართოდ გახედილი თვალები აქვს, რომლებიც მარცხენა მხარეს იმზირებიან. ნათელითაა გაბრწყინებული ტაბლა, რომელიც მას ხელთ უპყრია. მხატვარი მის სიწმინდეს უსვამს ხაზს თეთრი სამოსით, რომლითაც იგი არის შებურვლი და მასში შეიძლება ღვთისმშობელი ამოვიცნოთ, რომელმაც საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვით იხსნა ცოდვილი ხალხი. მსხვერპლი ქრისტეს მინიშნებას კი მისი ტაბლა უნდა წარმოადგენდეს.



შემდეგ ნამუშევარში წარმოდგენილია ადღვომის სუფრა, რომელიც ფიროსმანისათვის ჩვეული მონუმენტურობით არის დაწერილი და საიდუმლო სერობასაც კი მოგვაგონებს. სუფრა მინდორზეა გაშლილი. მასზე მხოლოდ ამ დღესასწაულისათვის მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი საკვებია წარმოდგენილი. სურათის ქვედა ცენტრში, ე.ი. სუფრის ცენტრში, გამოსახულია ჯვრის გამოსახულებიანი პასკა და ბოთლით ღვინო, ოდნავ წინ, მის აქეთ-იქით – წითელი კვერცხები, რაც ქმნის სამკუთხედს. პასკის აქეთ-იქით, სუფრის ნაპირებში აწყვია ღვინის სურები. სუფრას ამშვენებს ასევე პური, თევზი, ბოლოკი, დედალი და ა.შ. სუფრის მარჯვენა მხარეს



ხუთი მჯდომი შავ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მამაკაცია გამოსახული, რომელთაც ხელში ყანწები უჭირავთ. ამ მამაკაცთა ზომა სურათის ცენტრისაკენ მცირდება. მარცხენა ნაწილში გამოსახული პირველი მამაკაცი ზის და ხელში ყანწი უჭირავს, რომელსაც ოთხი ფეხზე მდგომი მამაკაცი მოყვება, რომელთაგან პირველი ორი ერთიმეორეზე ხელისხელგადახვეულია წარმოდგენილი, მესამეს დოლი უჭირავს, ე.ი. მუსიკოსია, მეოთხე მამაკაცსა და მის მომდევნო ქალს ხელში სუფრაზე დასადები საკვები უჭირავთ, ალბათ მასპინძლები არიან. მარცხენა მხარეს გამოსახულ პერსონაჟთა ზომაც ცენტრისკენ მცირდება, რაც ასევე სამკუთხედს ქმნის. როგორც ვნახეთ, კომპოზიცია სამკუთხედის პრინციპზეა აგებული და ორი სამკუთხედი იგება. პირველი არის შედარებით მცირე ზომის და მიღებულია საადღომო კვერცხებითა და პასკით, მეორე კი დიდი ზომისაა და შექმნილია სუფრითა და მის გარშემო მსხდომი მამაკაცებით, რომლის ცენტრსაც წარმოადგენს ჭადარა თმა-წვერიანი მამაკაცის საკმაოდ მცირე ზომის ფიგურა, რომელსაც თეთრი წინსაფარი აქვს შემოკრული, ხელებში კი ღვინის სურა და ჭიქა უკავია. ალბათ ისიც მასპინძელია.

სურათის უკანა ხედი წარმოადგენს პეიზაჟს ტრიალი მინდორითა და ნათელი ცით. ხეები მხოლოდ უკანა სიღრმეშია გამოსახული.

როგორც ვნახეთ, ტილო მონუმენტურია, რაც თუნდაც მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მოქეიფენი სუფრის მხოლოდ ერთ მხარეს სხედან, მაყურებლისკენ სახით. ამ სურათში ავტორი წარმოაჩენს ქართულ ტრადიციულ სუფრას თავისი სადღეგრძელოებით, მუსიკით, სუფრის გაშლის წესითა და მოქეიფეთა სიმშვიდით, მიუხედავად იმისა, რომ თიქმის ყველა პერსონაჟს ხელი აქვს აწეული სადღეგრძელოს სათქმელად, სურათის ერთიანი განწყობა მშვიდი და წონასწორია.

ზემოთ განხილული ნამუშევრებით სრულიად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ადღომის დღესასწაული თავისი რიტუალითა და თანმდევნი ელემენტებით, ეს დღესასწაული თავისი წყობით საკრალურია, წმინდაა, ჩაკეტილია დროსა და სივრცეში. იგი განზოგადებულია, გამოყოფილია ყოფითი, ყოველდღიური ცხოვრებისაგან, რაც მხატვარმა არაჩვეულებრივად გადმოგვცა მხოლოდ დღესასწაულისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულების ჩვენებით.



ფიროსმანის მიერ მრავალ ნამუშევარში წარმოდგენილია ქართული ტრადიციული სუფრა, რომელიც დღესასწაულის მსგავსად საკრალურია, რადგან ამ კომპოზიციებში ყოფით დეტალებს ვერ შევხვდებით, ფაქტიურად ნახვენებია ქართული სუფრის წყობა. ყველა ნამუშევარი ერთი პრინციპითაა აგებული: მოქეიფენი მაგიდის მხოლოდ ერთ მხარეს სხედან, მაყურებლისკენ სახით.

ფიროსმანის ნამუშევრების მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ ქართული სუფრა, რომლის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს პური, ღვინო, შემწვარი თუ მოხარშული დედალი, მწვადი, ღვინის



ჭურჭელი, როგორცაა ტიკტორა, სურა, ყანწი და ა.შ. ქართული სუფრის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილს სადღეგრძელო და მისი თანამდევი სიმღერა-მუსიკა შეადგენს და რაც ყველაზე მთავარია, ქართული ღვინო უშუალოდ არის დაკავშირებული ბუნებასთან. ფიროსმანის ნამუშევრებს რომ გადავხედოთ, სადაც ქართული ქეიფია აღწერილი, ფონად ყველგან პეიზაჟია წარმოდგენილი. ყველა სუფრაზე სიმშვიდე სუფევს, მოქეიფენი ერთიმეორეს ყურადღებით უსმენენ და ელოდებიან თავიანთ რიგს სადღეგრძელოს სათქმელად. თითქმის ყველა ნამუშევარში კარგად ჩანს, რომ სადღეგრძელოს მთქმელი ფეხზე უნდა ადგეს და ისე დაილოცოს.



ფიროსმანი თავის ერთ-ერთ ნამუშევარში ქართული სუფრის სხვადასხვა სახეობებსაც კი გვაძლევს, თუმცა ამ ნახატში საკრალური ქართული ქეიფი გაერთიანებულია ყოფით ცხოვრებასთან და მის ნაწილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ფიროსმანის ნამუშევრებით შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ქართული დღესასწაულისა თუ ტრადიციული სუფრის განვითარებას, რადგან საკრალური დღესასწაული დროთაგანმავლობაში დაიტვირთა ყოფითი ელემენტებით და ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა. ფიროსმანი თავის ნამუშევარშიც სწორედ ამას გვიჩვენებს. აქ ნახვენებია ქალაქური ტივზე ქეიფი, დუქანში, დასავლეთისათვის დამახასიათებელ ფაცხაში და ზოგადად საქართველოსთვის დამახასიათებელი ღია ცის ქვეშ ქეიფი. სუფრის ატრიბუტები აქაც იგივეა. თუმცა ქეიფის პარალელურად ვხედავთ ხეებზე დაბმულ დათვს,

თხას, ქუნაზე მიმავალ ადამიანებს, მხატვარს, რომელიც სურათს ხატავს (აქ ალბათ თავად ფიროსმანი უნდა ვიგულისხმოდ), ხიდზე მიმავალ ვირს, რომელსაც პატარა ბიჭი მისდევს.



განსხვავებული მდგომარეობაა ფიროსმანის ნამუშევარში სახელწოდებით “დღეობა ცხენისწყალზე”. მიუხედავად იმისა, რომ აქ მხატვარი გვაძლევს როგორც ყოფითი, ისე ყოველდღიური ცხოვრების ელემენტებს, ისინი ცალკე-ცალკე განიხილებიან და არა ერთად. საკრალური გამოყოფილი და დაპირისპირებულიც კია ყოფითთან. საკრალური დღესასწაული წარმოდგენილია ცენტრში, რომელიც სურათის მარჯვენა ქვედა კუთხიდან მარცხენა ზედა კუთხისაკენ მიემართება დიაგონალურად, რომლის დამაგვირგვინებელ ნაწილს ქრისტიანული ეკლესია წარმოადგენს. ტრადიციულ ქართულ სამოსში გამოწყობილი ადამიანები მწკრივში არიან ჩამდგარი და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეკლესიისაკენ მიემართებიან, თუმცა მათი ხედვა სურათის მარცხენა ქვედა კუთხისაკენაა მიმართული, სადაც გამოსახულია თევზაობა.

დავუბრუნდეთ ისევ ადრექრისტიანული ხელოვნების სიმბოლურ გამოსახულებებს, სადაც ქრისტე ძალიან ხშირად თევზის სიმბოლოთი გამოისახებოდა, ხოლო თევზის წყალში გამოსახვა ნათლისღებაზე მიანიშნებდა. აქედან გამომდინარე, ფიროსმანი თევზის წყალში გამოსახვით შეიძლება მიგვანიშნებს დიდებულ ქრისტიანულ დღესასწაულზე, ქრისტეს ნათლისღებაზე და ალბათ, ამიტომაც არის ეკლესიისაკენ მიმავალი ხალხის ხედვა თევზაობის კომპოზიციისაკენ მიმართული. მისი ნამუშევარი კი სწორედაც რომ ქრისტეს ნათლისღების დღესასწაულს უნდა აღწერდეს. ამ დიდებული დღესასწაულის საპირისპიროდ მხატვარი სურათის მარჯვენა

ზედა კუთხეში წარმოაჩენს ამ ხალხის ყოველდღიურ, ყოფით ცხოვრებას, როგორცაა საქონლის გადარეკვა, წყლის ზიდვა, ხენა-თესვა, ნადირობა და ა.შ.



სურათს კარგად თუ დავაკვირდებით მივხვდებით, რომ ყოფითი და საკრალური გამოყოფილია ერთიმეორისაგან და საკრალური თავის ფარგლებშია მოქცეული. მისი საზღვრები მოცემულია ხეების მწკრივით, რომელიც მარჯვნიდან და მარცხნიდან უვლის რიტუალის მონაწილე ადამიანებს. აქვე კარგად არის წარმოდგენილი საკრალური დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რომლის მიზანია ხალხის გაერთიანება.

ხალხის ერთიანობაა წარმოდგენილი ფიროსმანის შემდეგ ნამუშევარში, რომელზეც ასევე საკრალური დღესასწაულია წარმოდგენილი. აქ თავმოყრილია მთელი ერი და ცეკვა-სიმღერაში ატარებენ დროს. აქაც მთელი ერი ტრადიციულ ქართულ სამოსში არის გამოწყობილი, ყველაფერი ტრადიციულია – მუსიკალური ინსტრუმენტი, ცეკვა, არქიტექტურა და თვით რწმენაც კი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის საკმაოდ მცირე ნაწილი ჩანს და ისიც უკანა პლანზეა გამოსახული, მაყურებელს პირველ რიგში მაინც ის ხვდება თვალში.

ზემოთ აღწერილი ნამუშევრებით შევეცადე დამენახებინა ფიროსმანის ხალხურობა, თუმცა მხოლოდ ამ ნამუშევრებით როდი ამოიწურება. მისი შემოქმედება მთლიანადაა ხალხურობით, საკრალურობითა და ტრადიციებით გაჯერებული. ამ ნამუშევრების ხილვისას ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ის დღეობები და მისი შემადგენელი ელემენტები, რაც მათშია აღწერილი. თანმიმდევრულად რომ დალაგდეს ეს ნამუშევრები თვალწინ საქართველოს რუკა წარმოგვიდგება მთელი თავისი ღირსებებით.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბაკელია, ალავერდაშვილი, ღამბაშიძე: ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ღამბაშიძე, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბილისი, 1991წ.
- ზდანევიჩი: Кирилл Зданевич, Нико Пиросманашვილი, Тბ. 1965.
- ხოშტარია: Георгий Хоштария, Своеобразие построения картин Пиросманашვიли, Тбилиси.
- კუზნეცოვი: Э. Кузнецов, Пиросманашვილი, М. 1975.
- კუზნეცოვი: Э. Кузнецов, Пиросманашვილი и художественная культура XX века, Тბ. 1977.
- გორდეზიანი: ბენო გორდეზიანი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ქართული მწერლობა, 1926, №4-5.
- ქიქოძე: გერონტი ქიქოძე, ქართული მხატვრობა და ფიროსმანაშვილი, მნათობი, 1925, №3-2.

Natia Jaqeli

Georgian folk Festivals and traditional *supra* (feast) in Pirosmeni's art

Niko Pirosmeni (or Pirosmeni) is absolutely unique, extraordinary Georgian painter, whose creative work is inspired by Georgian spirit, folklore, festivals, and traditions. The author examines his creative work from that perspective and tries to explain his folk roots and traditionalism. For that purpose the author chooses some of his paintings and describing them concludes on the characteristic features of Georgian traditions and shows how Pirosmeni expressing himself depicts them. Analyzing his paintings the author concludes that Pirosmeni was deeply religious person. In Pirosmeni's creative works one of the recurring themes is traditional Georgian religious festival and feast (the so called *supra*). Christian traditions seem to be very important for him. Christian churches or some Christian symbols, ritual practices reconstructed by the analyses are thought to be rooted in early Christian customs.

ნარცისის მეტამორფოზა

საღვადღო დღის სიურეალისტური შედეგური “ნატრცისუსის მეტამორფოზა” ეფუძნება ოვიდიუსის მიერ გადმოცემულ ბერძნულ მითს ნარცისუსზე, რომლის მიხედვით, მშვენიერი ჭაბუკი უარყოფს ქალის სიყვარულს, ინუსება საკუთარი ანარეკლით და მასთან შერწყმას ცდილობს, რის შედეგადაც იღუპება (მეტ. III).

ნახატში ყურადღებას იქცევს ორი ცენტრალური ფიგურა, რომლებიც ერთი შეხედვით ორ სხვადასხვა გამოსახულებად აღიქმება, თუმცა საკმარისია კარგად დავაკვირდეთ და შევნიშნავთ, რომ ისინი ერთი და იმავე ობიექტს ასახავენ.

თუ კიდევ უფრო კარგად დავაკვირდებით აღმოვაჩინებთ, რომ თვითონ ნახატი განიცდის მეტამორფოზას – ერთი ფიგურა გარდაისახება მეორეში. ფიგურა რომელიც გაქვავებული ნაცრისფერი ხელისაგან შედგება, მოულოდნელად ნარცისუსის ფორმაში გარდაისახება.

აღნიშნული ორი ფიგურა შეიძლება ითქვას, რომ ერთი მეორის პორიზონტალურ ანარეკლს წარმოადგენს, იგივე სარკეს, ან შეიძლება გავიგოთ, როგორც ნარცისუსის მეორე “მე”, რომელიც მის ანარეკლთან ერთად ასევე *შემოქმედ ხელს* განასახიერებს. არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ნარცისის ვერტიკალური ანარეკლიც, რომელიც პორიზონტალურთან ერთად ჯვრისებურ ანარეკლს ქმნის.

ყურადღება უნდა მიექცეს ნარცისუსის იმ ფიგურას, რომელიც ამავე დროს გაქვავებული ხელის გამოსახულებად იქცევა. აღსანიშნავია მისი სტრუქტურული აგებულება, რისგან შედგება ის. ნარცისის თავი გარდაისახება კვერცხში, რომელიც დალის ნახატებში ასე ხშირად გვხვდება და, თავის მხრივ, წარმოადგენს ახალი სიცოცხლის სიმბოლოს. თუ ამ მიმართულებით ვიმსჯელებთ, ხელი შეიძლება ჩავთვალოთ ჭეშმარიტ შემოქმედად, რადგან *იგი* ქმნის ახალ სიცოცხლეს. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ხელზე აცოცებული ჭიანჭველები? დალისთან (და რეალურ ცხოვრებაშიც) ჭიანჭველა სიკვდილის სიმბოლოა რადგან მთელ სამყაროში, ჭიები და ჭიანჭველები სიკვდილთან და გვამთან ასოცირდებიან.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დალიმ *შემოქმედი (ხელი)* მოკლა, მაგრამ მოკლა იმისათვის, რომ დაბადებულიყო ახალი სიცოცხლე. გატეხილი კვერცხიდან ამოსული ყვაილი ახლად დაბადებული ნარცისია. მეორეს მხრივ, თუ ყურადღებას მივაქცევთ რომ ის ამოდის თვითონ ნარცისისუსის თავიდან, მისი განხილვა და შედარება, ასევე, შესაძლებელია ახლად

დაბადებულ აზრთან, იდეასთან, რომელიც თავად დალისთან უნდა იყოს გაიგივებული. იგი ხომ ახალი იდეების დამბადებელია?! მეორეს მხრივ, ყვაილს შევადარებდი აბრეშუმის ჭიას, რომელიც სარკოფაგს იქსოვს გარშემო და სიკვდილის გავლით განიცდის მეტამორფოზას, იგი პეპლად გარდაიქმნება და გამოფრინდება ნაჭუჭიდან. აღნიშნული შესაძლოა ჩაითვალოს აზრის განთავისუფლების მეტაფორად.

ნარცისის მეტამორფოზა ტილოზე გვხვდება ყველგან სხვადასხვა ფორმით. ერთ სახე სიმბოლოს მომდევნოზე გადაყავხარ.

დალი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს სიკვდილ-სიცოცხლის ერთიანობას, მათ ისეთსავე განუყოფლობას, როგორც დღე და ღამეა, კაცი და ქალია, იანი და ინია და სხვ.

ნახატში, ასევე, იკითხება ეროსისა და თანატოსის კონცეფცია მათი უერთიერთ კავშირი და შეუქცევადობა. იმისთვის რომ ახალი დაიბადოს, ძველი უნდა უნდა მოკვდეს.

დალის ეს ტილო შეიძლება ასევე გაიშიფროს დაუკმაყოფილებლობით და სურვილით მიწვდეს მიუწვდომელს. ხელი ისევე ასახავს სიკვდილის შეუქცევადობას და ყოფით რეალობას, როგორც სექსუალურ ინსტინქტს, რადგან მას შეუძლია გამოიღოს ნაყოფი, მასში ხომ ორივე საწყისია დედრული და მამრული. ამავე დროულად, იგი არის შემოქმედი, ყველაფრის საწყისი, სიცოცხლის დასაბამი, რომელიც ქმნის თავის მსგავს “ანარეკლს” – ნარცისს. დალი, როგორც თვითონ ნარცისი შემოქმედი სრულ იდენტიფიკაციას ახდენს საკუთარ ნამუშევართან და მის ფიგურებთან. სხვაგვარად ტილოსთვის დალის ავტობიოგრაფია შეგვეძლო დაგვერქვა. ნახატში კარგად ჩანს დალის პრობლემა “დიოსკურების კომპლექსი” – ტყუპების კომპლექსი. დალის ცხოვრების ბოლომდე თან სდევდა საკუთარი უფროსი გარდაცვლილი ძმის სახე, რომლის სახელსაც ის ატარებდა და რომელიც მინინგიტისაგან გარდაიცვალა. ეს ძიება, განმეორებადი თემის სახით, აისახა მის შემოქმედებაში, რიმელშიც იგი ეძებს თავის მეორე “მე“-ს.

ნახატში ასახულია ნარცისის სურვილი შეერწყას საკუთარ “მე“-ს, რომელიც სარკისებურ ანარეკლშია იდეალიზებული. ეს სურვილია შეერწყას იმ მეორე ნახევარს, რომელიც სრულყოფს მას, ეს სურვილი თავის მხრივ უკავშირდება ყოფიერების უზენაეს ასპექტს-სიყვარულს – ეროსს. ეროსი კი თანატოსთან ერთად ქმნის ახალ სიცოცხლეს. “მე მიყვარს უფრო მეტი, ვიდრე შენ ხარ, ის რაც მავსებს მე”.

ორი ძირითადი ფიგურის გამო, რომლებიც ჩვენს ყურადღებას ყველაზე მეტად იპყრობს ჩრდილში ექცევა კიდევ ერთი ძალიან საინტერესო არაფრონტალური ფიგურა. ეს არის პედესტალზე შემდგარი ანდროგინის გამოსახულება, რომელიც შახმატურ იატაკის

ფონზე დგას, შავ-თეთრი იატაკი თავის მხრივ ანდროგინის (ორი საწყისის ერთიანობის) – ინის და იანის, ეროსის და თანატოსის, ანიმა და ანიმუსის სახე-სიმბოლოა, რომელთანაც დაკავშირებულია სრულყოფის, სრულქმნილების იდეა ანუ იგივე სიყვარული და შემოქმედი.

ამ მხატვრული ნაწარმოების მთავარი მოტივი სწორედ დუალიზმი უნდა იყოს, ორი პოლუსის შერწყმა, გარდაქმნა და კათარზისი. დუალიზმის სახეებად შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ელემენტები: ეროსი და თანატოსი, სიკვდილი და სიცოცხლე, ანიმა და ანიმუსი, შავი და თეთრი, ინი და იანი და სხვ.

ჩემი აზრით, იყო შემოქმედი ნიშნავს შეგუძლოს გარდაქმნა-მეტამორფოზა. ყოველი ნახატის შექმნისას შემოქმედი კვდება და ახლიდან იბადება, იგი განიცდის ემპათიას და ნახატთან ერთად იბადება თავიდან, ეს კი კათარზისია სუბლიმაციის მეშვეობით.



სალვადორ დალის „ნარცისუსის მეტამორფოზა“
Salvador Dali. The Metamorphosis of Narcissus

The Metamorphosis of Narcissus

The article aims to analyze Salvador Dali's one of the masterpieces - *the metamorphosis of Narcissus* based on one of the versions of the Greek myth retold by Ovid, according to which the beautiful youth denies woman's love and enamored of his own reflection tries to couple with it and dies as a result (Met.III).

At first glance, the two central figures attract our attention, who are conceived as two separate images, though after a thorough observation one can discern in them one and the same subject. If we examine the drawing thoroughly we'll find out, that the drawing itself undergoes the endless process of metamorphosis during which one image transforms into another. The figure formed by the ossified grey hand unexpectedly transmutes into the image of Narcissus itself. The mentioned two images comprise the horizontal reflection of each other, the mirror-like reflection that can be conceived as the self of Narcissus, which might be conceived as the Creative Hand. One can notice as well that the vertical reflection of Narcissus together with its horizontal one comprises the cross-like reflection.

Special attention must be paid to the image of Narcissus, which is transformed into the image of the depicted ossified hand. The construction of the hand is also remarkable. The head of Narcissus is transformed into the egg; the letter often met in Dali's creative work, on its turn, represents the symbol of a new life. In that trend of thoughts the arm can be perceived as the true Creator himself, for that is He, who creates a new life. But what might ants crawling on the hand denote? Ants in real life as well as in Dali's works are associated with death and dead body.

On the basis of the above said, we can conclude that Dali killed the Creator (the Hand). But Dali killed Him in order to give Him a new life from the cracked egg. The flower sprouted on the egg is newly born Narcissus. On the second hand, if we reflect over it, we can notice that Narcissus grows from the head, like a thought, like an idea, which might be identified with Dali himself. Is he not himself giving birth to new ideas?! On the other hand, if we compare the flower with another symbol of metamorphosis - silk worm spinning around itself a coffin (which undergoes death, rises from the dead in the form of butterfly and flies away from it i.e. metamorphoses) it might be related to the metaphor of liberating, freeing the idea from the head.

The texture of the drawing is in constant transformation. Narcissus is constantly depicted everywhere on the canvas in different ways in different images. One image transforms into another in a sequence of symbols.

Dali extraordinarily expresses the unity of death and life, they are as indivisible as day and night, men and women, good and evil, etc. One can also detect

the concepts of Eros and Thanatos (i.e. death), their interrelationship, unity and irreversibility in this drawing. For the purpose of the birth of new life the old one must die.

This drawing of Dali might also be interpreted as dissatisfaction and the desire to access inaccessible. The hand also reflects irreversibility of death and the reality of everydayness which reveal the sexual instinct that can bear fruit (fructify); do not they imply both principles: male and female? At the same time it is the Creator, the principle of everything alive which creates the like, the “reflection” of Narcissus. Salvador Dali himself represents the Narcissus Creator, who in its entirety identifies himself with his creative work and his figures.

We successfully could call the canvas the autobiography of the artist. One can clearly discern Dali’s problem “the complex of Dioscuri” – the problem of twins. Till the end of his life Dali had been suffering and haunted by the image of his elder dead brother whose name he bore and who died of meningitis and whom he identified with his twin part which was reflected in his creative work as a recurring theme. He had been searching for him all his life.

The above mentioned drawing expresses Narcissus strive to couple with his own self idealized in the mirror – like reflection. He wishes to get united with his second half to become perfect. This drive, on the other hand, is associated with the supreme aspects of reality) – with love, consequently with – Eros.

Eros together with Thanatos creates a new life.“ I love more than you are, something that fills me up”.

While analyzing the two frontal figures one background figure had been overshadowed. This is the figure of androgen on the pedestal, which stands on the checkered floor. White and black checkered floor on its turn is the symbol of the unity of the two principles Inn and Yan, Eros and Thanatos, Anima and Animus, which produce perfectness, the idea of perfectness or love and the Creator.

To my mind, the leitmotif of this creative work might be the idea of dualism, the integration of the two poles, its metamorphosis and catharsis. The following elements: Eros and Thanatos, death and life, anima and animus, Inn and Yan can be regarded as dual images.

In my viewpoint, to be the Creator means to be able to transmute. Creating new drawings the Creator dies and comes to life again, he suffers empathy and together with the drawing is born again; and this is catharsis by means of sublimation.

„ქართლის ცხოვრების“ სამყარო

რეცენზია ლელა პატარიძის წიგნზე „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს. ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო, თბილისი, 2009

ახალგაზრდა ქართველი ისტორიკოსი ლელა პატარიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მე მას არ დაგმწეიდობებივარ: მათსავით მოვიქეცი, ვინც იცოდა, რომ ისევე შეხვდებოდა – ამჯერად ეს მისი სიკვდილის შემდეგ გამოსული წიგნის მეშვეობით მოხდა.

ლელა პატარიძე მათ რიგშია (აწ უკვე – სამუდამოდ), ვისაც განგებამ ახალი ქართული ისტორიოგრაფიის შექმნა დააკისრა. მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ ლელა სიცოცხლეს აპირებდა და საკუთარ გამარადებაზე არ ფიქრობდა.

* * *

„საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქვეყანა, ყოველთვის იპყრობდა დასავლელი მეცნიერების ყურადღებას. მათ თანამედროვე საქართველოც აინტერესებთ. თუმცა, ინფორმაცია, რომლის მოძიებაც შეიძლება შესაბამის ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ძალიან მწირია. თემები, რომელთა გარშემოც ჩვეულებრივ, თავს იყრის ისტორიული აღწერილობანი თუ განზოგადებანი, ზოგჯერ იმედგაცრუებას იწვევს, რადგან მათში თანამედროვე სოციალური მეცნიერების თეორიული მიღწევები არ არის გათვალისწინებული... ამის მიზეზი, უდავოდ, ქართველ მეცნიერთა დასავლელ კოლეგათაგან ხანგრძლივი იზოლაცია და ის ფაქტია, რომ მრავალი წლის განმავლობაში მათთვის არ არსებობდა მარქსისტული სოციალური მეცნიერების რომელიმე ალტერნატივა...“ [სმიტი 2004]. ლონდონის ეკონომიკური სკოლის ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის პროფესორ-ემერიტუსის – ენტონი. დ. სმიტის ამ მოსაზრებას ლელა პატარიძის წიგნის მკითხველი ბოლოთქმაში წაიკითხავს. ჩვენ კი სწორედ ეს ციტატა უნდა ვუწინამძღვროთ ნიჭიერი კოლეგის ნაშრომის განხილვის ცდას, რადგან ალტერნატივის წინაშე ვდგავართ: ქართული ისტორიული ნარატივი „ქართლის ცხოვრება“ ან თაროზე შემოსადებ ფასეულობად მივიჩნით, ან

სწორედ მისით ვცადოთ მსოფლიო ჰუმანიტარული მეცნიერების ახალ გამოწვევებზე რეაგირება.

ლელა პატარიძემ მეორე გზა აირჩია და კულტურისა და ადამიანთა თვითობის, თვითგანცდისა თუ თვითცნობიერების უმნიშვნელოვანეს და ამავე დროს, ურთულეს საკითხს შეეხო.

ეს გახლავთ დღეს აგრეირიგად მოღური „იდენტობის“ ცნება.

ადამიანს სჭირდება თავისი საქმიანობის გარკვეულად მოწესრიგება, რომელსაც შესაძლოა მხოლოდ სოციუმში მიაღწიოს. ამისათვის მან ნებაყოფლობით უნდა მიიღოს მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული ცნობიერების ელემენტები, გემოვნება, ჩვეულებანი, ნორმები, ფასეულობანი და ურთიერთობის სხვა საშუალებანი. ეს ადამიანს უნებლიეთ მიაკუთვნებს რომელიმე კონკრეტულ კულტურას. ამიტომ კულტურული იდენტობის არსი შესაბამისი კულტურული ნორმები და ქცევის ყაიდა, ღირებულებითი ორიენტაცია და ენა, მოცემულ კულტურაში მიღებული მახასიათებლების პოზიციონირება საკუთარი „მეს“ გაცნობიერება, ამავე საზოგადოების კულტურულ ხატ-სახეებთან თვითგაიგივებაა. კულტურული იდენტობა დიდად მოქმედებს ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე, რომლის ინტენსივობა აქტუალურს ხდის ეთნიკური იდენტობის პრობლემასაც. მყარი, დროსთან მორკინალი და ამ ჭიდილში ხშირად გამარჯვებული ეთნოსი ადამიანისთვის ის საიმედო თავშესაფარია, რომელიც მისთვის ესოდენ აუცილებელ უსაფრთხოებასა და მხარდაჭერას უზრუნველყოფს. გაუგებარ გარესამყაროში ერთიანობისა და წესრიგის აღმდგენი ეთნოსის ფასეულობანი ერთადერთ მაშველ რგოლად იქცევა ხოლმე. შედეგად კი ჩნდება შიდაჯგუფური ერთობისა და სოლიდარობის განცდა. ნებისმიერი კულტურის განვითარების კანონზომიერება ყოველთვის გახლდათ ზემოთ ნახსენებ ფასეულობათა თაობებისათვის გადაცემა და დაცვა, რადგან კაცობრიობა საჭიროებს თვითწარმოებასა და თვითრეგულაციას. უნდა ვახსენოთ სხვადასხვა ეთნოსოციალური შეხედულებებიც, რომელთაც მეტ-ნაკლებად იზიარებენ მოცემული ეთნიკური ჯგუფის წევრები. ამ წარმოდგენათა მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო ისტორიის, კულტურის, ტრადიციების, წარმომავლობისა და სახელმწიფოებრიობის გაცნობიერების შედეგია. ეთნოსოციალურ შეხედულებებში აისახება ნააზრევი, რწმენა, იდეები, რომლებიც გამოიხატება მითებით, ლეგენდებით, ისტორიული ნარატივებით, აზროვნებისა და ქცევის ყოველდღიური ფორმებით. ეთნოსოციალურ შეხედულებათაგან ცენტრალურია საკუთარი და სხვა ეთნიკური ჯგუფების ხატ-სახეები. ეთნიკური იდენტობა ამავე დროს ნიშნავს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კონტაქტისას მომარჯვებულ ურთიერთობათა და ქმედებათა სისტემას, რომლის წყალობითაც ადამიანი ითვისებს საკუთარი ჯგუფის შიგნითა და გარეთ ქცევის საშუალებებს. ეთნიკური იდენ-

ტობა გულისხმობს ასევე ეთნიკური ჯგუფის წევრობის მნიშვნელობის შეფასებას. ეს შესაძლებლობები ეყრდნობა ეთნიკურ ერთობასთან ემოციურ კავშირსა და მისადმი მორალურ ვალდებულებებს.

ადამიანი თავის მიერვე შექმნილი სომბოლოების წყალობით აღიქვამს სამყაროს სურათს. ამგვარადვე იქმნება „ისტორიული სინამდვილეც“. საინტერესოა იმ მარკერთა გამოვლენა, რომლებიც ამა თუ იმ კულტურას თავს იმად განაცდევინებს, რაც არის ან რადაც სურს ყოფნა. ძველ დროში ერებზე, ნაციებზე ლაპარაკი უადგილოა, თუმცა ვერსად გავექცევით ეთნო-კულტურულ მიჯაჭვულობას, რომელიც ერთობის ხანგრძლივ არსებობასა და საკუთარ თავთან იგივეობას უზრუნველყოფდა. ერთ-ერთი ასეთი „ეთნი“ ქართველთა კულტურულ-ისტორიული ერთობაც გახლდათ, რომლის ქცევასაც „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ლელა პატარიძე უთვალთვალეობდა.

* * *

ამთავითვე შევთანხმდეთ, რომ ისტორია „ვერსიათა მეცნიერებაა“ და ლელა პატარიძის „ვერსიებიც“ იმას ნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ახლებური წაკითხვა შესაძლებელია. კაცმა რომ თქვას, ისტორიულ წყაროთა სიმწირისა და ჰომოგენურობის გამო ესღაა შესაძლებელი.

ერთგან ფრანგი კრიტიკოსი მაიკლ რიფატერი წერს, სამწუხაროდ, ისტორიკოსები უპირატესობას ანიჭებენ ტექსტის პირვანდელ წაკითხვას, როგორც გარკვეულ სტანდარტს, ხოლო გვიანდელი ინტერპრეტაციები არასრულფასოვან წაკითხვად მიიჩნევაო [რიფატერი 1992].

ლელა პატარიძემ ამ საცთურსაც გაუძლო:

მას მიაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი, დაახლოებით VIII ს. ბოლოს, ისტორიოსოფოსის მიერაა დაწერილი. ანონიმმა ავტორმა საფუძვლად აიღო „მეფეთა ცხოვრება“ (ფარნავაზიდან არჩილამდე) და ქრისტიანობის კონტექსტში გაიაზრა ქართლისა და ქართველობის ადგილი ოიკუმენაში.

ყველა ისტორიული წყარო ატარებს იდეოლოგიის ტვიფარს. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისის ავტორმაც ის იდეოლოგიზებული მითი შექმნა, რომელიც ქართველთა ლეგიტიმურობის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ამ საკითხს ეძღვნება ლელა პატარიძის წიგნის პირველი თავი „სახელმწიფო იდეოლოგია და ლოიალობის ძირითადი ასპექტები წინაქრისტიანული ხანის ქართლის საზოგადოებაში“.

ქართლში ფარნავაზიანთა დინასტიის დამკვიდრებისთანავე შეინიშნება ოპოზიცია: „ჩვენ“ – „უცხო“ და წამოიჭრება კოლექტიური იდენტობის პრობლემა. ენტონი სმიტის ნააზრევზე დაყრდნობით, ლ.

პატარიძე შენიშნავს, რომ ქართულ „ეთნის“ გამოარჩევს საერთო ცნობიერება, საერთო კულტურის განსხვავებული ელემენტები. ჩვენს წინაშეა ერთიანი იდეოლოგიური კონცეფცია, რომელიც სამ ნიშანს ემყარება: ქართლოსიან-ფარნავაზიანთა მეფობა; მამათა სჯული (კერპთაყვანისმცემლობა); ქართული ენა. თავის მხრივ, ზემოთ ნახსენები დინასტიის წარმომადგენელმა მეფემ, აზონის საპირისპიროდ, ეთნიკური კულტურის მატარებელი არისტოკრატია უნდა შეინარჩუნოს. „კონცეფციის“ თანახმად, IV ს. მირიანიც იმიტომ „ახერხებს“ ქართლის ტახტის დაკავებას, რომ ქართული ენა შეიყვარა; კერპებს პატივი მიაგო და „შეამკო საფლავი ფარნავაზისი“. ლ. პატარიძის შენიშვნით, ტექსტის ავტორს ამით იმ მემკვიდრეობის გახაზვა სურს, რომელსაც სათავე ფარნავაზმა დაუდო: ქართული ენის „განვრცობა“ და ქართული მწიგნობრობის შექმნა; კერპის აღმართვა; მეფის დამარხვა „წინაშე არმაზისა კერპისა“.

მაგრამ საინტერესოა, საზოგადოების რა ნაწილი იზიარებს ამ იდეას?

ივანე ჯავახიშვილისა და ედიშერ ხოშტარია-ბროსეს თვალსაზრისთა რევიზიისა და წყაროს ხელახლა „წაკითხვის“ შედეგად, ლ. პატარიძე დაასკვნის, რომ სამეფო იდეოლოგიის სამიზნე იყვნენ „მკვიდრნი ქართლისანი“ – თემის თავისუფალი სრულუფლებიანი წევრები. სამეფო ხელისუფლება ცდილობდა, სწორედ ამ საზოგადოებაში დაემკვიდრებინა ერთიანი მონარქის იდეოლოგია და გაერთიანებული კულტურული იდენტობის ნიშნები.

რამდენად მიიღო ერთობამ ეს იდეა?

ცხადია, სამეფო იდეოლოგიის პოზიციიდან დაწერილი თხზულება ამას ვერ დაადასტურებდა. ამიტომ მკვლევარი ჩაუღრმავდა წყაროს, რომლის „შემდგენლები“ არიან სამეფო სახლის წევრი, სასულიერო წოდების წარმომადგენელი, ეთნიკურად არაქართველი არისტოკრატი და თვით განმანათლებელი.

ეს ტექსტია „წმიდა ნინოს ცხოვრება“.

მცხეთის მკვიდრობა აქ უკვე მოქალაქეობაა და მაღალი სოციალური სტატუსის ფლობაზე მიაწინებს, რაც მეფესაც შეეძლო მიენიჭებინა ერთგული სამსახურისთვის. წყაროზე დაყრდნობით, ლ. პატარიძე გვთავაზობს კიდევ ერთ დამაფიქრებელ დასკვნას – სამეფო იდეოლოგიის სამიზნე წარჩინებულთა ფენაა, რომელიც ჯერ თვითონ იღებს ქრისტიანობას, შემდეგ კი თავადვე ხელმძღვანელობს სახელმწიფო რელიგიის დამკვიდრების პროცესს საკუთარ საგანმგებლოებში. იქ, სადაც წარჩინებულები ისე ძლიერები არ არიან, სათემო კერპები დაანგრიონ და საერთო სახელმწიფო რელიგია დანერგონ, სამეფო ექსპედიციები ეწეობა. ყოველივე ეს მკვლევარს აფიქრებინებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შესავალი ნაწილი იდეოლოგიზებული ტექსტია, მირიანის ქართლის ტახტზე

ლეგიტიმაციისათვის უნდა იყოს შექმნილი და მირიანისა და მისი უახლოესი შთამომავლების ზეობის ხანით დათარიღდეს.

* * *

მეორე თავი მირიანის მეფობის იდეოლოგიური ასპექტის განხილვას ეძღვნება.

ბაგრატიონთა სამეფო ტახტზე ასვლამდე მეფობის კონცეპტზე საუბარი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. მაგრამ თუ „ქართლის ცხოვრებას“ დაუვსვამთ კითხვას (როგორც ლ. პატარიძე იქცევა), თუ რა იყო მეფობის საყრდენი იდეები პირველი ქრისტიანი მეფის ეპოქაში, შესაძლოა, პასუხიც მივიღოთ. „ანაღთა სკოლა“ და მარკ ბლოკი სწორედ ამ „დაკითხვისთვის“ გვამზადებდა.

„ქართლის ცხოვრების“ მირიანის ზეობისადმი მიძღვნილ ტექსტს თითქმის სრულ ფიქციად მიიჩნევდნენ. გიორგი მელიქიშვილის ეს პოზიცია XX ს. ქართველმა ისტორიკოსებმაც (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) გაიზიარეს.

ლ. პატარიძემ კვლევის ვექტორი შეცვალა:

მან ტექსტში მოქცეული იდეები და ტერმინები ავთენტიკურ წყაროზე დამყარებულად მიიჩნია; პოლიტიკური ისტორიის ამოკითხვას კი არ შეეცადა, არამედ, უწინარესად – იდეოლოგიური საფუძვლისა.

საინტერესო იყო, რატომ არ უფრთხოდა მისტორიე მირიანის სპარსული წარმომავლობის წარმოჩენას? განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, სულიერ სიქველევებს გასმოდა ხაზი და ამ გზით განდიდებულიყო პირველი ქრისტიანი მეფე?

ლ. პატარიძის დაკვირვებით, მირიანის სპარსეთის სასანიდური დინასტიის წარმომადგენლობა ქართული საისტორიო ტრადიციაა. მკვლევარმა თვალი გააღებინა საუკუნეებს და დაადგინა, რომ ხოსროიან მეფეთა ნათესაების ქართლის ტახტზე დასმას მხოლოდ არაბთა ბატონობისას დაესმის წერტილი.

სამეფო დინასტიისათვის ბუნებრივი მოვლენაა დიდებული და შორეული წინაპრის ყოლა, რაც იდეოლოგიურ-ისტორიულ საფუძველს ითხოვს. ასეთ დროს ისტორიული წინაპირობები თითქმის ყოველთვის იდეოლოგიის მოთხოვნებს ემსხვერპლება ხოლმე და სათანადოდ ტრანსფორმირდება.

მირიანის სპარსეთის სამეფო კართან ნათესაობის მოტივი, ლ. პატარიძის ვარაუდით, სწორედ სასანიდების სამეფო კარის იდეოლოგითაა ნაკარნახები. ქართლი III ს. II ნახევრიდან სპარსეთის მეფეთ-მეფეს ემორჩილება. ირანი თავის შორეულ საკრალურ წინაპრებს ეთაყვანება – აქემენიდებსა და ზოროასტრული წიგნთა-წიგნ „ავესტას“ ლეგენდარულ მეფე ვიშტასპას. შესაბამისად, მათი „მემკვიდრე“ უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ოლ-

ქის გამგებელიც. ამგვარად, იდეოლოგიურად გაფორმდა ფარნავაზიანთა შტოს წარმომადგენლის, სპარსი მირიანის ქართლის ტახტზე ყოფნის ლეგიტიმაცია. ეს იდეოლოგია შესაძლებელს ხდიდა ქართლის სამეფო ტახტის მირიანის შთამომავლებისთვის შენარჩუნებასაც. მსჯელობის ამგვარი იერარქია ლ. პატარიძეს თვით მირიანის მოპასუხედ აქცევს – „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ სულთმობრძავი მეფე თავს ფარნავაზიან მეფეთა შთამომავლად აცხადებს – მირიანი წინამავალ მეფეებს „მამებს“ უწოდებს და თავს რიგობით ნომერ 36-საც აკუთვნებს – მკვლევრის აზრით, ეს კულტურულ-სოციალური მემკვიდრეობის გახაზვის ცდაა. მეტიც, ეს გახლავთ მეფის ფიგურის რესაკრალიზაცია აწ უკვე ქრისტიანობის კონტექსტში.

ნაკლებ ერეტიკულს ხდის ქვემოთ დასკვნას მკვლევრის პოეტური რეფლექსია – თხოთის მთაზე ნადირობისას, ზუსტად შუადღისას, როცა მზე ყველაზე მეტად აქტიურია, მირიანს სწორედ მზე დაუბნელდა – მზე ფარნავაზისა, და გამოუჩნდა იესოს მზე – მირიანის მოქცევა და ქვეყნის ხელახალი საკრალიზება მეფობის კონცეპტის ჩამოყალიბებისა და იდეოლოგიური პოსტულატების ფორმირების გზით ხორციელდება. თუ, ერთი მხრივ, ეს სასანიდ მეფეთა ნათესაობის მტკიცებით ხერხდება, მეორე მხრივ, ადგილობრივ დინასტიასთან – ფარნავაზიანებთან – კულტურული მემკვიდრეობის აქტუალიზებითა და კულტურული დიალოგის გაბმით გამოიხატება.

* * *

მესამე თავში განხილულია მეფობის იდეა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“.

აქ ლ. პატარიძე მეფობის ლეგიტიმაციის განსხვავებულ მარკერებს ამჩნევს:

ვახტანგ გორგასლის მეფობის არქეტიპი ბიბლიური დავითის მეფობაა; ვახტანგის ხელმწიფობა ბიზანტიის იმპერატორის მიერაა ხელდასხმული. თუმცა, ვახტანგი, როგორც მირიანის შთამომავალი და სპარსთა სამეფო დინასტიის ნათესავი, სასანიდთა საიმპერიო იდეოლოგიის კრიტერიუმებსაც აკმაყოფილებს.

პირველი დებულების საბუთს ლ. პატარიძე იოლად აგნებს და პარალელს ძველ აღთქმასთან ავლებს: დავითი – გოლიათი; ვახტანგი – ოვსი გოლიათები: თარხანი და ბაყათარი.

ლ. პატარიძის აზრით, ამ ორთაბრძოლაში მონაწილეობით 15 წლის ვახტანგმა უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მეფობა ღვთისათვის სათნოა, ხოლო ერისათვის – სარგო. მეფეთა გამარჯვების ეპიზოდები ამკვიდრებენ აზრს, რომ მეფობა მათ ეკუთვნით, ვისზეც მომადლებულია ღვთის ძალა და შეწევნა.

მეფის ლეგიტიმაცია მირიანის შთამომავლობითაცაა შეპირობებული: ვახტანგი თავის მეფურ წარმომავლობას მირიანის მეშვეობით სპარსეთის სამეფო საგვარეულოს უკავშირებს, თავის არქექტიპად კი ნებროთი მიაჩნია. საკუთრივ ნებროთის არქექტიპი უნდა იყოს ლეგენდარული მეფე კავა უსანი.

მაგრამ ვახტანგის ეპოქაში ლეგიტიმაციის ასეთი „ზოროასტრული არგუმენტი“ შესაძლოა, თვით მეფის საწინააღმდეგოც კი შეიქმნას. „ნათესაობის“ კონცეპტი და თავად „ნათესავთა ხარისხი“ (ჩვენს შემთხვევაში, ერთი და მეორეც სპარსებთან დაკავშირებული) რადიკალურად შესაცვლელია, რადგან ბერძნები (ბიზანტია) თავად ღმერთის ნათესავები არიან – ძენი ღვთისანი. თანაც, ქრისტიანობისათვის უმნიშვნელოა ხორციელი ნათესაობა. შესაბამისად, თუ ვახტანგს ღვთივკურთხეული მეფობა სურს, უნდა იქმნას „მეგობარი კეისრისა“. ეს რესაკრალიზდა ხილვით, რომელშიც ვახტანგს გვირგვინი კეისარმა დაადგა. იოლი განსაჭვრეტია ამგვარი ტექსტის შექმნის იდეოლოგიური საზრისი: სპარსეთის სამეფოს ძლიერება ისტორიას ჩაბარდა. ბერძნებს გამარჯვებას ღმერთი ანიჭებს და ვახტანგმაც არჩევანი გააკეთა – ბიზანტია და ქრისტიანობა.

* * *

IV თავს „არჩილის ცხოვრების იდეოლოგია“ ჰქვია.

ლ. პატარიძის აზრით, ამ ტექსტში რამდენიმე სიმბოლური მოტივია, რომელთა მიღმაც VIII ს. მოღვაწე ნარატორის იდეოლოგიური ინტენციები განიჭვრეტება: განძის დაფლვა; ქრისტიანთა სასწაულებრივი გამარჯვება ურწმუნოებზე – აგარიანებზე; მეფობის დაბრუნება ბიზანტიიდან: ერისთავების დანათესავება მეფესთან და ამ გზით საერისთავოების ლეგიტიმაცია მემკვიდრეობის უფლებით – საკუთრივ, ერისთავთა დიდებული წარმომავლობა.

„არჩილის ცხოვრება“ გვიამბობს, რომ როდესაც ჰერაკლე კეისარი წავიდა აღმოსავლეთიდან, განძი მიწაში დაფლა, რათა წინასწარმეტყველებით დადგენილ დროს (არაბთა ბატონობის დასასრულს) ხელახლა ამოეღოთ. ამასთან ერთად, ბერძნებმა აღწერეს „ნათესავი თვისი და ქუეყანა“, რათა აღთქმულ დროს „მით გუჯრითა მოიძივნენ ნათესავნი მათნი და თვითოეულად განუყონ ქუეყანა და განძი“.

განძის დაფლვა უკავშირდებოდა ტერიტორიის ფლობას და წარჩინებულთა კანონიერ ძალაუფლებას: არაბთა წასვლის შემდეგ ყველაფერი უწინდელი სტატუსით უნდა აღდგენილიყო. ლ. პატარიძე სიმბოლურ მნიშვნელობას სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს სტეფანოს ერისმთავრის ქმედებას: როცა ის ჰერაკლესავით ირჯება, სიმბოლურად აცხადებს, რომ ქართლის ლეგიტიმური მეფობა დაფ-

ლულია, შენახულია, და თავის დროზე კანონიერ პატრონს დაუბრუნდება.

არჩილმა და მირმა ანაკოფიის ბრძოლაში ღვთის შეწევნით გაიმარჯვეს, რასაც „ქართლის ცხოვრების“ ამ ტექსტის ავტორი ხოსროიან (სპარს მეფეთა ნათესავ) ქართველ მეფეთა დამსახურებად წარმოაჩენს ქრისტიანთა (ბიზანტიელთა) წინაშე. ამ დამსახურების გამო არჩილმა და მირმა კეისრისაგან გვირგვინი მიიღეს, რაც მეფობის აღიარებასა და დადასტურებას ნიშნავს.

ნათელია, რომ ტექსტის ავტორი ხოსროიანთა სამეფო სახლის იდეოლოგიას გამოხატავს: მას სურს, არჩილის დამსახურება ბუნებრივი გაგრძელება იყოს მირიანისა და ვახტანგ გორგასლის ღვაწლისა. აღსანიშნავია, რომ თითქოს ზემოთ ნახსენებ გუჯრებში ყოფილა დადასტურებული მირისა და არჩილის მეფობა, რის საფუძველზეც არჩილი გვირგვინს იღებს.

ლ. პატარიძე საგანგებოდ განიხილავს ჰერაკლეს კეისრის წინასწარმეტყველებას. კვლევის ვექტორის შეცვლა მეცნიერს საშუალებას აძლევს, გადააფასოს ივანე ჯავახიშვილისა და გივი წულაიას შეხედულებები და „არჩილის ცხოვრება“ ამ წინასწარმეტყველებაში მოყვანილ ქრონოლოგიურ მიჯნათა განსხვავებული ანალიზის საფუძველზე VIII საუკუნისად მიიჩნიოს.

და ამ თავის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულება, რომელსაც ლ. პატარიძე გურამ აბრამიშვილისა და მარიამ ჩხარტიშვილის მსჯელობაზე დაყრდნობით ავითარებს: შედარებითმა ანალიზმა მკვლევარი დაარწმუნა, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ ერისთავთა იდეოლოგიის დამამკვიდრებელია „ქართლის ცხოვრება“ კი – მეფეთა. არაბებს კავკასიაში გადამწყვეტი გამარჯვებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ, ამდენად ადგილობრივ დასაყრდენს ლეგიტიმურ მეფეში ხედავენ; საპირისპიროა პრობიზანტიელ ერისმთავართა იდეოლოგია.

* * *

V თავში ავტორი იკვლევს ტერიტორიულ და კულტურულ იდენტობებს ქრისტიანობის კონტექსტში.

ლ. პატარიძე – ე. სმიტის, მ. ელიადეს, ს. რენფრიუს, რ. ლორენსის, ა. ლიდოვის ნააზრევზე დაყრდნობით – არკვევს ტერიტორიული იდენტობის არსს და დაასკვნის, რომ ქრისტიანობის კონტექსტში ქართლი პოლიტიკური სივრცეა „ქართლის ცხოვრებისთვის“ „მოქცევაი ქართლისაის“ ინტენციით კი საქმე გვაქვს საკრალურ ტოპოსთან. „ქართლის ცხოვრების თანახმად“ ტერიტორიული იდენტობა ისტორიულ და კულტურულ იდენტობასთან მჭიდრო კავშირში განიხილება. „მამათა ჩვენთა სჯული“ კოლექტიურ კულტურულ იდენტობას ნიშნავს, რომლის დაცვაც მეფეს ევალება.

ლ. პატარიძე შენიშნავს იმასაც, რომ როცა მეფე იძულებულია, ტერიტორიები გასცეს, თუ მათგან საკუთრივ ქართული მიწა-წყალი არ იგულისხმება, ტერიტორიათა ახალი მფლობლის გაქრისტიანება სავალდებულო არ არის, მაგრამ საკუთრივ ქართული მიწა-წყლის ფლობა უმაღლესე გაქრისტიანებას გულისხმობს;

თუ მომხდურს მშვიდობის სანაცვლოდ ხელდებულ ქვეყნებს უთმობს, ეს დიდ ტრაგედიად არ აღიქმება, მაგრამ „ქართლის სამეფო საზღვრის“ მიტაცება ღვთის რისხვად – კატასტროფადაა მიჩნეული.

* * *

ფინალური თავი „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისისა და იქ ჩამოყალიბებულ კავკასიელთა საერთო წარმოშობის ტერიტორიულ კონცეფციას ეხება. ამ სადავო საკითხს არა ერთი მკვლევარი შეხებია, მაგრამ დადასტურებით რაიმეს თქმა ჯერაც შეუძლებლად ითვლება. ს. რაპის, რ. გორდუზიანის, დ. მუსხელიშვილის მოსაზრებებებზე დაყრდნობით, ლ. პატარიძე რამდენადმე ახალ პოზიციას წარმოაჩენს.

* * *

დაბოლოს” ჩვენს წინაშეა ნამდვილი ისტორიკოსის – მოფიქრალი ინტელექტუალის – ნაშრომი. მეიმედება, რომ წიგნი ასეთსავე მკითხველს იპოვის.

ლიტერატურა:

სმიტი: ე.დ. სმიტი, ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია (თარგმ. ინგლ. მ. ჩხარტიშვილისა, ქართ. ტექსტის რედ. რ. ამირჯიბი-მაღენი), თბ., ქართ. ენის. საერთ. ცენტრი. 2004.

რიფატერი: М.Риффатерр. “Формальный анализ и история литературы” – НЛО, 1992, № 1. 1992.

ადამიანები და სიწმინდეები

რეცენზია ზურაბ კიკნაძის წიგნზე „ქართლი გაქრისტიანების
გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები“

ზურაბ კიკნაძის ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა კიდევ ერთხელ გაფიქრებინებს, რომ ცნებები: „მოვალეობა“ და „სიამოვნება“ სულაც არ არიან ერთმანეთისაგან ასე მკვეთრად დაშორებულნი. ამის დასტურად და, ზოგადად, *სახიამოვნო მოვალეობად* მიმაჩნია ორიოდ სიტყვის თქმა წიგნზე „ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები“.

* * *

რამდენიმე წელია, მაწვალებს ფიქრი, დავწერო სტატია ქართველ ებრაელობასთან ქართველთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, რომელიც კრთება ძველ ქართულ საისტორიო ტექსტებში.

ძველი ქართული მწერლობა, ფაქტობრივად, იმასვე ფიქრობს ძველ აღთქმასა და ებრაელებზე, რასაც, ზოგადად – ქრისტიანობა: ეს წინარე სამშობლო და საფუძველი, კაცობრიობის დასაბამია. ამ სჯულს აღიარებდა ქრისტე. ებრაელობა რჩეული ერი იყო, მაგრამ ღვთის აღთქმა დაარღვია და დაისაჯა. განსაკუთრებით დიდია მისი ცოდვა ქრისტეს წამებისა და მოკვდინების, ქრისტიანთა დევნის გამო. მაგრამ მისი ისტორიული და სულიერი გამოცდილება ქრისტიანობამ უნდა გამოიყენოს და სათანადო დასკვნებიც გააკეთოს.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ ებრაელ პერსონაჟთა დეაწლის კონცეპტად ქცევა, რომელიც უდავოდ იდეოლოგიის ტვიფარსაც ატარებს, მე ქართული ნარატივით დამკვიდრებული სწორედ ასეთი *დასკვნა* მგონია.

ჩემი აზრით, ძველი ქართული მწერლობა ცდილობს „დაიცვას“ ქართულ მიწაზე მოსახლე ებრაელობა, ჩამოაცილოს მათ ქრისტესმომადგენლობის იარლიყი, შეანანებინოს და გამოასყიდინოს ჩადენილი ცოდვა და მომავალ თაობებსაც ამცნოს ამის თაობაზე.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, „სამღვდელონი ტომნი ჰურიანი“ პასექის დღესასწაულზე ყოველ წელს მიდიოდნენ იერუსალიმში, როგორც ამას მოსეს სჯული ითხოვდა. როცა „ადაბორგნა ეშმაკმან ჰურიანი“ ანუ როცა მათ ქრისტეს დასჯა გადაწყვიტეს, პასექის დღესასწაული დგებოდა.

იერუსალიმიდან მცხეთაში მოუწერიათ, იესოდ წოდებულმა კაცმა განაქარვა მოსეს სჯული, უარყო ყველა ჩვენი წესი, რისთვისაც შური უნდა ვიძიოთო. ქართველ ებრაელ სჯულის მეცნიერთა

შორის გამოურჩევიათ მღვდელი ელიოზი და წარუგზავნიათ იერუსალიმს. „მოქცევაი ქართლისაი“ ელიოზთან ერთად ასახელებს ლონგინოზ კარსნელს, თალენავსა და მისაელს.

ვიდრე დაწყებულ ამბავს განვაგრძობდეთ, ისევ „მოქცევაის“ ტექსტს მივუბრუნდეთ:

მეფე მირიანს ბიზანტიის პირველმა ქრისტიანმა იმპერატორმა კონსტანტინემ ეპისკოპოსი იოანე გამოუგზავნა, რომელმაც უთხრა, რომ ქრისტეს კვართი კენჭისყრით ზემოდასახელებულ ქართველ ებრაელებს ერგოთ. მცხეთაშიაო, ასევე, ელია წინასწარმეტყველის ხალენი (მოსასხამი). ამავე წყაროს თანახმად, ებრაელი მღვდლის, აბიათარის ქალიშვილ სიდონიას მონათხრობით (ორივე წმ. ნინოს თანამედროვეა) ირკვევა, რომ მეფე ჰეროდეს მმართველობაში (დაახლოებით ჩვ. წ-მდე 73 – ჩვ.წ. 4) ქართლში მოსულა ამბავი იერუსალიმის სპარსთა მიერ დაპყრობის შესახებ. წერილი მიუღია ყველა ქართველ ებრაელს: მცხეთის მკვიდრთ, ბოდბელ ხუცესებს, კოდის-წყაროელ მწიგნობრებს, სობისკანანელ განმმარტებლებს, თორმეტი მეფე მოვიდა ჩვენი ქვეყნის დასაპყრობადო.

ცოტა ხნის შემდეგ იერუსალიმიდან უკვე დამამშვიდებელ ცნობას მოუღწევია: სპარსებს აბჯრის, იარაღისა და საგზლის ნაცვლად ოქრო, მური და გუნდრუკი მოუტანიათ. ისინი ეძებდნენ რომელიდაც ახალშობილს, დავითის ძეს. უნახავთ ერთი ღარიბი ჩვილი, ღარიბივე დედაკაცის ნაშობი, რომელიც ნაადრევად დაბადებულიყო. მისულან, თაყვანი უციათ, ძღვენი გადაუციათ და მშვიდობიანად გაბრუნებულან უკან. ჰეროდე იწერებოდა: არ დაფრთხეთ, ებრაელებო! ვეძებე და ვერსად მივაკვლიე ვერც ყრმას, ვერც დეამისს, მაგრამ ახლა მახვილით მოვსპობ ყოველ ორი წლის თუ მასზე უმცროს ჩვილს, რომ ისიც მათთან ერთად დაიღუპოსო.

ამის შემდეგ 30 წელი გასულა.

იერუსალიმიდან მღვდელმთავარ ანნას სიდონიას პაპისტვის, ოზიასთვის მოუწერია: ის ჩვილი მოიწიფა. იორდანეზე ზაქარიას ძესთან მივიდა ისრაელის ყველა ხალხი, რომელთა შორის სიდონიას წინაპარიც ყოფილა.

ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე წელს (ტყუილად როდი ფიგურირებს, 30 წელი გავიდაო) ისევ მოსულა ჰეროდეს, ამჯერად უკვე ჰეროდე ანტიპას, ბრძანება („ნინოს ცხოვრებაში“ ჰეროდე ნახსენები არ არის): კარგად გააცნობიერეთ მოსეს სიტყვები: თუ ვინმე სასიკვდილო ცოდვას ჩაიდენს და მოკლავენ, ძელზე ჩამოკიდებ მას, ღამით ძელზე არ უნდა დარჩეს, არამედ იმ დღესვე დამარხე, რადგან ღვთის მიერ არის დაწყველილი ძელზე ჩამოკიდებული. აქ ერთმა თავი ღვთის ძედ გამოაცხადა, თითქოს, თვითონაც ღმერთი იყოს. ყველა დაესწარით მის სიკვდილს, აღვასრულოთ ღვთისა და მოსეს აღთქმაო.

სიდონიას თქმით, ქართლიდან მამამისის დედის ძმა, ელიოზი წასულა. მისი დედა ელია მღვდლის საგვარეულოდან ყოფილა.

„ნინოს ცხოვრებაში“ ელიოზის დედას უთქვამს: ნუმცა შერთულ ხარ მათ თანა, რამეთუ იგი არს მოსწავებელი წინასწარმეტყველთაი და იგი არს წარმართთა ცხორებაი საუკუნოი. დაახლოებით ამავს ამბობს ელიოზის დედა „მოქცევაიშიც“: შენი გონება არ შეუერთდეს მათ გულისთქმას, რამეთუ იგი წინასწარმეტყველთა სიტყვაა და ბრძენთა იგავი: იღუმალება, რომელიც დაფარულია ებრაელთათვის, მაგრამ სინათლეა წარმართთათვის და მარადიული სიცოცხლე.

„ნინოს ცხოვრებაში“ ელიოზის და იესოს „კაცს მართალს“ უწოდებს, შეჰნატრის ელიოზს, რომ ის ღირსი გახდება მისი ხილვისა და სთხოვს, იესოს ხელშეხებული რამე წამოიღოს. იერუსალიმში ჩასული ელიოზი შორს დგას და გოლგოთაზე შეკრებილ ებრაელობას არ უერთდება. აქვეა ნათქვამი, რომ სახარებაში (იოანე 12:21) ნახსენები წარმართები, რომლებიც გოლგოთის მისტერიას ესწრებოდნენ და რომელთაც იესოს ხილვა უთხოვიათ ფილიპესთვის (ერთ-ერთი მოციქული გალილეის ბეთსაიდიდან, აღესრულა ფრიგიაში, ჯვარზე გააკრეს), მას კი ისინი ანდრიასთვის წარუდგენია, ქართველი ებრაელები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ სახარებაში წარმართთა ნაცვლად „ელინები“ წერია და ეს ეპიზოდის გოლგოთის მისტერიამდეა.

„მოქცევაის“ მიხედვით, მაშინ როცა ჯალათს სამსჯავლისათვის დაუკრავს, რომლითაც ქრისტე ჯვარზე იყო გაკრული, ელიოზის დედას მცხეთაში გაუგონია და ამოუკენესია: მშვიდობით, ებრაელთა მეფობავ, რამეთუ მოჰკალით მაცხოვარი და მსხნელი თქვენი და შემოქმედის მტრებად იქეცით. ვაი მე, რომ ამის გაგონებამდე არ მოვკვდი, და რომ ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენია, ეგებ მენახა წარმართთა სინათლე და ისრაელის დიდებო.

ელიოზის და კვართთან ერთად დაუმარხავთ.

აბიათარი იხსენებს, რომ მას ნინოს მცხეთაში მოსვლამდე მიეღო რომაელ, ეგვიპტელ და ბაბილონელ ებრაელ მღვდელმთავართა და მწიგნობართა წერილები, რომლებშიც სინანული იყო გამოთქმული მათი წინაპრების მიერ ქრისტეს მოკვლის გამო: ამისთვის ღმერთმა პირი იბრუნა ჩვენგან, ჩვენი სამეფო დააქცია, ტახარი დაგვინგრია, ჩვენი ღოცვა აღარ ესმის და შენდობას არ გვაძლევს. ალბათ, ის მართლაც ზეციდან იყო.

„ნინოს ცხოვრებაში“ აბიათარს მეფე მირიანი ეკითხება, რით დაგაჯილდოო. აბიათარი უპასუხებს: ჩვენმა მამებმა ქრისტეს სიკვდილით შემოქმედი განარისხეს, რომაელებმა დაგვიპყრეს და დაგვიმონეს. მე პავლე მოციქულის ეპისტოლენი წავიკითხე და მივხვდი, რომ ქრისტიანობამ ჩემი სჯული განაქარვა. მეც და ჩემს შვილსაც

ახალი სარწმუნოების მიღება გვსურსო. ის თითქოს ევსტათი ანტი-ოქელ პატრიარქს მოუნათლავს, მირიანს კი მიუცია დაბა ციხედ-დი. დანარჩენი ებრაელობა კი, რომელთაც რჯული არ შეუცვლია, გაბნეულა და წასულა.

დაახლოებით ამავე სურათს ვხედავთ „მოქცევაშიც“:

აბიათარს წმინდა ნინოსაგან გაუგია ქრისტესა და მისი სარ-წმუნოების შესახებ და ქალიშვილ სიდონიასთან ერთად მონათლუ-ლა. მცხეთელ ებრაელებს შური უძიებიათ: მოუჭრიათ ებრაელთა საკურთხეველზე მდგარი ხე და წასულან, ბარაბას ოჯახის გარდა, რომელთაგან 50 სული გაქრისტიანებულა. მეფე აქ ციხედიდს მათ მიუბოძებს.

აბიათარი „მოქცევაშიც“ უკავშირდება პავლე მოციქულს: იგი „მორე პავლედ“ იხსენიება. აბიათარსავე ურჩევია მირიანისთვის, ხე-ლი არ ეხლო ებრაელთა საკურთხევლისთვის, არამედ განეახლებინა იგი, რადგან იქ მარადი ღმერთის სახელი იდიდებოდა.

ამ კონტექსტში იქნებ „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთა-ნი“ და ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისიც“ გამოგვადგეს, რომლებში დაცული ცნობის თანახმად, სამეფო დარ-ბაზი თამარის ქმრის მოსაყვანად ტფილისის მკვიდრ დიდვაჭარს, ებ-რაელ ზორაბაბელს გზავნის. ამ საპატიო და საპასუხისმგებლო მი-სიისათვის ებრაელის შერჩევაც ამ ეთნოსისადმი ქართველთა განსა-კუთრებული დამოკიდებულებით ხომ არ აიხსნება?

ამგვარად, ჩვენი დებულება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ძველი ქართული მწერლობა იმდენად იმშობლიურებს ებრაელო-ბას, რომ მას წილს არ ადებინებს ქრისტეს მკვლელობაში, პირიქით, სწორედ მას უკავშირებს უდიდესი სიწმინდეების – ქრისტეს კვართი-სა და ელიას ხალენის საქართველოში ჩამოტანასა და შენახვას. შე-საბამისად, ამას უკავშირდება სვეტიცხოველის მისტერიაც.

შესაძლოა, მართალი იყოს მოსაზრება, რომ ეს უნივერსალუ-რი მეთოდით შექმნილი მითია; შესაძლოა, ვენდოთ იმ ინტერპრეტი-ციასაც, რომ ეთნიკური რჩეულობის ცენტრის გადანაცვლებასთან გვექონდეს საქმე (იხ. მ. ჩხარტიშვილი, ქართული ეთნიკ რელიგური მოქცევის ეპოქაში, თბ., 2009, გვ.135-146), მაგრამ აქაც ჩვენ ვერ ვამ-ჩნევთ რაიმე კონკურენციას ან ანტაგონიზმს, ჩვენს შემთხვევაში – ქართველებსა და ქართულ მიწაზე მოსახლე სხვა ერებს შორის. მე-ტიც: ისე ჩანს, რომ საკუთარი რჩეულობის მითს ქართველობა ქარ-თველ ებრაელთა დეაწლზე აფუძნებს. როგორც ჩანს, საკუთარი იდენტობის მარკერად მას *რჩეულ ერთან* სწორედ ასეთი კონტაქტი აძლევს ხელს: მარადიული ფასეულობაა წმინდა წერილი და ეგებ, მარად მოსახსენიებლად დარჩეს ქართველობის ხვედრი და ბედი ქრისტიანობის ისტორიაში! აი, ასე უნდა ფიქრობდეს ქართველი ნა-რატორი.

როგორც ნახეთ, სტატია ისევ ვერ დავწერე, მაგრამ გული კი ვიჯერე იმ *ადამიანებსა და სიწმინდეებზე* ფიქრით, რომელთაც ზურაბ კიკნაძემ წიგნი მიუძღვნა.

* * *

ჩვენს წინაშეა ცდა ჭეშმარიტებისა და სხვისი ინდივიდუალობის გაგებისა. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ინდივიდები ჩვენგან ჩვიდმეტი საუკუნით დაშორებულნი არიან, ცხოვრობენ თავიანთ ეპოქაში, თავიანთთვის ნიშანდობლივი მენტალობით, ენითა და ქმედებებით, სიტყვითა და საქმით, იოლად მივხვდებით ამ ცდის სირთულესა და წინააღმდეგობრიობას.

შესაძლოა, მორიდებულობა კარგ ტონად აღარ ჩავთვალოთ და ეს ცდა პრემოდერნული ხანის მოდერნულ ჰერმენევტიკადაც მივიხსნიოთ. ან კიდევ: ე.წ. „გამოწვლილვითი კითხვის“ (close reading) მშვენიერ მაგალითად. ან: მრავალმხრივი ინტერპრეტაციებით გაჯერებულ „მსუყე აღწერად“ (thick description). მკვლევარი უსმენს ისტორიული პროცესის უშუალო მონაწილეებს, რომლებიც ამავე დროს ტექსტის ავტორებიც არიან. ისინი აღწერენ იმას, რაც მათ თვალწინ და მეტიც – მათი მეშვეობით ხდება. ბუნებრივია, ქლიფორდ გორტონს ერთად აქ შესაძლოა მარკ ბლოკიც გაგვახსენდეს და, ზურაბ კიკნაძისა არ იყოს, ვცადოთ, სწორად მოვახერხოთ კითხვების დასმა ისტორიული პერსონაჟებისადმი, რათა ამგვარივე პასუხი მოვიძიოთ. ნაწარმოების ყოველი ახალი წაკითხვა ახალ პერცეფციასაც გულისხმობს. იცვლება ნაწარმოები. იცვლება მკითხველი. ხელახალი წაკითხვა, ახალი კითხვები და ახალი პასუხები გავლენას ახდენს მთელს ნარატივზე – რასაკვირველია, არც მის შინაარსს ცვლის და არც მის ფორმას, მაგრამ ცვლის აღქმის ყალიბს, წყობას, ფორმაციას... წარსულის მემკვიდრეობის თანადროული აღქმა, ამავე დროს, თანამედროვე კულტურის ადეპტობასაც გულისხმობს. კულტურა, ასეთი ბინარულობით, მხოლოდ იგებს. ამითაა ჩემთვის ეს წიგნი ნიშნული.

* * *

ქართლის ებრაული დიასპორის განხილვისას ზ. კიკნაძე ყურადღებას აპყრობს იმ ტიპობრივ მახასიათებელს, რომელიც თან სდევს ებრაელთა სხვა – არამშობლიურ ქვეყნებში სახლობას, მდგმურობასა თუ *მსხემობას*. აქ ისინი ინარჩუნებენ ეროვნულ და კულტურულ იდენტობას, კოლექტიურ მეხსიერებას, ხოლო ქართლში იმ წიადადაც კი წარმოგვიდგებიან, რომელსაც ახალი აღთქმის ეკლესია ემყარება. ქართლში მათი რელიგიური ცენტრი – სინაგოგა – ქართული „ბაგინი“ – მართლაც ის ბაგაა, რომელშიც იშვა ქრისტიანული ეკლესია. ქართლში ებრაელთა არქეტიპურ ტომ-

თავან ორი მათგანის – ბენიამინისა (აბიათარი და მისი მოდგმა) და ლევის (ელიოზის დედა) შთამომავლობა სახლობს. იქნებ ზედმეტიც არ გვეჩვენოს მკვლევრის მითითება, რომ ქართულ ტექსტში „მეორე პავლედ“ მოხსენიებული აბიათარი სახარებისეულ პავლეს არა მხოლოდ ქრისტიანობაზე მოქცევის მისტიკით, არამედ – ძირითადად ემსგავსება: პავლედ ბენიამინის ახალწერილი გახლდათ.

ებრაელთა კერპთაყვანისმცემლურ განდგომილებაზე საუბრისას სიღონია გერიზიმისა და გებალის მათათგან „გასცქერის“ ზადენსა და არმაზს; ან, შესაძლოა, იმ პერსპექტივასაც ჭერეტს, როცა წარმართული გორაკები, როგორც კერპთაყვანისმცემლობის სიმბოლოები, ისევე დაიმსხვრევა მის ახალ სამშობლოში, როგორც ეს ძველში მოხდა.

„მოქცევის“ ტექსტზე დაკვირვებისას მკვლევარი შენიშნავს, რომ სიტყვა „მკვიდრი“ მხოლოდ „მცხოვრებს“ არ ნიშნავს: მცხეთელი ებრაელები, განსხვავებით ქართლის სხვა ადგილებში მცხოვრებთაგან „მოქალაქის“ სტატუსს ფლობენ და პრივილეგირებულ მოსახლეთ განეკუთვნებიან. ერთიკაა: არც ბოდში, არც კოდისწყაროში, არც სხვა რომელიმე დაბაში ცხოვრება „მკვიდრობას“ არ მოითხოვდა და, ეს გასაგებიცაა: ეს ქალაქელთა – მოქალაქეთა ნიშანი გახლდათ.

სოლომონის ტაძართან იძულებითი დაცილებისა და ძველი ალთქმის სატაძრო ღვთისმსახურების შეუძლებლობის გამო მთელს მსოფლიოში გაფანტულ ებრაელობას კოენი (ქოჰენ) – მღვდლის ინსტიტუტი ხელში შემოადნა. მაგრამ IV საუკუნის ტექსტში ქართველ ებრაელობაზე საუბრისას სწორედ „მღვდელი“ გვხვდება. ზ. კიკნაძის დაკვირვებით, ეს უნდა იყოს არა რელიგიურ-კულტურული ცხოვრების წარმმართველი, არამედ – სინაგოგა-ბაგინის მთავარი ფიგურა. თუ აბიათარი „პირველი მღვდელი“ იყო, შესაძლოა, მცხეთაში სხვებიც იყვნენ, რომელთაგან აბიათარი პირველობდა. კიდევ ერთი ვარაუდი, რომელიც მკვლევარს „ბოდელ მღვდლებთან“ დაკავშირებით უჩნდება: შესაძლოა, ბოდში, ისევე, როგორც – ძველი ალთქმისეულ ქალაქ ნობში, მღვდელთა სასწავლებელი ფუნქციონებდა, რომლის აღზრდილები მთელ დიასპორას ემსახურებოდნენ. ოღონდ, მსჯელობის ამგვარი ლოგიკა, ალბათ, სხვა ადგილებშიც უნდა გულისხმობდეს სინაგოგა-ბაგინების არსებობას, სადაც მღვდლები რელიგიური ტექსტების შესწავლა-განმარტებით იქნებოდნენ დაკავებულნი. ამავე კონტექსტში შეიძლება „კოდისწყაროელ მწიგნობართა“ – რელიგიურ ტექსტთა გადამწერ-მასწავლებელთა და „სობისკანანელ თარგმანთა“ წვდომაც: ეს უკანასკნელნი, ალბათ, ივრითიდან ქართულად თარგმნიდნენ ძველ ალთქმას, თუ ქართველ ებრაელთა სალაპარაკო ენა ქართული იყო.

ზ. კიკნაძე ნათელს ჰყვანს რამდენიმე დეტალს: ბაგინი (ირანული „ბაგ“ ღმერთს ნიშნავს) სალოცავი სახელია; თუ მას „კრებულის“ „თემის“ კონოტაციასაც დავურთავთ, ბაგინს არა იმდენად შენობად, რამდენადაც ებრაელთა თემად გავიაზრებთ.

ბაგინი „სამარხვოი მათი“ იყო, – გვამცნობს აბიათარი. იქ აღუმართავს ნინოს ჯვარი. მღვდლისა და დიაკვნის მეშვეობით იქ ნათლავდნენ მთავართა შვილებს. ამის გამო ამ ადგილისათვის „მთავართა სანათლოი“ შეურქმევიათ.

ზურაბ კიკნაძეს მიაჩნია, რომ ეს ფრაგმენტი აძლევს მორიგი ინტერპრეტაციის საშუალებას: „ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა დასავალითსა, იყო კარსა მოგუეთისასა, მტკვარსა ზედა, და იყო მცირეი ბაგინი“... შემდეგ: „...იღვა იგი ველსა თვინიერ ნაშენებისა“... მკვლევრის აზრით, მცირე ბაგინი ქალაქგარეთ ყოფილა აღმართული. ამას უნდა ნიშნავდეს – იღვა იგი ველსა თვინიერ ნაშენებისა – ანუ შენობა განცალკევებით მდგარა... ის, სინაგოგასავით, თალმუდის თანახმად, ისე აგოთ, რომ მეზობლად მასზე მაღალი შენობა არ მდგარიყო.

საინტერესო მსჯელობაა. მაგრამ რა ვუყოთ ტექსტს, რომელიც ამბობს, რომ „სახლი ელიოზისი“, სადაც ბაგინის შენობა აღემართათ, იყო ქალაქსა შინა დასავალითსა“ და ა.შ.? მაშ, ბაგინი ქალაქგარეთ ყოფილა, როგორც ეს მკვლევარს ინტერპრეტაციისათვის სჭირდება, თუ ქალაქში („ქალაქსა შინა“)? ნათლობის საიდუმლოც ხომ „წიალთა ქალაქისათა“ სრულდებოდა? რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ველი ქალაქშივე „მტკვარსა ზედა“, სადაც სხვა შენობები, გარდა ბაგინისა, არ იღვა („თვინიერ ნაშენებისა“)?

ახლა დავუბრუნდეთ მკვლევრის მიგნებებს „სამარხვოსა“ და „სანათლოს“ თაობაზე: „სამარხვო“ I საუკუნის ქართლში, შესაძლოა, ყოფილიყო ადგილი, სადაც ხმარებიდან გასული გრაგნილები ან სარიტუალო ინვენტარი ინახებოდა, შემდეგ კი „ქრისტიანული ნათლის“ გადმოდგრამ (ჯვრის აღმართვამ) ის სანათლოდ – ბაპტისტერიუმად აქცია.

რასაკვირველია, სწორია მსჯელობა ბაგინზე მდგარი ხის (აქ მის სახელს, არა მგონია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდეს) მოჭრისა და მის ადგილზე ჯვრის აღმართვის საზრისის, როგორც იუდაური სალოცავის გაუქმებისა და მის ნაფუძარზე ქრისტეს სიმბოლოს დამკვიდრების თაობაზე. ვასპურაკნელი მთავრის, ასტირონის სიტყვებში ხის სახელი „კილამო“ აღარც იხსენიება. მთავარი აბიათარს მხოლოდ იმას ეუბნება, მშვენიერი ხე დაგიცია და ბაგინი დაგიმხიაო. აქ „ხეცა“ და „ბაგინიც“ იუდაიზმის მარკერებად აღიქმება. და შესაძლოა, ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებდეს მკვლევრის მორიგი დაკვირვება საკუთრივ ვასპურაკნელ მთავარზე, მის განსწავლულობაზე იუდაიზმში, ინფორმირებულობაზე ებრაელ-

თა ქართლში ყოფნის ქრონოლოგიის საკითხებში და სხვ; – ასტი-რონისა და აბიათარის დიალოგი ეგებ იმაზე მიუთითებდეს, რომ ადრე ვასპურაკნელი მთავარი იუდაიზმისკენ იყო მიდრეკილი, აბია-თარი თავის მომავალ მოძღვრად მიაჩნდა, მისგან უკვირდა ქრისტი-ანად მოქცევა, ეს მათთვის უნდა ყოფილიყო იუდაიზმი (ბაგინი) „ხე მშვენი“ და ა.შ. სანაცვლოდ კი ჩვენს წინაშე არიან ქრისტეს მოძღვარი აბიათარი და ქრისტიანული დისკურსის მატარებელი ას-ტირონი.

აღმაფრთოვანებელია მკვლევრის დაკვირვება სიდონიას სახეზე (და სახელზეც!): სიდონია არ არის მხოლოდ პერსონაჟი (რეალური თუ გამოგონილი), სიდონია შესაკრებელია ძველი და ახალი აღთქმი-სა (აქ შეიძლება გაგვახსენდეს აღთქმის, როგორც „კავშირის“, კო-ნოტაციაც), ძველი და ახალი ქამისა, ამდენადაც მას ხელეწიფება განსაჯოს თავისივე მოდგმის ხალხი, სინანული გაუჩნდეს მისი საქ-ციელისა და ხვედრის გამო – ერთი, რომ ვერ შეიცნეს ძე ღვთისა და მეორე, რომ არ ეღიროს მისი ნათლით შემოსვა – შეაფასოს ახალი დროის დადგომის საზრისი აწმყოშიც და მყოლობაშიც, გააც-ნობიეროს განმანათლებლის როლი და ფუნქცია... ეს კომპეტენცია იესოს სიტყვების ტრანსფორმირებულად გამეორებაშიც გამოისახება („იერუსალემ, იერუსალემ...“). საერთოდ, სიდონიას სახე – სხვა დედაკაცებთან ერთად – ახალი აღთქმის ტრადიცია უფროა, ვიდრე – ძველისა. მისი აქტივობა, ეზოტერიზმი და პროფეტიზმი სახარები-სეულ ქალთა სახეების კონტინუუმი. ზ. კინაძე სიდონიას სახელის განმარტებისას (ცალკე აღნიშვნის ღირსია მკვლევრის დამსახურება „მოქცევის“ პერსონაჟთა სახელების ტიპოლოგიისა და ეტიმოლოგი-ისა დადგენის საქმეში) აღნიშნავს, სიდონია „ციდონელ ქალს“ უნდა ნიშნავდესო. ეგებ ღირდეს დასამატებლად, რომ ზოგი მოსაზრებით, ფინიკიურ ქალაქს ციდონი ნადირობისა და მესათხველეობის ღმერ-თის – ციდის პატივისცემით ეწოდა. და თუ „ციდონი“ ფინიკიურად მართლაც „თევზს“ ნიშნავს, ქრისტოლოგიაში კი თევზის სიმბოლი-კაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტად ითვლება, ეს კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის სიდონიას არა მხოლოდ საქმეს, – სახელსაც.

ზ. კინაძის დაკვირვებით, მცხეთიდან ებრაელობის გადახვეწა, რომელიც აბიათარის გაქრისტიანებასა და მგზნებარე ქადაგებას მოჰყოლია, უნდა მიუთითებდეს ბაგინის – რელიგიური ცენტრის – ნგრევაზე ებრაელთა ცნობიერებაში. მკვლევრის აზრით, მცხეთიდან გაფანტული ებრაელობა უსაფრთხო ადგილს მოძებნიდა და იქ დამ-კვიდრდებოდა, სადაც ქრისტიანობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელ-მწიფო რელიგიის სტატუსი. ეგებ, მართლაც ამან განაპირობა ის-ტორიულად ებრაელობის კონცენტრაცია შიდა ქართლსა და დასავ-ლეთ საქართველოში?

რა თქმა უნდა, მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართლის მოქცევის მთავარ აქტორებს. ჩვენთვის საინტერესოა მსჯელობა „ახალ მეფე“ – მირიანზე.

ზურაბ კიკნაძის აზრით, თხოთის მთაზე „მზის დაბნელების“ ცნობილ ეპიზოდში ორმაგი მნიშვნელობის მოვლენასთან გვაქვს საქმე: მირიანს, როგორც წარმართული ქვეყნის მეფეს, ფიზიკური მზის დაბნელებით სულიერი ძალებიც დაეშრიტა. მირიანი მონადირეა და ეს ატრიბუტი ნიშანდობლივია არა ძველი, არამედ ახალი აღთქმის ქრონოტოპოსში მოქმედი პერსონაჟისათვის. და თუ სული მონადირეა, რომლის ნანადირევიც ქრისტეა, ქართული ნარატივი ქრისტეს ნათელს მონადირეებინებს მირიანს. საგულისხმოა ფარნავაზის კონტექსტის მოხმობაც: მან განძს მიაგნო და ამან აქცია მეფედ. მირიანიც „განძით“ ბრუნდება მთიდან, რომელიც მას ახალი უამის მეფედ გარდასახავს. ერთიკაა: მირიანმა მონადირა ქრისტე, მაგრამ არსებითად, თვით იქცა ქრისტეს ნანადირევად.

მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს მირიანის ტრანსფორმაციას თხოთის მთის ეპიზოდის შემდეგ – მრისხანე და ძალშემოსილი მეფიდან ის მორჩილ ქრისტიანად იქცევა: თითქოს თხოთის მთაზევე სტოვებს *კერპებსაც* და *სიკერპებსაც*.

დაბოლოს: მრავალთაგან ერთ-ერთი ახლებური თვალსაზრისის თაობაზე, რომელიც, ზოგადად, საკრალურსა და, კერძოდ, ცხოველ სვეტს ანუ სვეტიცხოველს ეხება.


ზურაბ კიკნაძის დაკვირვებით, ღმერთმა აირჩია „სვეტი“ არა მისი ბუნებრივი – ნაძვის – სახით, არამედ მაშინ, როცა ის „მოკვდა“, ოდენ საშენ მასალად გამოსაყენებელი შეიქნა. შემდეგ კი, ღვთის ძალის ჩარევით, მას მიენიჭა იმაზე მეტი ცხოველმყოფლობა, ვიდრე – სხვა „ცოცხალ“ ხეებს. აქ ღმერთმა თავის თავზე – *უხილავზე* – მიუთითა სვეტის – *ხილულის* მეშვეობით.

* * *

ზურაბ კიკნაძემ მორიგად სცადა, თანდროული მკვლევრის დეწისა და ინტელექტუალური გარჯის მაგალითი მოეცა: ეცხოვრა აწმყოში, ისე, ვით – წარსულში, და – პირიქითაც.

ჯონ ჰილი*

სახლი: ბატონილი და გამთელეზული ბულები



ჯონ ჰილი
John Hill

ჯონ ჰილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრია (MA), რომელსაც ხარისხები ფილოსოფიაში დუბლინისა და ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტებში მიენიჭა. მან ციურიხში, კ. გ. იუნგის ინსტიტუტი დაამთავრა, 1973 წლიდან იუნგის ანალიტიკური ფსიქოანალიტიკოსია, ციურიხის ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო სკოლაში სხვებს ანალიზში ამზადებს. მისი პუბლიკაციები შემდეგ საკითხებს ეხება: ასოციაციური ექსპერიმენტი, კულტური მითი, ჯეიმს ჯოისი და სახლის მნიშვნელობა, სიზმრები და ქრისტიანული მისტიციზმი.

ჩემი საკუთარი სახლი

სახლი ჩვენი ცხოვრების ამბავს, ისტორიას აყალიბებს და ქმნის. ჩემი, ბურუსით მოცული ამბავი, ირლანდიაში დაიწყო. მე მითხრეს, რომ ჩემი ცხოვრების პირველი თვეების მანძილზე იმდენი ვიტირე, რომ თიაქრის გამო საოპერაციო გავხდი. სახლიდან საშოში, საყრდენგამოცლილ გარემოში გადასვლა, მიჯაჭვულობის პოტენციას აზიანებს. მის აღდგენას შესაძლოა მთელი ცხოვრება დასჭირდეს. შესაძლოა ზოგიერთმა ღამის კოშმარმა ჩემში, ადრეულ ასაკში რომ მიმატოვეს, იმის ცოცხალი მოგონებები შემოინახა. როდესაც ოთხი წლის ვიყავი ტუბერკულოზი დამემართა. არ შემეძ-

* დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ჯონ ჰილს და გამომცემლობა Spring Journal Books, New Orleans, Louisiana, 2009, რომ მათ ნება დაგვართეს წინამდებარე სტატია გვეთარგმნა და ჩვენს ჟურნალში დაგვებეჭდა (სარედაქციო კოლეგია). ასევე მადლობა გვინდა მოვახსენოთ რეზო კორინთელს და თამარ ციციშვილს საგულისხმო პროფესიონალური რჩევებისათვის.

ლო რა სიარული, წარმოსახვითი სახლი შევქმენი. ეს სახლი იმ ორი წლის მანძილზე, რომელიც საავადმყოფოში გავატარე, წარმოსახვითი მშობლებით იყო დასახლებული. ჩემი წარმოსახვითი მშობლიური მხარე და მორწმუნე დეიდის რეგულარული მონახულება დამეხმარა მძიმე განსაცდელი გადამეტანა, რომლის გაცნობიერება ჩემს გონებას ნაკლებად შეეძლო.

მამა გარდაიცვალა, როდესაც თერთმეტის ვიყავი. მე მჯეროდა, რომ მამა ზეცაში იყო. სტრესის დროს ვლოცულობდი და მას დახმარებას ვთხოვდი. მოგვიანებით, როდესაც დეიდა, ბიძა ან ოჯახის ახლო მეგობარი მიდიოდა ამ ქვეყნიდან, ვგრძობდი, რომ რაღაც დაემატა ჩემს ცხოვრებას. დედა იმ ოჯახს მიეკუთვნებოდა, რომელიც წინაპართა ნაკვალევს ინარჩუნებდა. წიგნები,

ნახატები, მავზოლეუმი ამ ხანგრძლივი ისტორიის ამსახველი ნიშნები იყო. შესაძლოა ადამიანთა დაკარგვით გამოწვეულმა ადრეულმა განცდებმა, წარმომავლობის ხილულმა ნიშნებმა, და კათოლიკე მღვდლების მუდმივმა შეგონებამ იმ ქვეყნის, მიღმური სამყაროს არსებობის შესახებ, მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მე ერთი რგოლი ვარ თაობათა გრძელ ჯაჭვში. ადრეული ასაკიდან გავაცნობიერე, რომ სახლი, რომელიც ჩემი პირადი ცხოვრების ამბავს შეიცავდა, გაცილებით ვრცელ ტერიტორიაზე განფენილ ლანდშაფტში იყო შეჭრილი.

მთელი იმ წლების განმავლობაში, რომელსაც სიყმაწვილე ჰქვია, უმამო სახლში, სადაც ქალებით ვიყავი გარემოცული, ჩემი სახლი დედაჩემი, ჩემი და და მოსამსახურე იყო. დედას გართობა და მხიარულება უყვარდა. ხშირად მაძლევდა რჩევას, რომ ვყოფილიყავი სოციალური და ხალხთან ურთიერთობით მიმელო სიამოვნება, განსაკუთრებით წვეულებებზე და სპორტში. იმედი ჰქონდა რომ მე ბანკირი გამოვიდოდი ან ბრიტანეთის არმიას შევუერთდებოდი. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ჩემი არჩევანი მესწავლა ფილოსოფია. ერთ დღეს გადავწყვიტე მისთვის საზრისის მნიშვნელობა ამეხსნა. მან იცინა და თავის ამხანაგებს უთხრა, რომ ერთადერთი საზრისი, რომელიც მან იცოდა, ეს ნამცხვრების საზრისი იყო. მე ვიცოდი რომ დედას ვუყვარდი, მაგრამ მას არ შეეძლო გაეგო ვინ ვიყავი და განსაკუთრებით ის, თუ რის გაკეთებას ვცდილობდი. ჩვენი მოსამსახურე სხვანაირი იყო. ის მიწასთან ახლო მყოფი (woman of land) ქალი იყო. ოჯახში ჩემ დაბადებამდე მოვიდა და მთელი სიცოცხლე ჩვენს ოჯახს მიუძღვნა. ის საოცარი სითბოთი და საკვებით უზრუნველგვყოფდა, რაც დედაჩემს არ შეეძლო. მას ჩვენთან რაღაც უძველესი ირლანდიური მემკვიდრეობიდან მომდინარე ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა. შორეული წარსულის წეს-ჩვეულებების, ცრურწმენების, განსაცდელებისა და ოცნებების შესახებ გვიამბობდა და გვიქმნიდა სამყაროს, რომელშიც მცენარეები, ცხოველები და

ადამიანები თითქოსდა ურთიერთობათა უხილავ ბადეში იყვნენ ჩაქსოვილები. მოგვიანებით ამგვარი ურთიერთობა ჩემთვის გაგებულ იყო, როგორც მიწა დედასთან* არქექტიული კავშირი, კავშირი, რომელიც სულის ჭრილობებს კურნავს. პანსიონში სწავლისას გავაცნობიერე, რომ ნოსტალგია მტკივნეული და პირადული პრობლემაა. ამ ინსტიტუციის ვრცელ, უპიროვნო და უსახო საკლასო ოთახებში, სასადილოებსა და დორტუარებში** თავს დაკარგულად ვგრძნობდი. ყოველი სემესტრის დასაწყისში ჩემ სულს რამდენიმე კვირა სჭირდებოდა, რომ იმ გარემოს შეგუებოდა და ის მისთვის მეგობრული გამხდარიყო.

შვეიცარიაში ჩამოსვლის შემდეგ კარგი წლები მქონდა. სახლი გახდა ქორწინება, შვილები და პროფესია. მიუხედავად იმ სიღარიბისა, რომელიც ქორწინების პირველ ათ წელიწადს ახლდა თან, არა მგონია ოდესმე უფრო დაცულად მეგრძნო თავი, ოდესმე ისე განხორციელებულიყო გაზიარებული სახლის განცდა, როგორც ეს ჩემს მოყვარულ და ერთგულ მეუღლესთან მოხდა; მეტად მიმელო მონაწილეობა ცხოვრებასა და ორი არაჩვეულებრივი ბიჭის ჩამოყალიბებაში, როგორც ეს მაშინ მოხდა. ჩემი ოჯახური ცხოვრება მკაფიოდ დედისეული იყო, სოციალური კი მხოლოდ ცოლის ოჯახსა და ამხანაგების გარემოცვაზე ვრცელდებოდა. მოგვიანებით ჩვენ აინზიდელნში ლამაზ ხის სახლში ვცხოვრობდით. ეს არის პატარა ქალაქი მასიური ბაზილიკით, სადაც შავი მადონაა მოთავსებული. ეს ქალაქი თავისი მდებარეობით დიდებულ ალპურ ლანდშაფტშია შეჭრილი და თვალწარმტაცი ტბის მახლობლად მდებარეობს. მრავალი საათის განმავლობაში ვმუშაობდი ბაღში, რომ შედარებით დაბლობიანი შვეიცარია ფერადოვანი ბუჩქებითა და ყვავილებით მორთულ კლდოვან და კაჭარიან*** პეიზაჟად მექცია – პატარა ირლანდია!

დგებოდა ისეთი დროც, როდესაც ნოსტალგია მიპყრობდა და ჩემი მშობლიური მიწა და კულტურა მენატრებოდა. ყოველ წელიწადს ირლანდიას ვსტუმრობდი, რათა საკუთარი თავი იმაში დამერწმუნებია, რომ ჩემი სამშობლო კი არ გაქრებოდა, არამედ იარსებებდა, როგორც ჩემი იდენტობის, თვითშეგნების ნაწილი. სიზმრებ-

* ტექსტში მითითებულ ინგლისურ სიტყვას პირდაპირი მნიშვნელობით ქართული დედამიწა შეესატყვისება – ნ. დ.

** დორტუარი – მოსწავლეთა საერთო საწოლი ოთახი დახურულ სასწავლებლებში (ინსტიტუტებში, პანსიონებში).

*** კაჭარიანი არის უწყლო ადგილი, სადაც რიყის ქვის მსგავსი ქვებია – ნ. დ.

მა ირლანდიაზე, კელტურმა მითებმა და თანამედროვე ირლანდიურ-მა ლიტერატურამ კვლავ დამიბრუნა ამ წარმომავლობის, ჩემი ფესვების სიმდიდრე. მან ჩემი ახალი ცხოვრება გაამყარა. თითქოსდა, იმისათვის რომ ჩემში თავდაპირველი სამშობლოს ცხოველი მესხიერება შემენარჩუნებინა, კონკრეტული სენსორული ხატები კვლავ და კვლავ ბრუნდებოდნენ: ზღვის ხმა, ტორფის სუნი ანდა ირლანდიური ხალხური მუსიკის მელოდია. დღეს, როდესაც შვეიცარიაში არა ვარ, მე არა მარტო ალპორნის* მუსიკა მენატრება ან შვეიცარული პრალინების** გემო, არამედ ჩემი შექმნილი სამშობლოს თვალწარმტაცი სოფლები, დაბურული ტყეები და საოცარი მთები. მე უნდა ვხედავდე, მესმოდეს ან ყნოსვით შევიგრძნობდე ჩემს სამშობლოს მაშინაც კი, როდესაც არ ვარ იქ ფიზიკურად. ფრანგმა ფილოსოფოსმა მერლო-პონტიმ ერთხელ დაწერა: “სხეული არ არის საგანი საგანთა შორის, არამედ გზა, რომლითაც ჩვენ სამყაროს მივეკუთვნებით”.

ახლა, მას მერე რაც მოწიფულობის ხანის მრავალი განსაცდელი გამოვიარე, ჩემი ცხოვრების ბოლო მონაკვეთში შევდივარ. შინაგანად უფრო ფესვგადგმულად და საკუთარ სახლში ვგრძნობ თავს, ვიდრე მანამ. დასაწყისში ჩემი ცხოვრება ანგლო – ირლანდიური ტრადიციით შეთხზული იმედები, მოლოდინები იყო, რომლებიც შინაგან მთვლემარე მეს ვერ ეგუებოდნენ. ეს მოლოდინები და იმედები ბუნების უტყვე გზებს უკავშირდებოდნენ, ჩემი ბავშვობის მოსამსახურეს, რომელმაც ხორცი შეასხა მიწა დედის საიდუმლოს. მოგვიანებით ყოველივეს სხვადასხვა მე დაემატა, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ძლიერ პიროვნებასთან იდენტიფიკაციის გზით. მე შემძლია ჩემს მიერ აშენებული სახლი თავისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებით მივიღო. შევქმელი, ნაწილობრივ მაინც, ირლანდიის ლანდშაფტები სხვა მშობლიურ მიწებზე გადმომეტანა, განსაკუთრებით ჩემს მიერ შეთვისებულ სახლებში – შვეიცარია და ბერძნული კუნძული პატმოსი – რომლებშიც და სადაც ყოველ წელიწადს ვბრუნდები. ჩემი ირლანდიური სული კმაყოფილია ზღვით, უნაყოფო კლდეებით და ამ წმინდა კუნძულის პატარა სამლოცველოებით. ახლა მე ბევრი ახლობელი მყავს, ჩემი ყოფილი ცოლის ჩათვლით: შვილები, ძვირფასი ამხანაგები, თანამოაზრე კოლეგები. მე მათთან ერთად გავიზიარე ცხოვრების დრამა. მხოლოდ ამ ბოლო წლებში ვისწავლე თუ როგურ უნდა გამედრმავეებინა მეგობრო-

* ალპორნი ანუ ალპური რქა არის ბუკის მსგავსი გრძელი ფორმის ხალხური ინსტრუმენტი – ნ. დ.

** შაქარში ამოვლებული თხილი, რომელსაც შოკოლადის დასამზადებლად იყენებენ – ნ. დ.

ბა, რომ იგი საერთო, მნიშვნელობით ავსილი გამხდარიყო და შეზღუდული დედისეული გარემოს საზღვრებს გასცილებოდა.

სახლი ცნობიერების ფუნქციას იძენს, ხდება ურთიერთგაგების, კონსენსუსის აღმნიშვნელი ცნება და გზა, რომლის საშუალებითაც ყალიბდება ურთიერთობა სხვებთან და კოსმოსთან. იგი მშობლებთან ერთად დაიწყო და მოგვიანებით მას ჩემი საკუთარი ოჯახი, ბავშვები, პარტნიორობა, მისტიკა, ახლო პირადი და კოლექტიური მეგობრები დაემატა. ეს არის ხელოვნება, რომლის შექმნას მთელი ცხოვრება ჭირდება. მისი ისტორიის ერთი ნაწილი შეიცავს კავშირს, სიყვარულს სხვა მნიშვნელოვანი ადამიანების, სახლების, ბაღების, ცხოველების, ლანდშაფტების, ეკლესიების, იდეების, მუსიკისა და ხელოვნების ნაწარმოებების მიმართ. ეს შეიძლება გავიგოთ, როგორც კავშირი, მიჯაჭვულობა იმ მთავარ ურთიერთობებთან, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე იცვლებიან. ერთხელ თეოლოგმა იურგენ მოლტმანმა ის მძლავრი ტენდენციები აღწერა, რომლებიც ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს ქმნიან: ბავშვობისადმი ნდობა, ახალგაზრდობის წუხილები, ზრდასრულობის პასუხისმგებლობა და სიბრძნე ხანდაზმულობის ასაკში. ჩემზე ყოველთვის ახდენდა გავლენას ინდური შეხედულება, რომლის მიხედვით ქალი უქმროდ არასდროს არის, რაც ხატოვნადაა გადმოცემული განდხარვას ზებუნებრივი შეყვარებულების სახით, რომლებიც ბუნებასა და ცხოვრების საფეხურებს, პერიოდებს უკავშირდებიან.¹ შესაძლოა განდჰარვას ლეგენდა ვინმემ მამაკაცის ფსიქოლოგიას დაუკავშიროს. ვგონებ გული მეუბნება, რომ ოთხჯერ ვიქორწინე: დედასთან, ცოლთან, სულთან და სიკვდილთან. ამ ქორწინებებმა თავი სახლში მაგრძნობინეს. საბოლოო საფეხური კვლავ ფორმირების, მშენებლობის პროცესშია. იგი შუა ასაკიდან დაიწყო. ეს სულის სამუშაოა. შეჯამება, მიღება, მოწონება, აღიარება იმ ისტორიის, რომელსაც საკუთარი ცხოვრების ამბავი ჰქვია, რათა შეძლო საბოლოო გამოწვევას პირისპირ შეხვედვ. ვიმედოვნებ, რომ ის თავშესაფრები, რომლებიც ჩემთვის შევქმენი, შესასძლოა გარკვეული სახით სხვებისთვისაც გახდნენ თავშესაფრები. მე ვიმედოვნებ, რომ ეს თავშესაფრები ჩემთან ერთად იქნებიან, როდესაც მე პირისპირ დავდგები საბოლოო კითხვის წინაშე: გვაქვს კი ჩვენ ისეთი სახლი, რომელიც ჩვენ მოკლე მიწიერ ცხოვრებაზე სიცოცხლისუნარიანია? ჩვენ შორის უმრავლესობა ლეიბზე ამთავრებს სიცოცხლეს. ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი სივრცე დედამიწაზე. ჩემი წარმოსახვით ლეიბი შეიძლება ჯადოსნურ ხალიჩად იქცეს, რომელიც ჩემთვის უცნობ ტერიტორიაზე გადამიყვანს. შოპენჰაუერმა თავის მნიშვნელოვან შეხედულებაში ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ სივრცესთან დაკავშირებული ქსოვილი, რომელსაც ჩვენ სახლს ვუწოდებთ, ამგვარად განიხილა:

„ცხოვრება შეიძლება დაქარგულ ნაჭერს შევადაროთ, რომლის წაღმა მხარეს ადამიანი თავისი სიცოცხლის პირველ ნახევარში ხედავს, ხოლო მეორე ნახევარში უკუღმას. უკუღმა მხარე არ არის ისეთი ღამაზი, როგორც წაღმა, მაგრამ ის უფრო გვასწავლის და სამოდღვროა ჩვენთვის; იგი გვიჩვენებს თუ როგორ გამოიყურებიან ერთად დალაგებული ძაფები.“²

სახლი: არქექტიპული თემა

სახლი და უსახლკარობა მწერლების, პოეტების, მუსიკოსების და მხატვრების შემოქმედების მასაზრდოებელი თემა იყო. ეს თემა კერის მუდმივი შექმნისა და მასთან განშორების ნარატივის, თხრობის ილუსტრაციაა. სამოთხიდან ბიბლიური განდევნა, აღთქმული მიწის ძიება, ბაბილონის ტყვეობა და იერუსალიმზე გლოვა ნათელი მაგალითია სახლის პოვნით თუ დაკარგვით გამოწვეული სიხარულისა თუ წუხილის. ნოსტალგიით შეპყრობილი ოდისევსის მოგზაურობა, პოსეიდონის ქარებით სამშობლოდან განდევნილი, მალტის კლდეებზე პენელოპაზე მისი დარდი და მისი საბოლოო დაბრუნება სახლში კიდევ ერთი დიდებული ამბავია თუ როგორ ეძიებს კაცობრიობა საკუთარ სახლს. ეპიკური ზღაპრები ეკუთვნიან ისინი ერთ ადამიანს თუ მას თაობები წერდნენ, ნარატივი, თხრობაა გამძლეობის, ამტანობის შესახებ. წინასწარმეტყველის, მღვდლის თუ მეომრის ხილვას, რწმენას და სიმამაცეს არასდროს დაუკარგავთ ძვირფასი სახლის განცდა, რასაც დიდი წვლილი მიუძღვის ებრაელი და ბერძენი ერის ხასიათის ფორმირებაში, რაც მოგვიანებით ვირგილიუსის უსახლკარო ენეასის ამბავმა გააკეთა, რომელიც რომის დამაარსებლად მიიჩნევა. სახლის თემა ასევე მნიშვნელოვანია რელიგიაში, ფილოსოფიაში, ანთროპოლოგიაში, პოლიტიკაში, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში. დიდმა რელიგიურმა ლიდერებმა, ბუდამ, ქრისტემ, წმინდა ფრანცისკმა, დედა ტერეზამ და მათმა მიმდევრებმა, უსაფრთხო თავშესაფრის კომფორტი მიატოვეს და მთელი ცხოვრება უსახლკარო ძმებისა და დების ტანჯვების შემსუბუქებას მიუძღვნეს. ანთროპოლოგებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით წინ წამოწიეს რიტუალი და საკრალური სივრცე, რათა მრავალი აბორიგენი ხალხის კლანური კუთვნილება და კულტურული იდენტობა გაერკვიათ. ანთროპოლოგი ვიქტორ ტერნერი, აღწერდა რა რიტუალებს, რომლებსაც ხალხი ერთად აღნიშნავდა, „ძირითადად მათი ჯგუფური ცხოვრების წესით იყო მოხიბლული, ცხოვრებით, რომელიც გამოხატული იყო რიტუალის მონაწილეთა ცხოვრებისეული გამოცდილებით. სწორედ აქ დევს ყველა ის ურთიერთგამომრიცხავი თვისება, რაც ადამიანებს ანიჭებს შესაძლებლობას იცი-

ნონ და იტირონ ერთად“³ ფილოსოფოსები, განსაკუთრებით ეგზისტენციალური ფილოსოფიის მიმდევრები, კაცობრიობას აღწერენ, როგორც ეგზისტენციაში, არსებობაში გადაგდებულებს, გადასროლილებს. საკუთარი გარემოდან გაუცხოებამ ადამიანები მოტივირებული გახადა, რათა მათ ფუნდამენტური შეკითხვები დაესვათ: ვინ ვარ მე? საიდან მოვედი? საით მივდივარ? ერის ლიდერები წარმართავდნენ ომებს სამშობლოსა და პატრიოტიზმის სახელით, რაც ყოველთვის არ ნიშნავდა ერის დაცვას, არამედ მათ დაპყრობას და ხშირად დაუნდობლად ანადგურებდნენ იმათ სამშობლოს ვისაც იპყრობდნენ. პოლიტიკოსები და სოციოლოგები გადატრიალებებისა და მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის პრობლემების წინაშე პირისპირ იდგნენ. დღეს მრავალი მილიონი ადამიანია უსახლკარო და ახალ სახლს ეძებს. კვლევებმა გვიჩვენეს, რომ სახლის ძიების პროცესი ახალ კულტურულ ლანჩაფტში მტკივნეული და კომპლექსური პროცესია, რასაც შესაძლოა თაობები დასჭირდეს.

შვეიცარიის გატეხილი გულები

როდესაც სახლზე დავიწვე წერა, რაღაც მოხდა. ამ რაღაცამ გონებაში საინტერესო სახით მასაზრობელი გარემოს ძალა შემოიტანა. მე გამახსენდა მოხუცი ქალი, რომელიც ალპების ძირში პატარა სახლში ცხოვრობდა. იგი აიძულეს სახლი დაეტოვებინა, რადგან ეს სახლი არ აკმაყოფილებდა ცეცხლთან დაკავშირებული უსაფრთხოების შვეიცარულ ნორმებს. ქალის იდენტობა შუასაუკუნეების ადამიანის მსგავსად მიჯაჭვული იყო საკუთარ სახლთან, მიწასთან და ცხვრის ფარასთან, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომუშავე მაღალჩინოსნებმა იგი ფსიქიატრიულში ჩასვეს. ექთნები მას, პირველად თავის სიცოცხლეში, ბანდნენ და აცმევდნენ. მას გული გაუტყდა. უცხო გარემოს გამო, რომელთანაც ვერ აიგივებდა საკუთარ თავს, საბრალოდ, ფესვებს მოწყვეტილი, მიუსაფრად გამოიყურებოდა. ძალით გამოსახლებით გამოწვეულმა შოკმა გამოუსწორებლად დააზიანა მისი გული. როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ მოვინახულე, მხლოდ ერთი რამის თქმა შეძლო „წამიყვანე სახლში“. მე დავინახე, რომ მასში ცხოვრებასთან განშორება უკვე დაწყებული იყო. ორ თვეში იგი გარდაიცვალა.

ერთი რამ მახსენდება ნოსტალგიის XVIII და XIX საუკუნეების ევროპული აღწერილობებიდან. გატეხილ გულებზე მრავალი დოკუმენტი არსებობს, რომლებიც, როგორც ამბავი ისე იკითხება, განსაკუთრებით შვეიცარიელ მამაკაცებზე, რომელთაგან მრავალმა ალპური სამშობლო დატოვა და რომლებიც ვერასდროს შეძლებდნენ მზარდ ოჯახებს დახმარებოდნენ. ისინი უცხო ქვეყნების ჯარ-

ში დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურობდნენ. მოკლე აღწერილობა, რომელიც XIX საუკუნის ლექსიკონიდან არის ამოღებული, ნოსტალგიის შედეგებს აგვიწერს:

„ეს არის დარდის ფორმა, გამოწვეული მშობლიური მიწიდან მოცილების შედეგად და მაღალი მგრძობელობის ადამიანებში შეიძლება ნამდვილი დაავადება გამოიწვიოს. იგი ღრმა მელანქოლიაში გამოიხატება. ასეთ ავადმყოფებს უჭირთ სუნთქვა, ოხრავენ, ძლიერ ფერმკრთალნი არიან; არ აქვთ მშვიდი, ნორმალური გულისცემა და დაკარგული აქვთ მდა. ძილი ან არ აქვთ ან სიზმრებში წარსულის სურათებს ხედავენ. ზოგჯერ ამგვარი მდგომარეობა უცარი სიკვდილით მთავრდება. ამ დაავადების მკურნალობის საუკეთესო საშუალება სახლში დაბრუნებაა.“⁴

იოჰან შოიხცერი, რომელიც 1705 წერდა, ფიქრობდა, რომ ნოსტალგია შვეიცარიელების განსაკუთრებული დაავადება იყო. ცნობილ ყოველკვირეულ ჟურნალში ის წერდა:

„რატომ ხდება, რომ შვეიცარიელები, რომლებიც ასე თავისუფლები, ძლიერი და მამაცი ხალხია ისეთი ავადმყოფობის ტყვეობაში ხვდებიან, რომელსაც ძნელად თუ შეხვდებით ფრანგებს, იტალიელებს ან სხვა ხალხებს შორის, რომელთა სხეულები ფაქიზია და შესაბამისად მეტად არის ნოსტალგიისადმი მიდრეკილი?“⁵

შოიხცერი ისეთი დარწმუნებით ცდილობდა ამ პრობლემის გადაჭრას, თითქოს სურდა შვეიცარიელი ერის რეპუტაცია გადაერჩინა. მისი რწმენით ნოსტალგიის გამომწვევი მიზეზი დაბლობის ჰაერი იყო, რომელსაც, ალპების გაიშვიათებულ და თხელ ჰაერს მიხვეული შვეიცარიელები ვერ უძლებდნენ. ერთხელაც, როდესაც მათ აიძულებდნენ დაბლობში ჩამოსულიყვნენ, მძიმე და სქელი ჰაერი მათი სისხლის მიმოქცევაზე გავლენას ახდენდა, რის შედეგადაც მთელი სისტემა ქვეითდებოდა. ისინი აჩქარებული გულისცემით, უძილობით, მწუხარებით და სამშობლოს მონატრებით იტანჯებოდნენ. იმ შვეიცარიელებს, რომლებიც დაბლობში ცხოვრობდნენ და ამ დაავადებით იტანჯებოდნენ, შოიხცერმა წამალი შესთავაზა. მის მიხედვით ასეთი ხალხი უნდა გაემხნეებინათ, რომ მათ სახლში დაბრუნება შეძლებოდათ ან თუ ეს შეუძლებელი იყო, მაშინ ისინი მაღალ მთაზე ან კოშკზე უნდა ასულიყვნენ. თუ ამ მეთოდით ნოსტალგია არ გნიკურნებოდა, ექიმს პაციენტისთვის გვარჯილა უნდა შეეთავაზებინა, მედიკამენტი, რომელიც შეკუმშულ ჰაერს შეიცავდა და რომელიც სქელ ჰაერს არტერიებში შეიყვანდა და თუ ეს შეუძლებელი იყო, თოფის წამლის მცირე დოზა ეხმარათ!⁶ არ მგონია, რომ თოფის წამალი კარგი სამკურნალო საშუალება ყოფილიყო ავადმყოფისთვის.

XIX საუკუნეში ნოსტალგიის სამედიცინო განმარტება ფსიქოლოგიურმა შეცვალა. ჯონ ებელი, სილეზიელი ექიმი, რომელიც შვეიცარიაში დამკვიდრდა, დარწმუნდა, რომ ალპების მკვიდრი ევროპაში ყველაზე მხიარული და თავისუფალი ხალხი იყო. მისი აზრით, ნოსტალგია უბრალო, არაინტელექტუალ ადამიანში, რომლისთვისაც გრძნობები კმაყოფილების ძირითადი წყაროა, უფრო იჩენდა თავს. ასეთი ადამიანების სულები უფრო გულთხელი ნაკარნახევი გრძნობებით კმაყოფილდებოდნენ, ვიდრე ინტელექტის განვითარებით. ალპების ალალი, გულუბრყვილო, მაგრამ ბედნიერი მკვიდრი ფაქტობრივად განწირულები იყვნენ ამ დაავადებისთვის, როდესაც მათ იმ სამყაროს აცილებდნენ, რომელიც უყვარდათ – ოჯახი, თხები, ძროხები და დიდებულები ლამაზი მთები, რომლებიც მათ გარს ერტყათ. ეს გასაკვირი არცაა, ამბობდა ებელი. როგორც კი ბარაკებში აღმოჩნდნენ და მკაცრი, დისციპლინის მოყვარე უფროსობის ხელმძღვანელობის ქვეშ იძულებით ჯარისკაცებად უნდა ემსახურათ, ისინი ნოსტალგიამ შეიპყრო. უცნობ სამყაროში და ისეთი ადამიანებით გარემოცულები, რომლებიც მათ არც თანადგომას და არც სიყვარულს უზიარებდნენ, თავს მარტოდ, დაბნეულად და დაკარგულად გრძნობდნენ. ისინი საკუთარ თავში იკეტებოდნენ, აპათიურები და მოწყენილები ხდებოდნენ. მათი გულები მხოლოდ წარსულის წარმოსახვითი ხატებით ცხოვრებას იწყებდა და სახლის სევდა ყოველმხომცველი ხდებოდა. ებელს მოყავს ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ უმკლავდებოდნენ შვეიცარიელები ნოსტალგიას:

რამდენიმე წლის წინ პარიზში ენტლაიბუხიდან მამაკაცები ჩამოიყვანეს. მათ დიდ შვეიცარიულ

ერბო – კარაქის საწარმოში (Sennerei) ყოველდღიური პროდუქტი უნდა ეწარმოებინათ.

ისინი მანამ იყვნენ კმაყოფილები, სანამ ძროხებთან და რძის პროდუქტებთან მუშაობდნენ. მაგრამ, როგორც კი რძის პროდუქტების წარმოება შეწყდა, ისინი ნოსტალგიამ შეაწუხა.⁷

შვეიცარიულ კურაიენს (Kureihen), ხალხურ სიმღერას, რომელიც პირველად ნახსენები იყო 17 საუკუნეში, მუსიკალურ ფოლკლორში გამორჩეული ისტორია აქვს. წყაროები გვაწვდიან ცნობას, რომ ამ სიმღერას ყველაზე ძლიერი მამაკაცის ატირება შეუძლია, შეუძლია მას იარაღი დაავადებინოს, დაატოვებინოს ბრძოლის ველი და მოკლას კიდევაც. ჰოპერი გვაცნობებდა, რომ დაქირავებულ ჯარისკაცებს სასტიკად ეკრძალებოდათ ესტვინათ ან ფლეიტაზე დაეკრათ კურაიენი რადგან იგი „დეღირიუმ მელანქოლიკუმს“ აღვიძებდა. ებელი ამტკიცებდა, რომ ამ მუსიკის ზეგავლენა ნაკლებად მომდინარეობდა მელოდიიდან. მას უნარი ჰქონდა ძროხებისა და თხების მწყემსვასთან დაკავშირებული მოგონებები და ფანტაზიები

გაელვობინა, რაც ბავშვობიდან იცოდნენ დაქირავებულმა ჯარისკაცებმა.

„მუსიკა მეხის დარტყმასავით აღწევს ალპელი მამაკაცების სულებში და წარმოშობს მთების, მინდვრების, საქონლის ჯოგების, ოჯახის და ამხანაგების ხატებს“⁸

ეპელი აგრძელებს სათქმელს და აღნიშნავს, რომ კურაიენს ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ძროხებზე შეეძლო ზემოქმედება.

„როდესაც ძროხები იმ ქვეყანას სცილდებიან, სადაც დაიბადნენ და იგებენ ამ სიმღერას, მათ გონებაში წარსულის ყველა ხატი უეცრად ცოცხლდება. მათ სამშობლოს მონატრების მღელვარება იპყრობთ, მაღლა პრიხავენ კულებს, მიწაზე ფეხების რტყმევას იწყებენ, ჯეგავენ ღობეებს და გიჟდებიან. ამიტომაც იკრძალებოდა წმინდა გალის (Gall) ქალაქის ახლოს, სამშობლოდან მოცილებულ აპენცელერ ძროხებთან კურაიენის სიმღერა ან სტვენა“⁹*

19 საუკუნეში ამ სიმღერის პოპულარობა საზღვრებს გასცდა. კურაიენი ოპერაში ცნობილი გახდა, როგორც „სახლი, ტკბილი სახლი“, რომელიც ლონდონში 1826 წელს შესრულდა. მრავალმა მუსიკოსმა, ისევე როგორც ბეთხოვენმა, ვაგნერმა, გამოიყენა ეს სიმღერა თავის ნაწარმოებებში.

სახლი: ნარატიული რეალობა

ამგვარად, ჩვენ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: ვართ თუ არა ოდესმე მაინც საღმრთო სახლში? რა ხდება, როდესაც ჩვენ სხვებს და საკუთარ თავს ვცილდებით? რამდენია ისეთი ვინც ეძებს ადამიანს, ადგილს ან რაიმეს რასაც შეუძლია უთხრას: შენ ჩემი ხარ და მე შენი? ჩვენ მოუსვენარი არსებები ვართ, რომლებიც იმ სამყაროში გადაგვაგდეს, რომელსაც შეუძლია გაგვიმთელოს ან სულაც გაგვიტეხოს გული. ზოგიერთი ოქროს დასაწყისის გამოცდილებას იძენს იმით, რომ დაცულ სახლშია გაზრდილი, რომელიც მოყვარული მშობლების ქმნილებაა. სხვათათვის კი ადრეულ ასაკშივე ყოველი-

* წმ. გალი (550 – 530 ან 560) ირლანდიელი ბერი და განდევნილი იყო. იგი შვეიცარიაში ქრისტიანობის პირველ მქადაგებლად ითვლება. მისი სახელი მარტიროლოგიაში IX საუკუნიდან მოიხსენიება. წმ. გალის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელობის ბენედიქტელთა მონასტერი აიგო, რომლის გარშემო დაარსდა ქალაქი. ეს ქალაქი წმინდანის სახელს ატარებს და მისი განდევნილობის ადგილსაც მოიცავს. წმ. გალის სახელობის სააბატო ბიბლიოთეკა, რომელმაც 1805 წლამდე იარსება, ერთ-ერთი გამორჩეულია ევროპაში. ამ ბიბლიოთეკაში გრიგოლის საგალობლების ადრეული და მნიშვნელოვანი ხელნაწერებია დაცული – ნ. დ.

ვე, რაც მათ გარს ახვევია უკაცრიელი ქვეყანაა. აღიარების მაჩვენებელი მზერის თუ ნიშნის გარეშე მათი დაცარიელებული გული და გონება მდუმარების სამყაროში იკარგება. ცხოვრება გადარჩენის საკითხი ხდება და ზოგჯერ ისე გადაიქცევა სხვისი ცხოვრებით ცხოვრებად, რომ ამის შესახებ არც კი იცი. ჩვენ სახლის ინტიმურობა გვჭირდება, განსაკუთრებით სიცოცხლის დასაწყისში. ინტიმი ასაზრდოებს გულს და შემდგომ კი ნდობას ადამიანური ურთიერთობების მიმართ. ინტიმურ ურთიერთობებს თან სდევს პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვინც უფრო სუსტ პოზიციაშია. ინტიმურობა შეიძლება მაცდუნებელი, შეცდომაში შემყვანიც იყოს. როდესაც ნდობა ერთხელ შეურაცხყოფილია, გული ტყდება და სამყარო მოკვეთილი, ცალკე მდგომი ხდება. წარმოიდგინეთ რა ხდება ავსტრიელი ჯოზეფ ფრიცის ცოლის და ბავშვების გონებაში, რომელიც ოჯახურ ინტიმში მაშინ ცხოვრობდა სახლის ზედა სართულზე, როდესაც მისი შვილები იმავე სახლის სარდაფში 24 წელი იყვნენ დატყვევებულები. ინტიმური ურთიერთობა ადებს გულს. ერთხელ შეურაცხყოფას სხვადასხვა სახის split_ი ანუ გახლეჩვა შეიძლება მოჰყვეს, რომელსაც როგორც წესი, ინტიმური ურთიერთობის დამყარების ყველა მცდელობა შეუძლია მოსპოს.

სახლის ინტიმურობის შესახებ მრავალი ნარატივი, მონათხრობი ამბავი არსებობს. ზოგი სახლის არასდროს ქონის შემადრწუნებელ ამბავს გვიამბობს; სხვები ფიქრობენ, რომ მათ არ აქვთ უნარი ოდესმე ჰქონდეთ სახლი. ზოგიც იმ გამოცდილებაზე ისაუბრებს, რომელმაც მათ ძველი სახლის დატოვების გამო ტრამვა მიაყენა. სხვები გაუსაძლის ტკივილს გამოხატავენ იმის გამო, რომ არ შეუძლიათ ახალს შეეთვისონ. ნარატივები უშუალოდ სახლზე არ მოგვითხრობენ. ფრანგი ფილოსოფოსი გასტონ ბაშლიარი აღწერს სივრცეს, რომელიც შემოქმედებითი წარმოსახვით, იმაგინაციით შეიძლება მოიცვა, როგორც აბსტრაქტული და იმ სივრცისაგან განსხვავებული, რომელშიც ცხოვრობენ, რომელიც სახლის საზრისის მატარებელია და რომელიც ინტიმურობისა და დაცულობის წყაროა.¹⁰ როგორც პოეტური ხატი და სიმბოლო, რომელიც ცნობიერ აზრს უსწრებს წინ, გადადის იმ სახლების მოგონებების მიღმა, რომლებშიდაც ვცხოვრობდით. იმ წუთებში, როდესაც მოგონებები და ხატები ერთიანდება და წარსული აწმყოს მსჭვალავს, სახლი ინსაიტის სივრცის ინტიმურ ფასეულობებს მრავალვარიანტულ სიმბოლოდ აქცევს. „ჩვენი სახლი მსოფლიოს ჩვენეული კუთხეა. როგორც ყოველთვის ამბობდნენ, ის ჩვენი პირველი სამყაროა, ნამდვილი კოსმოსი ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით“.¹¹

სახლი შეიძლება კონკრეტული ლანდშაფტი იყოს – ინტიმური ხსნოვნა მთის, ზღვის, უდაბნოსი ან სოფლის. მომდევნო ტექსტი ახალგაზრდა ქალის სახლში დაბრუნების ამბავს მოგვითხრობს –

მოგზაურობას არქეტიპული სიმბოლოებითა და მითებით შეფერილ ლანდშაფტში; მოგზაურობის შესახებ, რომელმაც გულის ლანდშაფტში მიიყვანა, სადაც თვითონ და სხვები ძნელად განირჩეოდნენ. ის კვლავ დაუკავშირდა საკუთარ საწყისებს, ცოცხალი სამყარო კი მას პასუხობდა.

„მე ახლახან წავედი სახლში და პირველად ვიგრძენი ამის მნიშვნელობა. არ მეგონა თუ ოდესმე უკან დაბრუნება მომიხდებოდა, მაგრამ როგორც კი ასე მოვიქეცი და ჩემი ბავშვობის ლანდშაფტი დავინახე, ვიგრძენი, რომ არასოდეს არ მინდა აქედან წასვლა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მე მანქანით სოფლის ღია და გადაშლილ მხარეში მივდიოდი. გზა ამერიკულმა ლოსმა გადამიღობა. ის იღვა და არ უნდოდა განძრეულიყო. ცოტა ხნის შემდეგ თავში მომივიდა აზრი, რომ ეს შესაძლოა მიწის დედის მისაღმება ყოფილიყო. როდესაც მე ჩვენს სახლში მივედი, მთაზე, ჩემ საყვარელ ადგილას ავედი. იქიდან მოლივლივე პრერიები, ბიზონები და ინდიელთა ვიგვამები შემეძლო დამენახა. ეს იყო ჩემი ლანდშაფტი და არა ევროპის ხშირი მწვანე ტყეები და მინდვრები. მე დაგვჯექი და მესმოდა როგორ მიფრინავდნენ გარეული იხვები. აქ სამუდამოდ შემეძლო დარჩენა. როდესაც ევროპაში ვიყავი, ჩემში რაღაც შეიცვალა. შესაძლოა ეს ანალიზის გამოც მოხდა. მე დედამიწას დავეუკავშირდი და ახლა მაქვს უნარი ვიგრძნო ის, რასაც სახლში ყოფნის განცდა ჰქვია – რაღაც ის, რისი გაკეთებაც მანამ არ შემეძლო“.*

ზოგისთვის სახლი ნიშნავს იყოს სხეულში; ნიშნავს შინაგან განცდას, პლანეტა დედამიწას, სივრცეს, რომელიც უნდა შეიქმნას. სხვა ნარატივები სახლის შესახებ ნიშნავს იყო მოძრაობაში. სახლი გადასახლების ადგილის, მომლოცველობის ან მომთაბარის მნიშვნელობას იძენს. ასევე სულიერი განწყობილების, რომელიც კარგად შეიძლება გამოიხატოს ადგილობრივი ამერიკელის სიტყვებით: დედამიწაზე ყველგან შემოიძლია დავდგა ჩემი ვიგვამი, ვინაიდან ჩემი სული და დედამიწა ერთნი ვართ. სახლი რა თქმა უნდა შეიძლება პიროვნებაც იყოს. ზოგისთვის სახლი მშობლებთან მიბმულობის, კავშირის გახსენების და საყვარელი ადამიანების გამო ცოცხლდება. ისინი თავს სახლში გრძნობენ ოჯახის, თემის, კლანის ან ერის ინტიმურ გარემოში. არის ნარატივები, სადაც სახლი არც ადგილია და არც ადამიანი, არამედ რაიმეს გამოთქმის ფორმა. სახლი მშვენიერი მუსიკის ნაწყვეტი ხდება, მხატვრის რაღაც სურათი, რომელიცა ხატი, მითი, ზღაპარი, ჩახუტება ან ღრმა ემოციური კონ-

* ტექსტში ნახმარია “earth mother”, რაც თარგმანში უფრო ზუსტად “მიწის დედას”, “ადგილის დედას” ნიშნავს – ნ. ღ.

ტაქტი. კაბარეს ცნობილმა მსახიობმა, ჯორჯ კრეისლერმა, ერთხელ განაცხადა, რომ მას შეუძლია იცხოვროს სახლის გარეშე. სახლი კრეისლერისთვის გერმანული ენა, მუსიკა და მეგობრებია.¹² ზოგმა შეიძლება თქვას, რომ სახლი ამქვეყნად არ არის. სახლი მაკავშირებელია წინაპრებთან ან მათთან ვინც ერთხელ გვიყვარდა და ვინც ჩვენზე ადრე წავიდა იმქვეყნად. სახლი ზეცაა, სახლი ღმერთია.

ამ თემის გაგრძობა უსასრულოდ შეიძლება. მას ბიოლოგიური ფესვები აქვს, როგორც ეს აღმოჩნდა ცხოველებში, რომლებიც ინსტინქტურად საზღვრავენ ტერიტორიას. აგრესიის შიშის გამო, როდესაც ისინი მტაცებლის პირისპირ არიან, ცხოველებს შეუძლიათ საკუთარი ბუნავის, სოროს დასაცავად იმოქმედონ. ეს ინსტინქტია. მისი ადამიანებში ამოტივტივება შესაძლოა მიჯაჭვულობისა და გარკვეულ ჯგუფში გაწევრიანების ინსტინქტი იყოს, რომელიც მოგვიანებით სახლისადმი ჩვენ გრძნობებს იმით განსაზღვრავს, თუ რა გზით ვუკავშირდებით ადამიანებს, ადგილებს და საგნებს. მათი ერთობა ჩვენი ისტორიის თვითშეგნებას და მისი უწყვეტობის განცდას აყალიბებს. იმის და მიუხედავად თუ ვინ სად პოულობს სახლს, მუყაოს ყუთში თუ სასახლეში, სახლის ყოველ ნარატივში, ყოველ ამბავში სახლის შესახებ, უნიკალური ადამიანური ბედია გაცხადებული. მოგონებები სახლის შესახებ ცხოვრების ამბის დასაწყისია. ზოგიერთი ამბავი ნაკლებ დრამატულია, ვიდრე სხვები. ცოტანი თუ იღებენ სახლს, როგორც საჩუქარს, წყალობას. ამ ცოტას მოძიება მოსახლეობის იმ სულ უფრო და უფრო მცირე სეგმენტში ხდება შესაძლებელი, რომლებიც არასდროს გადაადგილებულან და შეუცვლიათ საცხოვრებელი. ეს ისინი არიან, ვისაც არასოდეს გაუხედავთ უკვე შეჩვეული სახლის მიღმა. მათი გულები მას შემდეგ დაიხურა, რაც ერთხელ უკვე დაუპირისპირდნენ იმას, რასაც უცხოდ მიიჩნევენ. რჩებიან დაუცველები და არ შეუძლიათ იმ სიმდიდრის შესწავლა, რომელიც მათი ტრადიციული გარემოს მიღმაა. სახლი ხდება იდეოლოგია, მენტალური კონსტრუქცია, რათა ყველაფერი ისე შეინახო, როგორც ყოველთვის იყო. გამყარებული, გაქვავებული სტრუქტურები გულს ხელს უშლიან იყოს ღია ახალი გამოცდილებების მიმართ. უცხოს, მიგრანტს ან ლტოლვილს საფრთხედ აღიქვამენ და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ასეთი ადამიანები, ჩვეულებრივ სხვა რასის ან კულტურის, არ შეუშვან საკუთარ სახლში, საკუთარ გულში.

მიუხედავად ამისა, არიან მკვიდრად მცხოვრები ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დაცულობის, მყუდროების წყარო იყვნენ და კუთვნილების საზრისი გამოასხივონ. ისინი ძველ ხეებს გვანან, რომლებიც არასდროს ამოუძირკვავთ. მათი ღრმა და იდუმალი არსება ასახავს ყოველივე იმას, რაც მათ გარშემოა, ამბები მათი სულებისა კი ირგვლივ არსებული გარემოს განუზომელ, შეუცნობელ სიმდიდრეს

ავლენენ. ყოფიერების ამგვარი გზა ლამაზადაა გადმოცემული თომას ოკროპანის სახეში. მას რობინ ფლაუერი აღწერს, პოეტი, რომელიც გრეთ ბლასკეტში, ირლანდიის სანაპიროს კლდოვან კუნძულზე ცხოვრობდა. ფლაუერმა ამოიცნო კუნძულის კულტურული მნიშვნელობა და აღწერა იგი, როგორც ევროპის ნეოლითური ცივილიზაციის უკანასკნელი, ხელშეუხებელი კვერცხი.

თომასი

კუნძულზე სამოცი წელი ცხოვრობდა. და ეს წლები და ეს კუნძული ცხოვრობდნენ მასში, მის სხეულზე იყვნენ დამარხვლები. ცხოვრობდნენ მის თვალებში და მთელ მის საუბარს აძლევდნენ ფორმას. და ეს საუბარი იყო მშვენიერი და გონებაბახეილური, ეგ ზომ ბევრ მიცვალებულზე მოგონებებით სავსე. როდესაც ჩიბუხს ანთებდა, მოტრიალდა გახედა ყურეს, გადმოიხარა ჩემსკენ და მითხრა: „თუ ირლანდიის მთელ სანაპიროს მოივლი, ძნელად თუ იპოვნი სადმე რაიმეს უფრო ღამაზს; და ხშირად, როდესაც მარტო ვარ, ვუცქერ კუნძულს და ჩიტებს, რომლებიც ეშვებიან და როდესაც მღვიმეებში მარტოსული ზღვის მოქცევის ხმა მესმის, მჯერა და მწამს „ეს ეული გული არასდროს მარტო არ არის“.¹³

დღეს სახლის ნარატივის უმრავლესობა არ მოგვეთხრობს ბედნიერებაზე. სულ უფრო მეტად ვისმენთ ნაამბობს დაკარგვაზე, მიტოვებაზე, გაუცხოვებაზე, გადასახლებაზე, ნოსტალგიაზე და მასობრივ მიგრაციაზე. ინგლისური სიტყვა „world“ წარმოსდგება ანგლო-საქსური სიტყვიდან weorold – wer (კაცი, ადამიანი) და eld (ასაკი) – რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა „კაცის, ადამიანის ასაკი“ ან „ადამიანის ცხოვრების გზა“. „მსოფლიოს“ გამოცდილებას პიროვნება მთელი ცხოვრებიდან იღებს. მთელი ცხოვრებისეული გზა არის ამ გამოცდილების მასაზრდოებელი. მსოფლიო, რომელიც დანახულია, როგორც მთელი ცხოვრების გზა, რადიკალურად განსხვავდება იმ გლობალური საზოგადოების ცხოვრების სტილისაგან, რომელიც ახლა ყალიბდება, სადაც სივრცეს მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რაც უფრო მცირდება დრო.¹⁴ როგორ შეუძლია ვინმეს თავი სახლში იგრძნოს, როდესაც დრო მუდმივად მცირდება, დროში სულ უფრო შეზღუდული ხარ და სივრცეს სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს? მსოფლიო, სამყარო მხოლოდ იმ ტერმინებით ცოცხლდება, რომლებიც დასახლებული სივრცის შესახებ თხრობისას იხმარება, ისე, როგორც ამას სიტყვა „world“-ის ეტიმო-

* მსოფლიო, ქვეყანა.

ლოგია გულისხმობს. მსოფლიო, სამყარო მაშინ ხდება მნიშვნელოვანი, როდესაც მას განვლილი ცხოვრების ამსახველი ტერმინებით შევხვდებით. განვლილი ცხოვრება გულისხმობს იმას, რომ ეს არ არის მარტოსული „მე“, რომელიც სამყაროს სადღაც იქ, სხვაგან აღიქვამს, არამედ “მე,, რომელიც გარემოსთან ღრმა რეზონანსში მყოფი არაცნობიერი სისტემებიდან არის შექმნილი. ეს „მე“ მთელი ცხოვრების მანძილზე იქმნება. ადამიანები ქმნიან სამყაროს, როგორც მნიშვნელობათა, საზრისთა ასპარეზს იმით, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობით, განსაკუთრებულ დროს უკავშირდებიან იმას, რაც გარს აკრავთ; და ამ პროცესში არჩევენ იმ მხარეებს, რომლებიც მდგრადია, ასაზრდოებს და ხელს უწყობს მათი არსების გაფურჩქვნას. ეს ის მომენტებია, როდესაც, თუ ბაშელარი დავესესხებით: ჩვენი არსება მკვიდრდება, სახლდება.

სახლი ჩვენი სწრაფმავალი დროის ფესვებს მოგლეჯილი ადამიანების ისტორიებში მთავარი საკითხია. იგი გვაიძულებს კვლავ დაფიქრდეთ ადამიანის ბედზე. დღეს დრამატულ ამბებს უფრო მათგან ვისმენთ, ვინც დანაკარგი განიცადა და კვლავ განაგრძობს მოძრაობას. უსახლკაროდ დარჩენილთათვის სახლის ძებნა და მისი მნიშვნელობა მთელი სიცოცხლის ძიების საგანი ხდება. სახლი არ არის უბრალოდ სპეციფიური ადგილი ან პიროვნება, არამედ თავად ძებნაა; ის, რაც იდენტობის ძიებას საჩინოს ხდის. ის პირადული ემოციები, რომლებიც ერთი გარკვეული სახლის დაკარგვას ან პოვნას უკავშირდება, უკან, ჩვენს თავთან გვაბრუნებს, გვაიძულებს ცხოვრების მიზანსა და მნიშვნელობაზე ჩავფიქრდეთ.

ასე რატომ გვაიძულებს სახლი, რომ ის ვეძებოთ? ზოგს სჯერა, რომ სახლის მნიშვნელობის გაგება მხოლოდ მას შემდეგ შევვიძლია, რაც ის ერთხელ უკვე დაკარგეთ. ხშირად ჩვენ ვერ ვთავისუფლდებით იმ მოგონებებისაგან, რომლებიც დაკარგულ სახლს უკავშირდებიან და რომლებსაც ცნობიერებაში პირადი ცხოვრებიდან მოტანილი განსაკუთრებული, კონკრეტული, ინტიმური მოვლენები შემოაქვთ. ისინი სენსორულ დონეზე გვარტყამენ: ხატი, სუნი, ხმა ან საყვარელი საჭმლის გემო. ისინი უბრალოდ წარმავალი ხატები, ბგერები, გემოს შეგრძნებები კი არ არიან, არამედ განსაკუთრებულ გარემოებებში არიან შეჭრილები და მუდმივად მეორდებიან. ჩვენ მათ ვეჩვევით. ისინი პირად, ოჯახისა და საზოგადოების ისტორიასთან მჭიდროდ გვაკავშირებენ. ჩვენ გვასსოვს სამყარო, რომელსაც ვენდობოდით და სადაც თავს დაცულად ვგრძნობდით. ქრისტიან ფონ კროკოვი გრძნობს, რომ ჩვენი ბავშვობის სახლს არასდროს იმიტომ არ ვივიწყებთ, რომ ეს სამყარო ყოველთვის უცვლელი იყო.¹⁵ ფრედერიკ ბუშნერი იკონებს, რომ არსებობდა ბავშვობის ერთი სახლი, რომლის დავიწყებასაც ვერასდროს შეძლებს.¹⁶ ადგილი და ადამიანები მუდმივობის განცდას ინარჩუნებენ, მიისწრაფიან მო-

მაგალისაკენ, მაშინ, როდესაც სხვა გრძნობები მოდიან და მიდიან. ევა ჰოფმანი აღწერს ბავშვობის დაკარგულ სახლს პოლონეთში.¹⁷ მას კრაკოვის ტრამვაის ხმა ახსენდება და იმ სამყაროში, სადაც ყველაფერი უცვლელი და ნაცნობი იყო, თავს საკუთარ სახლში გრძნობს. მან იცოდა, რომ მისი სახლი პოლონეთში სამოთხე არ იყო, მაგრამ დენილობაში ის ასეთი გახდებოდა, თუ კი იგი იმ ბრძოლაში დამარცხდებოდა, რომელსაც ახალ სამყაროში სახლის პოვნა ჰქვია. ის კვლავ ადრეულ, მისი არსების უმთავრესი ნაწილის გამოხატველ გამოცდილებებს უბრუნდება – მთელი მსოფლიოს გამოცდილებებს, რომლებიც ინარჩუნებენ, ინახავენ, უწყვეტობას და დანაწევრებისაგან, ფრაგმენტაციისაგან გიცავენ:

„როგორი აბსურდულია ჩვენი ბავშვური მიჯაჭვულობები, როგორი პატარა და მნიშვნელობას მოკლებული. რატომ აღძრავდა ჩემში სწორედ ის ტირიფის ხე სილამაზის განცდას, რაც სიამოვნების განცდაზე გაცილებით მძაფრი იყო? რატომ მინდოდა ბალახიან გორაკზე სულისშემძვრელი სიხარულით გავშოტილიყავი, რომელიც ყოვლის მომცველი, ოკეანის დარი და აბსოლუტური მეჩვენებოდა? იმიტომ რომ ისინი პირველები, შეუდარებლები, ერთადერთები იყვნენ. სწორედ ბავშვობის მცირე სავნების კონტურებთან მიჯაჭვულობაა ის, რითაც ჩვენი არსი – გამლღვალა ძალა, რომლისგანაც ვართ შექმნილები – ყალიბდება და ფორმას იძენს. ჩვენ ჯერ არა ვართ გაყოფილები“.¹⁸

სახლი და ნოსტალგიური მოგონებები დაკარგული სამოთხის თანდაყოლილი სიმბოლოები არც ერთ შემთხვევაში არ არიან. სათავეს ისინი გარე სამყაროში მიღებული პირადული, მაგრამ კულტურული და სიმბოლური შინაარსით გამსჭვალული გამოცდილებებიდან იღებენ. სავარაუდოდ, როდესაც ხდება მათი გათავისება. მესხიერების ნარატიულ, თხრობით ძალაში ჩაბეჭდილები, ჩვენს ყურადღებას ჩვენივე სიღრმისეული მეს, თვითების (self_ის) ისტორიისკენ მიაპყრობენ. ისინი მთლიანობის გამოცდილებების შედეგია – როდესაც მთლიანობის ჩვენეული განცდა შეესატყვისებოდა, ჰარმონიაში იყო მსოფლიოსთან, რომელიც მთლიანი იყო.

მოთხოვნილება იმისა, რომ ამ სამყაროში თავს სახლში გრძნობდე, რა თქმა უნდა ბავშვობის იმ მოგონებების გავლენაა, რისგანაც სახლი და ნოსტალგია შედგება. ზოგიერთ შემთხვევაში ბუნებრივი უნარი იმისა რომ მიეჯაჭვო გარკვეულ ადგილს, პიროვნებას ან საგანს შეიძლება ისე შესუსტდეს, რომ პიროვნება ისევე უუნარო აღმოჩნდეს გააბას ეს კავშირები, როგორც ადრეულ ასაკში მიტოვებასთან შეხვედრისას. მეორე მხრივ, თანამედროვეობის ახალი თავისუფლების პირობებში, მიჯაჭვულობის ინსტინქტი შეიძლება განუსაზღვრელი სახით გამოვლინდეს – არა მარტო ერთი

ოჯახის, სკოლის, სოფლის ან ეკლესიის მიმართ, არამედ მრავალი სხვადასხვა სახის ურთიერთობებში, სკოლების, პროფესიების, საცხოვრებელი ადგილების, კულტურების და რელიგიების მიმართ, იმდენად, რომ დროც კი არ დარჩეს სადმე, რომელიმე მათგანთან თავი სახლში იგრძნოს. მიუხედავად ამ შეუზღუდავი შესაძლებლობებისა, მიჯაჭვულობა არ ხდება უნებლიედ ყველასთან და ყველაფერთან. ბოულების მიხედვით, ეს არჩევითია და დამოკიდებულია როგორც ისტორიულ, ასევე ადამიანის ცხოვრებისეულ, რეალურ გარემოებებზე; განსაკუთრებით კი მიჯაჭვულობის ობიექტის უნარზე ასახოს, დაანახვოს ამ პიროვნებას თუ ვინ იყო ის, ვინ არის და ვინ უნდა რომ გახდეს.¹⁹ მიჯაჭვულობა ცოცხალი ფენომენია და არა უბრალო გადაწყვეტილება, როდესაც გვგონია, რომ ყველაფრის გაკეთება შეგვიძლია, რასაც მოვისურვებთ. ეს თითოეულ პიროვნებაში არაცნობიერის, ისტორიის და სიცოცხლის ძალის გამოხატულებაა, რომელიც მიისწრაფის დაცულობის, კავშირებისა და უწყვეტობისკენ. მიჯაჭვულობა ანთავისუფლებს ენერჯიას – მიზიდვის და ჩათრევის, ჩართვის ზოგჯერ ზიზღისაც კი – რომელიც არქექტიპული პოტენციალის შემადგენელი ნაწილია. ეს ისაა, რაც ადამიანებს, საგნებს ასეთი ძალით აცოცხლებს, ანიჭებს ერთადერთობის მნიშვნელობას და ურთიერთობების სურვილს აღუძრავს. ამ შემთხვევაში, მთავარია იცოდეთ საკუთარი თავისა და პირადი ისტორიის შესახებ, რათა იყოს შენში ეს ენერჯია, პროექციების მიღმა დაინახო და შეიცნო ვინ ვართ ჩვენ სინამდვილეში.

იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს არქექტიპული მოდელები, შესაძლოა უფრო ადვილი იყოს თუ ბავშვობაში თვითების უწყვეტობის (self-continuity) მზარდ გააზრებასთან შეწყვილებული ჩვენს ირგვლივ არსებული გარემო განგვიცდია, რაც, დენიელ სტერნის განმარტებით, სეფფის, თვითების უცვლელი ძირეული ნაწილია. ამასთანავე, უფრო ადვილია შეკავების და უწყვეტობის განცდის შენარჩუნება (არა როგორც მუდმივი მდგომარეობა, არამედ პოტენციალი დროდადრო დაბრუნებისთვის) თუ შეგვიძლია თავი დავიცვათ იმ კულტურული ეგზოგამიის გავლენებისგან, რომელებიც ხელს გვიშლიან მიჯაჭვულობის ქცევის ზედაპირული და პათოგენური ფორმები იმ ხანგრძლივი მიჯაჭვულობებისგან გაფარჩით, რომლებიც იმას ასახავენ, თუ სინამდვილეში რად მიგვაჩნია ჩვენი თავი. ეს მტკიცე ფუნდამენტია. ვართ რა ამ ფუნდამენტით დაცულები, მოგონებები, როდესაც ვიგრძენით რომ სამყარო მთლიანი იყო, ჩვენი თვითშეგნებისა და ისტორიის ნაწილი გახდა. შესაძლოა სახლი ამ სამყაროში გავივით, როგორც სეფფის ძირეულ, უმთავრეს ნაწილთან დაბრუნების შესაძლებლობის გამომხატველი – დინამიური პროცესი, რომელიც სიმბოლური გამოცდილებების გზით იქნა გაგებული, რაც ჩვენს ცხოვრებაში იმედს, დაცულობას და უწ-

ყვეტობას აღვივებს ისე, რომ ის გარდამავალი პროცესები გადაარჩინოს, რომელიც ჩვენეული ახალი ლანდშაფტების შექმნის საშუალებას გვაძლევს.²⁰

საკონსულტაციო ოთახში მოთხრობილი ისტორიები

ფსიქოთერაპევტები თავიანთი პაციენტების სიმპტომებში, განცდებში, იმედებსა და მისწრაფებებში სახლთან დაკავშირებულ საოცრად ღრმა და ამღვლეველ ისტორიებს აწყდებიან. ერთი მხრივ არა ემფატურ* მშობლებს და ადრეულ მიტოვებულობას შეუძლიათ ვინმესადმი ან რაიმესადმი მიჯაჭვულობის უნარი დააზიანონ. მეორე მხრივ, კომპულსიები** ნებისმიერ ფასად, ნებისმიერი გზით მიეჯაჭვო შენთვის ნაცნობს, განხილული იყო, როგორც მარცხი, შეუთანხმებლობა იმ პირობებთან, რომლებსაც ცხოვრება უნდა შეეცვალათ. სიზმრებს და ტრანსფერს შეუძლიათ ადამიანებს დაეხმარონ იპოვნონ გზები, შექმნან ახალი მნიშვნელოვანი ურთიერთობები და ხელი შეუწყონ იმის ჭეშმარიტ გაგებას, თუ რას ნიშნავს საკუთარ თავში და მსოფლიოში თავი იგრძნო ისე, როგორც სახლში. სახლი ფუნდამენტური განცდაა. თერაპევტმა სახლი ბავშვობის მატერიალურ ასლად კი არ უნდა გაიაზროს, არამედ ანალიზის კონტექსტში ამ სახლის მნიშვნელობის ქონას ან არ ქონას შეუძლია ახლებური შეფასება გვაპოვინოს.

ხშირად ტრანსფერის*** და კონტრტრანსფერის ღრმა ლაბირინთებში პაციენტს საკმაოდ ეძლევა შესაძლებლობა წარსულისაგან განთავისუფლდეს. ჩვენ შორის მათ, ვინც სახლი დაკარგა და მიტოვებული აღმოჩნდა, ტრანსფერის ღრმა და ორმხრივი კავშირისას შესაძლებლობა ეძლევათ შეაკეთონ ან აღიდგინონ ის რაც დაიკარგა. კონფლიქტი, რომელიც თავს იჩენს ასეთი ანალიზის დროს, უფრო ფართო პრობლემის წინაშე აყენებს ფსიქოანალიტიკოსს: მიიღოს თუ არა უარყოფილი ბავშვი მოზრდილ პაციენტში. ეს შინაგანი ბავშვი იშვიათად ეთანხმება მოზრდილი სამყაროს წესებსა და კანონებს, განსაკუთრებით იმ ნორმებს, რომლებიც შეიძლება იმ ადრეული ნორმების მსგავსი იყოს, რომლებიც მისთვის დამანგრეველი იყო. ერთხელ უკვე მიტოვებული, იგი ვერ ხვდება თუ რატომ უნად წავიდეს ფსიქოანალიტიკოსი დასასვენებლად, ანდა, როდესაც პროცესი იწყება, რატომ უნდა შეწყდეს იგი უეცრად იმის გამო, რომ ანალიზისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა, ანდა რატომ უნ-

* ემპათია – (ფსიქ.) თანაგრძნობა.

** კომპულსია – (ფსიქ.) აკვიტებული იდეები.

*** ტრანსფერი – (ფსიქ.) გადატანა.

და ყავდეს ფსიქონალიტიკოსს სხვა ოჯახი, რომელსაც იგი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ანალიზისას ნაშეილებ ბავშვს. ფსიქონალიტიკოსი, ყველასთვის ვისაც ჭირდება, ვერ გაიგივდება სახლით უზრუნველყოფის ფანტაზიასთან. მაგრამ ფსიქონალიტიკოსმა უნდა აღიაროს, რომ სიბრაზეს და მრისხანებას, რომელიც პაციენტის მოთხოვნების ვერშესრულებას უკავშირდება, თავისი ადგილი აქვს. ფსიქონალიტიკოსი ამგვარი მრისხანების მიმართ შემწინარებელი უნდა იყოს, ვინაიდან ყოველივე ამის უკან ადრეული იმედგაცრუებები იხევენ თავს. როდესაც ერთხელ ანალიტიკური წილსვლები და წარსულის ტკივილები ცნობიერებას მიაღწევს, პაციენტი შეძლებს მიტოვებულობის სასოწარკვეთისაგან განთავისუფლდეს. მას ეცოდინება, რომ ანალიტიკურ პარტნიორს, როგორც მოწმეს, შეუძლია იგი დაცულობის, კავშირების და უწყვეტობის ახალი მნიშვნელობებით ისე აღჭურვოს, რომ ადრეული ტრამპული მოვლენები უბრალოდ, უმიზეზოდ აღარ განმეორდებიან.

ფსიქოთერაპიის დროს გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სულის ფარული ტრაგედიების მოსმენა შესაძლებელი იყოს. ახალმა თერაპიულმა ურთიერთობამ შეიძლება ისეთი კონტექსტი შექმნას, რომელმაც სახლის მნიშვნელობა გადააფასოს. თერაპიული სეანსის დროს მრავალი ადამიანი მოყვება მანამდე უთქმელი ძალადობისა და შეურაცხყოფის ამბავს, რამაც მათი ცხოვრება გაანადგურა. ისინი ძნელად თუ იგონებენ თავიანთ ბავშვობას და გარკვევით მხოლოდ შიშის, სიბრაზის, იმედგაცრუების, დანაშაულის და სირცხვილის გამომხატველი ტერმინებით შეუძლიათ გამოთქვან სათქმელი. ხშირად თხრობა ერთიანი არ არის და ამბავი არეულად ან ფრაგმენტულადაა მოთხრობილი. თუ ფსიქონალიტიკოსი ჩარევას გადაწყვიტავს, შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მას წინ პაციენტის დამცავი სისტემა გადაედობა, რომელიც დიდი ხნის სიხუმეში თავშეფარებული თვითების (self-ის) ბირთვის, გულის გულს დარაჯობს. ბავშვობაში მიღებულ ზიანს შესაძლოა შორსმიმავალი შედეგები ჰქონდეს. ხატებმა ან სიზმრებმა შესაძლოა გამოამჟღავნონ რა გრძნობაა, როდესაც ამგვარი სახლი გაქვს. ზოგისთვის სახლი საპყრობილეა, საცხოვრებელი ფანჯრებისა და კარების გარეშე, უკაცრიელ ან გაყინულ ლანდშაფტზე აღმართული კოშკი. წარმოსახვები კანის გარეშე ყოფნის შესახებ, ქვად გადაქცევაზე ან ცოცხლად დამარხვაზე, აღწერენ იმ ადამიანების ტანჯულ ცხოვრებას, რომლებსაც ეშინიათ საკუთარმა მოუთოკავმა, უკონტროლო იდენტობამ შიგნიდან და გარედან დაუსრულებლად არ დააშინოს ისინი. ზოგჯერ ასეთი ადამიანები იმდენად მარტო გრძნობენ თავს, რომ ეშინიათ არ გაგიჟდნენ. ფსიქონალიტიკოსისთვის ადვილი არ არის შეაღწიოს ამგვარ საცხოვრებელში. ერთხელ დაპატიჟებულებმა მეორე ადამიან-

ნისადმი ემპათიით, მოთმინებით, გაგებით შეიძლება ყველაფერი შევცვალოთ.

როგორც დაპატიუებულმა სტუმარმა, ფსიქონალიტიკოსმა უნდა დააფასოს მეორე ადამიანის შინაგანი სამყაროს სტუმართმოყვარეობა. ზოგჯერ მან შეიძლება არც კი იცოდეს ამ სახლის წესები. შესაძლოა უხერხულად, მოუხეშავად იგრძნოს თავი და არასწორად გაიგოს ამ სტუმრობის მნიშვნელობა. ერთ-ერთმა პაციენტმა მომთხოვა, რომ ყოველთვის დაბალ ხმაზე მელაპარაკა. მეორეს თამაში უნდოდა, მაგრამ მოითხოვდა, რომ ყოველთვის ის უნდა ყოფილიყო მოგებულნი. ამ შინაგანი თავშესაფრის კანონები შესასძლოა უცნაური და არარაციონალური აღმოჩნდეს, მაგრამ ფრთხილი ანალიზის შემთხვევაში, შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ მათი შექმნისთვის ძალიან სერიოზული მიზეზები არსებობს. მონათხრობი, რომელზედაც ვისაუბრებთ, გვიჩვენებს თუ რა საოცარი უნარი აქვს ბავშვს დამცავი სისტემა შექმნას, რათა შეინარჩუნოს იდენტობის, კუთვნილების, უწყვეტობის განცდა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახლის გარემო ვერ ასახავს ჭეშმარიტ, ნამდვილ self-ს:

მთელი ჩემი თვითშეგნება წაგება-მოგების დევნა იყო. ბავშვობაში ვერსად ვგრძნობდი თავს სახლში – საკუთარ თავშიც კი. მაგრამ თუ თამაშს მოვიგებდი, მქონდა უფლება მეარსება და ვგრძნობდი, რომ გარკვეულ ადგილს ან ვინმეს ვკუთვნილობდი. ჩემი თვითშეგნება მოგებაზე აშენდა. სახლი არასდროს მქონია. მე ის თვითონ უნდა შემექმნა. ყოველი გარემოება მუდამ უნდა ამეწონა, რომ მენახა ვერგებოდი თუ არა მას – მქონდა თუ არა შესაფერისი ტანსაცმელი, ან იყო თუ არა ჩემი ნათქვამი შესაფერისი და სწორი. და რადგანაც შინაგანი კუთვნილების გრძნობა არ გამაჩნდა, მე ის თავად უნდა შემექმნა.

ზოგიერთი ამბავი სახლის შესახებ სავსეა მოულოდნელობებით. მათ შეუძლიათ აამაღლონ გუნებ განწყობა და ტანჯული სული უბედურებებისგან მყისიერად განკურნონ. ერთხელ რუჯერომ მიაშობო თუ როგორ ჩადიოდა ხოლმე სტუმრად სამხრეთ იტალიაში, წინაპართა სახლში:

ჩვენ ქალაქში ვცხოვრობდით. როდესაც ბავშვი ვიყავი, ხშირად მივდიოდით სოფელში და ჩვენი წინაპრების სახლს ვსტუმრობდით. ჩემი ნათესავები ისევ იმ სახლში ცხოვრობდნენ.

ბებია ძალაუფლების მქონე და ძალიან ძლიერი ქალი იყო. მას არ უყვარდა, როდესაც ხეებზე ავდიოდი. ეშინოდა, რომ ზეთისხილის ხეს შეიძლება ჩემთვის ვვნო. მამას ვეხვეწებოდი, ჩემთვის ხე ეყიდა, რომ მასზე ასვლა შემძლებოდა. მან მიწის პატანა ნაკვეთი იყიდა, რომელზედაც ზეთისხილის რამ-

დენიმე ხე იზრდებოდა. ეს პატარა ოქროს საბადოა. იგი ყოველ წელს რამდენიმე ასეული ლიტრის ზეთუნის ზეთით გვამარაგებს, რაც საკმარისსზე მეტია მთელი ოჯახისათვის. მამა შიშობდა, რომ ერთ დღეს მე შეიძლება ნაკვეთი გამეყიდა. არასოდეს გავაკეთებ ამას. მე შეიძლება ყველაფერი გამეყიდა, მაგრამ მინდორი არა. ჩემი ზეთისხილის მინდორი...ის ეკლესიასავითაა. გარემომცველი ლანდშასფტისა და ამ მიწაზე მცხოვრობეი მოხუცების მსგავსად, ის არასოდეს იცვლება. რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ისინი არ იცვლებიან. ისინი სანდონი არიან. როდესაც სოფელში ვბრუნდები, ვხვდები ნათესავებს და ჩემ ზეთისხილის მინდორს, ვხედავ რომ სახლში ვარ.

შესაძლოა, რუჯეროს ნაამბობი სახლში დაბრუნებას, როგორც ნოსტალგიის საუკეთესო სამკურნალო საშუალებას უჭერდეს მხარს. იგი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდა, მაგრამ უსახლკარობის ღრმა განცდა არ განუცდია, რომელიც დაბნეულობას, დეზორიენტაციას და შეკავების უნარის დაკარგვას იწვევს. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოინახულა საყვარელი ზეთისხილის მინდორი და ეს იძულებით არ გაუკეთებია. რუჯერო აღწერდა, რომ მშობლებთან მისი ურთიერთობა რთული იყო. ისინი გარეგნულად ზედმეტად მზრუნველები იყვნენ; შინაგანად კი გრძნობდა, რომ მისი არ ესმოდათ და უარყოფილი იყო. მიუხედავად ამისა, მას ახსოვს ცოცხალი ურთიერთობის წუთები, როდესაც მთელი მისი არსება მათ თვალებში იყო არეკლილი. ერთი ასეთი წუთი ზეთისხილის მინდორის შექენა იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ რუჯეროს მამამ, მიუხედავად ძალაუფლების მოყვარე ბებუის წინააღმდეგობისა, მას მხარი დაუჭირა. ამ ქმედებამ მისი, როგორც მამაკაცის თვითშეგნება გააძლიერა, რაც ასე მნიშვნელოვანია იმ კულტურებში, სადაც ქალი შეიძლება დიდი ძალაუფლების მქონე იყოს. მასში ამან წინაპრებთან კავშირი წარმოშვა და სიმდიდრით აღსავსე მომავალი აღუთქვა. მისმა სულმა უწყვეტობის და კუთვნილების განცდა შეიძინა, შინაგანი საზრიანობა, სიმარჯვე, რათა შექდლოს მომავლის გამომწვევებს დაუპირისპირდეს. სახლი ზეთისხილის მინდორი არ იყო, არამედ ის მინდორი განასახიერებდა გარე და შინაგან რეალობას, სინამდვილეს რამაც ცვალებადობას გაუძლო და რუჯეროს მოუტანა განცდა, რომ ის სანდო სამყაროში ცხოვრობს.

ზეთისხილის მინდორის ამბავი სეღფთან და სამყაროსთან – ოჯახთან, კულტურასთან და სოფლის გარემოსთან სულიერი ნათესაობის ფუნდამენტურ გამოცდილებას გვიჩვენებს. სახლი შინაგანი სინამდვილე ხდება, რომლის თან წადებას რუჯერო, სადაც არ უნდა წავიდეს, ყველგან შექდებს. მას შეუძლია თავდაპირველ სახლთან ადრეული მიჯაჭვულობების და კუთვნილებების ისეთ სა-

რისხს მიაღწიოს, რომ ცხოვრებისეულ გარემოებებს შესაბამისად და შემოქმედებითად შეხვდეს. მოგონება ზეთისხილის მინდონზე არ შენახულა როგორც ფიქსირებული კადრი, არამედ, როგორც შინა-არსის მქონე მდიდარი წყარო, რომელიც მისივე გარემოდან დამახსოვრებული, აღნუსხული მაგალითებიდან შეიძლება გაცოცხლდეს. მშობლიური მიწის ნაყოფიერი მინდვრების მსგავსად, იგი იმ გაურკვეველ, ჯერ არ განსაზღვრულ პოტენციალად დარჩა, რომელიც გონებაში დროდადრო გაზაფხულზე მოგონებებს აცოცხლებდა, განსაკუთრებით იმ წუთებში, როდესაც ზამთრის სიბნელე ასე ყოფლისმომცველი ჩანდა. იგი იმედისა და განახლების უშრეტი წყარო გახდა, აავსო იმ საიმედო ნარატივის პერსპექტივით, რომლითაც მან უნდა შეიცნოს თუ ვინ იყო და ვინ შეიძლება გახდეს.

დასკვნა

ეს მოკლე ესეი გადამუშავებული ვარიანტია იმ ესეის, რომელიც 1996 წელს დაეწერე.²¹ სახლი ჩემი, როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული ცხოვრების უწყვეტი „თარგმანის“, ინტერპრეტაციის საქმიანობა იყო. მოგონებები მდინარეებზე, მინდვრებზე, ზღვებზე, სახლებზე, სოფლებზე, ადამიანებზე, რომლებიც მე მიყვარდა ან მპულდა, აგრძელებენ თავიანთ ქმედებას, როგორც ინფორმაციის მომცემი და მასაზრდოებელი წყარო. ამ მოგონებებს ცნობიერებაში ის მონათხრობი ამბები შემოაქვთ, რომლებიც დაიკარგნენ ან დაითრგუნენ ჩემი ცხოვრების გზაზე. სახლი ადამიანთა ცხოვრების ისტორიაა. ნაკლებად მნიშვნელოვანია ეს ამბავი „კარგია“ თუ „ცუდი“. არცერთ ადამიანს ან ერს არ სურს რომ მათ მათივე ცხოვრების ბნელი მხარეები შეახსენონ. თუ ჩვენ უარს ვიტყვით გვახსოვდეს ისინი, ალბათ მათ ისევ გავიმეორებთ. ამბავი სახლის შესახებ უფრო საინტერესო ხდება თუ მათში აღწერილია რა გზებით ანგრევენ და აშენებენ ადამიანები პიროვნულ და კოლექტიურ მემკვიდრეობას. ფრანსუა ბონდიმ, შვეიცარელმა ესეისტმა, ერთხელ თქვა, რომ თანამედროვე კაცობრიობა გატეხილი კაცობრიობაა. სახლზე მონათხრობი ისტორიები ხშირადაა გულის გამთელების და გატეხვის შესახებ. დიდი ისტორიები გულის შესახებ არის იმაზე, თუ როგორ ავაგოთ თავშესაფარი სევდის ამ ორგანოსათვის, რომელსაც მარტოობა და ამავე დროს, სხვებთან კავშირიც ჭირდება.

მე არ ვფიქრობდი წარმემართა საუბარი და შესაბამისად დამეწერა ეს სტატია იუნგის ოდისეისთვის. მე ეს ჩემი ძვირფასი მეგობრისთვის, ჯონ ო'დონოპიუსათვის გავაკეთე, რომელიც სამწუხაროდ 2008 წლის იანვარში გავვშორდა. მისი ცხოვრებისა და საქმიანობის საპატივცემულოდ მინდა მისივე სიტყვებით დავამთავრო:

ვერავინ განიცდის შენს ცხოვრებას ისე, როგორც შენ; შენი ცხოვრება გამოცდილებების და გრძნობების სრულიად უნიკალური ისტორიაა. არცერთი ინდივიდი არ არის დაბეჭდილი ან პერმეტულად თვითნაკეტილი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მშენივერი სული (soul) განუმეორებელი და ინდივიდუალურია, მისი ბუნების უმთავრეს ნაწილს ურთიერთობა სწეურია. შესაბამისად ეს შენი მშენივერი სულია, რომელსაც სწეურია სხვას ეკუთვნოდეს და ეს ჩვენი მშენივერი სულია, რომელიც ყველა ეკუთვნილებას შესაძლებელს ხდის. არცერთი მშენივერი სული არ არის კერძო, პირადი. არცერთი მშენივერი სული არ არის უბრალოდ მოკვდავი. შენი პირადი ცხოვრების ვიტალური საწყისის მსგავსად, შენი სული მშენივერი უძველესი და მარადიულია; ის სულის (spirit) იმ დიდ და დიდებულ გობელენში გაქსოვს, რომელიც ყველგან ყველაფერს აკავშირებს.²²

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 Alwyn and Brinley Rees, *Celtic Heritage* (London: Thames and Hudson, 1961), p. 276.
- 2 Arthur Schopenhauer, *Essays from the Parega and Paralimpomena* (Baily Saunders, London Penguin), p. 102, in Susan Pollard, *Celibacy, Chastity and Individuation: Can the Abyss of Loneliness Transform Into a Sustaining Space?* (Unpublished Thesis: C.G. Jung Institute Zurich: 2000), p. 38.
- 3 Victor Turner, *The Ritual Process* (New York: Aldine de Gruyter, 1969), p.vii.
- 4 *The Popular Encyclopedia* (London: Blackie and Son, 1859), vol. IV, p. 783.
- 5 Johann Jakob Scheuchzer, “Von den Heimwehen,” in *Seltsame Natugechichte, Wochentliche Erzählung*, 17 May, 1705, Radio Interview in *Das Monatsstudio, die unaussprechliche Begierde nach der Heimat*, ed. M. Heule and C. Schmid-Cadalbert (DRS 2, January 1992).
- 6 *Ibid.*, Scheuchzer, *Natur-Historie des Schweitzerlandes* (Zurich: In der Bod-erischen Truckerey, 1716), p. 12.
- 7 Joh. Gottfried Ebel, *Schilderung der Gebirgsvölker der Schweiz* (Wolfischen Buchhandlung, 1798), p. 416.
- 8 *Ibid.*, p. 419.
- 9 *Ibid.*, p. 421.
- 10 Gaston Bachelard, *The Poetics of Space* (Boston: The Beacon Press, 1969), p. 5.
- 11 *Ibid.*, p. 4.

- ¹² Christian Buckard, "Ich kann sehr gut ohne Heimat Leben," in *Tages-Anzeiger*, (Zurich: Tamedia Verlag) December 5, 2005, 5699 <http://www.tagesanzeiger.ch/service/archiv/>
- ¹³ Robin Flower, *The Western Island; Or, the Great Basket* (Oxford: The Clarendon Press, 1973), p.14.
- ¹⁴ Gerard Delanty, *Citizenship in a Global Age* (Buckingham: Open University Press, 2002), p. 82.
- ¹⁵ Christian Graf von Krockow, *Heimat* (Munich: DTV, 1992), pp. 8-10.
- ¹⁶ Frederick Buechner, *The Longing for Home* (San Francisco: Harper, 1996), p.11.
- ¹⁷ Eva Hoffman, *Lost in Translation* (New York: Penguin Books, 1990).
- ¹⁸ *Ibid*, p. 74.
- ¹⁹ John Bowlby, *The Secure Base* (London: Routledge, 1988), p. 28.
- ²⁰ John Hill, "At Home in the World," in *Journal of Analytical Psychology*, vol. 14, no. 4 (1996): 585.
- ²¹ *Ibid*.
- ²² John O'Donohue, *Eternal Echoes*, (London: Bantam Books, 1998), p. xvii.

John Hill

Home: the Making or Breaking of the Heart

The article is a Georgian translation of *Home: the Making or Breaking of the Heart* by John Hill*. John Hill, MA, received his degrees in philosophy at the University of Dublin and the Catholic University of America. He trained at the C.G. Jung Institute, Zürich, has practiced as a Jungian analyst since 1973 and is a training analyst of ISAPZURICH (The International School of Analytical Psychology, in Zürich). His publications include the following subjects: the Association Experiment, Celtic myth, James Joyce, and the significance of home, dreams and Christian mysticism.

* We express our special gratitude to mr. John Hill and Spring Journal Books, New Orleans, Louisiana, 2009 for their permission to translate and publish the article in Georgian (editorial board).

ლელა პატარიძე – შემოქმედებითი გზა და რამდენიმე შტრიხი
პორტრეტისათვის



როცა ადამიანი ცოცხალია, ნაკლებად ფიქრობ იმაზე თუ რატომ გიყვარს იგი, რატომ გიზიდავს მასთან ურთიერთობა ან რა არის მის პიროვნებაში განმსაზღვრელი. გარდაცვალება ყველაფერს ცვლის. წერტილი ითხოვს მანამდე მომხდარი ფაქტების სისტემურ გააზრებას და პასუხს კითხვაზე: ვინ იყო ის, ვისი დაკარგვა შენთვის ასე მტკივნეულია?

წერტილი ჩემი მეგობრისა და კოლეგის, თანამოაზრის ლელა პატარიძის ამქვეყნიურ ცხოვრებაში, საწუხაროდ, უკვე დაისვა. ამიტომ დგას დღეს ჩემს წინაშე ასე მწვავედ ამოცანა ვუპასუხო ზემოთ დასმულ კითხვას, უპირველეს ყოვლისა, თავად ჩემთვის და, აგრეთვე, ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მას იცნობდა და ვისთვისაც სიცარიელე, რომელიც დარჩა მისი გარდაცვალების შემდეგ, დამთრგუნველია. მე მეცნიერი ვარ, მშრალი და რაციონალური წინადადებებით მოუბარი და ჩემს ძალებს აღემატება მხატვრულად სრულყოფილად წარმოვადგინო სახე იმგვარად ღრმა პიროვნებისა, როგორც იყო ლელა პატარიძე. ამ მცირე მოცულობის წერილში შევეცდები მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტების წარმოჩენას და ხასიათის მხოლოდ იმ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი თვისების გამოკვეთას, რომლებიც მისი გარდაცვალებიდან მოკლე დროში მძაფრი განცდის ფონზე პირველ რიგში მაგონდება. სრულყოფილი პორტრეტის დაწერა მომავლის საქმეა და ალბათ სხვა ვინმე ლელა პატარიძის სამეგობროდან, ის, ვისაც კალამი უფრო ემორჩილება, ვიდრე მე, გააკეთებს კიდევ ამას. ლელა პატარიძის სამეცნიერო წვლილის სათანადო გააზრებაც ჯერ კიდევ წინ არის და ეს საკითხი წინამდებარე მოკლე მიმოხილვით ოდნავადაც ვერ ამოიწურება.

ლელა პატარიძე იყო ისტორიის დოქტორი, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ი.ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის პროფესორი. მაგრამ ამ წერილში მე მას მოვისხენიებ ყოველთვის მხოლოდ როგორც ლელას. ასე უფრო ბუნებრივი იქნება ჩემგან მასზე საუბარი.

ლელა გავიცანი გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის (კლასიკური ფილოლოგიის განხრით) დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო ი.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში. მოსვლასთანავე მან შეძლო ჩემი დახმარება, რაც არ შეუწყვეტია მთელი სიცოცხლის განმავლობაში და განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, როცა ჩემი მოვალეობები და საქმეები ძალიან მნიშვნელოვნად გაიზარდა და როცა სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ჩემთვის, რომ მყოლოდა ადამიანი, ვისაც საქმეთა ნაწილს მივანდობდი. ზემოხსენებული პირველი დახმარება კი მან აი, როგორ გამიწია: როცა ის მოვიდა განყოფილებაში, მე ვიყავი განყოფილების ყველაზე უმცროსი წევრი. განყოფილების გამგეს ბატონ რევაზ კიკნაძეს კი ჰქონდა ასეთი წესი: მდივნობა უნდა ეთავა ყველაზე უმცროს წევრს, ცხადია, თუ კი იგი ამას მოახერხებდა. “მოახერხებდა” – ს ვამბობ იმიტომ, რომ იმ ოქმების წერა, რომლებისთვის, ხელი ბატონ რევაზს, როგორც სხდომის თავმჯდომარეს, უნდა მოეწერა, მეტად საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენდა. ბატონი რეზო ნაწერისადმი უაღრესად მომთხოვნი იყო, თითოეული ოქმი თავისი დახვეწილობით სამეცნიერო სტატიას მიაგავდა. უკვე მეორე წელი ვასრულებდი ამ საქმეს. ერთის მხრივ, ძალიან მსიამოვნებდა ბატონ რეზოსთან ურთიერთობა და მისი ნდობაც დიდ პატივად მიმაჩნდა, მაგრამ ამავე დროს ეს სამუშაო იმ დროს მართმევდა, რომელიც მხოლოდ მეცნიერებისათვის მემეტებოდა და ვოცნებობდი ჩემს შემცვლელზე. აი, მაშინ გამოჩნდა ლელა. ბატონმა რეზომ მას პირველი საცდელი ოქმის დაწერა დაავალა. როცა ლელამ ჩანაწერი შინ წაიღო გადასათეთრებლად, ბატონმა რეზომ მკითხა: “როგორ ფიქრობთ, შეძლებს ოქმის დაწერას”? მე ვუპასუხე: “დარწმუნებული ვარ შეძლებს, რადგან რამდენიმე საქმიანი შეკითხვა მომცა ოქმის გაფორმებასთან დაკავშირებით”. ეს მართლაც ასე მოხდა. მაშინ უკვე გამოვლინდა ლელას რამდენიმე ფუნდამენტური თვისება: პასუხისმგებლობა, შემოქმებითი მიდგომა ყველა ამოცანის გადაწყვეტისადმი, მუშაობის ხალისი.

თავიდან ლელა ერთგვარად უკარება და ნაკლებად კონტაქტური მეჩვენა მაგრამ ჩვენ მალე დავახლოვდით და ისიც გადაიშალა ჩემს წინაშე მთელი თავისი საოცარი ბუნებით. ჩვენი დაახლოების მიზეზი ნამდვილად საკრალურია: ქართული ჰაგიოგრაფიის უპირველესი ძეგლის “წმ.ნინოს ცხოვრების” სამეცნიერო კვლევა. მე უკვე საკანდიდატო დისერტაცია მქონდა ამ ძეგლის წყაროთმცოდნეობით

ანალიზისადმი მიძღვნილი. დამკვიდრებული ტრადიციის საპირისპიროდ მის ავთენტურობას და IV საუკუნეში შექმნას ვასაბუთებდი. ლელამ მოსვლისთანავე ეს ძეგლი აირჩია კვლევის საგნად. ოღონდ მიუდგა მას სრულიად ახლებურად, რაც გამოიხატა იმაში, რომ ძეგლის მიმართ კულტურულ-ანთროპოლოგიური პრობლემების დასმა და გადაწყვეტა დაიწყო. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამგვარი მიდგომის მაგალითები არც ახლან ხშირი, მითუმეტეს, იშვიათი იყო მაშინ. ძალიან საინტერესოდ მეჩვენებოდა ლელას მიერ მიღებული შედეგები, განუწყვეტლივ ვიმოწმებდი ჩემს ნაშრომებში. ეს შედეგები, ისტორიულ-ტექნოლოგიური ძიებების გზით მოპოვებულ ჩემს დასკვნებს ამყარებდნენ. ამიტომ მუდმივი აზრთა გაცვლა-გამოცვლა გვქონდა და ეს ასე გრძელდებოდა სულ ბოლო დრომდე. თუმცა ჩვენ ახალ-ახალ საკვლევ პრობლემებზე გადავდიოდით, მაგრამ ვერასოდეს ვცილდებოდით ქართველთა განმანათლებლის ჰაგიობიოგრაფიის უძველეს რედაქციას – სასწაულებრივი ფაქტის აღმოჩენამ მართლაც სასწაულებრივ თხზულებას. “წმინოს ცხოვრებაც” მის ერთგულ მკითხველებს გარდასული სინამდვილის მანამდე დაფარული მხარეების შემეცნების სიხარულით ხშირად გვაჯილდოებდა.

ბატონი რეზო კიკნაძე იყო ლელას დისერტაციის ხელმძღვანელი. მაგრამ ბატონი რეზოს გარდაცვალების გამო მე მომიწია გამეწია მისთვის ხელმძღვანელობა. ეს არსებითად თანამშრომლობა იყო და არა ტრადიციული აზრით ხელმძღვანელობა: ლელას დისერტაციასთან დაკავშირებით რჩევებს ვაძლევდი, მაგრამ თავადაც არაერთ სასარგებლო რჩევას ვიღებდი მისგან. სადისერტაციო ნაშრომში ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლი “წმინოს ცხოვრების” “მოქცევაი ქართლისაიში” დაცული უძველესი რედაქცია გააზრებული იყო სრულიად არატრადიციულად, რის შედეგადაც აღდგენილი იყო რელიგიური მოქცევის ეპოქაში ქართული საზოგადოების სამყაროს სურათი. შემდგომში ეს ნაშრომი გამოქვეყნებული იქნა ცალკე მონოგრაფიის სახით: “ცხოვრება წმიდისა ნინოსის”. ქართლის მოქცევის კულტურულ ისტორიული საკითხები (თბილისი, მეცნიერება, 1993), სამწუხაროდ, ძალიან მცირე ტირაჟით. მრავალჯერ ვუთხარი თავიდან გამოეცა. მაგრამ თავს იკავებდა. სათანადო მასალებით შევსების გარეშე გამოცემა არ უნდოდა, ახალი პრობლემატიკით დაკავებულს კი უკვე ერთხელ გამოქვეყნებულის რედაქტირების დრო აღარ რჩებოდა.

90-ანი წლების მიწურულიდან ჩვენს თვალსაწიერში შემოვიდა ახალი თემა: ქართველთა თვითცნობიერების (ახლა ამ ფენომენის აღსანიშნავად უფრო ტერმინ *იდენტობას* ვიყენებთ) ისტორია. ეს თემა გამოკვეთა პროფესორმა გიული ალასანიამ, რომელიც ბატონი რეზო კიკნაძის გარდაცვალების შემდგომ წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე გახდა. ეროვნული მოძრაობის გაშლის გამო იმ

წლებში აღნიშნული თემა განსაკუთრებული აქტუალობის მქონე პრობლემას წარმოადგენდა. შესაბამის პროექტმა, რომელსაც გიული ალასანია ხელმძღვანელობდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი მოგვაპოვებინა. ერთ-ერთ სხდომაზე ქალბატონმა გიულიმ მოგვცა საკითხების ჩამონათვალი, რომელიც დასამუშავებელი იყო. ჩვენი ინტერესების შესაბამისად უნდა შეგვეჩინა პრობლემატიკა ამ ჩამონათვალიდან. მახსოვს რატომღაც ძალიან გამიჭირდა არჩევანის გაკეთება. ლელამ მითხრა: ‘აირჩიე “რელიგია და ქართველი ხალხის თვითცნობიერება”’. მე უცებ მივხდი, რომ სწორედ ეს საკითხი მიზიდავდა და მყისვე ის ავირჩიე. ასე განსაზღვრა ლელამ მომდევნო ათწლეულში ჩემი კვლევის უმთავრესი პრობლემატიკა. როგორც გამოირკვა, თავადაც ეს პრობლემა აინტერესებდა, მაგრამ მე დამითმო. აქაც ჩანს მისი პიროვნების კიდევ ერთი ფუნდამენტური თვისება: დათმობის უნარი.

სწორედ აღნიშნული გრანტის პროექტმა ითამაშა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელებისათვის იმპულსის როლი ჩვენთვის. ლელამ დიდი ძალისხმევა მოახმარა ქართული იდენტობის ისტორიის კვლევას და ამ ურთულესი პრობლემის გადასაჭრელად დაბეჯითებით ცდილობდა დასავლურ სამეცნიერო ცენტრებში კოლექტიურ კულტურულ იდენტობათა თეორიული კვლევების სფეროში დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას. სწორედ ამ მიმართულებით ძიებათა ამსახველია მისი ნაშრომები მიძღვნილი სოციალური ტერმინების განმარტების თუ იდენტობრივი ცნობიერების ცალკეული ეტაპების რეკონსტრუქციისადმი. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ მისი სტატიები “ერი სიტყვა და ცნება – უწინ და დღეს” (დაბეჭდილია კრებულში *ეთნიკურობა და ნაციონალიზმი I*, რედ. დ. მუსხელიშვილი და მ. ჩხარტიშვილი, 2002) და “ქართული იდენტობა” (დაბეჭდილია კრებულში *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, რედ. ზ.კიკნაძე, 2005). ორივე ეს ნაშრომი არის ცდა საქართველოს ისტორიის ფაქტები გააზრებულ იქნეს იმ თეორიული მოცემულობათა ჩარჩოებში, რომლითაც თანამედროვე დასავლური სოციოლოგიური მეცნიერებები გვთავაზობენ. ლელას სურდა არა მხოლოდ თავად გამოეყენებინა აღნიშნულ სფეროში დასავლური მეცნიერების მიღწევები, არამედ ქართველ მეკვლევართა ფართო წრეც ეზიარებინა მათთან. ამის დასტურია 2008 წელს დასტამბული მისეული თარგმანი თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერის – ე.სმითის კლასიკურად მიჩნეული ნაშრომისა “ნაციონალური იდენტობა”.

“წმინდის ცხოვრებისა” და “მოქცევაი ქართლისაის” გარდა ლელას განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ქართული მედიევალური ისტორიოგრაფიის უმთავრესი თხზულება “ქართლის ცხოვრება”. მან არაერთი სტატია უძღვნა ამ ძეგლის ავ-

ტორთა მსოფლხედვის იდეოლოგიური საფუძვლების კვლევას. ამ ინტერესის თვალსაჩინო გამოხატულებაა თუნდაც სულ ბოლოდროინდელი მისი სტატიები “მირიანი და მისი მეფობა: იდეოლოგიური ასპექტი” (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, VIII, რედ. ვ.კიკნაძე, 2008) “მეფობის იდეა ‘ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში’” (კრებული “საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები”, IX, რედ. მ.ჩხარტიშვილი, 2008); “არჩილის ცხოვრების იდეოლოგია” (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, რედ. ვ.კიკნაძე, 2009) და აგრეთვე მონოგრაფია “პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს ქართულ ერთობაში: ‘ქართლის ცხოვრების’ სამყარო”, რომელიც გამოქვეყნდა სულ ახლახან მისი გარდაცვალების შემდგომ. აღნიშნულ გამოკვლევებში სრულიად ახლებურად არის დასმული და გადაწყვეტილი საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის არაერთი კარდინალური პრობლემა, მანამდე უცნობი პლასტებია გამოვლენილი ამ წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციებში. სწორედ იდენტობის საკითხის კვლევამ მიიყვანა “ქართლის ცხოვრების” დაწვრილებითი კვლევის აუცილებლობამდე. კოლექტიურ-კულტურული იდენტობის საფუძველზე აღმოცენებული ერთობების აღმოცენებაში და განგრძობადობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი ხომ ისტორიულ მახსოვრობას უკავია. “ქართლის ცხოვრება” კი არის ამ ქართული ერთობის კოლექტიური მახსოვრობის ერთ-ერთი ადრეული და ჩანაფიქრის თუ განხორციელების თვალსაზრისით გრანდიოზული ძეგლი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართული იდენტობის მკვლევარს ამ იდენტობის განგრძობადობის გასაღები სწორედ “ქართლის ცხოვრებაში” მოეძია და მისი კვლევა მიეჩნია პრიორიტეტულად.

ლელა გულწრფელად შეყვარებული იყო თავის პროფესიაზე, ვისაც თუნდაც მისი ერთი ნაშრომი წაუკითხავს ან თუნდაც მის ერთ მოხსენებას დასწრებია, ყველა დამეთანხმება ამაში. მეცნიერების დიდი გულშემბატკივარი იყო. კარგად ესმოდა, ისიც, რომ საქართველოს ისტორიის დარგში მაღალხარისხოვან გამოკვლევებს აქვთ არა უბრალოდ სამეცნიერო, არამედ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. სამეცნიერო პროცესის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების ჩამოყალიბება მისი მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ისტორიული გამოკვლევებისათვის ახალი თეორიული ჩარჩოს ძიება სწორედ მაღალი ხარისხის, თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნების ადეკვატური ისტორიული რეპრეზენტაციის სურვილით იყო გამოწვეული. როცა მისთვის ცხადი გახდა, რომ ნაკლოვანებები სამეცნიერო ძიებების პროცესში მის სათავეში ანუ განათლების საფეხურზე იყო საძიებელი, რომ ქართველოგიური მეცნიერებების და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის კვლევის, თვისებრივ განახლება ძნელი, თითქმის შეუძლებელია პირდაპირ

სამეცნიერო პრაქტიკიდან, ძალიან სერიოზულად დაიწყო ფიქრი საგანმანათლებლო კონცეფციის, სწავლების მეთოდების გადააზრებაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ლელა დიდ ყურადღებას უთმობდა ისტორიის სწავლების ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბებას. მისი ფიქრი და ძალისხმევა ამ მიმართულებით ნაწილობრივ აისახა მისი თანაავტორობით დაწერილ სასკოლო სახელმძღვანელოებში, საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში, სალექციო კურსების სილაბუსებში, რომელთა შინაარსიც და დიზაინიც გამორჩეულად ინოვაციურია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ორი კურსი „ქართლის ცხოვრება“ და მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა“, რომელსაც იგი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა როგორც მოწვეული პროფესორი და კურსი “ძალაუფლება და კულტურა“, რომელიც მისი სილაბუსის მიხედვით დღეს იკითხება ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სწორედ ბოლო წლებში აღმოვაჩინე, რომ მოწოდებით ნამდვილი პედაგოგი იყო: უაღრესად გულისხმიერი სტუდენტებისადმი, ტაქტიანი, სამართლიანი. ახალგაზრდებთან ურთიერთობაში განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდებოდა მისი ხასიათის მრავალი დადებითი თვისება: მზაობა დახმარებისათვის, კეთილგანწყობა და დედობრივი ზრუნვა.

შეეძლო მიეღო ადამიანები ისეთები, როგორებიც იყვნენ. იყო უსაზღვროდ მიმტკეპელი, ყოველთვის სხვაში საუკეთესოს დამნახავი. ეს სამეცნიერო სფეროშიც ვლინდებოდა: დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სხვის აზრს. სხვისი მოსმენა შეეძლო კარგად და სხვის შეხედულების ადეკვატურად გაგება. ეს კი, კოლეგები დამეთანხმებიან, სულაც არაა იოლი, როცა თავად გაქვს იმავე საკითხზე ჩამოყალიბებული თვალსაზრისი.

ბოლო წლებში მისი (და ჩემიც, როგორც თანამონაწილის) სიხარულისა და სიამაყის მიზეზი იყო სსიპ ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდი) მიერ დაფინანსებული პროექტები ”კოლექტიური კულტურული იდენტობები რელიგიური მოქცევის კონტექსტში: ქართული მაგალითის კვლევა და განზოგადებანი“ (2006-2008) და “ბეჭდური მედია და ქართული ნაციონალური იდენტობის წრტობის პროცესი: ილიას ივერია” (2008-2010). პირველის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო, მეორეს – ენეჯერი. ორივე ეს პროექტი ჩაფიქრებულია ნაციის ინტერპრეტაციის ეთნო-სიმბოლისტური პარადიგმის ჩარჩოებში ანუ მიდგომისა, რომლის ქართულ ისტორიოგრაფიაში დანერგვას მარსისტული სოციოლოგიის ალტერნატივად ამ საუკუნის დასაწყისიდან ჩვენ ერთობლივ ვცდილობდით. აღნიშნული პროექტების გამარჯვება ამიტომაც გვახარებდა განსაკუთრებით.

გარეგნულად ლელას განსაკუთრებული მომხიბლაობა გამოარჩევდა. ხვეული სქელი შავი თმა, გამომსახველი შავი თვალები და წარბები, რომელსაც ქართულ სიტყვიერებაში თქმა “კალმით ნახატი” შეესაბამება. მასსოვს ერთ-ერთ სუფრაზე მისი გარეგნობით გაკვირებულმა თანამეინახემ, მას ფრესკა უწოდა. მართლაც, ფრესკას ჰგავდა. თუმც, ამ სილამაზეს ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, როგორღაც დაუდევრადაც კი ეკიდებოდა. ბუნებრივობა და უშუალობა, სიმშვიდე იყო მისი გარეგნობისათვის განსაკუთრებული ხიბლის მიმანიჭებელი დამატებითი სამკაული.

ასეთია ლელა პატარიძის შემოქმედებითი გზა ძალიან მოკლედ და მისი პორტრეტის რამდენიმე შტრიხი. განსხვავებით თავად ჩემი მეგობრის ამქვეყნიური ცხოვრებისა, რომელშიც, როგორც ითქვა, წვერტილი უკვე დაისვა, მისდამი მიძღვნილი წერილი აქ არ მთავრდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი ახლობლები და კოლეგები კიდევ არაერთხელ შეეცდებიან ადეკვატურად გამოსახონ ის განუმეორებელი სახე, რომელსაც სააქაოში მზიური სახელი – ლელა – ეწოდებოდა.

მარიამ ჩხარტიშვილი

სოსო ჭანტურიშვილი



ჩვენი თაობის სტუდენტებს, ვისაც წილად გვხვდა ბედნიერება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გვესწავლა, კარგად ახსოვთ ბატონი სოსო ჭანტურიშვილი, ეთნოლოგიის კათედრის პროფესორი, დახვეწილი ინტელიგენტი, თბილისელი კაცი, ყოველთვის უაღრესად კორექტული და კეთილგანწყობილი, იგი იყო გამორჩეული პიროვნება. სტუდენტებს გვიყვარდა და რიდიც გვქონდა. გვიყვარდა, რადგან ყველას უშურველად ედგა მხარში, ყოველთვის ვგრძნობდით მის თანადგომას და გვეიმედებოდა. რიდი გვქონდა უფროსი, გამოცდილი და განსწავლული ადამიანის მიმართ, რომლის მითითებებიც ყურადსადები და რჩევის სახით ძალდაუტანებლად მოწოდებული იყო.

ბატონი სოსო იყო პირველი ქართულენოვანი, ორიგინალური სახელმძღვანელოების ავტორი ეთნოლოგიაში, მანვე შეადგინა ეთნოლოგიის ქრესტომათია. ეს ნაშრომები დღესაც წარმატებით გამოიყენება უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სასწავლო საშუალებები. განსაკუთრებულია მისი წველილი ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებაში, რასაც საქართველოს ისტორიული ეთნოლოგია ჰქვია. მისი „ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“ (1985) ძირითადი სახელმძღვანელოა ისტორიული ეთნოლოგიით დაინტერესებულთათვის. ბატონი სოსო ჭანტურიშვილი იყო საქმისთვის თავდადებული ადამიანი და არ იცოდა დაღლა როდესაც ამას საქმე მოითხოვდა. მისი თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია პირველი ქართული ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რომლის დამუშავებაში მისი მოწაფეებიც ჩაგვართო.

მისაბაძი იყო ბატონი სოსოს დამოკიდებულება მასწავლებლებისადმი, თუ როგორი სითბოთი და პატივისცემით იგონებდა მათ, ამის დასტურია მისი სტატიები და მის მიერ ორგანიზებული საიუბილეო სხდომა მიძღვნილი მისი მასწავლებლის, გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის მიხეილ გეგეშიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი (2009 22 დეკემბერი).

განსაკუთრებული თვისება ჰქონდა ბატონ სოსოს - იგი საშუალებას აძლევდა ახალგაზრდა, დამწყებ ეთნოლოგებს უშიშრად მოესინჯათ ძალები სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ასპარეზზე; ჩვენ, მის მოწაფეებს იგი გვანდობდა სასემინარო ან სულაც სალექციო

საათებს, თავადაც გვესწრებოდა და ფრთხილად მიგვითითებდა თუ რა იყო გასაუმჯობესებელი.

ყოველმხრივ სამაგალითო, საოცრად თბილი ადამიანი და შესანიშნავი მეცნიერი დააკლდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც ასე უყვარდა ბატონ სოსოს და რომელშიც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ემსახურებოდა ახალი თაობების არა მარტო კარგ მეცნიერებად, არამედ კარგ ადამიანებად აღზრდას.


ს. ჭანტურიშვილის შრომების სია:

- აფხაზური მუსიკალური საკრავები, საბჭოთა ხელოვნება №8, 1968.
- შრომის სიმღერების კვლევის საკითხისათვის სვანეთში, სსმმ, ტ. XXVIII-B, 1969.
- შახელოვანი მეცნიერის ხსოვნას, სახ. განათლება, 1970 2.12, თანაავტ. კეკელიძე რ.
- ნაღური სიმღერა “ოდითას” საკითხისათვის, მაცნე, №6, 1970.
- სახელოვანი ქართველი მეცნიერი (ეთნოგრაფ გ. ჩიტაიას დაბადების 80 და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავის გამო), სკოლა და ცხოვრება №2, 1971 თანაავტ. კეკელიძე რ.
- პაპუასები, ეთნოგრაფიული ნარკვევი, თბ. 1971, თანაავტ. ნარიშვილი ა.
- ღომის კულტურასთან დაკავშირებული შრომის სიმღერები სამეგრელოში, სმამ, ტ.69, №1, 1973.
- ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან, ცისკარი №1, 1973.
- სვანური ხალხური ინსტრუმენტი ჭუნირი, ძეგლის მეგობარი №47, 1978.
- “შუშანიკის წამება“, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყარო, თსუ საიუბილეო კრებული „შუშანიკის წამება“, გამოკვლევები და სტატიები, თბ. 1978.
- დავით ბაგრატიონი (ცხოვრება და მოღვაწეობა), სინათლე №11, 1980.
- დასჯის ფორმები ადრე შუასაუკუნეების საქართველოში, ძეგლის მეგობარი №58, 1981.
- საქორწინო ურთიერთობების ზოგიერთი დეტალები V-X სს. საქართველოში, სინათლე №10, 1971.
- მუსიკა, გართობა-სანახაობა ძველ საქართველოში, თეატრალური მოამბე №3, 1981.
- მეჯადაგობა და მეხამლეობა V-X სს. საქართველოში, სმამ ტ.105-№7, 1982.

- ოჯახი და საოჯახო ყოფის ზოგიერთი საკითხი V-X სს. საქართველოში, ცისკარი №4, 1982.
- ქართველებისა და მათი მეზობელი ხალხების ურთიერთობათა ზოგიერთი ეთნოგრაფიული მხარე, სინათლე №5, 1982.
- ბავშვის დაბადებასთან და ნათლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნობები V-X სს. საქართველოში, სმამ №1, 1982.
- განათლება V-X საუკუნეების საქართველოში, თეატრალური მოამბე №2, 1982.
- ათალიკობის შესახებ V-X საუკუნეების საქართველოში, სმამ №3, 1982.
- სამეურნეო ყოფის ზოგიერთი მხარე V-X საუკუნეების საქართველოში (ნადირობა, მეთევზეობა), სმამ №3, 1983.
- ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის ცდა), თბ. 1984.
- ეთნოგრაფიული მეცნიერების წყაროების მეთოდოლოგიური საკითხები, თბ. 1987.
- კურული ქართველ ტომებში, საქართველოს უნივერსიტეტ. X რესპ. შესიის გეგმა და თეზისები, 1988.
- სტრუქტურალიზმი ეთნოგრაფიაში, ცისკარი №3, 1988.
- ეთნოგრაფიული მეცნიერების მოკლე ისტორია, თბ. 1989.
- „ქართველის ცხოვრება“ – კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიის წყარო, აია, 1991.
- ეთნოლოგია, თბ. 1993.

*ნინო აბაკელია
ქეთევან ხუციშვილი*

თინა ოჩიაური



ქართულ ეთნოლოგიას გამოაკლდა უაღრესად ნიჭიერი მეცნიერი, შესანიშნავი ანალიტიკოსი, ნამდვილი პროფესიონალი, საქართველოს მთიანეთის შვილი და ამ რეგიონის ტრადიციების უბადლო მცოდნე თინა ოჩიაური. მისმა უმცროსმა კოლეგამ ირაკლი სურგულაძემ თინა ოჩიაურს “მთის მემკვიდრე” უწოდა. მისივე სიტყვებით “იგი სპეციალურად გაჩნდა მეცნიერების ამ დარგის” ანუ ეთნოლოგიისათვის. მართლაც თინა ოჩიაური საგანგებოდ გაჩნდა ამ ქვეყანაზე, რომ შუქი მოეფინა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სულიერი

კულტურისათვის. მას ნიჭსა და მოწოდებასთან ერთად, საშუალება ჰქონდა ემუშავა ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების კლასიკოსების გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის გვერდით. გაეანალიზებინა თავისი თვალთ ნანახი და გაგონილი, უპირველეს ყოვლისა, მისი ოჯახის წევრების: ალექსი ოჩიაურის, ნათელა და მელანია ბალიაურების მონათხრობი, ქართული ეთნოლოგიური სკოლა წარმოდგენელია თინა ოჩიაურის ნაშრომების გარეშე. სწორედ მან ახსნა საქართველოს მთიანეთის ბევრი საიდუმლოებით მოცული წესი და ტრადიცია. მისი მეშვეობით მომავალ თაობას საშუალება მიეცა გასცნობოდა ფშაველთა და ხევსურთა წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს, სულიერ კულტურას. გაეგო ამ კულტურის ბევრი თავისებურება.

თინა ოჩიაური იყო სრულყოფილი პიროვნება, უაღრესად კეთილი, კარგი ადამიანი. მე წლების მანძილზე ვმუშაობდა მის გვერდით, მისი ხელმძღვანელობით. ვიყავი მისი მეგობრობით განებივრებული. იგი არსდროს გაგრძობინებდა განსხვავებას ასაკს, სამეცნიერო დონესა და რანგს შორის. იყო საოცრად თავმდაბალი, იმავედროულად, საჭიროების შემთხვევაში, პრინციპული, კეთილგანწყობილი ხელმძღვანელი და მეგობარი. მის გვერდით თავს ყოველთვის მშვიდად, იმედიანად გრძნობდი, ყოველთვის იცოდი, რომ გვერდით გედგა ერთგული, უანგარო დახმრებისთვის მუდამ მზადყოფი ადამიანი. იგი იყო ფართოდ განათლებული, ქართული, განსაკუთრებით კი ხალხური, პოეზიის შესანიშნავი მცოდნე, საოცარი იუმორის გრძნობის მქონე, თავად ხალხს იუმორით სავსე ლექსების ავტორი. მასთან ურთიერთობა, მასთან ერთად გატარებული დღეები

ისტორიის ინსტიტუტში თუ ინსტიტუტის გარეთ, ექსპედიციებსა თუ მივლინებებში შთაბეჭდილებებით სავსე, ყოველთვის საინტერესო და უაღრესად სასიამოვნო იყო.

თინა ოჩიაური სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე დარჩა მოაზროვნე მეცნიერად. დასანანია, რომ იგი ბოლომდე არ იყო ჩაბმული აქტიურ სამეცნიერო ცხოვრებაში. მას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო.

ნუნუ მინდაძე

მანანა შილაკაძე



მანანა შილაკაძე დაიბადა 1938 წლის 8 თებერვალს ქ. თბილისში. 1956 წელს წარჩინებით დაამთავრა დ. არაყიშვილის სახელობის I სამუსიკო სასწავლებელი ფორტეპიანოს სპეციალობით, ხოლო 1962 წელს, ასევე წარჩინებით, – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1962 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის (ამჟამად ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) საქართველოს ეთნოგრაფიის

განყოფილებაში, 1968 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1974 წლიდან – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1992 წლიდან კი – წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ამასთან ერთად, სხვადასხვა დროს, ქ-ნი მანანა მუშაობდა მუსიკალურ სკოლაში (ფორტეპიანოს პედაგოგად), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში (მიჰყავდა ეთნოგრაფიის კურსი), ხალხური საკრავების სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან. იგი იყო არა მარტო ისტორიკოსი-ეთნოგრაფი, არამედ ტრადიციული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის შესანიშნავი მცოდნე, აქტიურად იყო ჩართული საველე-შემკვრებლობით საქმიანობაში საქართველოსა და ჩრდილოკავკასიაში. კონსერვატორიაში მიჰყავდა ეთნოგრაფიის, ხალხური საკრავიერი მუსიკისა და სპეციალობის კურსი ეთნომუსიკოლოგიაში; იყო ტრადიციული მუსიკის ევროპული ასოციაციის წევრი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის მონაწილე. იგი ერთდერთი მკვლევარია, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები ქართული ტრადიციული სამუსიკო საკრავების შესახებ.

1967 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად – „ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკა“. ხოლო 1991 წელს – დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად – „ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“.

მანანა შილაკაძე ავტორია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (ქართულ, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე); გამოცემული აქვს ხუთი წიგნი – „ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა“ (თბილისი, მეცნიერება, 1970), „ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა“ (თბილისი, მეცნიერება, 1988), ეთნომუსიკოლოგიის საგანი, მეთოდები და ამოცანები“ (თბილისი, მეცნიერება, 1991), «Грузинская народная инструментальная музыка» (Москва, Музыка, 1989), „ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“ (თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2007). მისი უკანასკნელი ნაშრომი სულ ახლახან დაიბეჭდა ამერიკაში გამოცემულ ინგლისურენოვან კრებულში, რომელიც ქართულ მრავალხმიანობას ეძღვნება.

მანანა შილაკაძემ ქართული ეთნომუსიკოლოგია დატოვა იმ დროს, როდესაც მისი მრავალი საინტერესო პროექტი განხორციელებას ელოდა. იგი ბოლო დრომდე აღსავსე იყო შემოქმედებითი ენერჯით. ოქტომბრის დასაწყისში მას მონაწილეობა უნდა მიეღო ტრადიციული მრავალხმიანობის V საერთაშორისო სიმპოზიუმში, თუმცა, უკვე მძიმედ დაავადებულმა, მხოლოდ მისი გამოსვლის ტექსტი გამოგზავნა.

ქ-ნ მანანას ჰქონდა ერთი, დღეისთვის იშვიათი თვისება: იგი ყველაში ეძებდა მეგობარს, რის გამოც იგი მის გარშემოყოფთ კეთილმოსურნეობის ეტალონად მიაჩნდათ. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისა, რიც გამოც იგი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა და მისი კეთილი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და კოლეგების გულში.

*რუსუდან წურჭუმია
თამაზ გაბისონია*